K 207 251
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ჯიჯნაძე

სვანეთი XIV საუკუნეში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
იმ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა კიკნაძე

საქართველო XIV საუკუნეში

„მეცნიერება"
თბილისი
1989

საქართველოს ისტორია ქ. 13 - 14 სს.

63.3(2 Г)
ک 499

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს ისტორია XIII ს. 90-იანი წლებიდან ვიდრე XIV საუკუნის მიწურულამდე. როგორც ცნობილი, ასევე სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ავტორის მიერ შემოტანილი პირველწყაროების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე შესწავლილია XIV ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კარდინალური პრობლემები. მათ შორის: საქართველოში მონღოლთა უღლის დასასრული, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა, საქართველო-საილხანოს ურთიერთობა, მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის სუვერენიტეტის მოპოვებას და ა. შ. შრომაში განხილულია მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეთა ზეობის წლები (მაგალითად, გიორგი V ბრწყინვალის, გიორგი VI მცირის, ვახტანგ III-ის და სხვათა). კრიტიკულადაა გაანალიზებული, აგრეთვე, უცხოელ ქართველოლოგთა შრომები, რომლებიც აღნიშნულ ეპოქას ეხებიან. ნაშრომში ცალკე თავები ეძღვნება ამ საუკუნის კულტურის ისტორიას და XIV საუკუნის ანონიმი მემატიანის, ჟამთააღმწერლის, ვინაობის საკითხს.

ნაშრომი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. მ. დუმბაძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. დ. კაციტაძე
ისტ. მეცნ. კანდიდატი თ. ენუქიძე

К 207.251
3

ک $\frac{0503020906}{М\ 607(06)-89}$ 174—89
ISBN 5—520—00424—2

© გამომცემლობა „მეცნიერება“. 1989

საქ. სსრ ა. მ. მარქსის
სახ. ლ. ...
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

Ne quid falsi audeat, ne quid veri non audeat historia.

„დაე, ისტორია ტყუილს შეუშინდეს,
მაგრამ არ შედრკეს არანაირი
სიმართლის წინაშე“.

ციცერონი

XIV საუკუნე მნიშვნელოვანი ხანაა ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში მონღოლ-თათართა საუკუნოვან ბატონობას ბოლო ეღება და ქვეყანა გარკვეული დროით პოლიტიკურად კვლავ ერთიანდება.

XIV ს. დამდეგისათვის, ერთი მხრივ, საქართველოში და, მეორე მხრივ, მის სიუზერენ ქვეყანაში — საილხანოში, ამ მიზნების განსახორციელებლად სავსებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამ პერიოდში საილხანო დაცემისა და დაქუცმაცების გზაზე დგას. 1335 წ. მონღოლთა ეს სახელმწიფო ფაქტობრივად დაიშალა კიდეც. რაც შეეხება ქართველ ხალხს. შეიძლება ითქვას, დღიდან მონღოლთაგან დაპყრობისა მას არ შეუწყვეტია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. XIV ს-დან კი ამ ბრძოლას ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი ხელმძღვანელობდა, როგორიც გიორგი V ბრწყინვალე (1318—1346) იყო. გიორგი V-მ, კ. მარქსის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, რომელიც ივანე III-ის პოლიტიკას შეეხებოდა, „ერთ თათარს მეორის დახმარებით სძლია“. ყაენის ხელისუფლება თავისი სასარგებლოდ გამოიყენა და „ამ საშუალებით განთავისუფლდა თავისი ყველაზე საშიში მეტოქეთაგან, დასძლია ყოველი წინააღმდეგობა“[1].

შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ძლიერი სამეფო ხელისუფლება პროგრესული საწყისის მატარებელია. აქედან გამომდინარე, გიორგი V-ის გამარჯვება სამეფო ტახტის სხვა პრეტენდენტებზე და მის მიერ ურჩი ფეოდალების დამორჩილება, ქვეყნის ინტერესე-

[1] K. Marx, Secret diplomatic history of the Eigtheenth century, edited by El. Marx. London, 1899, p. 79—80.

ბის თვალსაზრისით, დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ. სახელდობრ, ეს იმის წინაპირობა იყო, რომ ძლიერ სამეფო ხელისუფლებას წარმატებით ეწარმოებინა ბრძოლა დამპყრობლის — მონღოლთა წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ხანა დოკუმენტაციის მხრივ ძალზე ღარიბია. სხვა საბუთებს რომ თავი დავანებოთ, ეპოქის ძირითადი მოვლენების გადმოცემისას წყდება ქართული ნარატიული წყაროს — „ქართლის ცხოვრების“ თხრობა. უცნობი მიზეზების გამო XIV ს. პირველი ნახევრის ანონიმი მემატიანის ე. წ. ჟამთააღმწერლის თხზულება მხოლოდ 1317—18 წლამდეა მოყვანილი. მონღოლთა წინააღმდეგ და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა კი, ძირითადად, სწორედ ამ პერიოდის შემდეგ იგულისხმება. ასეთმა ვითარებამ დაღი დაასვა ეპოქის შესწავლის საქმეს. ამიტომაცაა, რომ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მართებული გაგებისათვის, დღესაც დავას იწვევს და საბოლოოდ გადაჭრილი არ არის.

სადღეისოდ ამ საუკუნის კარდინალური მოვლენების შესასწავლად ძირითად წყაროს ფაქტობრივად ვახუშტი ბატონიშვილის XVIII ს. შუა წლებში დაწერილი თხზულება — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წარმოადგენს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც დამატებითმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, ვახუშტის უმთავრესი დებულებები XIV ს-თან დაკავშირებით სავსებით დასაბუთებულია და ხშირად სხვა უცხოური წყაროებითაც მოწმდება.

წყაროთმცოდნეობითი ბაზისის აღნიშნულმა თავისებურებამ ამ ეპოქის განსხვავებული შეფასება გამოიწვია ქართველ და უცხოელ ავტორთა მხრიდან. ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად კრიტიკულად გვაქვს განხილული ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში წამოყენებული ყველა ძირითადი მოსაზრება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ დღემდე არ არსებობს ნაშრომი, რომელიც მონოგრაფიულად შეისწავლიდა აღნიშნულ ეპოქას.

შრომაში მოხმობილი გვაქვს მთელი რიგი ახალი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი მასალები, მათზე დაყრდნობით უკეთ წარმოჩნდა საქართველოს აქტიური საგარეო ურთიერთობანი აღნიშნულ ეპოქაში.

ახლებურად ვიხილავთ აგრეთვე არსებულ ქართულ წყაროებს, მაგ., ჟამთააღმწერლის ტექსტს და ამ ასწლიანი მატიანის ანონიმი ავტორის ვინაობის საკითხს. დოკუმენტურად დავადგინეთ ზოგი წყაროს (მაგ., „ძეგლი ერისთავთა“-ს) შექმნის თარიღი, ამ პერიოდის

პოლიტიკურ მოღვაწეთა გამეფების რთული წინაპირობები, ზეობის წლები და ა. შ.

ნაშრომში განხილული გვაქვს არა მარტო საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდი, არამედ მასთან მჭიდროდ დაკავშირებული დამპყრობელი სახელმწიფოს — მონღოლ-ილხანთა ისტორიის ძირითადი მომენტები და საქართველოსთან მისი ურთიერთობა. ამ მხრივ ნაშრომში დასმული საკითხები საინტერესო და აქტუალურია მონღოლთა მიერ დაპყრობილი სხვა ქვეყნების ისტორიისათვისაც.

ლიტერატურა და წყაროები

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი ყველაზე საფუძვლიანად შესწავლილია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ. მან პირველმა წამოაყენა და მეცნიერულად დაასაბუთა XIV საუკუნის ისტორიასთან დაკავშირებული ძირეული დებულებები[2]. ავტორმა არსებული ქართული და უცხოური წყაროების შესწავლისა და ღრმა ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ საქართველოში მონღოლთა მფლობელობას ბოლო ეღება XIV ს. 30-იან წლებში. მისივე დასკვნით, ამავე პერიოდში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავისი გავლენა გაავრცელა აგრეთვე სამხრეთ საქართველოზე — სამცხე-საათაბაგოზეც.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობას და უყოყმანოდ აყენებდა მას დავით IV აღმაშენებლის (1089—1125), ბაგრატ III-ისა (975—1014) და თამარ მეფის (1178—1207/12) გვერდით[3].

ეს ეპოქა წარმოდგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოშიც[4]. ჩვენთვის საინტერესო თავების ავტორი ნ. ბერძენიშვილი მთლიანად იზიარებს ივ. ჯავახიშვილის დასკვნებს საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ.

---

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1966, გვ. 251—274, 395—407; ი გ ი ვ ე, თხზულებათა კრებული 12 ტომად, ტ. III, მ. დუმბაძის რედაქტორობით, თბ., 1982, გვ. 162—180; ა გ რ ე თ ვ ე: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი № 261, ფურც. 1221—1380; ფონდი № 262, შეკვრა III, ფურც. 1—45.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ 251.

4 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-მდე (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1958, გვ. 241—253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევათაგან აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის სტატია, რომელიც ინგლისელი ავტორის დ. ლანგის [illegible] ხოდაა დაწერილი და საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ხანგრძლივობის საკითხს შეეხება[5]. ამ შრომაში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, დაყენებულ იქნა ზოგიერთი საკითხი, რომლებიც XIV ს-ის შესახებ ადრე მიღებული შეხედულებების გარკვეულ კორექტირებას ახდენენ. აქ განხილულია დ. ლანგის დებულებები და მოტანილია მათი საპასუხო არგუმენტები. ვ. გაბაშვილი ასკვნის, რომ საილხანოს დაშლის შემდგომ (1335 წ.) ამ სახელმწიფოს მემკვიდრეების ურთიერთობა საქართველოსთან იმ რიგის მოვლენა ველარ იქნებოდა, როგორც ეს მანამდე იყო. ამასთან ერთად, ვ. გაბაშვილი არ უარყოფს დ. ლანგის რიგ დებულებებს. მაგალითად, საქართველოს განვითარების ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ დაქვეითებას XIV ს. 30-იანი წლების ბოლოსათვის. იგი აღიარებს აგრეთვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს მიერ ილხანთათვის ხარკის გადახდის ფაქტსაც. ავტორის აზრით, ამ ხარკს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და წარმატებით დამთავრებული ლაშქრობის შედეგი იყო[6]. ეს დასკვნები მეტ-ნაკლებად გაზიარებულია დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში[7].

განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ხარკის გადახდის შესახებ რ. კიკნაძე. 1976 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში იგი დაასკვნის, რომ 1330-იან წლებში საქართველოს მიერ, თითქოს, ხარკის გადახდის ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ აზრს ასაბუთებს იმ წინააღმდეგობით, რაც ამგვარი ცნობის შემცველ სპარსულ წყაროს (ჰამდალახ ყაზვინი) ახასიათებს[8].

XIV ს. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ასახულია აგრეთვე ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ მრავალტომეულ გამოკვლევაში — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. III). ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ავტორი ბ. ლომინაძე აღიარებს

---

5 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, აღმოსავლური კრებული — I, თბ., 1960, გვ. 121—145.

6 იქვე, გვ. 143—144.

7 იხ. მაგალითად, ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს., თბ., 1967, გვ. 97—99; ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, სომხური ანდერძნამაგების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.), თბ., 1978, გვ. 114 და ა. შ.

8 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XIV ს. I ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალახ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 204.

გიორგი V-ის დროს მონღოლ-თათართა უღლის გადაგდებისა დასავლეთ-ნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ფაქტს. ავტორი მისაღებად მიიჩნევს აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს იმ დროინდელი საზღვრებისა და პოლიტიკური გავლენის სფეროების შესახებ[9]. ამასთან ერთად, ბ. ლომინაძე იზიარებს დ. ლანგისა და ვ. გაბაშვილის დებულებას საქართველოს განვითარების მკვეთრი შეფერხების შესახებ XIV ს. 40-იანი წლების დამდეგიდან. მაგრამ იგი დ. ლანგის საპირისპიროდ აღნიშნავს, რომ საქართველოში მონღოლთა მფლობელობა უნდა დაიყოს ფაქტიურ და ფორმალურ პერიოდებად[10].

ჩვენთვის საინტერესო ეპოქა მეტ-ნაკლები სისრულით და სხვადასხვა ასპექტით განხილული აქვთ აგრეთვე: დ. გვრიტიშვილს[11], ნ. ურბნელს[12], მ. ჯანაშვილს[13], თ. ჟორდანიას[14] და სხვებს.

აღსანიშნავია აზერბაიჯანელი მეცნიერის ა. ალი-ზადესა და სომეხი მკვლევარის ლ. ბაბაიანის შრომები, რომლებიც XIII—XIV სს. აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიას იხილავენ[15]. მათ შრომებში გაშუქებულია საქართველოს ისტორიის მთელი რიგი აქტუალური საკითხებიც. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ბაბაიანის შრომა ხშირად სცოდავს უზუსტობითა და ტენდენციურობით. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიტანთ წყაროს (ჟამთააღმწერლის) ტექსტის ავტორისეული ციტირების მხოლოდ ერთ მაგალითს: «Во время этой смуты все князья по ту и по эту сторону Грузии собрались на края Кохты: (Шахиншах) Шанше, Егарслан, Цотне, Дадян, Ваграм (Варам) Гагеци, Гваргварен, Шота Купри... Тореци Гамрекели, Саргис Тмогвеци...»[16]. შეადარეთ რეალურ

---

9 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, საქართველო XIV ს. I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III (XI—XV სს.), თბ., 1979, გვ. 623—629; 663—669.

10 იქვე, გვ. 628.

11 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. I (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 305—332.

12 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი (ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი), გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, თბ., 1899.

13 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 194—210.

14 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897, გვ. 177—184; ტ. III, თბ., 1967 (დამატება I), გვ. 556—595.

15 А л и - З а д е А. А., Социально-экономическая и политическая история Азербайджана в XIII—XIV вв., Баку, 1956; Б а б а я н Л. О., Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV вв., М., 1969.

16 Б а б а я н Л. О., Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV вв., М., 1969, с. 131.

ტექსტს: „ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა იმერნი და ამერნი; (შანშე) (მხოლოდ ვახტანგ VI-ის შემდეგდროინდელ ნუსხებში, რაც ავტორს არ აღუნიშნავს. — ვ. კ.), ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი“[17].

გაუგებარია, რა პრინციპით სვამს ავტორი ფრჩხილებში საკუთარ სახელებს (პირველ შემთხვევაში შახინშახს, მეორეგან ვარამს). ამასთან, მას „ცოტნე“ და „დადიანი“ ერთმანეთისაგან რატომღაც მძიმით გაუმიჯნავს და ცოტნეს გარდა მივიღეთ ახალი პირი — „Дадян“. აუხსნელია, რატომ გადმოსცემს იგი ტექსტის „თორელს“ — „ტორეცი“-ს ფორმით და ამგვარადვე სხვა საკუთარ სახელებს; ან რას ნიშნავს „გვარგვარენ“? ნუთუ ავტორს არ გაუგია სახელი ყვარყვარე? ან კიდევ რა მოსაზრებით აგდებს წყაროდან ლ. ბაბაიანი თორღაის, ჰერ-კახთ, ქართველთ (ქართლელთ), მესხთა და ტაოელთა სახსენებელს? და ა. შ. ეს ვრცელი მაგალითი იმისთვის დაგვჭირდა, ცხადი გახდეს, რაოდენი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მკითხველი დასახელებულ შრომას. მსგავსი მაგალითების მოტანა ხომ წიგნის ყოველი გვერდიდან შეიძლება.

უცხოელი ავტორებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მარი ფელისიტე ბროსეს შრომა „საქართველოს ისტორია“. „ისტორიის“ შესაბამის ნაწილში მ. ბროსე აღწერს საქართველოს მდგომარეობას XIV ს-ში. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ მონღოლ-თათართა დასუსტებამ 1327 წლიდან საშუალება მისცა გიორგი V-ს საგრძნობლად გაეფართოებინა თავისი სამფლობელო[18]. საყურადღებოა მისივე გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, რომლის ფრანგულ თარგმანს დართული აქვს მრავალრიცხოვანი განმარტებანი და შენიშვნები[19].

ინტერესს იწვევს ინგლისელი და ამერიკელი მეცნიერების უ. ალენის, კ. თუმანოვის და დ. ლანგის შრომები, რომლებიც აღნიშნულ ეპოქასაც ეხებიან.

უ. ალენი იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ. მართალია, იგი უჩივის XIV ს. წყაროთა ნაკლებობას, მათი განზოგადებების „მაღალფარდოვნებასა“ და „ბუნდოვანებას“, მაგრამ ძირითადად სან-

---

17 ქამთააღმწერელი, ქართ. ცხ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 215.

18 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ფრანგულიდან თარგმნა ს. ღოღობერიძემ, თბ., 1895.

19 M. Brosset, Histoire de la Gèorgie, trad, du Gèorgien, t. 1, S/Pg, 1850.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდ მიიჩნევს მათ. ამასთან ერთად, იგი კონკრეტულად არ ეხება მონღოლთა უღლის გადაგდების ვითარებას საქართველოში და ამ საკითხზე ზოგადი დასკვნით კმაყოფილდება. იგი წერს: „ირანის მონღოლ-ილხანთა ძალაუფლების დაცემა XIV ს-ის I მეოთხედში შესაძლებლობას უქმნიდა იმ ქვეყნებს, რომლებიც ხმელთაშუა ზღვიდან — კავკასიის მთებამდე მდებარეობდნენ, მოეპოვებინათ ან აღედგინათ თავიანთი დამოუკიდებლობა“[20].

იგივე უნდა ითქვას კ. თუმანოვის შესახებაც. მისი გამოკვლევის მიზანს არ შეადგენდა საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის დაწვრილებითი გადმოცემა, მაგრამ XIV ს. შესახებ იგი აღნიშნავს: „საქართველოს გაერთიანება განხორციელდა XIV ს. I ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის მიერ. ამასთან, აბაზგო-იმერეთის სამეფოსაგან ჩამოშორებული გამგებელნი ჩამომცრობილ იქნენ ვასალების დონემდე. საქართველოს, ჩანს, კვლავ ოქროს ხანა უდგებოდა, მაგრამ მან ერთხელ კიდევ და ამჯერად საბედისწერო დარტყმა მიიღო თემურ-ლენგის შემოსევებისგან“[21].

რაც შეეხება ინგლისელ ქართველოლოგს დ. ლანგს, მან გიორგი V-ის მოღვაწეობას, ე. ი. XIV ს. საქართველოს ისტორიას სპეციალური სტატია უძღვნა[22]. აღნიშნულ შრომაში დ. ლანგი ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებული დასკვნების დიამეტრალურად საწინააღმდეგო დებულებებს აყალიბებს. მნიშვნელოვანწილად ეს გამოიწვია ავტორის უნდობლობამ XVIII ს. ქართული წყაროებისადმი, ხოლო XIV ს. მცირე რაოდენობით არსებული დოკუმენტური მასალის თითქმის მთლიანად უგულვებელყოფამ. მის დებულებებზე ვრცლად გვექნება მსჯელობა ჩვენი შრომის ძირითად ნაწილში.

უცხოელ ავტორთა შრომებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე გერმანელი ორიენტალისტის ბერთოლდ შპულერის გამოკვლევა „მონღოლები ირანში“. ამ შრომაში ზოგიერთი საყურადღებო მასალა საქართველოსაც ეხება. მაგალითად, მონღოლთა მფლობელობის დასასრულის დროისა და ვითარების შესახებ ბ. შპულერი (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით) ასკვნის, რომ XIV ს. 30-იან წლებში საქართველო მონღოლებს მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად ემორჩილებოდა[23].

---

[20] W. E. D. Allen, A History of the Georgian people, London, 1932, p. 121.

[21] C. Tumanoff, Medieval Georgian Historical Literature (VII—XV centuries), Traditio, v. I, New York, 1943, p. 146.

[22] D. M. Lang, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, BSOAS, XVII/I, London, 1955, pp. 74—90.

[23] B. Spuler, Die Mongolen in Iran, Berlin, 1955, p. 126.

უკანასკნელ ხანს გამოვიდა თანამედროვე გერმანელი ავტორის ბ. ლიმპერის დიდტანიანი შრომა, რომელსაც ეწოდება „მონღოლები და კავკასიის ქრისტიანი ხალხები“... იგი ეხება XIII-XIV სს. დამდეგის კავკასიის პოლიტიკურ ისტორიას. შრომაში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ისტორიასაც. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი (XIV ს.), ავტორს მოკლედ აქვს მიმოხილული. საყურადღებოა, რომ იგი მთელი რიგი კარდინალური საკითხების ინტერპრეტაციაში დ. ლანგის კონცეფციას არ იზიარებს[24].

იგივე უნდა ითქვას იაპონელი ქართველოლოგის სეიჩი კიტაგავას შრომათა შესახებაც. ავტორი XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიის გადმოცემისას ქართულ, სომხურ და აღმოსავლურ წყაროებს ეყრდნობა. ძირითადად იგი იზიარებს ქართველ მკვლევართა მოსაზრებებს XIV ს. საქართველოს ისტორიის შესახებ[25].

წ ყ ა რ ო ე ბ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა. ჩვენამდე მოღწეულ XIV საუკუნის ორიგინალურ წყაროთა რიცხვი ძალიან მცირეა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ XIV ს. ანონიმი ქართველი ავტორის ე. წ. ჟამთააღმწერლის თხზულების შემორჩენილი ნაწილი[26]. სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა, ამ უმნიშვნელოვანესი ნარატიული წყაროს თხრობა წყდება 1317/18 წლებზე. ის, რომ მემატიანეს 1319 წლის შემდგომი ამბებიც ექნებოდა ასახული. თხზულების შემორჩენილი ტექსტიდანაც აშკარად ჩანს[27]. კერძოდ, ანონიმი ისტორიკოსი რამდენჯერმე გვპირდება თვალნათლივ წარმოაჩინოს გიორგი V-ის დიდი ღვაწლი თავისი ქვეყნის მიმართ, მაგრამ შემდგომ ტექსტი მოულონდელად წყდება მისი გამეფების ამბების გადმოცემისას. მსგავსი ვითარება აქვს მხედველობაში წყაროთმცოდნე ვ. პ. ადრიანოვა-პეტერცს, როდესაც წერს: „განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი შუა საუკუნეების მწერალი, რომელიც წინასწარ მოგვითხრობს (ამა თუ იმ მოვლენის, ვ. კ.) ნიშნებზე და შემდეგ კი გვაჩვენებს, რომ ისინი არ გამართლდნენ“[28]?. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ქარ-

---

[24] L i m p e r B., Die Mongolen und die christlichen Völker des Kaukasus... Köln, 1980, s. 190.

[25] ს. კ ი ტ ა გ ა ვ ა მ ათამდე სტატია მიუძღვნა XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიას. მათ ორიგინალში გაეცნო და დაამუშავა ნ. გაბაშვილმა. იხ. მისი „საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში“, „მნათობი“, 1987, № 6, გვ. 146—155.

[26] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 151—325.

[27] იქვე, გვ. 255, 286, 288, 294, 304, 322, 323, 325.

[28] А д р и а н о в а - П е т е р ц В. П., «Слово о полку Игореве» и памятники русской литературы XI—XIII вв. см. в книге: Л и х а ч е в Д. С., Слово о полку Игореве (историко-литературный очерк), М., 1976, с. 152.

თვეულ შემატიანეს აღწერილი ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში, განზრახული ჰქონდა აღეწერა) გიორგი V-ის მთელი მოღვაწეობა და მისი წვლილი საქართველოდან მონღოლთა განდევნის საქმეში. დღეისთვის ძნელია იმის თქმა, როდის ან რატომ დაიკარგა ამ საუკუნის შესწავლისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მონაკვეთი. თავის მხრივ, XVIII ს. დამდეგის ქართველმა ისტორიკოსებმა, რომლებმაც სცადეს ამ დანაკლისის მოძიება, ჟამთააღმწერლის თხზულების ბოლო ნაწილს უკვე მაშინ ვეღარ მიაკვლიეს[29]. ანონიმი მემატიანის თხზულების არსებული ნაწილიდანაც ბევრი პირველხარისხოვანი ცნობის ამოკრება შეიძლება. მაგალითად, იგი მოგვითხრობს გიორგი V-ის დროს ჩრდილოეთიდან ქართლში ოსთა მომთაბარე ტომების ჩამოწოლისა და მათი განდევნის შესახებ. გიორგი V-ის მიერ სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის დაქვემდებარების შესახებ და ა. შ. თხზულების მიხედვით, შეიძლება ისიც ვიგულისხმოთ, რომ XIV ს. 20-იანი წლების ბოლოს საქართველოს მონღოლთა უღელი გადაუგდია [30]. ჟამთააღმწერლის მოღვაწეობის ზუსტი თარიღის დადგენა ჭირს, მაგრამ, ვფიქრობთ, იმის მტკიცება შეიძლება, რომ მისი მოღვაწეობის ზედა ზღვარი XIV ს. 30-იან წწ. არ გადასცდება[31].

ამ საუკუნის შესახებ ფრაგმენტული, მაგრამ საყურადღებო მასალა დაუცავს ქსნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკას, ე. წ. „ძეგლი ერისთავთას“ (XV ს. 20-იანი წლები)[32]. ქართულ წყაროთაგან მხოლოდ ამ ქრონიკამ შემოინახა ცნობები გიორგი V-ის მიერ ეგვიპტის სულთანთან ელჩების გაგზავნის თაობაზე და მისი თხოვნის აღსრულების შესახებ.

ამ ეპოქის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს გიორგი V-ის მიერ მთიულთათვის შედგენილი სამართლის წიგნი „ძეგლის დადება“. მართალია, ძირითადად იგი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი ძეგლი, მაგრამ მისი პრეამბულა პოლიტიკური

---

29 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 325 (სქოლიო).

30 იქვე, გვ. 164.

31 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვინ არის ჟამთააღმწერელი? ჟურნ. „მნათობი“, 1984, № 5, გვ. 156—157. იხ. აგრეთვე, აქვე, დამატება.

32 „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30 ,თბ., 1954, გვ. 318—321; „Памятник Эриставов“ перевод и комментарии С. С. Какабадзе, Тбилиси, 1979; აგრეთვე, ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძეგლი ერისთავთა“-ს დათარიღებისათვის, კრებულში—ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1982, გვ. 51—56.

ისტორიისთვისაც საინტერესო მასალას შეიცავს. „ძეგლის დადება“ შედგენილი უნდა იყოს 1335 წლისთვის[33].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი მნიშვნელოვანი ცნობის ამოკრება შეიძლება ამ პერიოდის მცირე რაოდენობით შემორჩენილი სიგელ-გუჯრებიდანაც[34].

გათვალისწინებული გვაქვს აგრეთვე ეპოქის ყველა ეპიგრაფიკული ძეგლი და ნუმიზმატიკური მასალა.

ძირითად წყაროს საკვლევი საუკუნის შესახებ წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“[35] (XVIII ს. დასაწყისი). მისი შრომის დაწვრილებითმა შესწავლამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ XIV საუკუნის მოვლენების აღდგენისას ვახუშტი ბატონიშვილი იყენებდა: 1) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებას“ (შესაძლოა უფრო სრულ ვარიანტს, ვიდრე დღემდეა მოღწეული), 2) გიორგი V-ის სიგელ-გუჯრებს[36], 3) მეფე-მთავართა „წარწერებს“ (ე. ი. ეპიგრაფიკულ ძეგლებს)[37], 4) ისტორიულ ლეგენდებსა და გადმოცემებს („ხსოვნა-მოთხრობათა“)[38], 5) გელათური სამართლისა და გარიგების წიგნს, რომელსაც თან ერთვოდა ქრონიკალური სია[39] (დღეს აღარ არსებობს), 6) ე. წ. „დადიანთა ქრონიკას“ (დადიანთა ზეობის თარიღები იყო ფიქსირებული)[40] 7) უცხოურ წყაროებს და სხვ[41].

XVIII ს. I ნახევარს ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ბოლოს დართული ბერი ეგნატაშვილის (ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა“ კომისიის) ჩანართ-შენიშვნა. ამ მინაწერში საკმაოდ ლაკონურად აღნუსხულია XIV ს. I ნახევრის ძირითადი მოვლენები. XVIII ს. სწავლულთა კომისიისთვის, მაგალითად, ცნობილი ყოფილა, რომ მონღოლებში არეულობა დაიწყო და ამით

---

33 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 13—15.

34 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედ., თბ., 1965, გვ. 97—98; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909, გვ. 8—10; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 204—206; Грузинские документы IX—XV вв. перевод и коментарий С. С. Какабадзе, М., 1982, с. 86—93.

35 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 255—260; 801—802.

36 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ. 1973, გვ. 255 (შენიშვნა აშიაზე); გვ. 292.

37 იქვე, გვ. 292.

38 იქვე.

39 იქვე, გვ. 278.

40 იქვე, გვ. 459 (შეადარე: თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 181).

41 იქვე, გვ. 12.

კარგად ისარგებლა გიორგი V-მ. ბ. ეგნატაშვილის შენიშვნა გადმოგვცემს იმასაც, რომ ხელსაყრელ ვითარებაში გიორგი V-მ ურჩი ოდალები სიკვდილით დასაჯა, ხოლო ამიერ და იმიერ საქართველო გააერთიანა[42].

ამ პერიოდის უცხოური წყაროებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს არაბი ავტორის შეჰაბ ად დინ ალ-კალკაშანდის (1355—1418) კომპილაციის („დიპლომატიური გზამკვლევის") ერთი ნაწყვეტი, რომელსაც პირობითად ეწოდება „შენიშვნა ქართველების შესახებ". ამ კომპილაციის წერისას ალ-კალკაშანდი ემყარებოდა თავის წინამორბედ ავტორებს. ესენი არიან: იბნ-ფადლალახ ალ უმარი (1301—1348/49) და ალ-მუჰიბი (XIV ს. შუა წლები). ალ-კალკაშანდი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გიორგი V-ისა და საილხანოს ფაქტიური მმართველის — ჩობან ნოინის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აქვე დამოწმებულია მიმართვისა და შესხმის ის ფორმა, რომელსაც ეგვიპტის სულთნები მიმოწერის დროს იყენებდნენ საქართველოს მეფის მიმართ. ამ წყაროს ცნობით, მონღოლებს საქართველოში ამ დროს ჰყოლიათ მხოლოდ 10 000 მეომარი[43].

XIII ს. მიწურულისა და XIV ს. დასაწყისის საილხანოს ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება სპარსული საისტორიო მწერლობის ისეთ ცნობილ წარმომადგენელს, როგორიცაა რაშიდ ად-დინი (გარდ. 1318 წ.)[44]. იგი საქართველოს პოლიტიკური ვითარების ზოგიერთ მომენტსაც გვამცნობს. მაგალითად, მასთან დაცულია ვახტანგ III (დემეტრეს ძის) გამეფების თარიღი (1297 წ. 7 ნოემბერი), რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე დავას იწვევს. იგი ერთგან პირდაპირ აღნიშნავს აგრეთვე, რომ „ქართველები ყაზანის ხელისუფლებას არ სცნობენო". რაშიდ ად-დინი დაწვრილებით აღწერს ყაზან-ყაენის მრავალრიცხოვან რეფორმებს და მათ მნიშვნელობას ილხანთა სახელმწიფოსათვის. ამ რეფორმებმა მონღოლთა დამორჩილებული ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ისტორიაშიც გარკვეული როლი ითამაშეს. საქართველოს შესახებ ასევე საყურადღებო ცნობებს შეიცავს რაშიდ ად-დინის პირადი წერილებიც „მუქათაბათი — რაშიდი")[45].

---

42 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325 (ჩანართ-შენიშვნა).

43 Заметка Элькалькашанди о грузинах, перевод на русский язык и издание В. Г. Тизенгаузена, ЗВОРАОб., т. I, вып. 3, СП., 1886, с. 209—216.

44 Фазуллах Рашид ад Дин, Джами ат-таварих (сборник летописей), персидский текст с русским переводом А. Арендса, Баку, 1957, русск. перевод, с. 15—328.

45 რაშიდ ად-დინის [მიმოწერის] ცნობები საქართველოს შესახებ, ცნობები

საყურადღებო. მაგრამ ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები საქართველოს შესახებ დაცული აქვთ სხვა სპარსულენოვან წყაროებსაც, რომლებიც საილხანოს ისტორიას გადმოგვცემენ. მაგალითად, ჰამდალახ ყაზვინს (1280—1350) „ნუზჰათ ალ-ყოლუბში“ („გულთა სიამე“)[46], რაშიდ ად-დინის „მატიანეთა კრებულის“ გამგრძელებელს — ჰაფეზე აბრუს (გარდაიცვ. 1431)[47], აბუ ბაქრ ალ ყუტბი ალ აჰრის (XIV ს. I ნახევარი)[48] და ა. შ. ამ ავტორთა შრომები აკად. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი გამოთქმით. „უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან“ დაწერილ თხზულებებს წარმოადგენენ და ამიტომაც განსაკუთრებით ფრთხილ ანალიზს საჭიროებენ.

ამ პერიოდის საქართველოს შესახებ ზოგიერთი ცნობა დაცული აქვთ სომხურ წყაროებსაც, კერძოდ კი ანდერძ-მინაწერებს („ჰიშატაკარანებს“)[49].

ტრაპიზონის საკეისროში ქართველთა და ბიზანტიელთა დაპირისპირებაზე და ბრძოლაზე მოგვითხრობენ მიხეილ პანარეტოსი (XIV ს. II ნახ. XV ს. დასაწყისი) და ნიკიფორე გრიგორასი (1291—1360)[50].

საყურადღებო ეპისტოლარულ წყაროს წარმოადგენს რომის პაპის იოანე XXII-ის (1316—1333) და საქართველოს მეფის გიორგი V-ის (1318—1346) მიმოწერა. ეს მასალა საუკუნის დასაწყისში ვატიკანის ფონდების მიხედვით გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა (ქართულად 1902 წ. თბილისში, ფრანგულად — 1910 წ. რომში)[51].

ამოკრიბა, თარგმნა და გამოსცა კ. ტაბატაძემ, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 79—86.

[46] Hamdallah Mustoufi of Qazwin, The Geographical part of the Nuzhat al Qulub, Gibb Memorial Series, vol. XIV/I, Leiden-London, 1919, p. 93.

[47] H a f i z i—A b r u, Chronique des rois Mongols en Iran, Paris, 1936, pp. 131, 136, 148.

[48] Tarikhi Shaikh Uwais (History of Sheikh Uwais), ed. and transl. by G. van Loon, Hague, 1954.

[49] ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს), თბ., 1978, გვ. 20—25; 111—119.

[50] მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, ტრაპიზონის ქრონიკა, ალ. გამყრელიძის თარგმანი და კომენტარები, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 16—87; ნ. გრიგორასი, ისტორია, „გეორგიკა“ (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. 7, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ., 1967, გვ. 143—146.

[51] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 29—36; M. T a m a r a t i, L'Eglise Gèorgienne des origines jusqua nos jours, Rome, 1910, p. 438—440; იხ. აგრეთვე, ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII—XVI სს.), თბ., 1984, გვ. 93—99, 204—213.

უცხოური წყაროებიდან უნდა აღინიშნოს კიდევ მთელი რიგი ევროპული მასალები, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ჩვენს მიერ იქნა შემოტანილი. კერძოდ; მხედველობაში გვაქვს სებასტოპოლისის (სოხუმის) კათოლიკეთა ეპისკოპოსის პეტრე გერალდის 1330 წ. ვრცელი ეპისტოლე, რომელიც ეგზავნება კენტერბერის არქიეპისკოპოსს. ეს წერილი ლათინურ ენაზეა შედგენილი და XIX ს. 50-იან წლებამდე დაცული იყო XIV ს. ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტო უფროსის[52] პირად არქივში. წერილი შეიცავს საინტერესო და უნიკალურ ცნობებს ამ დროის დასავლეთ საქართველოსა და სოხუმის შესახებ[53].

მეტად საინტერესოა აგრეთვე, გიორგი V-ის წერილი, რომელიც მას გაუგზავნია საფრანგეთის მეფის ფილიპე VI ვალუასადმი 1332/33 წწ-ში. წერილი გამოქვეყნებულა ჯ. გოლუბოვიჩის მიერ 1919 წ. ფრანცისკანელთა არქივის მასალების პუბლიკაციისას. წერილში ნათქვამია, რომ გიორგი V მზად არის ევროპელებთან ერთად გაილაშქროს „წმინდა მიწების“ გამოსახსნელად და რომ ამ მიზნისთვის მას 30 000 ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლია[54].

ამას გარდა, ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ იქნა კიდევ რამდენიმე ევროპული საბუთი[55]. ამ წყაროთა მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმის გამო, რომ ყველა ისინი მოვლენათა თვითმხილველებს ეკუთვნიან და ეხებიან ისტორიულ საბუთებით განსაკუთრებით ღარიბ XIV ს. 30-იან წლებს.

---

52 მისგან უნდა გავარჩიოთ ასევე ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო უმცროსი, რომელიც ერთი საუკუნით უფრო გვიან მოღვაწეობდა.

53 ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, 1982, № 9, გვ. 196—160; მისივე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, თსუ შრომები (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), ტ. 243, V, თბ., 1983, გვ. 95—104.

54 ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 9, გვ. 156—160; მისივე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, თსუ შრომები (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), ტ. 243 V, თბ., 1983, გვ. 95—104; მისივე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, ჟურნ. „მნათობი“, 1983, № 4, გვ. 158—164.

55 იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

საქართველო და საილხანო XIII—XIV სს. მიჯნაზე

„იქ წამალი ვერ გასჭრის,
სადაც მანკი წესად იქცევა“.

სენეკა

XIV ს. დამდეგისათვის საქართველოს სამეფო ტერიტორიულად დანაწევრებულ და პოლიტიკურად მონღოლ-ილხანთაგან დამოკიდებულ ერთეულს წარმოადგენდა. საქართველო „გურჯისტანის ვილაიეთის“ სახელით უკვე თითქმის ასი წლის მანძილზე იმყოფებოდა მონღოლთა უღელქვეშ, ამას კი არ შეიძლება თავისი კვალი არ დაემჩნია ქართული სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროზე. უპირველესად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დამპყრობელი მონღოლები განვითარების დონისა და ტრადიციების მხრივ, ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობასთან შედარებით, გაცილებით დაბლა იდგნენ.

იმისათვის, რომ სრულად გავითვალისწინოთ ამ დროის საქართველოს პოლიტიკური სიტუაცია, აუცილებელია მოკლედ გადავავლოთ თვალი მისი მფლობელი-სიუზერენის ილხანთა[1] (ანუ ჰულაგუიანთა) მონღოლური სახელმწიფოს აღნაგობასა და მდგომარეობას XIII—XIV სს. მიჯნაზე.

აშკარა რღვევისა და დეგრადაციის ტენდენციების მიუხედავად, XIV ს. დამდეგს საილხანოს საზღვრები უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. მონღოლთა ეს სახელმწიფო თავის ვასალურ ქვეყნებთან ერთად მოიცავდა ტერიტორიებს მდ. ამუ-დარიიდან ხმელთაშუა ზღვამდე[2] და კავკასიონის მთავარი ქედიდან სპარსეთის ყურემ-

---

1 „ილხანი“ ნიშნავს „ხალხის ბელადს“. ასე უწოდებდა ჰულაგუ ყაენს დიდი ყაენი ყუბილაი.

2 იხ. მაგ., ყაზან-ყაენის ფირმანები; რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 248, ფირმანში ვკითხულობთ, რომ ბრძანებები დაგზავნილია „მდ. ამუიედან (ამუ-დარია) მისრეთის (ეგვიპტის) საზღვრებამდე“.

დე. საყურადღებოა, რომ ვასალურ საფუძველზე ილხანებს ემორჩილებოდა კ. კვიპროსი, კილიკიის სომხეთი და შესაძლოა, ფორმალურად ბიზანტიაც კი[3].

ამ უზარმაზარი იმპერიის ცენტრი იყო სამხრეთ აზერბაიჯანში — ჯერ მარაღაში, შემდეგ თავრიზში და სულთანიეში და ბოლოს კვლავ თავრიზში. ყმადნაფიც (ვასალურ) ქვეყნებს, სადაც ინიშნებოდნენ ილხანის ნაცვლები — შიჰნა (არაბ.) ან ბასკაკი (მონღ.), შენარჩუნებული ჰქონდათ თავისი მონღოლებამდელი მემკვიდრეობითი მმართველობითი სისტემა. ასეთი ქვეყნების რიცხვი 20-მდე იყო. შიჰნა კონტროლს უწევდა ადგილობრივ ხელისუფალს (მელიქი, ათაბაგი, მეფე) და უზრუნველყოფდა სახელმწიფო ხაზინაში ხარკის დროულ შესვლას. მას ემორჩილებოდა მონღოლთა ჯარის გარკვეული რაოდენობა[4]. დაპყრობილი ქვეყნის შინამმართველობის ენად, ვ. ბარტოლდის მოწმობით, კვლავ ადგილობრივი ენა იხმარებოდა[5].

ი. პეტრუშევსკის სიტყვით, საილხანოს გაბატონებულ ფენაში შეიმჩნეოდა ორი კარდინალური მიმართულება: პირველ მიმართულებას მხარს უჭერდა მომთაბარე მონღოლური არისტოკრატიის უდიდესი ნაწილი და ნაწილობრივ თურქი ზედაფენა. მათი კრედო დაპყრობილი თუ დასაპყრობი ხალხების განუკითხავ ძარცვა-ყვლეფაში მდგომარეობდა. მეორე ტენდენციის მომხრეები გაცილებით მცირერიცხოვანნი იყვნენ. აქ იგულისხმებიან ძირითადად ირანის მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული მოხელეები და მონღოლი დიდებულების მცირე რაოდენობა. ეს მიმართულება მიზნად ისახავდა ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, რომლის მეთაურს — ყაენს, საშუალება ექნებოდა წარმატებით შებრძოლებოდა ცენტრიდანულ ძალებს. ამ მიზნის მისაღწევად მათ საჭიროდ მიაჩნდათ ქალაქებისა და ხელოსნობის მფარველობა, ირანული ზედაფენის შემდგომი დაახლოვება ყაენის კართან, განადგურების პირზე მიყვანილი საწარმოო ძალების აღდგენა-განვითარება და ა. შ. ამ ტენდენციის მომხრეები მწარმოებელი მოსახლეობის განუზომელი და უსისტემო ძარცვის წინააღმდეგი იყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო ზუსტად განესაზღვრათ სოფლის მწარმოებელი ფენების გადასახადებისა და ბეგარის რაოდენობა. ამ ტენდენციის საუკეთესო გამომხატველი იყო ყაზან-ყაენი (1295—

---

[3] См. И. П. Петрушевский, Иран и Азербайджан под властью Монголов, в сбор-ке: Татаро-Монголы в Азии и Европе, М., 1977, с. 235—253.

[4] ი. პ. პეტრუშევსკი, დასახ. სტატია, გვ. 238.

[5] В. В. Бартольд, Персидская надпись на стене Анийсской мечети Мануче, Сочинения, т. IV, М., 1966, с. 321.

1304). მან ბევრი რეფორმა გაატარა ამ მიმართებით. ცნობილია მისი ღონისძიებანი ფინანსების, ვაჭრობის, გადასახადთა, სამხედრო საქმისა და სოფლის მეურნეობის მოწესრიგებისათვის. იგი ეწეოდა, აგრეთვე, კულტურულ-აღმშენებლობით მოღვაწეობასაც. ყაზანის კარის ისტორიკოსის, რაშიდ ად-დინის ცნობით, მან გაიყვანა დიდი სარწყავი არხები, დედაქალაქ თავრიზში ააშენა მრავალი საუცხოო ნაგებობა, აბანოები, ბაზრები, ობსერვატორია. ზრუნავდა ქალაქში უცხო ჯიშის მცენარეთა მოშენებისათვის და ა. შ.[6] მაგრამ საბოლოო ჯამში მისი რეფორმები გარიყული და ილხანთა სახელმწიფოს საერთო განვითარებისათვის გამონაკლისი გამოდგა[7]. ილხანთა კარის დიდი მოხელეებიდან ამ უკანასკნელი ტენდენციის თავგამოდებული დამცველი და შესაძლოა, ყაზანის რეფორმების სულისჩამდგმელი გახლდათ ცნობილი ვეზირი, კარის ისტორიკოსი და დიდი სპარსელი ფეოდალი რაშიდ ად-დინი[8]. დამახასიათებელია მისი სიტყვები, რომლითაც ის თავის ვაჟს, საქართველოს ნაცვალს, ფირ-სულტანს მიმართავს. ფირ-სულტანმა არ უნდა დაუშვას, წერს რაშიდ ად-დინი, რომ „თბილისის და მისი ვილაიეთის მკვიდრებს, მცხოვრებლებს და რაიათებს[9] აშკარა ბოროტება და განუკითხავი ძალადობა მიადგეთ... მონღოლთა ამირები თუ სამართლიანობის გზას თუნდაც ერთი ბეწვით გადაუხვევენ პირადი სარგებლობის მიზნით“, ფირ-სულტანმა სასწრაფოდ ჩვენ შეგვატყობინოსო, დასძენს სპარსელი ისტორიკოსი[10].

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ საილხანოში ზომიერი ექსპლუატაციის ტენდენციას მცირერიცხოვანი მომხრეები ჰყავდა და განუკითხავი ძარცვა-ყვლეფის მიმართულება გაცილებით ძლიერი და დამახასიათებელი იყო მონღოლთა სახელმწიფოსათვის. გამარჯვებაც სწორედ მტაცებლური ექსპლუატაციის მომხრეებს დარჩათ; ამ უკანასკნელებმა კი სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანეს როგორც თავისი, ისე დამორჩილებული ქვეყნების ეკონომიკა. ამ ვითარებას აღიარებს თვით ყაენი აბუ საიდი ცნობილ ლაპიდარულ წარწერაში, რომელიც ქ. ანისის ერთ-ერთმა მეჩეთმა შემოინახა (მეჩეთი დაინგრა XIX ს. მიწურულს). წარწერაში ნათქვამია: „ამ (ბრძანების) უწინარეს, ქ. ანისში და საქართველოს სხვა მხარეებში (მოსახლეობას) უკანონოდ ახდევინებდნენ ყალანს, ნემერის, ასიგნობებს, თარხს [11] და ეწეოდნენ ძალა-

---

6 რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 206—328.

7 ი. პეტრუშევსკი, დასახ. სტატია, გვ. 239—240; 249—250.

8 იქვე, გვ. 248.

9 რაითი აღნიშნავს როგორც საერთოდ „ქვეშევრდომს“, ასევე გლეხს და ქალაქის მცხოვრებსაც.

10 კ. ტაბატაძე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 84.

11 ყალანი — ზუსტი მნიშვნელობა დაუდგენელია. სავარაუდოა, იკრიბებოდა

დობას. (ამის გამო, ეს ადგილი) თანდათან დაკნინდა, უბრალო ხალხი გაიფანტა. ქალაქისა და მხარის მამასახლისებმა კი ყალანისა და თერნაგირის გადასახადთა გამო თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და ოჯახები მიატოვეს და გაიქცნენ"[12].

საინტერესოა, რომ საქართველოს ეკონომიკური გაჩანაგების ფაქტს უფრო დაბალი თანამდებობის მონღოლი მოხელეებიც აღიარებდნენ, მაგრამ გამოსავალს მხოლოდ ყაენთან ურთიერთდაბეზღებაში ხედავდნენ. ამ მხრივ სანიმუშოა მონღოლთა მხედართმთავარ ყუთლუღშაჰის (ქართველი ჟამთააღმწერლის ყუთლუშა, ყუთლუბუღა) და საჰიბ დივან (ფინანსთა უწყების გამგე) სადრ ად დინის კონფლიქტი 1298 წელს. ყუთლუღშაჰის საყვედურზე, საქართველოს არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო, სადრ ად-დინმა იმით უპასუხა, რომ თავის მხრივ ყაენს მოახსენა: „ყუთლუღშაჰის მომხრეებმა საქართველოს მხარე გააჩანაგეს"-ო[13]. შემდეგ ამ კონფლიქტში დასმენის საფუძველზე თვით ისტორიკოსი რაშიდ ად-დინიც ჩაება[14]. როგორც ვხედავთ, ილხანთა დიდი და მცირე მესვეურები ზოგადი განცხადებებით კმაყოფილდებოდნენ, რეალურად კი მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი გაკეთებულა.

თვითნებობისა და ძარცვა-ყვლეფის რა დიდოსტატები იყვნენ მონღოლი მოხელენი, კარგად იცის რაშიდ ად-დინმა. იგი წერს, რომ ჰაქიმები (ნაცვლები) სხვადასხვა საბაბით გადასახადებს დაწესებულზე ბევრჯერ მეტს ართმევდნენ გლეხებს მაგრამ ამ თანხიდან თითქმის არაფერი ხვდებოდა ხაზინაში, მას, როგორც წესი, ითვისებდნენ თვითონ, უნაწილებდნენ გადამწერ მოხელეს (ბითიქჩი), ვეზირებს, ნაიბებს და შიკრიკებსაც კი; „საბოლოოდ ოლქის გაჩანაგების მეტი არა-

---

ეძირების სასარგებლოდ; ნემერი — დამატებითი გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო მიმართავდა გაჭირვების ჟამს; ასიგნობა (ბერათები) — ამა თუ იმ პირს, გასამოჯელოს ნაცვლად ხაზინიდან ეძლეოდა ასიგნობა, რომლის ძალით თვითონ ამოიღებდა ამ თანხას მოსახლეობიდან. ამ საბაბით ხშირი იყო მოსახლეობის ძარცვა. თარხი — სახელმწიფოს მიერ საქონლის შესყიდვის იძულებითი წესი. თარხის ძალით სახელმწიფო საქონელს იძენდა ან საბაზროზე დაბალ ფასებში, ან პირიქით, პროდუქტებს ვაჭრებსა და მოსახლეობას შეასყიდებდა რეალურზე უფრო მაღალ ფასებში. თერნაგირი — ზუსტი მნიშვნელობა დაუდგენელია. იგულისხმება საქალაქო კარის ბაჟი.

12 ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, დასახ. ნაშრომი (თხზ. კრებული, ტ. IV), გვ. 317—318; ასევე, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ. 12 ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 156—157 (ტექსტის აღდგენა ფრჩხილებში ჩვენია — ვ. კ.).

13 რ ა შ ი დ ა დ-დ ი ნ ი, ჯამი ათ თავარიხ (მატიანეთა კრებული), დასახელებული გამოცემა, გვ. 183.

14 იქვე.

ფერი გამოდიოდა"[15] — დასძენს სპარსელი ავტორი. რაც შეეხება შიკ-რიკს, ეს მოხელე თურმე შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას. „ჩანს, მათ დიდი უფლებები ჰქონიათ მინიჭებული, რასაც კვლავ რაშიდის თხრობა ადასტურებს. 1296 წ. ემირ ნოვრუზის ვაჟსა და მის დედას ქ. იეზდის შეძლებული იმამის სახლში დროებით ჩაუყენებიათ შიკ-რიკი. „იგი (შიკრიკი) იქ ოთხ თვეს იდგა და ამ დროის განმავლობა-ში სახლში არც ერთი ძვირფასი ნივთი არ დატოვა ხელუხლებელი. როცა იგი გაემგზავრა ქალაქიდან, შემფასებლები მოვიდნენ და იქა-ურობა აღწერეს. აღმოჩნდა, რომ სახლში, რომელიც 50 ათასი დინა-რი ღირდა, დამწვარი იყო 2 ათასის ღირებულების მეტად ლამაზი და კოხტა კარები, სახეზე იყო სხვა ნგრევის კვალიც. თუ ასეთი იყო ჩალმოსნის (ე. ი. იმამის. — ვ. კ.) სახლის მდგომარეობა, რომელიც ქა-ლაქის მუფტი იყო და ყადის წოდებას ატარებდა (მოსამართლე, რო-მელიც შარიათით სჯის საქმეებს—ვ. კ.). შეგვიძლია დავასკვნათ, რა (მდგომარეობაში) იქნებოდა ის სახლები, რომლებიც (უბრალო) მო-სახლეობას, ცალკეულ პირებსა და რაიათებს ეკუთვნოდათ"[16] — აჯა-მებს სათქმელს სპარსელი დიდმოხელე და ისტორიკოსი რაშიდ ად დინი. ადვილი წარმოსადგენია, როგორღა იქცეოდნენ მონღოლი მო-ხელეები საქართველოში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მონღოლები უკვე დაპყრობილი ქვეყნე-ბის ექსპლუატაციით არ კმაყოფილდებოდნენ. მათი სახელმწიფო გა-ნუწყვეტლად აწარმოებდა ბრძოლებს მოსაზღვრე რეგიონებში და გა-ნსაკუთრებით ეგვიპტის სულთნების წინააღმდეგ (მაგალითად, 1277, 1281, 1291, 1299, 1300, 1306, 1312/13, 1314 წწ. და ა. შ.). ამ ბრძო-ლებში ქართველთა ჯარიც აქტიურად მონაწილეობდა და ყაენის ინტე-რესებს უმიზნოდ ეწირებოდა. ამ მოვლენის მიზეზ-შედეგებზე საინ-ტერესოდ აქვს ნათქვამი ივ. ჯავახიშვილს: „სამხედრო მოქმედებისადმი მონღოლთა ძლიერი მიდრეკილება და წყურვილი უკვე მოპოვებული დიდი გამარჯვებითა და მთელი ერანისა და საქართველოს აღმოსავ-ლეთი ნაწილის ხელში ჩაგდებით ვერ იყო მოკლული და ამიტომაც მოლაშქრეობა, შემდეგშიც მათს მთავარს მისწრაფებასა და მოღვა-წეობას შეადგენდა, მით უმეტეს, რომ ახალ-ახალი ქვეყნების ხელში ჩაგდება და ძარცვა-გლეჯისა და დავლა-წარტყვევნის დაუნდობე-ლი სიმკაცრით წარმოებული მონღოლური წესი, ყოველ გადარჩენილ მონღოლ მეომარს, დიდძალი ქონების პატრონად ხდიდა"[17].

---

15 რ ა შ ი დ ა დ-დ ი ნ ი, გვ. 256—257.

16 იქვე, გვ. 260 (ფრჩხილები ტექსტში ჩვენია, — ვ. კ.).

17 ეს აბზაცი ივ. ჯავახიშვილის შრომების არც ერთ გამოცემაში არ არის და-ბეჭდილი. იხ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი

ფეოდალური საკუთრების ფორმები ილხანთა სახელმწიფოში. სხვა მონღოლურ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, ფაქტიურად ბიგიკე დარჩა, რაც მონღოლებამდელი ირანისთვის იყო დამახასიათებელი. საილხანოში მიწის საკუთრების შემდეგი ფორმები არსებობდა: 1) სახელმწიფო („დივნის“) მიწები. ამ მიწებზე ფეოდალური რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვეოდა, 2) კერძო მფლობელთა მიწები, დასავლური ალოდის მსგავსი („მულქი“), 3) რელიგიურ დაწესებულებათა მიწები, გადასახადებისაგან თავისუფალი და გაუსხვისებელი („ვაქფი“), 4) სამხედრო სამსახურის საფასურად გადაცემული, დროებით მიწათსარგებლობაში მიღებული ლენი („იქტა“), 5) ილხანი ყაენისა და მისი ოჯახის წევრთა პირად სარგებლობაში მყოფი სახასო მიწები (არაბ. „ხასი“, მონღ. „ინჯუ“). მიწათსაკუთრების ეს უკანასკნელი ფორმა განსაკუთრებულ როლს თამაშობდა იმდროინდელ საქართველოს ისტორიაში. როგორც ცნობილია, 1266 წლისათვის ხასინჯუდ შეწყალებული სამცხე-საათაბაგოს სამთავრო ფაქტიურად ქართულ სახელმწიფოს გამოეყო და ქვეყნის დეცენტრალიზაციის პირველი მაუწყებელი გახდა. მართალია, ამ სახის მიწები ეკონომიურად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე დივნის მიწები, მაგრამ ეს არღვევდა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთიანობას. საერთოდ, საქართველო დივნის მიწად ითვლებოდა, მაგრამ, როგორც რაშიდ ად-დინის მიმოწერიდან ჩანს, აქ იყო აგრეთვე საილხანოს კერძო ფეოდალთა მულქის ტიპის მიწებიც. ასეთად, მკვლევართა აზრით, უნდა მივიჩნიოთ თვით ისტორიკოს რაშიდ ად-დინის ის მიწები (ზაფრანის მოზრდილი პლანტაციები), რომლებიც მას საქართველოს ორივე ნაწილში ჰქონია[18].

მონღოლთა დაბალინტენსიური, მომთაბარე მეურნეობის პირობებში ქართულ განვითარებულ მიწათმფლობელობას და საერთოდ ფეოდალურ ურთიერთობებს დიდი საფრთხე შეექმნათ. უზომო და მოუწესრიგებელი გადასახადების გამო გლეხობა და თვით „ქალაქების მამასახლისებიც“ კი, ხშირად თურმე შეჩვეული ადგილებიდან იყრებოდნენ და სხვაგან გარბოდნენ[19]. გაუკაცრიელებულ, პარტახ მიწას მონღოლები გადასახადს მაინც არ უსპობდნენ და იგი უაზრო ტვირთად აწვებოდა მის მფლობელ ფეოდალს. ამიტომ მონღოლთა ხანაში ფეოდალი ცდილობს სწრაფად მოიშოროს ასეთი მიწა. იწყება მისი ინტენსიური ყიდვა-გაყიდვა, ანუ მიწის ამოძრავება. მიწის ფასი ეცემა,

---

№ 261, ფურც. 380—381; აგრეთვე, ვ. კიკნაძე, მონღოლთა უღლის დასასრული საქართველოში, ჟურნ. „მნათობი“, № 5, 1987. გვ. 155.

18 კ. ტაბატაძე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 81.

19 ვ. ბარტოლდი, დასახ. ნაშრომი (თხზ., ტ. IV), გვ. 317—318.

შემცირებული ფულისა კი — პირიქით. XIII ს. მეორე ნახევარში ფეოდალი კახა თორელი ჩივის, რომ „დია ქუეყანანი დაისყიდნეს ნარკობისაგან; ოქროი ძვირად იყვის და სოფელი იაფად“-ო[20].

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ეკლესია, რომელიც საერთო მონღოლური წესის მიხედვით, გადასახადებისაგან თავისუფალი იყო (XIII ს. მიწურულამდე, როცა ყაზან-ყაენმა ისლამი მიიღო).

როგორც საერთოდ საილხანოში, ისე საქართველოშიც დაქვეითდა აღებ-მიცემობა, ხელოსნობა. ბევრი განთქმული სავაჭრო გზა დაკნინდა ან მოისპო. ასეთივე ბედი ეწიათ ამ გზებზე მდებარე ქალაქებსაც. ამ დროის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო გზა თბილისიდან სულთანიეს კენ, მეორე კი ტრაპიზონისკენ და ბიზანტიისკენ მიემართებოდა. ილხანთა ძლიერების ხანაში ვენეციასთან და გენუასთან (ტრაპიზონზე გავლით) ცხოველი ვაჭრობა მიმდინარეობდა. თავრიზში გენუელთა სპეციალური კომერციული სასამართლოც კი არსებობდა სადაო სავაჭრო საკითხების მოსაგვარებლად[21]. აბუ საიდ ყაენის სიკვდილის შემდგომ სავაჭრო კავშირი ევროპის ქვეყნებთან კარგა ხნით შეწყდა[22].

§ 1. საქართველო XIII ს. მიწურულს

„განძლიერდით და ელოდეთ უკეთეს დროებას“.

ვერგილიუსი

მონღოლთა ბატონობის პერიოდის საქართველოში პოლიტიკურ ასპექტში სულ უფრო მკვეთრად იჩენდა თავს ცენტრალური ხელისუფლების (მეფის) უფლებათა თანდათანობითი შესუსტება. ეს ხდებოდა ქვეყნის განვითარების პროცესში საგარეო ფაქტორის აქტიური ჩარევის შედეგად. მცირე ხნით მონღოლებმა საქართველოში საერთოდ გააუქმეს ტრადიციული სამეფო ხელისუფლება და თავიანთი წეს-წყობილების შესაბამისად სცადეს ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწყობა. მათ საქართველო დუმნებად (საათიათასოებად) დაყვეს[23]. მართალია, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და

---

20 კახა თორელის შეწირულების წიგნი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 57.

21 W. Heyd. Histoire du Commerce du Levant, t. II, Leipzig, 1936 p. 127.

22 იქვე, გვ. 128—129.

23 ჟამთააღმწერელი, გვ. 295. მემატიანე ჩამოთვლის 7 დუმანს; მკვლევართა ნაწილი მათ რიცხვს 9-მდე ზრდის.


ოქრის ველი
(ლევჩის ყიფჩაღი)
საქართველო XIV-XVI-ში
სახელმწიფოს ცენტრი
ქალაქი
მნიშვნელოვანი ადგილი
სახელმწიფო სამღვრები
საქმიანობათა სამღვრები
სქემა შეადგინა ა. თორდიამ

დუმნების სისტემა სწრაფად გაუქმდა, მაგრამ მზადდებოდა ნიადაგი ქვეყნის პოლიტიკური დაშლისათვის. ამ პროცესის პირველმა ნიშნებმა მონღოლების დროსვე იჩინა თავი. საქართველოს ერთიან სამეფოს გამოეყო სამცხე-საათაბაგო (1266 წ.) და აღმოსავლეთს ჩამოშორდა დასავლეთ საქართველოც (XIII ს. შუა წლები).

საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIV ს. დასაწყისისათვის ზოგიერთ ცვლილებას განიცდის. ქამთააღმწერლის მიერ ტრადიციული ფორმულის „ნიკოფსიიდან — დარუბანდამდე" გამეორება, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, უკვე ფორმალურია და კორექტივს საჭიროებს. საქართველოს აღმოსავლეთი პოლიტიკური საზღვარი, მაგალითად, დარუბანდამდე უკვე აღარ აღწევს და, თვით ქამთააღმწერლის მოწმობით, მდ. ჩაღან-უსუნს (ან აღ-სუს — „თეთრ წყალს") და შემახიის მთას მიუყვება[24]. ამ საზღვრის ერთ-ერთი უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი პუნქტი იყო წახურის ხეობაში მდებარე „ქართველთა მთა" („გურჯი-დაღი")[25], სამხრეთით კი ქ. აღდაში უნდა ყოფილიყო. მართალია, ამ სახელწოდების ქალაქი ამჟამად მდ. მტკვრიდან დაშორებულია (საზღვარი ამ მონაკვეთში მტკვარზე გადიოდა), მაგრამ XIV საუკუნეში, ჩანს, რომ ქ. აღდაში ამ მდინარის ნაპირზე მდებარეობდა. ამას გვაფიქრებინებს უნიკალურ საბუთში, კირილე დონაურის წარწერაში ნახმარი ფრაზა — „მტკუარსა თევზის საბაჟენი ახტაშისანი"[26]. რაც შეეხება სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს წერტილს — ნიკოფსიას, ძნელი სათქმელია, საზღვარი კვლავ აქედან იწყება თუ არა. მაგრამ, რადგან სხვა საწინააღმდეგო ცნობა არ მოგვეპოვება, უნდა ვივარაუდოთ, რომ საზღვარი დასავლეთით კვლავ ნიკოფსიასთან გადის. ამ დროს ჯიქეთს (საქართველოს მოსაზღვრე ერთეული ამ რეგიონში), ლათინური წყაროს თანახმად, მეფე ვერსახტი უდგას სათავეში[27]. ამავე დროს, ჩრდილო კავკასიაში ქართული გავლენის ერთგვარ შესუსტებაზე მეტყველებს ის აქტი, რომ ამ პერიოდში როგორც ზევით ნახსენები ჯიქების მეფე ვერსახტი, ისევე ალანთა მთავარი მილენი მართლმადი-

---

24 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 251; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 122; იგივე, (ვრცელი ვარიანტი), ტ. III, თბ., 1966, გვ. 206—290.

25 კირილე დონაურის მეორე ანდერძი, წიგნში: მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 206; აგრეთვე, ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 49.

26 იქვე.

27 O. R a y n a l d y, Annales Ecclesiastici., t. XV, Rome, 1691, გვ. 447, 450, 468 (1333, № 16, № 37; 1334, № 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობის ნაცვლად კათოლიკობას იღებენ[28]; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XV ს-ში კი ჩრდილო კავკასიაში და კერძოდ დაღესტანში კვლავ გავრცელებულია სახელი „გურგი“, რაც აღნიშნავს როგორც საკუთარ სახელს, ასევე ეთნიკურ კუთვნილებას (ქართველს)[29] ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ქართულ გავლენაზე. სამხრეთის საზღვარზე ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ბასიანი და სომხური პროვინციები: სივნიეთის სამთავრო ხაჩენი, ანისის ქვეყანა, ვალაშკერტი ძველებურად საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში შედიან (XIV ს. I ნახევარში მაინც). ეს უკანასკნელი მიწები (ანისი, ვალაშკერტი) რომ კვლავ საქართველოს შემადგენლობაში არიან, ჩანს თუნდაც სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და სამწყსოთა სიიდან[30]. მართალია, ამ მნიშვნელოვანი საბუთის დედანი არ შემონახულა, გამომცემლები კი მას XVI ს. დასაწყისს მიაკუთვნებენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, საბუთი აშკარად XIV ს. დამდეგის სიტუაციას ასახავს[31], რადგანაც სამცხის სამთავრომ სწორედ ამ საუკუნეში მიაღწია ყველაზე დიდ ტერიტორიულ და პოლიტიკურ ძლიერებას.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ბექა ჯაყელის უზარმაზარი სამფლობელოთი ისაზღვრება. ამ მიმართულებით ბექას სამთავროს და ამგვარად, საქართველოს უკიდურესი სამხრეთი პუნქტია უღელტეხილი „გურჯი-ბოღაზი“ („ქართველთა ყელი“) და აქვე მდებარე სოფელი ვაშლოვანი („ხენძორეთი“). ბექას სამფლობელოში შედიოდა ჭანეთიც, რომელიც ტრაპიზონს ემიჯნებოდა.

*

* *

XIII ს. მიწურულს საქართველოში მეტად რთული შიდაპოლიტიკური ვითარება შეიქმნა. მას შემდეგ, რაც დავით VIII დემეტრეს ძე ილხანთა მბრძანებელ ყაზან ყაენთან არ გამოცხადდა (XIII ს. 90-იანი წლები), შეიძლება ითქვას, „მრავალმეფიანობის“ ხანა იწყე-

---

28 იქვე.

29 А. Р. Шихсаидов. Эпиграфические памятники Дагестана, М., 1984, с. 238—241.

30 კათალიკოზის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 245.

31 ამავე აზრისაა მ. ბერძნიშვილიც. იხ. მ ი ს ი, XI—XV სს. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 74. უკანასკნელ ხანს ამ საკითხს შეეხო ა. ვ. თორდია. იხ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1987, გვ. 15.

ბა. 1297 წლიდან 1318 წლამდე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ათამდე მეფე გამოდის ასპარეზზე და ხშირად ერთდროულადაც კი. კერძოდ, ამ პერიოდის წყაროების მიხედვით, თითქმის ერთდროულად მეფობენ დავით VIII, ვახტანგ III, გიორგი V ბრწყინვალე, უცნობი დიმიტრი ვახტანგის ძე (1311 წ.), გიორგი VI მცირე. ამავე დროს დასავლეთ საქართველოში მეფობენ კონსტანტინე და მიქელ ნარინის ძენი. ეს თავისებური ფენომენი ვერ იარსებებდა, თუ არა მონღოლთა ბატონობა. ყოველი დამპყრობლის მიზანია, რაც შეიძლება დაქსაქსოს, დაანაწევროს დაპყრობილი ქვეყნის ძალები. ამ შემთხვევაში სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. როდესაც სახელმწიფოში რამდენიმე, ხშირად მცირეწლოვანი და რეალურ ხელისუფლებას მოკლებული მეფე იჯდა, ცხადია, ქვეყნის ერთიანობასა და ძლიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ასეთი ვითარების მიზეზს თვითმხილველი ქართველი ისტორიკოსიც კარგად ხედავდა: „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან“-ო[32], წერდა ჟამთააღმწერელი.

1289 წ. 12 მარტს მედროვე ხუტლუბუღა სადუნის ძის აქტიური ჩარევის შედეგად ურდოში სიკვდილით იქნა დასჯილი საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებული (1270—1289). ამავე წელს ხუთლუბუღასავე წინადადებით მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე მოიწვიეს იმიერ საქართველოს მეფის დავით ნარინის ძე ვახტანგი, შემდგომში ვახტანგ მეორედ წოდებული.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ, ჟამთააღმწერლის მიხედვით, ვახტანგ II ნარინის ძემ 1289 წლის შემდეგ მხოლოდ სამი წელი იმეფა და, ამგვარად, 1292 წ[33]. გარდაიცვალა. მაგრამ, მეორე მხრივ, მისივე სიტყვით, რაშიდ ად-დინი თითქოს გვაძლევს საპირისპირო ცნობას იმის შესახებ, რომ ვახტანგი მეფობს 1295 წლამდე; შემდეგ კი ქელათუ ყაენი მის ნაცვლად დავით დემეტრეს ძეს სვამს ტახტზე[34]. საბოლოოდ, „ქართველი ერის ისტორიის“ ე. წ. „მოკლე ვარიანტშიც“ მდგომარეობა გაურკვეველი რჩება (დაიბეჭდა 1941 წ. და 1982 წ.).

---

32 ჟამთააღმწერელი, დასახ. გამოცემა, გვ. 312.

33 ქართველი ერის ისტორიის ტ. III (1966) 236 გვ.-ზე დაბეჭდილია „1293 წ.“ ავტორის ხელნაწერი დედნის მიხედვით გაირკვა, რომ ეს მექანიკური შეცდომა ფანქრით გაუსწორებია თვით ივ. ჯავახიშვილს, მაგრამ ამან წიგნში ასახვა ვერ ჰპოვა; იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი № 262, შეკვრა 2, ფ. 484.

34 იქვე, გვ. 236. ივ. ჯავახიშვილი რაშიდ ად-დინს ამ შემთხვევაში იმოწმებს ჰამერის შრომის მიხედვით; იხ. Hammer—Purgstall J., Geshichte der Ilchane, II, Darmstadt, 1843, s. 69.

ივ. ჯავახიშვილი მართალია, რაშიდ ად-დინის ცნობის გარკვეულ კორექტირებას ახდენს, მაგრამ მაინც ძალაში ტოვებს. ვახტანგ II-ის გარდაცვალებისა და დავით VIII-ის გამეფების თარიღად აქ უკვე 1293 წელია დასახელებული[35].

სადღეისოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ II-ის გარდაცვალების თარიღად, მართალია, 1292 წელია მიჩნეული, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოჭრილ კითხვას რაშიდ ად-დინის ცნობის თაობაზე პასუხი არა აქვს გაცემული. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი, როგორც ჩანს, თავის დროზე მხოლოდ გაუგებრობის შედეგად წარმოიშვა. მართლაც, სპარსელი ისტორიკოსის შრომის („ჯამი ათ-თავარიხ") თანამედროვე კრიტიკულ გამოცემებში ვახტანგ II-ის ქეღათუს მიერ გადაყენების შესახებ არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, რაშიდ ად-დინი საერთოდ არსად არ ახსენებს ვახტანგ II ნარინის ძეს[36]. მასთან სახელი „ვახტანგი" მხოლოდ ერთხელ იხსენიება და ისიც არის არა ვახტანგ II, არამედ ვახტანგ III დემეტრეს ძე. იგი რაშიდ ად-დინს ნახსენები ჰყავს ყაზან ყაენის მიერ დავით VIII-ის ტახტიდან გადაყენებასთან დაკავშირებით 1297 წელს[37]. ვფიქრობთ, ზევით დასახელებული გაუგებრობის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ჰამერ-პურგშტალს, რომელსაც ამ შემთხვევაში ემყარება ივ. ჯავახიშვილი, რაშიდ ად-დინის ტექსტის გადმოცემისას არასწორად გაუგია სპარსელი მემატიანის თხრობა და ერთმანეთში აურევია ვახტანგ II და ვახტანგ III.

რაშიდ ად-დინის ცნობასთან დაკავშირებული საკითხის გამორიცხვის შემდეგ ვახტანგ II-ის გარდაცვალებისა და დავით VIII-ის გამეფების ზოგიერთი დეტალი მაინც ახსნა-განმარტებას საჭიროებს.

მივყვეთ ჟამთააღმწერლის ტექსტს. როგორც მისი თხრობიდან ირკვევა, ვახტანგ II-ის გარდაცვალებასა და დავით VIII-ის გამეფებას წინ უსწრებდა საილხანოში მომხდარი ამბები. გარდაიცვალა არღუნ ყაენი (1284—1291) და ჰულაგუიანთა ტახტზე ავიდა ქეიღათუ 1291—1295). ჟამთააღმწერლის მოწმობით, მისი გაყაენებისთანავე რუმის განდგომას ჰქონია ადგილი: „დაჯდა რა ქეღათუ ტახტსა ზედა, განდგეს ქალაქი საბერძნეთისა ტ უ ნ ღ უ ზ ა ლ ო. საბერძნეთით მოსრულ იყო ქეღათუ, ჰგონეს უცალობა ყაენისა და განდგეს"[38] — გვამცნობს

---

35 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 125.

36 Ф. Рашид ад-Дин, Джами ат таварих (сборник летописей), персидский текст с русским переводом А. К. Арендса, т. III, Баку, 1957.

37 იქვე, გვ. 182.

38 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 196 (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემატიანე. ე. ი. „საბერძნეთში“ ანუ რუმში, უფიქრიათ, რომ ქეღათუ მათთვის არ ეცლებოდა (გაყაენებამდე ქეღათუ რუმის გამგებელი იყო) და გამდგარან. ტუნღუზალოს აჯანყების ეს ამბავი უშუალო კავშირშია ვახტანგ II-ის გარდაცვალებისა და დავით VIII-ის გამეფების საკითხთან. აქ თავს იყრის რამდენიმე საკვანძო მომენტი და ამიტომ მასზე რამდენადმე დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

ტუნღუზალოს განდგომილების ამბავმა ჯერ კიდევ მ. ბროსესა და ივ. ჯავახიშვილის ყურადღება მიიქცია. მ. ბროსე თავის დროზე აღნიშნავდა, რომ 1291 წლის ივლისში ქეღათუს გაყაენების შემდგომ სულ ორიოდე თვე იყო გასული, რომ რუმში, მართლაც, განდგომას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ბროსე გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აღმოსავლურ წყაროებში ეს განდგომა რუმის გამგებელი ტაღაჩარის აჯანყებად იხსენიებოდა, ჟამთააღმწერელი კი რაღაც ქალაქ ტუნღუზალოს ასახელებდა[39]. თავის მხრივ ივ. ჯავახიშვილს, შვედი ორიენტალისტის ც. დ. ოსონის შრომაზე დაყრდნობით, აღნიშნული აქვს, რომ ქეღათუს გაყაენების სულ ცოტა ხნის შემდეგ რუმში, მართლაც, ტაღაჩარის განდგომას ჰქონდა ადგილი და 1291 წლის 1 ენკენისთვეს[40] (სექტემბერში) ქეღათუმ მის წინააღმდეგ გაილაშქრა კიდეც[41]. ამგვარად, ივ. ჯავახიშვილიც და მ. ბროსეც სამართლიანად თვლიდნენ, რომ ჟამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ქ. ტუნღუზალოს განდგომა და აღმოსავლური წყაროების ტაღაჩარის რუმში აჯანყება ერთი და იმავე ამბავს გულისხმობდა. მაგრამ ორივე გაუგებრად მიიჩნევდა, რას ნიშნავდა ჟამთააღმწერლის — „ქალაქი ტუნღუზალო“. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ბროსეს იგი პირის დამახინჯებულ სახელად მიაჩნდა და არა ტოპონიმად; თვითონაც ამ აზრის სასარგებლოდ იხრებოდა და დასძენდა, რომ შესაძლოა: „ტ უ ნ ღ უ ზ ა ლ ო — ტ უ ღ უ ზ ა რ ი ს ა გ ა ნ ე. ი. ტაღაჩარისაგან, ვ. კ) იყოს დამახინჯებით წარმომდგარი“[42].

მას შემდეგ ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. მხოლოდ 1973 წ. რ. კიკნაძემ სხვა ამ რიგის საკითხებზე მსჯელობისას სქოლიოში აღნიშნა, რომ აქ ნამდვილად ქალაქზეა ლაპარაკი

---

[39] M. B r o s s e t, Histoire de la Gèorgie, livr. I, p. 611, № 2.

[40] ქართველი ერის ისტორიის ტ. III (1966) გვ. 237-ზე „ენკენისთვის“ ნაცვლად დაბეჭდილია სრულიად შეუსაბამო „იანვრისთვე“ (შდრ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ჯავახიშვილის ფონდი 262, შეკვრა 2, ფ. 487).

[41] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 1966, გვ. 237. გამომცემლის კორექტურულ შეცდომას წარმოადგენს, აგრეთვე, ოსონის შრომის გვერდის აღნიშვნა (38). უნდა იყოს 35.

[42] იქვე, გვ. 238.

და არა პირის სახელზე და რომ ეს ქალაქი მდებარეობს მცირე აზიაში (დღევანდელ თურქეთში)[43]. ჟამთააღმწერელი რომ არ ცდებოდა, აქ ნამდვილად გეოგრაფიული პუნქტია საგულისხმებელი, სადღეისოდ უდავოდ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, XIV ს. ერთი არაბული წყარო, თითქმის ასეთივე ტრანსკრიფციით გადმოსცემს ამ ქალაქის სახელს („ტუნღუზლუ")[44]. ამავე პერიოდის სომხური წყარო ე. წ. „სებასტაცის ქრონიკაც" იცნობს ამ პუნქტს. ამ ქრონიკაში ეს ტოპონიმი „ტონღუზლუს" ფორმით იხსენიება სწორედ ქეღათუს ლაშქრობასთან დაკავშირებით რუმში 1291 წ.[45].

სხვა საკითხია, რატომ ასახელებს ჟამთააღმწერელი დაჟინებით ქ. ტუნღუზალოს და არცერთხელ არ ახსენებს აჯანყებული რუმის გამგებელ ტაღაჩარს, რომელსაც ის ძალიან კარგად იცნობს. მართლაც, სულ რამდენიმე გვერდით ადრე მის თხზულებაში ხშირად იხსენიება ტაღაჩარ/ტაჩარ ნოინი, დავით უფლისწულის ბედთან დაკავშირებით. გავიხსენოთ ეს ადგილები: დემეტრე II-ის ტრაღიკული აღსასრულის შემდგომ, მონღოლებმა „შეიპყრეს ყრმაცა დავით და ნოინსა ტ ა ჩ ა რ ს მიჰგუარეს, რომელსა მჯედართ-მთავრობა აქუნდა" (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). მონღოლებმა ეს არ იკმარეს და გადაწყვიტეს ტაჩარის უცნობლად დავითის ღამით მოკვლა. მღვდელ-მონაზონი მოსე[46], „რომელი არაოდეს განეშორებოდა დავითს", ტაჩარ ნოინს სთხოვს შუამდგომლობას ყაენის წინაშე. მართლაც, „წარვიდა (ტაჩარ, — ვ. კ.) ყაენს წინაშე და რქუა ყრმის დავითის უბრალოება". ამასთანავე, ტაჩარს ყაენისთვის უთქვამს: „რად გიჴმს შეუცოდრისა ყრმისა მოკლვა, მე მომმადლეო". ყაენმაც დავითი „მოსცა (ტაჩარს. — ვ. კ.) და (მან. — ვ. კ) წარიყვანა სახლსა თჳსსა და შეეედრა ხოჯას თჳსსა, რომელი უკანასკნელ საჰიბ-დივან იქმნა"-ო, გვამცნობს მემატიანე. ამის შემდეგ დავითი კარგა ხანს კვლავ ტაჩარის კარზე რჩება „იწროებათა შინა", თუმცა კი „ტაჩარ თანა-შეეწეოდა"[47]. მოტანილი ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ჟამთააღმწერელი მშვენივრად იცნობს არა მარტო ტაჩარ ნოინს, არამედ მასთან დაახლოებულ ხოჯასაც კი, რომელიც შემდეგ დაწინაურებულა და საჰიბ-დივნის (ფინანსთა მინისტრი) პოს-

---

43 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ახალი მასალა XIII ს. II ნახ. საქართველოს ისტორიისათვის, „მაცნე" (ისტორიის... სერია), 1973, № 2, გვ. 171, შენ. 45.

44 В. Г. Т и з е н г а у з е н, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I, СПб., 1884, с. 504 (Примечание в сноске).

45 Из летописи Себастаци, Армянские источники о монголах, перевод, предисловие и примечания А. Г. Галстяна, М., 1962, с. 30.

46 ამ მოსეს ვინაობის შესახებ იხ. ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვინ არის ჟამთააღმწერელი?, „მნათობი", თბ., 1984, №, გვ. 148—157 (იხ. აქვე, დამატება).

47 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 291, 294, 295.

ტისთვის მიუღწევია. საინტერესოა, რომ ეს ხოჯა გახლავთ სრულიად რეალური პიროვნება. ტაღაჩარ ნოინის ცნობილი „ნაიბი“ — სადრ ად-დინ აჰმედ ალ ხალიდი ანუ ალ ზენჯანი (იგივე ალ-ჩავი)[48]. იგი ... ...

ხვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გაუგებარია, რატომ იწვევენ რუმში სალაშქროდ ტახტის პრეტენდენტს და არა საქართველოს ნონიერ მეფეს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. კიკნაძემ დასახელებულ ნაშრომში ამ საკითხზეც გამოთქვა თავისი აზრი. მისი სიტყვით: „ვახტანგის (II, — ვ. კ.) მოუხსენებლობა, ამ შემთხვევაში, სრულიად ბუნებრივია და იმით უნდა აიხსნას, რომ ქეიღათუს საერთოდ არ გაუწვევია საქართველოდან არც მეფე და არც აქაური ლაშქარი... დავითიც, ხუტლუ-ბუღაცა და ფარეჯანიც ურდოში იმყოფებოდნენ იმ დროს და სწორედ ისინი იხსენიებიან სათანადო კონტექსტში. დავითი და ფარეჯანი თან წაიყვანა ილხანმა, ხოლო ხუტლუ-ბუღას ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზის დაცვა დაავალა“[54]. მართლაც, ამ დროს დავითი და ოსთა მთავარი — ფარეჯანი რომ ურდოში იმყოფებიან, ეს დავას არ იწვევს. სხვა საკითხია, მხოლოდ ამით უნდა აიხსნას თუ არა ტახტის პრეტენდენტ — დავით უფლისწულის ტუნლუზალოს დასამორჩილებლად გაწვევა. ვფიქრობთ, ამ მომენტში დავითის ურდოში ყოფნა არ არის განმსაზღვრელი ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მისი მონაწილეობის მიღებისათვის. დავითი სწორედ იმიტომ იმყოფებოდა ურდოში, რომ მას არ ენდობოდნენ როგორც დასჯილი მეფის ძეს. ამასთან, თუ ყველაფერს დავითის ურდოში ყოფნა წყვეტს, მაშინ რაღად „მოუწოდა“ ქეღათუმ „მ თ ა ვ ა რ თ ა ქ ა რ თ ლ ი ს ა თ ა“?[55] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). მართალია, შემდეგ ისინი ყაენმა ხუტლუ-ბუღასთან ერთად მუღანს დასტოვა, ჩრდილოეთიდან ბერქა-ყაენის შემოჭრის შიშის გამო, მაგრამ უცნაურია, რომ როდესაც ქეღათუ აგროვებს „ყოველთა სპათა მისთა“, საქართველოს მეფე საერთოდ განზე დგას და არსად ფიგურირებს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ამ ეპიზოდში ჟამთააღმწერელი აშკარად გამიზნულად და არაბუნებრივად აღღვევს მოვლენების თანმიმდევრობას. კერძოდ, მემატიანე მისთვის ცნობილი მიზეზების გამო, ფაქტიურად თავს აარიდებს ვახტანგ II-ის მეფობის უკანასკნელ პერიოდზე ლაპარაკს. იგი ვახტანგს, ასე ვთქვათ, წინასწარ თიშავს სამოღვაწეო ასპარეზიდან. სხვა რითი უნდა ავხსნათ მისი ფრთხილი ფრაზა, რომლის მიხედვით, ვახტანგ II წინდაწინ გარდაცვლილად გვევლინება 1291 წლის ივლისში, ქეღათუს გაყაენებისთანავე. ჟამთააღმწერელი ლაკონურად გვამცნობს, რომ ვახტანგ მეფეს ახლად გაყაენებული ქეღათუ კეთილი თვალით უყურებდა, მაგრამ მას „შეედვა მ ც ი რ ე რ ა მ ე ს ე ნ ი... რომლისა მიერ შეისუ-

---

54 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ახალი მასალა..., გვ. 172.

55 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 296.

ენაცა“. იქვე მოთხრობილია, რომ ამ ამბის შემტყობი დავით დემეტრეს ძე „განმწარდა სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისათჳს (ე. ი. ვახტანგისა, — ვ. კ.) და იგლოვა წესისაებრ და ფრიად პატივ-სცა და წარგზავნა გელათს, სამარხოსა მეფეთასა“[56] (ხაზი ჩვენია, — ვ. კ.).

საყურადღებოა, რომ ამ თხრობისას დავით დემეტრეს ძეს ქამთააღმწერელი არსად მეფეს არ უწოდებს და ერთი შეხედვით შეიძლება არც კი მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ დავითი ამ დროს უკვე აღმოსავლეთ საქართველოს სრულუფლებიანი გამგებელია; ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ იგი უკვე საქართველოში იმყოფებოდა და არა ურდოში. სხვა შემთხვევაში თვითონ საყაენოს კარზე „იწროებასა შინა“ მყოფი დავით უფლისწული ხომ ვერ იგლოვდა, „ფრიად პატივს სცემდა და წარგზავნიდა გელათს“ უდროოდ გარდაცვლილ ვახტანგ მეორეს?!

ცხადი ხდება, რომ ვახტანგის გარდაცვალების ამბავი თუმცა ქეღათუს გაყაენებისთანავე არის მოთხრობილი, სინამდვილეში მხოლოდ დავითის ტუნღუზალოდან მობრუნების შემდეგ არის საგულისხმებელი. ეს კი 1292 წ. იანვრის შემდეგ მოხდა, რადგან 1291 წ. სექტემბრის დასაწყისში (რაშიდის ცნობით — 31 აგვისტოს)[57] რუმში გალაშქრებული ქეღათუს ტუნღუზალოს ასაღებად ხუთი თვე დასჭირვებია[58]. ამას გარდა, თვით ქამთააღმწერლის თხრობიდანვე ვიცით, რომ დემეტრე II-ის სიკვდილის შემდეგ (1289) ვახტანგმა სამი წელი იმეფა და ამგვარად, 1292 წელზე ადრე ვერ გარდაიცვლებოდა.

ქამთააღმწერლის თხრობიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ არღუნის ყაენობის მიწურულს ილხანთა კარზე აზრთა სხვადასხვაობა შექმნილა, რამდენად იყო მიზანშეწონილი ვახტანგ II-ის კვლავაც საქართველოს ტახტზე დატოვება. მემატიანის დახასიათებით, ვახტანგი პრინციპული, სამართლიანი და პატიოსანი პიროვნება ყოფილა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ვახტანგზე მისი გამეფების ფაქტიური ინიციატორი — მედროვე ხუტლუბუღა სადუნის ძეც შემომწყარალა, რომელიც „ეცადა ნოინთა წინა, რათა წარუღონ მეფობა ვახტანგს“[59]. სამეფო კანდიდატად ხუტლუბუღას ახლა უკვე დავით დემეტრეს ძე დაუსახელებია. დავით უფლისწულს, ქართული ფეოდალური წესისა და ტრადიციების მიხედვით, სამეფო ტახტზე კანონიერი პრეტენზიები უნდა ჰქონოდა. მაგრამ რატომღაც (ამაზე ქამთააღმწერელი დუმს) ქართველ დიდებულებს მისი სამეფო ტახტზე დასმა გადაჭრით არ

---

56 იქვე, გვ. 295.

57 რ ა შ ი დ ა დ-დ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

58 იქვე, გვ. 294.

59 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 294.

სურდათ: „მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისი, რამეთუ მტკიცედ დგეს ერთგულობასა ვახტანგისსა“. საქმე იმდენად გაჭიანურდა, მწვავდა, რომ „საბრჭოთცა წარდგეს, თუ რომელს მართებს მეფობა“-ო. საქმე მაშინ ვერ გადაწყდა და ვახტანგ II კვლავაც ტახტზე დარჩა. დავითი კი, რომელსაც უფრო მეტად უცხოელები და მათ შორის ზევით ნახსენები ტაღაჩარი უჭერდნენ მხარს, საქართველოში მხოლოდ „ალაგ-ალაგ სოფლებით“ უნდა დაკმაყოფილებულიყო[60].

ამ ვითარებაში დემეტრეს დამსჯელი არღუნ ყაენი მისმა ნოინებმავე დააბრჩვეს. ილხანთა ტახტზე არღუნის ძმა ქეღათუ ავიდა. მის გამეფებას, როგორც ვიცით, რუმის განდგომა დაერთო თან. ეს მომენტი ყაენის კარზე სწორედ ზედგამოჭრილად მიუჩნევიათ ქართული სამეფო ტახტის პრეტენდენტთა დავის გადასაწყვეტად. ახალი ყაენისათვის უთუოდ ცნობილი იყო ის ღვაწლი, რაც რუმში აჯანყებულ ტაღაჩარს დავით უფლისწულის მიმართ მიუძღვოდა (გავიხსენოთ, რომ დავითის აშკარად სიკვდილისაგან გადარჩენის გარდა, ტაღაჩარი მას შემდეგშიც მფარველობდა და რამდენიმე წელი თავის კარზე ზრდიდა). მიუხედავად იმისა, რომ ქეღათუ პირადად ვახტანგის მიმართ ცუდად არ ყოფილა განწყობილი, მას მონღოლთა შორის უკვე საკმაოდ ბევრი მტერი გაუჩნდა და შესაძლოა ჯანმრთელობაც გაუუარესდა, რადგან ამ მოვლენების შემდეგ იგი საკმაოდ სწრაფად გარდაიცვალა. ასე რომ, დავითისათვის თითქოს გაცილებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, მაგრამ რადგანაც იგი დასჯილი მეფის ძე იყო, მისი გამეფების საკითხი ერთ მომენტს შეეძლო გადაეწყვიტა. ეს მომენტი საკმაოდ უხერხული იყო დავითისათვის, მაგრამ მით უფრო დასაფასებელი ყაენის მხრიდან; ქეღათუმ გადაწყვიტა აჯანყებული რუმის გამგებლის — ტაღაჩარის წინააღმდეგ სწორედ დავითი გაეგზავნა და ამით საბოლოოდ გადაეწყვიტა ტახტის პრეტენდენტობის საკითხი. ამგვარად, დავითს წაუყენეს პირობა — იგი ან გაილაშქრებდა თავისი მოამავე ტაღაჩარის წინააღმდეგ, ან უნდა გამოსთხოვებოდა მეფობაზე ფიქრს. როგორც ვიცით, დავითმა პირველი გზა ირჩია. სწორედ აქ ჩანს მისი საკმაოდ მერყეევი და არათანმიმდევრული ხასიათი, რაც, შესაძლოა, მონღოლთა კარზე გატარებული მძიმე წლების შედეგი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ არ უნდოდათ ქართველ დიდებულებს იგი ტახტზე დასასმელად. დავითის ერთგვარ გამამართლებლ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ რუმში ტაღაჩარის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მისი თხოვნა ყაენისადმი, არ დაესაჯა იქაური ქრისტიანები. ჩანს, მანვე უშუამდგომლა ტაღაჩარს, რადგან ამ განდგომის შემდეგ ტაღაჩარი, როგორც

---

60 ჟამთააღმწერელი, გვ. 294.

აღმოსავლური წყაროებიდან ჩანს, დაუსჯელი დარჩენილა[61]. ამგვარად, დავითმა ქეღათუ ყაენის ნდობა სავსებით გაამართლა. სწორედ ამით აიხსნება ამ უკანასკნელის მხრიდან მისი ღვაწლის განსაკუთრებული დაფასება: „ვინათგან დასდევ თავი შენი, მსახურებად ჩემთჳს და სდგახარ ერთგულებასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენთჳს“-ო[62] (ხაზი ჩვენია.—ვ. კ.). ვფიქრობთ, ამის შემდეგ გასაგები ხდება, რატომ გაიწვიეს რუმში დავითი და არა ვახტანგ II და რატომ დუმს ამის შესახებ მემატიანე. ამ მომენტის გათვალისწინებით უნდა აიხსნას ჟამთააღმწერლის თხრობის თანმიმდევრობის ის გადაადგილება, რასაც თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. ამ გაუგებრობის ასახსნელად მაშინ მემატიანისაგან წყაროს უხერხული გამოყენება და თხზულების კომპილატიურობა იქნა დასახელებული[63]. ჩვენი აზრით კი, ჟამთააღმწერელმა ეს განზრახ გააკეთა, რომ როგორმე თავი დაეღწია დავითის გამეფების ყველა უსიამოვნო პერიპეტიაზე მსჯელობისათვის. ამავე მიზეზით აიხსნება და უფრო რელიეფურადაც წარმოაჩენს ზემოთქმულს, ჟამთააღმწერლის მიერ აჯანყებული ტაღაჩარის სრული მოუხსენიებლობა და მის ნაცვლად რუმის იმ ქალაქის დასახელება (ტუნღუზალო), სადაც ტაღაჩარ ნოინი იმყოფებოდა.

როგორც ვხედავთ, ტაღაჩარ//ტაჩარ ნოინის და მისი ხოჯის (სადრ ად დინის) სახელთან საქართველოს ისტორიის ბევრი საინტერესო საკითხია დაკავშირებული. აქვე დავძენთ, რომ ორივე ეს პირი ყაზან ყაენის მიერ სიკვდილით იქნა დასჯილი; ტაღაჩარი — 1296 წ., ხოლო სადრ ად დინი — 1298 წელს[64].

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თვით ჟამთააღმწერლის პოზიციაზე აღწერილი მოვლენების მიმართ. მისი თხრობიდან აშკარად ჩანს მემატიანის სიახლოვე ქართულ სამეფო კართან. ამავე დროს, მემატიანე შესანიშნავად იცნობს მონღოლთა მოხელეებს და შესაბამის პოსტებზე მათი დანიშვნის დროც კი იცის (მაგ. სადრ ად დინი), იცნობს მონღოლთა იმპერიის ისეთ პუნქტებს, რომლებიც ქართველ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში არც ადრე და არც მოგვიანებით არ მოხვედრილა (მაგ., ქ. ტუნღუზალო). ამასთან, აშკარად ჩანს მემატია-

---

61 იხ. რაშიდ ად-დინი, გვ. 134 და აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1966, გვ. 237.

62 ჟამთააღმწერელი, გვ. 297.

63 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1966, გვ. 236, 238.

64 რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172, 183. საინტერესოა, რომ ტაღაჩარისთვის 1291 წ. რომის პაპსაც კი გაუგზავნია პირადი წერილი. იხ. Бартольд В. В., Пизанец Исол, соч., т. V, М., 1968, с. 234.

ნის მიმტევებელი დამოკიდებულება დემეტრე II-სა და მისი ძის დავით VIII-ის მიმართ. არასახარბიელო მდგომარეობის დროს, რომელშიც არაერთხელ ჩავარდნილა დავითი, ქამთააღმწერელი არც ერთი სიტყვით არ კიცხავს მას და მხოლოდ საკითხის კონსტატაციით კმაყოფილდება, ანდა საერთოდ ცდილობს მიჩქმალოს განსაკუთრებით თვალში საცემი უარყოფითი დეტალები (მაგ., დავითის ტალაჩარის წინააღმდეგ გალაშქრების საკითხი, დავითის გაქცევა მთიულეთში, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა და ა. შ.). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ქამთააღმწერელი თვითონაა მოწმე XIII ს. მიწურულის ამბებისა და მოვლენათა აღწერისას ხშირად საკუთარ შთაბეჭდილებებსა და განწყობილებას ეყრდნობა.

შემდეგი მომენტი XIII ს. მიწურულის არეული და მშფოთვარე ვითარებიდან, რომელზედაც გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, დავით VIII-ის ყაზან ყაენის მიერ ტახტიდან გადაყენებისა და ვახტანგ მესამის (მისი ძმის) გამეფების თარიღია.

როგორც აღინიშნა, XIII ს. 90-იან წლებში დავით VIII-სა და ყაზანს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ თუქალ ნოინის შვილის შეფარებისათვის ურდოში დაბარებული დავითი ყაზანის სიტყვას არ ენდო და საყაენოში არ გამოცხადდა[65]. ივ. ჯავახიშვილის დროიდან დავით VIII-სა და ყაზან ყაენს შორის ამ კონფლიქტის საწყისად 1297 წ. 7 ნოემბერი, ხოლო ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად 1302 წელი იანგარიშება[66]. სინამდვილეში, როგორც დავინახავთ, ეს თარიღი (1297 წ. 7 ნოემბერი) არის არა კონფლიქტის დასაწყისი, არამედ კულმინაციური მომენტი. ამ წელს ყაზანმა დავითს მეფობა ჩამოართვა და მის მაგივრად ვახტანგ III დასვა ტახტზე.

ვახტანგ III 1302 წელს რომ არ გამეფებულა, ამაში პირველად სერიოზული ეჭვი შეიტანა თ. ლომოურმა, რომელმაც გამოავლინა და აღწერა ვახტანგის სახელით 1298/99 წწ. მოჭრილი მონეტა[67], გარდა ამისა, რაშიდ ად-დინს მოეპოვება ვახტანგ III-ის ტახტზე ასვლის ზუსტი თარიღი, რომელსაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა[68]. სპარსელი ისტორიკოსი წერს, რომ 1297 წ. 7 ნოემბერს ყაზანს აცნობეს, თითქოს საქართველოში განდგომას ჰქონდა ადგილი (სიტ-

---

65 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 299.

66 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1966, გვ. 242.

67 თ. ლ ო მ ო უ რ ი, დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის ფულები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე", ტ. XV—B, 1948, გვ. 75—78.

68 აღსანიშნავია, რომ მკვლევარი ი. სიხარულიძე ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად 1297 წ. ასახელებს, მაგრამ დასაბუთების გარეშე; იხ. მ ი ს ი, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თბ., 1967, გვ. 62.

ყვა-სიტყვით რაშიდ ად-დინი სპარსული დიპლომატიის ენაზე ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „საქართველოში ავრცელებენ ხმებს ... ლეთა შესახებ“)[69]. ყაენმა საქართველოს „წესრიგში მოსაყვანად“ დაუყოვნებლივ ყუთლუღშაჰ ნოინი გაგზავნა. ამას მოსდევს საყურადღებო ცნობა: ყუთლუღშაჰ ნოინმა საქართველოდან ყაზანთან წაიყვანა „დავით მეფის ძმა ვახტანგი. მათ მიიღეს (ყაენის, — ვ. კ.) მოწყალება და უკან (საქართველოში.— ვ. კ.) დაბრუნდნენ“[70], გვამცნობს სპარსელი ავტორი (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.).

ამ ცნობიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ 1297 წლის ნოემბერში კონფლიქტი არა თუ დაიწყო, არამედ ყაზანის მიერ დავით VIII უკვე გადაყენებულ იქნა და მისი მომდევნო ძმა ვახტანგი, ყუთლუღშაჰ ნოინითურთ, „შეწყალებული“ ბრუნდებიან საქართველოში. საინტერესოა ამ ტექსტის შედარება ჟამთააღმწერლის თხრობასთან. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ ვახტანგ III, რომელმაც „ვერ თავს იდვა“ დავით VIII-სთან „უპატიოდ“ ყოფნა, „სთულის ჟამს“ ყაზანთან გამოცხადდა, „ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა და წარმოატანა ხუტლუბუღა (ხუთლუღშაჰ.— ვ. კ.) ნოინი სპითა უძლიერესითა და მოვიდა თბილისს“[71].

გასაგები ხდება, რომ ჟამთააღმწერლის მიერ აღწერილი მოვლენა მომხდარა 1297 წელს 7 ნოემბერს, ე. ი. ვახტანგ III ამ დროს ადის ტახტზე დავითის ნაცვლად, ბუნებრივია, რომ შემდეგ წელსვე ივი უკვე საკუთარ მონეტას ჭრის [72]

მეორე მხრივ, ამ კორექტივის შეტანის შემდეგ მთელი რიგი საკითხები წამოიჭრება. მაგალითად, თუ ვახტანგ III 1297 წ. 7 ნოემბერს გამეფდა, როდისღა ავიდა თბილისის ტახტზე მცირეწლოვანი გიორგი V? ჟამთააღმწერლის ტექსტის თანმიმდევრობის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, „ყრმა მცირე გიორგი“ (ბრწყინვალე) ვახტანგზე ადრე გამოდის გამეფებული[73]. სადღეისოდ ეს აზრი მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში[74]. ვფიქრობთ, ეს დებულება აშკარად გადასინჯვას მოითხოვს.

---

69 რ ა შ ი დ ად-დ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

70 ი ქ ვ ე.

71 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 303.

72 უკანასკნელ ხანს გამოვიდა ც. ღვაბერიძის წიგნი. ავტორს მიაჩნია, რომ ვახტანგმა მონეტა მოჭრა გამეფების წელსვე, ე. ი. 1297 წ., იხ. მ ი ს ი, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯალაირთა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით), თბ., 1986, გვ. 14—15.

73 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 304,308.

74 იხ. მაგ. ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII) კრებული: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 76—77.

ის ფაქტი, რომ ქამთააღმწერლის თხრობის მიმდევრობის მიხედვით თარიღის ზუსტი დადგენა ხშირად შეუძლებელია, კარგად ეტყობა ვახტანგ III-ის გამეფების მაგალითზეც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმე უნდა გვქონდეს ტექსტის მექანიკურ გადანაცვლებასთან მოგვიანო ხანაში. ამ მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი გარემოება: ქამთააღმწერლის დღემდე მოღწეულ ტექსტში, 303 გვერდზე (თხზულების 1959 წ. ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემა), ლაპარაკია დავით VIII -ისა და ყაზან ყაენის კონფლიქტის ერთ-ერთ მომენტზე. კერძოდ, ნათქვამია, რომ დავითის შუამავალ-მოციქულებიდან (რომლებსაც წარმოადგენდნენ საქართველოს კათალიკოსი (აბრაჰამ), თბილისელი ყადი და ვინმე ივანე ბურსელი) თათრებმა „შეიპყრეს ივანე ბურსელი და მ ო კ ლ ე ს. კათალიკოსი და ყადი განუტევეს უვნებელ“ (ხაზი ჩვენია, ვ. კ.). იმავე გამოცემის მომდევნო—307, 308 გვერდებზე კი ივანე ბურსელი კვლავაც ცოცხალია და აქტიურ შუამავლობას განაგრძობს. უფრო მეტიც, იგი შუამავალია დავითსა და ვახტანგს შორისაც, ამ უკანასკნელის გამეფების დროს და მხოლოდ გვ. 309-ზე ბურსელი „ხელმეორედ“ მოკლეს. ივანე ბურსელის სიკვდილის პირველი აღნიშვნა არ არის შემთხვევითი ლაფსუსი, რადგან მთელი ფრაზა ადასტურებს ამ აზრს (ასეა ვახტანგ VI-მდელ ნუსხებში). ტექსტის ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად იქნეს მიჩნეული. ერთადერთი ახსნა აქ ის შეიძლება იყოს, რომ ყაზან-დავითის კონფლიქტის მრავალჯერ გამეორებული, მსგავსი სიტუაციების გადმოცემა — გადაწერისას (დავითი მთიულეთში იხიზნება, მის წინააღმდეგ ხუთლუბუღა (ყუთლუღშაჰი) იგზავნება, დავითი ყაენთან გამოცხადების პირობას იძლევა, მაგრამ ყოველთვის აღღვევს მას) მოგვიანო ხანში მოხდა ტექსტის მექანიკური გადაადგილება და აღრევა. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ გადამწერებს არ ჰქონდათ ქამთააღმწერლის ტექსტის ამ მონაკვეთის გამართვის მყარი საყრდენი (თარიღების არარსებობის ვითარებაში). მცირეწლოვანი გიორგი V-ის და ვახტანგ III-ის გამეფების ამბები კი სწორედ ამ კონტექსტშია ჩართული (გვ. 303-სა და 308-ზე).

მცირეწლოვანი გიორგი V-ის ვახტანგ III-ზე ადრე გამეფების საწინააღმდეგოდ, ჩვენი აზრით, მეტყველებს არა მარტო მისი მცირეწლოვანება (იგი „უმრწემესი“ იყო ძმათა შორის), არამედ ისიც, რომ ვახტანგმა თურმე გამეფების შემდეგ: „დაიპყრა ტ ფ ი ლ ი ს ი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე“[75] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). გაუგებარია, თუ „ყრმა მცირე“ გიორგი V 1297 წ-ზე ადრე გამეფდა (მაგრამ, არა უადრეს 1295 წლისა, როცა ყაზანი გაყაენდა), სადღა

---

75 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 310.

მეფობს იგი, როცა, ქამთააღმწერლის ცნობით, იგი მხოლოდ „ტფილისის მეფეა?“[76], ხოლო პირიქით, ესე იგი, დავითის მომდევნო ვახტანგის გამეფების შემდეგ მონღოლებს რომ მისთვის თბილისი ჩამოერთმიათ და გიორგი გაემეფებინათ, სავსებით გასაგები იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ ვახტანგის შვილებს სამემკვიდრეოდ დმანისი და სამშვილდე რჩებათ[77]. ამგვარი ვითარება მით უფრო დასაშვებია, რომ ვახტანგ III-მ მონღოლთა მიზნები ვერ გაამართლა, რადგანაც „არა წინააღუდგებოდა ძმასა თჳსსა დავითს, რამეთუ იყო ყოვლითურთ სრულ“[78].

ასეა თუ ისე, რადგანაც მცირეწლოვანი გიორგი V-ის პირველი გამეფების თარიღის ზუსტი დადგენის შესაძლებლობა არ გაგვაჩნია, ამჟამად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ჯერჯერობით ძალაში უნდა დარჩეს ვახუშტის მიერ დასახელებული — 1299 წელი[79].

ვახტანგ III-ისა და დავით VIII-ის გარდაცვალების წლებიც სადავოდაა გამხდარი. ამ ხასიათის თარიღიანი ცნობა აგრეთვე მხოლოდ ვახუშტის მოეპოვება (1308 და 1310)[80]. ჯ. ოდიშელის სიტყვით, ამ თარიღების შემოწმება შეუძლებელია[81]. ერთი მხრივ, ეს მართლაც ასეა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თარიღის შემოწმების არაპირდაპირ საშუალებას, მხედველობაში გვაქვს პეტრიწონის (ბაჩკოვოს) ღვთისმშობლის 1311 წლის მყარად დათარიღებული ხატის წარწერა, გარკვეული დასკვნის გაკეთება აქაც შეიძლება. წარწერა გვაძლევს იმის სრულ საფუძველს, რომ დავასკვნათ: 1311 წელს არც დავითი და მითუმეტეს არც ვახტანგი (რომელიც, ქამთააღმწერლის ცნობით, ორი წლით მასზე ადრე გარდაიცვალა)[82] ცოცხლები არ არიან[83]. ხოლო ის, რომ დავითი 1310 წ-ზე ადრე არ გარდაცვლილა, მტკიცდება მისი ამ წელს მოჭრილი მონეტის საშუალებით[84].

---

76 იქვე, გვ. 304.

77 იქვე, გვ. 322.

78 იქვე, გვ. 310.

79 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 252.

80 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

81 ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—77.

82 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 323.

83 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, დანართი, გვ. 354—362; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ძლევაი“, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 25—31.

84 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 98—99.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 2. საქართველო XIV ს. პირველ ათწლეულში

„არა ხორციელითა ძალითა, არამედ
სიმხნითა სულისაითა და მოთმინებითა
ჭირთაითა იქმნების... მტერთა ძლევაი“.

ბასილი კესარიელი

XIII ს. მიწურულს საქართველოში, როგორც დავინახეთ, რამდენიმე მეფე ერთად აღმოჩნდა ტახტზე. დავით VIII მთიულეთში გამაგრდა. მემატიანის სიტყვით: „ვინაითგან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულს მთიულეთს იყვის და ზამთარს ქართლს“ (ე. ი. მთიულეთის მოსაზღვრე დაბლობ რაიონებში). მის მომდევნო ძმას, ვახტანგ III-ს ქვემო ქართლი ერგო, უმცროს ძმას გიორგი V-ს კი თბილისში უნდა ემეფა (დაახლოებით 1299 წელს). ქართველი მემატიანე ვახტანგ III-ს დადებითად ახასიათებს, მაგრამ ცალკეულ შეტაკებებს 1300-იანი წლების დასაწყისში ვახტანგსა და დავითს შორისაც ჰქონია ადგილი. „არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა. არამედ თათართა შიშითა, იძულებით შეება“-ო[85] დავითს, გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი. ეს ბრძოლა ძმებს შორის მახათასთან მომხდარა.

„ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობები, გარკვეული კორექტირების შემდეგ, ავსებენ ჟამთააღმწერლის თხრობას დავითისა და ვახტანგის რთული ურთიერთობის შესახებ. მაგალითად, „ძეგლი ერისთავთა“ გვამცნობს, რომ „დავით დაიპყრა მეფობაი და არარაი მისცა ძმისწულსა თჳსსა ვახტანგს“[86]. ცხადია, რომ ქსნის ერისთავთა მატიანის ავტორი შეცდომას უშვებს, როცა დავითს ვახტანგის ბიძად მიიჩნევს, თუმცა ძმათა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესასწავლად ეს ცნობა ინტერესს მოკლებული არ არის. ასევე, „ძეგლი ერისთავთა“ გვაწვდის ცნობას, რომ იმ დროს, როდესაც ვახტანგი უშუალოდ ილხანებს მიმართავს დახმარებისათვის (უნდა ვიგულისხმოთ მისი ვიზიტი ყაზან ყაენთან 1297 წ. ნოემბერში, რაზედაც ზევით იყო საუბარი), მას თან ხლებია შალვა ქსნის ერისთავი. „წარყვა (შალვა, — ვ. კ.) ძესა მას მეფის[ა]სა (ე. ი. ვახტანგს. — ვ. კ.) ურდოს“[78]. საინტერესოა, რომ ამის საპასუხოდ: „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თჳსი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს“. ამავე წყაროს ცნობით, ამ ლაშქრით, რომელშიც კიდევ შედიოდნენ დვალები, ხადელ-ცხავატელები და „მთიულნი ქუემონი“,

---

85 ჟამთააღმწერელი, გვ. 316, 317.
86 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. გვ. 105.
87 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი შესევია შალვა ერისთავის სამფლობელოს და ცხრაძმის ხევი სულ მოუოხრებია[88]. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართველი ცხრაძმის ხევის ბრძოლას ჟამთააღმწერელიც ეხება, მაგრამ სულ სხვა კონტექსტში.

ჟამთააღმწერელი წერს, რომ შალვა ქვენიფნეველი ხუტლუბუ-ლა ნოინთან გაქცეულა და მისი ლაშქრის წინამძღოლობა უკისრია — ოსთა მთავარ ბაღათართან და მუხნარელ (თუ მუხრანელ?) თათარ ბანთანაღუთთან ერთად[89]. სწორედ ამის გამო: „ჩამოდგა ცხრაძმის ხევსა მეფე დავით და აოხრებდა მამულსა შალვა ქსნის ერისთავისა, ორგულობისათვის“-ო[90].

„ძეგლი ერისთავთა“ შალვა ერისთავის ქმედების სულ სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვაწვდის. ამ წყაროს ცნობით, შალვას ძირითადი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მან ვახტანგის ყრმობიდანვე მისი მეურვეობა იკისრა და ბოლომდე ერთგული დარჩა: „არ განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას“[91]. თავის მხრივ, დავითი ყოველნაირად ცდილა მის გადაბირებას: „დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას (ეღალატნა ვახტანგისათვის. — ვ. კ.)“, მაგრამ შალვამ — „არა ისმინა“[92]. „ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს, რომ შემდგომ მას ძალიან დიდი პატივი მიაგო მეფემ (როგორც ჩანს, ვახტანგმა). ჟამთააღმწერელი კი მოგვითხრობს, რომ შალვამ შეიგნო „მეფეთა ორგულობის“ მავნებლობა და თავს ნაცარი გადაიყარა, მხოლოდ ამის შემდეგ „შეუნდო მეფემან (დავით — ვ. კ.) შალვას“[93]. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შალვა-ვახტანგისადმი აშკარა სიმპათიისა, „ძეგლი ერისთავთაც“ ვერ მალავს იმ ფაქტს, რომ ძმათა შორის ამ ბრძოლის დროს ეს უკანასკნელნიც არ ერიდებიან მონღოლთა დახმარებას: „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა (ე. ი. მონღოლთა — ვ. კ.) ლაშქრითა, ურიცხვითა სპითა“[94].

როგორც ვხედავთ, ამ დაძაბულ და სისხლიან შიდაპოლიტიკურ ორთაბრძოლაში ორივე მხარე აქტიურად ეყრდნობა და იყენებს უცხო ძალას. ზემოთ თქმულის შემდეგ კარგად ჩანს, რომ ქართველი ჟამთააღმწერელი მაქსიმალურად არიდებს თავს ასეთ განზოგადებებს. იგი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ მთელი აქცენტი გადააქვს შალვა

---

88 იქვე.
89 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 305.
90 იქვე, გვ. 307.
91 ძეგლი ერისთავთა, გვ. 105.
92 იქვე.
93 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 307.
94 ძეგლი ერისთავთა, გვ. 105.

ქსნის ერისთავის „ორგულობაზე“. მაშინ, როდესაც, როგორც „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ირკვევა, ვახტანგი და შალვა ყოველთვის ერთად მოქმედებენ (აქაც თავს იჩენს ჟამთააღმწერლის სუბიექტური, დადებითი დამოკიდებულება სამეფო კარის მიმართ).

საბოლოოდ, ძმათა შორის გარიგებას ჰქონია ადგილი და ვახტანგს დავითისთვის, ჩანს, მისი კუთვნილი ჯავახეთის საუფლისწულო მამული და სოფელი ალასტანი დაუთმია[95].

სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ ჩრდილოეთიდან ქართლი ოსთა დამარბეველი და გამაჩანაგებელი შემოსევების სარბიელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ერისთავები — სურამელები (ამადა, რატი) თავგამოდებით ებრძოდნენ მოთარეშეებს, ოსებს მოუხერხებიათ და ქალაქი გორი დაუკავებიათ[96]. სამხრეთ-დასავლეთით კი ახალმა მტერმა — თურქ-ოსმალებმა წამოყვეს თავი. მათი ერთ-ერთი ბელადი აზატ-მოსე XIII ს. მიწურულს ვაშლოვანის მხარეში (ტაოს სამხრეთ ნაწილში) სასტიკად დაუმარცხებია ბექა ჯაყელს[97].

პერიოდულად ხდებოდა აგრეთვე ყუთლუღშაჰ (ყუთლუბუღა) ნოინის მიერ ქართლისა და მთიულეთის მორბევა, რადგან დავით VIII ყაზან ყაენის სიცოცხლეში მონღოლებს არ შეურიგდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1304 წ. 9 აგვისტოს, ე. ი. ყაზანის სიკვდილიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ერთ-ერთ სომხურ ანდერძ- მინაწერში საქართველოს მეფედ კვლავ დავითია დასახელებული[98]. შესაძლოა, ეს იმაზე მეტყველებდეს, რომ ამ პერიოდში დავითსა და მონღოლებს შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა.

ასეთი არეული სიტუაციის გამო XIII ს. მიწურულს, თითქმის ხუთი წლის მანძილზე, თვითმხილველი ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოში — „არა იყო... თესვა და შენება ყოვლადვე“. შედეგად, XIV ს. დამდეგს პურის სასტიკ ნაკლებობას უჩენია თავი და ერთხანს შიმშილობაც დაწყებულა[99].

ქვეყნის ასეთ ძნელბედობის ჟამს, როდესაც ქართველ მესვეურებს ამდენი შინაგანი წინააღმდეგობა ჰქონდათ დასაძლევი, ისინი იძულებულნი იყვნენ, კვლავ მონღოლთა დამპყრობლურ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა. უფრო მეტიც, ქართველები ილხანთა ლაშქრის ყოველთვის მოწინავე და აქტიურ ნაწილს წარმოადგენდნენ. ასეთ ლაშქრობებში, მემატიანის სიტყვით, „მოსწყდეს ურიცხვი თა-

---

95 იქვე.

96 ჟამთააღმწერელი, გვ. 296, 316—317.

97 იქვე, გვ. 310—315.

98 ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები, გვ. 17.

99 ჟამთააღმწერელი, გვ. 310.

თარი და ქართველნი"[100]. ყაზანის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა ყაენმა ოლჯაითუ-ხუდაბენდემ (1304—1316) გადაწყვიტა, ვასპერის ზღვის სანაპიროზე მდებარე მიუვალი მხარე გილანი დაელაშქრა, რომელიც მონღოლებს ამდენ ხანს ვერ დაემორჩილებინათ. 1306 წ. გილანელებთან საბრძოლველად ურდოში ლაშქართან ერთად დაიბარეს ბექა სამცხის მთავარი და საქართველოს მეფე ვახტანგ III. ოლჯაითუმ მონღოლთა ლაშქარი ოთხ ნაწილად დაყო, ვახტანგი კი თავის ამალაში დატოვა. ბრძოლა ამჯერადაც მეტად სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. გილანში დაიღუპა მონღოლთა მხედართმთავარი და მთავარი ემირი ყუთლუღშაჰი. მის ნაცვლად ამ პოსტზე დაინიშნა საილხანოს და საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ჩობან ნოინი. ქართველთა შორის თავი განსაკუთრებით უსახელებიათ ბექა ჯაყელს, ვახტანგ III და გამრეკელ-ჯავახიშვილს. ქართველებს აქ დიდი ზარალი უნახავთ და თვით მეფეც დაუჭრიათ. ზარალი განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბექას მესხების ლაშქარში. ერთ-ერთი უკან დახევის დროს ვაკეზე, სადაც მეომრებს უნდა გაევლოთ, ბრინჯი ყოფილა დათესილი და წინა ღამით წყალი მიეშვათ. ამის გამო: „ესრეთ ღამე შექმნილ-ყო, რომელ ვერცა ცხენი და ვერცა ქუეითი ვერ გაიარდა"-ო, წერს მემატიანე[101]. მონღოლთა ინტერესებისათვის წარმოებულ ამ უმიზნო ლაშქრობას იმდენი ქართველი შეუწირავს, რომ მრავალი ოჯახი სულ ამოწყვეტილა, ან „უმკვიდრო" გამხდარა[102]. ასეთი ლაშქრობები შემდეგშიც ბევრი იყო. ქართველთა ჯარი და მისი მეთაური სიმამაცის მაგალითს აჩვენებდნენ აგრეთვე 1314 წ. რუმში, ყარამანიის სულთნის მაჰმუდ ფარვანეს განდგომილების ჩახშობისას[103].

როგორც ჩანს, ქართველთა ასეთი საბრძოლო შემართება მონღოლ ყაენთა მოწონებას იმსახურებდა. ამით უნდა აიხსნას ის პატივი, რასაც ილხანთა კარი საქართველოს მესვეურთა მიმართ დროდადრო და გარეგნულად მაინც იჩენდა. მაგალითად, 1303 წლისთვის საახალწლო წვეულებაზე ყაზან ყაენის სტუმართა შორის მონღოლ წარჩინებულთა შემდეგ პირველ რიგში საქართველოს მეფე იხსენიება. ერთი სპარსული წყარო გვამცნობს: „ჩვეულებისამებრ, წვეულება სამი დღე გაგრძელდა: მისი უმაღლესობის (ილხანთა ყაენის. — ვ.კ.) ემირები, სახელმწიფოს ვეზირები, საქართველოს, რუმის, სომხეთის (იგულისხმება მცირე სომხეთი, კილიკია, — ვ. კ.) ქვეყნის სულთნე-

---

100 იქვე, გვ. 316—317; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. III (1982), გვ. 146—147.

101 ყ ა ზ ა ნ ი ს ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 320.

102 იქვე, გვ. 319.

103 იქვე, გვ. 324.

ში, სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილები, რიგრიგობით, თავისი წოდებ-ბისდა მიხედვით, მიართმევდნენ (ყაენს) საჩუქრებს"[104].

მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, საქართველოს მესვეურნი ამ პერიოდშიც ახერხებენ ქვეყნის გარეთ არსებულ ქართულ სავანეებზე ზრუნვას. 1305/6 და 1310 წწ-ში ეგვიპტის სულთანთან გაიგზავნენ საქართველოს მეფის ელჩები[105]. მათი მისიის მიზანი იყო XIII ს. 70-იან წლებში „დატყვევებული" ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გამოხსნა. ქართველ დესპანთა თხოვნა, მართლაც, აღსრულებულა, მაგრამ წყაროთა ჩვენება ნათელ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, კონკრეტულად რომელ წელს მოხდა ეს. ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი აღაპი, მაგალითად, ამ მონასტრის გამომხსნელად დავით მეფეთ-მეფეს ასახელებს[106]. თუ აქ ნამდვილად დავით VIII იგულისხმება, მაშინ სწორი უნდა იყოს დ. გოჩოლეიშვილის აზრი, რომლის მიხედვით, დავით VIII-ს. ჯვარის მონასტერი გამოუხსნია 1310 წელს. ამ წელს იგი მონღოლებთან შერიგებული ჩანს (მისი შვილი გიორგი მცირე აღიარეს ტახტის მემკვიდრედ), 1305 წ. კი იგი მთიულეთშია შეხიზნული და მაშინ ასეთი მნიშვნელოვანი აქციის განხორციელება ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა[107].

ამ დროს კვლავ გამწვავდა ურთიერთობა ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის. არაბი ავტორის ალ მანსურ ბეიბარსის ცნობით (გარდაიცვალა 1325 წ.), 1308 წელს ილხანთა საყარაულო ჯარის ნაწილები შეეჯახნენ ოქროს ურდოს ყაენის თოხთას ჯარებს. ილხანებმა დიდი ზარალით დაიხიეს უკან. მათ დასახმარებლად ოლჯაითუმ ჩობან ნოინი გაგზავნა 10 000 მეომრის თანხლებით[108]. სხვა ავტორების ცნობით, ჩობანმა იმავე წლის 2 აგვისტოს საქართველოს გავლით დარუბანდს მიაღწია და ნოემბრის დასაწყისში საქმე მოაწესრიგა[109]. ჩობანს შემდეგშიც არა ერთხელ ულაშქრია საქართველოზე გავლით და, რო-

---

104 Из «Истории» Фассафа Хазрета, см. В. Г. Тизенгаузен. Сборник материалов..., т. II, М.—Л., 1941, с. 84.

105 В. Г. Тизенгаузен. Заметка Элькалькашанди о грузинах. ЗВОРАОб, т. I, вып. III, с. 212—213 (сноска № 3).

106 ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 106.

107 დ. გოჩოლეიშვილი, საქართველო ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XIV ს. I ნახევარი), თსუ შრომები (ისტორიის... სერია), ტ. 184, თბ., 1977, გვ. 265—267.

108 В .Г. Тизенгаузен. Сборник материалов, т. I, с. 120—121.

109 აბულ კასიმ ალ ქაშანი, იხ. წიგნში: ბ. შპულერი,: მონღოლები ირანში, გვ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ჩანს, აქ იგი მარაგდებოდა როგორც სურსათით, ასევე მეომრებითაც. მოგვიანებით, 1318/19 წელს, ოქროს ურდოს ახალმა ბატონმა უზბეკმა (1312—1340) კვლავ ილაშქრა ილხანთა წინააღმდეგ და მდ. მტკვრამდე მოაოხრა არანი, სადაც აბუ საიდ ყაენის ჯარი იდგა. ჩობან ნოინი 20 000 მეომრით ამჯერადაც ყაენის დასახმარებლად გაემართა. მან კვლავ საქართველოზე გაიარა[110], რათა, როგორც ჩანს, ზურგში მოქცეოდა მტერს. ამის შემდეგ უზბეკის ჯარმა უკან დაიხია და დაკავებული ტერიტორია გაათავისუფლა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1324 წ. ჩობანმა სასტიკად იძია შური უზბეკის ამ ლაშქრობის გამო. ამჯერადაც მისმა მარშრუტმა საქართველოზე გაიარა, შემდეგ ჩობანმა, სხვა ემირების თანხლებით, განვლო დარუბანდი და მდ. თერგის ნაპირებამდე მოაოხრა უზბეკის სამფლობელო[111].

მართალია, წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ჩობანის ლაშქარში ქართველებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მისი მარშრუტი რომ ყოველთვის საქართველოზე გადიოდა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. საქართველოს მეფე, რომელიც ჩობანთან პირად კეთილ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ალბათ სათანადო წვლილს იღებდა ამ სამხედრო ღონისძიებებში.

§ 3. ცნობები ქართველების შესახებ ამ დროის საილხანოს კარზე

მიუხედავად საქართველოს მონღოლთაგან ხანგრძლივი დაქვემდებარებისა, ამ დროის და განსაკუთრებით მათი ბატონობის ბოლო პერიოდის შესახებ საბუთები და მოგზაურთა ჩანაწერები უკიდურესად ღარიბადაა შემორჩენილი. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ილხანთა კარზე ქართველთა შესახებაც აქამდე თითქმის არაფერი არ დაწერილა. მხედველობაში არა გვაქვს მედროვე და „გაურკვეველი" ეროვნების პიროვნება სადუნ მანკაბერდელი. იგი დიდ როლს თამაშობდა იმდროინდელი როგორც საქართველოს, ისე საილხანოს სამეფო კარზე. მაგრამ მის შესახებ ბევრი თქმულა და ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უკანასკნელი გამოკვლევა, რომელიც მას ეძღვნება, დაიწერა იაპონელი ქართველოლოგის სეიჩი კიტაგავას მიერ[112].

---

110 ჰაფეზე აბრუ, დასახელებული შრომა, გვ. 63—68.

111 იქვე, გვ. 91.

112 სეიჩი კიტაგავა, არწრუნთა გვარის აღორძინება და ილხანთა გამგებლობა ხაქართველოში, იაპონიის ისტორიული საზოგადოების გამომცემლობა, ტოკიოს უნივერსიტეტი, ტ. 87, № 6, 1978 (იაპონურ ენაზე, ინგლისური რეზიუმეთი).

საინტერესო საბუთების სიმცირისა და ფრაგმენტულობის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი გახდა აღმოსავლურ წყაროებში მოძებნილი ცნობების მოძიება საილხანოში მოღვაწე ქართველების შესახებ.

ჩვენი ყურადღება პირველ რიგში მიიპყრო სპარსელი მემატიანის — ჰაფეზე აბრუს ზოგიერთმა ცნობამ. ჰაფეზე აბრუს (გარდ. 1430/1 წ.), რომელმაც რაშიდ ად-დინის „მატიანეთა კრებული“ გააგრძელა, დაუცავს ილხანთა ტახტის მოცილეობის საინტერესო ეპიზოდი, ვინმე ქართველი ემირის — „ემირ გურჯის“ მონაწილეობით. ეს ემირი აქტიურ და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებს ოლჯაითუ ხუდაბენდეს გაყაენების საქმეში 1304 წ. 17 მაისსა და 19 ივლისს შორის. სპარსელი მემატიანე მოგვითხრობს, რომ ყაზან ყაენის გარდაცვალების (1304 წ .)შემდგომ ილხანთა კარზე ტახტის პრეტენდენტთა შორის ცილობა შეიქმნა. ყაზანის ძმამ ოლჯაითუმ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა თავისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე უფლისწული ალაფრანგი[113]. ამ მიზნის განხორციელება მან თავისი ლაშქრის სამ გამოცდილ მეთაურს დაავალა. ესენი იყვნენ: ემირი ისენ-ყუთლუღი, ყუთლუბუღა და რომელიღაც ქართველი ემირი. უფლისწული ალაფრანგი არ მოელოდა ამ შეთქმულებას და ერთ-ერთი ფარული შეხვედრის დროს იგი ქართველმა ემირმა მოკლა[114]. ამის შემდეგ ოლჯაითუმ გადაწყვიტა მოეშორებინა ემირი ხორყუდაყიც[115], რომელიც ალაფრანგის მომხრედ ითვლებოდა. სწორედ ამ უკანასკნელი დავალების აღსრულებას შეეწირა „ქართველი ემირი, უფლისწულ ალაფრანგის მკვლელი“, გვამცნობს ჰაფეზე აბრუ[116].

ასეთია ოლჯაითუ ყაენის გაყაენების ისტორია, რომელშიც ქართველ ემირს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სამწუხაროდ, სპარსელ ისტორიკოსს მისი სახელი არ დაუსახელებია და არცერთ სხვა წყაროში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

საინტერესოა, აგრეთვე, ცნობები ილხანთა კარის მოხელე ქემალ ად დინ ომარ ტიფლისის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ძალიან ძუნწი ცნობებია შემონახული. არაფერია მასზე ნათქვამი არც „ისლამის ენციკლოპედიის“ მრავალტომეულში. მას საერთოდ არსად არ იხსენიებს რაშიდ ად დინი თავის დიდტანიან „მატიანეთა კრებულში“.

---

113 ალაფრანგი ქეღათუ ყაენის (1291—1295) უფროსი ძე იყო. იხ. რ ა შ ი დ ა დ-დ ი ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 132, 202—203.

114 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. შრომა, გვ. 210, ასევე. D'O h s s o n, Histoire des Mongols, t. IV. La Haye et Amsterdam, 1835, p. 83.

115 ემირი ხორყუდაყი დაწინაურდა ჯერ კიდევ ქეღათუსა და ყაზანის დროს, იხ. რ ა შ ი დ ა დ-დ ი ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 157, 171—172.

116 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. შრომა, გვ. 2—3.

თუმცა გერმანელი ორიენტალისტის ბ. შპულერის მიხედვით, რაშიდ ად-დინთან ქემალ ად დინ ტიფლისი დასახელებული არ არის, მაგრამ იგულისხმება. საქმე ეხება ჰულაგუ ყაენის მიერ 1260 წ. დამასკოს აღებას. ბ. შპულერის მიხედვით, იქ მოსამართლედ დაინიშნა ქემალ ად დინ ტიფლისი და მასთან ერთად სამი სხვა სპარსელი მოხელე[117].

ქემალ ად დინ ომარ ტიფლისის შესახებ ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ცნობები შემოუნახავს XIV საუკუნის სპარსელ ისტორიკოსს ქერიმ ალ აღსარაის („მუსამარათ ალ ახბარ ვა მუსაიარათ ალ-ახიარის“ ავტორს), რომლის შრომა თავის მხრივ დაუცავს XVII ს. ავტორს — მუნაჯიმ ბაში ახმედ ეფენდის („ასტრონომთა უფროსს“). მუნაჯიმ ბაშისთან ქემალ ად დინი დახასიათებულია როგორც ილხანთა სახელმწიფოს ორპირი ვეზირი. ავტორი ამბობს, რომ მისი მზაკვრული განზრახვანი მეგობრობის ნიღბის ქვეშ იმალებოდა[118]. მუნაჯიმ ბაშისთან ქემალ ად დინ ტიფლისი კიდევ ერთხელ იხსენიება. კერძოდ, მუნაჯიმ ბაში აღნიშნავს, რომ მონღოლმა ხელისუფალმა ყაზან ყაენმა რუმი (დღევანდელი თურქეთი) ჩააბარა საგამგეოდ: მოჰამედ ბეი ფერვანეს, ილხანთა ფინანსთა მინისტრს ანუ დეფტერდარს შერეფ ად დინს, დიდ ვეზირ ჯემალ ად დინს და მის ნაიბს ან ქეთხუდს — ქემალ ად დინ ტიფლისის[119]. სამწუხაროდ, ამაზე მეტი ცნობების მოგროვება ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე ვერ ხერხდება. ზუსტად არ ვიცით მისი ეროვნებაც. მაგრამ ერთი კი ცხადია — იგი წარმოშობით თბილისიდანაა. ამ ასპექტში, ყურადღებას იქცევს ქემალ ად დინის პიროვნების მუნაჯიმ-ბაშის წყაროსეული შეფასება. მართალია, ეს წყარო განმაქიქებლად ახასიათებს ილხანთა სხვა მოხელეებსაც (მხედართმთავარ ყუთლუღშაჰს, საჰიბ დივან სადრ ად დინს და სხვ.), მაგრამ, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის მისი სიტყვები ქემალ ად დინის შესახებ, როცა მას ორპირობა და მეგობრობის ნიღაბით მტრობა მიეწერება. შესაძლებელია ასეთი დახასიათება მისი კავკასიურ-ქართული წარმოშობის შედეგი იყოს. მითუმეტეს, რომ ამავე ავტორის ცნობით, აღუნის ყაენობისას (1284—1291) რუმის გამგებლად დანიშნულ ფახრად-დინ მუსტოუფი ყაზვინის (ისტორიკოს ჰამდალახ ყაზვინის ბიძაშვილს) რუმში თან ჩაუყვანია ბევრი სპარსულ-ამიერკავკასიული წარმოშობის მოხელე, რის გამოც, მუნა-

---

117 B. Spuler, Die mongolen in Iran, Berlin, 1955, S. 356.

118 Бартольд В. В. О некоторых восточных рукописях в библиотеках Константинополя и Каира, Сочинения, т. VIII, М., 1973, с. 237—238.

119 ‘ ოსონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

ჯიმ ბაშის წყარო — ქერიმ ალ აღსარაი თავის უკმაყოფილებას ვერ მალავს[120].

ილხანთა სახელმწიფოში ქართველთა კვალის ორიოდე მაგალითი კიდევ შეიძლება დავასახელოთ.

რაშიდ ად-დინის პირადი წერილებიდან ირკვევა, რომ ყაზან ყაენს თავრიზთან რამდენიმე სოფელი დაუფუძნებია ვაზისა და ხილის მოსაშენებლად და არხების გასაყვანად. მათ შორის დასახელებულია „გორჯების“ (გურჯების) სოფელიც, სადაც, როგორც სახელიდანაც აშკარად ჩანს, ქართველებს უცხოვრიათ. დამახასიათებელია, რომ მათ მოვალეობას შეადგენდა ვაზისა და ხეხილის მოვლა[121].

ილხანთა კარზე ქართველ ღულამთა (მსახური, მონა) ერთგულებაზეა ლაპარაკი რამდენიმე სპარსელ მემატიანესთან. ჩობან ნოინის ერთ-ერთი შვილიშვილი მელიქ აშრაფი ჩრდილოეთიდან შემოსეულმა ოქროს ურდოს ყაენმა ჯანი ბეკმა სასტიკად დაამარცხა 1356/7 წწ. აშრაფმა მიატოვა თავრიზი და მარაღისკენ გაემართა, სადაც ოჯახი ჰყავდა. მემატიანეთა ცნობით, ვიდრე იგი ამ ქალაქს მიაღწევდა, აშრაფი ყველას მიუტოვებია ორი ქართველი ღულამის გარდა[122].

ასეთია ის ცნობები, რომელთა გამოვლენაც მოხერხდა უშუალოდ ილხანთა სახელმწიფოში მოღვაწე ქართველების შესახებ[123].

---

120 ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

121 კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართ. წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1966, გვ. 79.

122 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, ზეინ ად დინი, მითითებულია ა. ალი-ზადეს შრომის მიხედვით, გვ. 334.

123 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქართველები მონღოლთა კარზე, ჟურნალი „მნათობი“, 1984, № 10, გვ. 162—165.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

გიორგი V-ის გამეფება და მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1318—1327)

„და იწყო მთიებმან აღმოჭრვებად!“
ყამთააღმწერელი
„გიორგი, მთიებრ განუტევნა ნათელი...“

ანტონ I

XIV საუკუნე საქართველოში გართულებული საშინაო და საგარეო ვითარებით აღინიშნა. ამ დროს ქვეყანაში ხელისუფლების მოპოვება დაიწყო გიორგი V დემეტრეს ძემ, შემდგომში ბრწყინვალედ წოდებულმა. ეს მომენტი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რამდენადაც გიორგი V-ს სახელს უკავშირდება მონღოლ-თათართა საუკუნოვანი ბატონობის დასასრული საქართველოში. ამგვარად, მისი მოღვაწეობის საწყისი შეიძლება მივიჩნიოთ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მზადების დასაწყისადაც. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი რეალური, მეორედ გამეფების წელი (პირველად იგი თბილისში ფორმალურად დასვეს ტახტზე XIII ს. მიწურულს) საბოლოოდ დადგენილი არ არის. ამიტომ, ვფიქრობთ, ამ მომენტზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ და ფართოდ განვიხილოთ იგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი V-ის რეალურად გამეფების ორი ძირითადი თარიღი ფიგურირებს: 1318 და 1314 წწ[1]. ამასთან, პირველი გიორგი V-ის გამეფების თარიღად დასახელებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. 1314 წ. კი XIX ს. 50-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, სოფ. დაბის ეკლესიის დაზიანებული სააღმშენებლო წარწერის მიხედვით. წარწერაში მოცემულია გიორგი დიმტრის ძის მეფობის მე-19 ინდიქტიონი. დ. მეღვინეთხუცესისშვილი კითხულობდა ქორონიკონს — „კა“ (21), ე. ი.

---

1 საკითხის ისტორიოგრაფია, იხ. ვ. კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის, საისტორიო კრებული, VII, თბ., 1977, გვ. 219—231.

1312+21=1333—19; ასე ვიღებთ 1314 წელს. ამ თარიღმა სადღეისოდ მკვლევართა შორის მეტი გავრცელება ჰპოვა, მაგრამ როგორც ეტყობა, წმუნდებით. საკითხი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. იმის დასადგენად, რომელია დასახელებულ თარიღთაგან უფრო მართებული, საჭიროა ყველა დეტალის გათვალისწინება და ღრმად გაანალიზება. აქ შესაძლებელია სამი ძირითადი კომპონენტი გამოიყოს: 1. სოფ. დაბის ეკლესიის წარწერისა და მისი ამოკითხვის ყველა ნიუანსის დეტალურად განხილვა-გაანალიზება; 2. ვახუშტი ბატონიშვილის დასახელებული თარიღისა და მისი წყაროების განხილვა; 3. ამ საკითხთან დაკავშირებული ჟამთააღმწერლის ტექსტის ანალიზის მოშველიება.

დაბის ეკლესიის წარწერასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: წარწერა პირველად ნახა და მისი ასლი ფანქრით გადმოიღო მ. ბროსეს ერთ-ერთმა თანამგზავრმა და დამხმარე პირმა საქართველოში დ. მეღვინეთხუცესისშვილმა 1848 წელს. დაბის წარწერის ასლი მან მ. ბროსეს მიაწოდა, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი გამოაქვეყნა 1851 წელს თავის „მოგზაურობის ანგარიშებში"[2]. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ ეკლესიის წარწერის ტექსტში თარიღის აღნიშვნა პირველად და უკანასკნელად მხოლოდ ამ კორესპონდენციაში იყო მოცემული.

1854 წ. მ. ბროსემ მეორედ გამოაქვეყნა ეს წარწერა იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღო ახალი ასლი ნუმიზმატ ივ. ბარტოლომეისაგან (1814—1870) აქ შესწორებული იყო ტექსტის ზოგიერთი ადგილი და რაც ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა, ბროსე აღნიშნავდა, რომ ბარტოლომეის საერთოდ არ ჰქონდა მითითებული ქრონიკონი[3] (ე. ი. თარიღი).

მოგვიანებით, 1875 წელს, დ. ბაქრაძე დაინტერესდა ამ წარწერით და აღნიშნა, რომ მას ხელთ ჰქონდა წარწერის „პალეოგრაფიულად ზუსტი ასლი, მაგრამ იქ ქრონიკონი საერთოდ არ იყო აღნიშნული"[4].

განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ქრონიკონი საერთოდ ვერ აღმოაჩინა აღმოსავლურ სიძველეთა ისეთმა ცნობილმა მკვლევარმა და ნუმიზმატმა, როგორიც იყო ივანე ბარტოლომეი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ მან დაბის ეკლესია

---

[2] M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Gèorgie et dans l'Armenie exécute en 1847—1848, VI rapp. S/Pbg 1851, p. 101—102.

[3] M. Brosset, Lettres de Bartholomaei relatives aux antiquites georgiennes, in: Melange Asiatique, t. II, livr. 3, S/Pbg, 1854, p. 266.

[4] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, с. 126.

პირადად ინახულა და შეისწავლა დ. მეღვინეთხუცესისშვილის ვიზიტიდან (1848 წ.) მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ—1853 წ. ივლისს[5]. რაც შეეხება თვით მ. ბროსეს, ეს ეკლესია მას საერთოდ არ უნახავს და მხოლოდ დაახლოებით იცის მისი ადგილმდებარეობა[6]. აი, რას წერს ამ საკითხის შესახებ დ. ბაქრაძე: „აკად. ბროსეს ეს ტაძარი (ე. ი. დაბის ეკლესია, — ვ. კ.) არ უნახავს... იმისთვის, რომ მისი (წარწერის, — ვ. კ.) შინაარსი სავსებით სწორად იქნას გაგებული, საჭიროა მისი ადგილზე ნახვა. ცოტა ხნის წინ (ე. ი. 1875 წლის წინ, — ვ. კ.) იგი მთელი პალეოგრაფიული ხელოვნებით გადმოიღო არქიტექტორმა ზალცმანმა... შევადარეთ რა ზალცმანის ასლი მეღვინეთხუცესისშვილისას, ეს უკანასკნელი ჩვენ არასწორად ვცანით“. შემდეგ დ. ბაქრაძე წარწერის ქრონიკონს ეხება და გადაჭრით აცხადებს: „ქრონიკონი 21 არ არის (წარწერის ბოლოს, — ვ. კ.) და არც ემჩნევა, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო. იგი (ქრონიკონი) არ არის აგრეთვე ბარტოლომეის ასლშიც, რომელიც ფრიად კარგად განირჩევა“[7]. ამის გამო ავტორმა საერთოდ საეჭვოდ მიიჩნია ამ ეკლესიის მიკუთვნება გიორგი V-სადმი და იგი XII ს-ით დაათარიღა. სადღეისოდ, არქიტექტურულმა ანალიზმა უჩვენა მისი კუთვნილება XIV ს-დმი[8].

ქრონიკონის შესახებ კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. გ. ჩუბინაშვილის მოწმობით, წარწერის მეღვინეთხუცესისშვილისეულ ფანქრით შესრულებულ შავ ასლში აშკარად თვალში საცემი იყო ის, რომ მთელი ტექსტისაგან განსხვავებით, ყველაზე მკრთალად და გაუბედავად სწორედ ქრონიკონის აღმნიშვნელი ორი ასო („კა“) იყო ჩაწერილი[9]. თუმცა აქედან გამომდინარე გ. ჩუბინაშვილი დასკვნებს არ აკეთებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს იმაზე მიგვითითებს, რომ თვით მეღვინეთხუცესისშვილი დარწმუნებული არ იყო თარიღის სისწორეში. ასეთი ვითარება მით უფრო მოსალოდნელია, რომ საერთოდ თუ არსებობდა ქრონიკონის აღმნიშვნელი ორი ასო, ისინი მხოლოდ

---

[5] M. Brosset, Lettres de Bartholomaei.., p. 266.

[6] M. Brosset, Rapports..., VI, p. 101.

[7] Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, с. 126.

[8] Р. О. Шмерлинг. Постройка моларет-ухуцеса царя Георгия Блистательного в с. Даба Боржомского района. Грузинское искусство, II, Тбилиси, 1948, с. 111—112.

[9] Г. Н. Чубинашвили. К вопросу о дате в надписи на тимпане церкви близ села Даба Боржомского района. Вопросы истории искусства, т. I, Тбилиси, 1970, с. 305; იგივე, საქართველოს მეცნ. აკად. „მოამბე“ ტ. XVII, № 9, 1956, გვ. 864.

საღებავით იქნებოდა დატანილი ტიმპანის ქვაზე იმ დროს, როცა დანარჩენი ტექსტი ქვაშია ნაკვეთი და ზემოდან წითელი საღებავით ჰქონდა გადასმული.

ზემონათქვამის შემდეგ გასაგებია, რომ ქორონიკონის კვალსაც ვერ ნახავდნენ ჩვენი დროის მკვლევარები რ. შმერლინგი (1946), გ. ჩუბინაშვილი და სხვ.[10]. ამაში პირადადაც დავრწმუნდით.

ყველა ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, აშკარა ხდება როგორი არასანდო გზით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში 1314 წელმა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მ. ბროსეს. პირველად მან დაბეჭდა არასპეციალისტის მიერ მიწოდებული დაბის ეკლესიის წარწერის ერთადერთი ასლი, რომელშიც თარიღი იყო აღნიშნული. 1853 წელს მან კვლავ კითხვის ნიშნის გარეშე აღნიშნა ქორონიკონი ამ წარწერის ბოლოში მაშინ, როცა ახალ ასლში (ი. ბარტოლომეის მიწოდებულში) თარიღი საერთოდ არ იყო აღნიშნული. ამისდა მიუხედავად ბროსემ უყოყმანოდ გაიმეორა მეღვინეთხუცესისშვილის თარიღი და მხოლოდ გაკვრით აღნიშნა, რომ ბარტოლომეის ასლში ის არ იყო მოტანილი.

შემდეგში კი, თუ არ ჩავთვლით დ. ბაქრაძეს, წარწერის თარიღის მიმართ ეჭვი აღარავის გამოუთქვამს და ბროსეს პუბლიკაციის თარიღი უკრიტიკოდ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში[11] .

ამ მსჯელობის შემდეგ აშკარა ხდება შემდეგი: გიორგი V-ს გამეფების თარიღი (1314 წ.), რომელსაც თითქოს დაბის ეკლესიის წარწერის მიხედვით ვითვლით, სინამდვილეში იანგარიშება არა თუნდაც დაზიანებულ ძეგლზე დაყრდნობით, არამედ XIX ს. ერთადერთი არასპეციალისტი თვითმხილველის ჩანაწერის საფუძველზე, რომლის შავი პირიც კი დღეს დაკარგულია[12]. ამასთან, არ მოიპოვება არც ერთი სხვა საბუთი ან მკვლევარის ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა მეღვინეთხუცესისშვილის დაკვირვების სისწორეს. პირიქით, ი. ბარტოლომეისა და დ. ბაქრაძის შრომათა გაცნობა საწინააღმდეგო აზრს ბადებს.

ასეთ ვითარებაში მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დასახელებულ თარიღს და გავითვალისწინოთ ყველა ის შესაძლებელი წყარო და ცნობა, რომელზე დაყრდნობით ვახუშტიმ მოგვცა 1318 წელი.

თავისი შრომის („აღწერა სამეფოსა საქართველოსა") შესავალშივე, სადაც ვახუშტი თავის წყაროებს და მიღწევებს მიმოიხილავს, იგი

---

[10] Р. О. Шмерлинг. Постройка моларет-ухуцеса..., Тбилиси, 1946; Г. Н. Чубинашвили. К вопросу о дате..., Тбилиси, 1956 (1970).

[11] იხ. მაგალითად, თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897, გვ. 180.

[12] გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

ერთ ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის. მეცნიერი წერს: „ჩუენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისისა ბაგრატის ქორონიკონი (ე. ი. გამეფების თარიღი, — ვ. კ.) ძველთა ქორონიკონთა შინა“[13]. მისი ამ განცხადების იგნორირება ყოვლად შეუძლებელია. მითუმეტეს, რომ დადგენილად უნდა ჩაითვალოს რა „ძველ ქორონიკონებს“ გულისხმობს აქ ავტორი. თავისი შრომის ერთერთი ხელნაწერის აშიაზე ვახუშტის მიწერილი აქვს ამ წყაროს პირდაპირი დასახელება: „ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი, თამარიდამ (1184—1207/12, — ვ. კ.) სვიმონის ძის გიორგისამდე (გიორგი X, 1600—1606, — ვ. კ.), დაწერილი არიან ძველს გარიგებისა და სამართლის წიგნსა შინა, იმერეთს, გელათურსა“, ამბობს ვახუშტი და განაგრძობს: „ბრწყინვალის გიორგიდამ — გიორგისამდე ძისა ალექსანდრესა (გიორგი VIII, 1446 — 1464/68. — ვ. კ.) წერს (ეს წყარო. — ვ. კ.) „ეს მეფე მოკუდა, ეს მეფე მოკლეს“ და შემდგომად გიორგისა (VIII-სა.— ვ. კ.) „ქართლის მეფე, იმერთ მეფე, კახთ მეფე“. ამგვარად, გიორგი VIII-ის შემდეგ საქართველოს დაშლის ფაქტი აშკარაა ამ წყაროს მიხედვითაც, ასკვნის ქართველი ისტორიკოსი[14] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.).

ვახუშტის ამ ვრცელი მინაწერიდან ცხადი ხდება, რომ არსებულა და ვახუშტის ხელთ ჰქონია დოკუმენტური წყარო — გელათური სამართლისა და გარიგების წიგნი, რომელსაც დართული ჰქონდა „ქორონიკონები“, ე. ი. საქართველოს მეფეთა ზეობის ქრონიკალური სია. ეს ქორონიკონები თანდათან ივსებოდა და დიდ პერიოდს მოიცავდა —XII-დან XVII ს-მდე. ამ წყაროში ჩვენთვის საინტერესო გიორგი ბრწყინვალის შესახებაც რომ იყო ლაპარაკი, ამას თვით ვახუშტი აზუსტებს („ბრწყინვალის გიორგიდამ“). ამავე „იმერულ ძველ გარიგების წიგნს“ ასახელებს ვახუშტი თავისი თხზულების ბოლოს დართული ქრონოლოგიური ცხრილის განმარტებით, საწყის ნაწილში[15].

ეს წყარო (ყოველ შემთხვევაში მისი ქრონიკალური ნაწილი) დღეს აღარ არსებობს და ვახუშტის ცნობა ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, ამგვარი წყარო რომ ნამდვილად არსებობდა თავისი „ქორონიკონებით“, ეს დღევანდელ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია[16]. ე. თაყაიშვილი ვარაუდობს კიდეც, რომ ვახუშტის ხელთ

---

13 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 10.

14 იქვე, გვ. 302.

15 იქვე, გვ. 894.

16 იხ. მაგ., ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1920, გვ. 13—21; მ ი ს ი ვ ე, „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის

ჰქონდა დედანი იმავე „ხელმწიფის კარის გარიგებისა“, რომელიც ... დღეს მხოლოდ მოგვიანო პირისა და არასრული სახით მოაღწია ჩვენამდე[17].

შესაძლოა, ამ წყაროს უშუალოდ იცნობდა აგრეთვე იესე ოსეს ძე, რომელიც გიორგი V-ის გამეფების თარიღად 1318 წელს ასახელებს და გარდაცვალებისად — 1346 წელს. იგი თვითონ გვაუწყებს, რომ მისი „ქორანიკონის“ დედანი რუსეთიდან ჩამოუტანია (1738 წლისათვის) ვახტანგ ორბელიანს[18]. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უთუოდ ანგარიშგასაწევია ვახუშტის ის ცნობაც, რომ მის მიერ მოტანილი თარიღების შემოწმება მის დროს კიდევ არსებული „ქორონიკონებით“ შეიძლებოდა: „არამედ ჩუენი ესე ქმნული და აღწერილი ყოველნი, ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი თ ა ქ მ ნ უ ლ ა რ ი ა ნ, რ ო მ ე ლ ნ ი დ ღ ე ს ა ც ი პ ო ვ ე ბ ი ს და ი ხ ი ლ ვ ე ბ ი ს მ ა ძ ი ებ ე ლ თ ა გ ა ნ... ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ქრისტესა ჩღმე-მდე“[19]. (1745 წ-მდე) (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.).

ამიტომ აცხადებს ვახუშტი ასეთი დაბეჯითებით მრავალჯერ: „გამეფდა ბრწყინვალე გიორგი ქრისტესსა ჩტიᲂ (1318. ვ. კ.) ქართულსა ვ“. ამას იგი ორჯერ აღნიშნავს XIV—XVIII სს. საქართველოს ისტორიის შესავალში — „უწყებულება მკითხველთათვის“. სხვაგან წერს, რომ „გიორგი (V. — ვ. კ.)... აკურთხეს ტფილისს მეფედ ქრისტესსა ჩტიᲂ (1318). ქართულსა ვ“ (1318 — ვ. კ.). ამას გარდა, რამდენიმე ხელნაწერში, გიორგი V-ის გამეფებაზე თხრობისას, აშიაზე ვახუშტის მიერ მიწერილია: „აქა ქართული ხუთასიანი ქორონიკონი 13-ჯერ მოიქცა და მეთოთხმეტისა ექვსი წელი გასულიყო...“ (ე. ი. ავტორი კვლავ 1318 წელზე მიგვანიშნებს) და ბოლოს თავისი შრომისადმი დართულ ქრონოლოგიურ ცხრილშიც ვახუშტი იგივე წელს მიუთითებს[20].

რაც შეეხება ჟამთააღმწერლის ტექსტს, მისი თხზულების ბოლო

გარშემო, საისტორიო მოამბე, წ. I, თბ., 1924, გვ. 145—146; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები (კატალოგი), ტ. I, თბ., 1949, გვ. 108—109.

17 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ჯელმწიფის კარიის გარიგება, იხ. წიგნში ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967 (დამატება), გვ. 423—424.

18 ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, იესე ოსეს-ძის „ქორანიკონი“, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 121—138. მართალია, ქრ. შარაშიძეს მიაჩნდა, რომ იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“ ვახუშტის შრომიდან მომდინარეობს, მაგრამ იგი თვითონვე აღიარებს, რომ „ქორანიკონზე“ სრულიად არ ჩანს ვახუშტის ქრონოლოგიური ცხრილის გავლენა, რაც უპირველესად იყო მოსალოდნელი (იქვე, გვ. 127, შენ. 1).

19 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 303—304.

20 იქვე, გვ. 296, 297, 255 (შენ. 2), 894.

ნაწილში თხრობა გიორგი ბრწყინვალესა და მის ძმისშვილზე — გიორგი მცირეზე, საკმაოდ ბუნდოვანი ხდება, მაგრამ არა იმდენად, რომ მათი გარჩევა ვერ ხერხდებოდეს. ჟამთააღმწერლის თხზულების ბოლო ნაწილზე დაკვირვება სრულიად აშკარას ხდის ტახტისთვის ბრძოლისა და მოცილეობის სურათს XIV ს. პირველი ათწლეულის გასულს.

1308 წლისთვის, როცა ვახტანგ III გარდაიცვალა, ბექა ჯაყელმა დრო შესაფერად ჩათვალა და გავლენიან ნოინ ჩობანთან გაგზავნა მცირეწლოვანი გიორგი დემეტრეს ძე: „ხოლო ესე გიორგი, წარავლინა ბექამან, ჩოფანს თანა“[21]. თავის მხრივ, ჩობანმა, მცირეწლოვანი ტახტის პრეტენდენტი ყაენ ოლჯაითუს (1304—1316) წარუდგინა. მაგრამ ყაენს გიორგი დემეტრეს ძისთვის რეალური ხელისუფლების გადაცემა მაშინ საჭიროდ არ უცვნია. ყაენმა გიორგი პატივით კი მიიღო, მაგრამ მხოლოდ „წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა“. უფრო მეტიც, ოლჯაითუს ამის შემდეგ მოციქული გაუგზავნია დავით VIII-სთან და მისთვის უთხოვია შვილი საქართველოს ტახტზე დასასმელად. გიორგი დავითის ძე, მცირედ წოდებული, მართლაც დასვეს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე[22]. იგი ამ დროს იმდენად მცირეწლოვანი ყოფილა, რომ მისთვის „საზღვრად და საქმის მოურავად“ ბიძა — გიორგი დიმიტრის ძე დაუნიშნავთ. რასაკვირველია, აქ მარტო მცირეწლოვანებაში არ არის საქმე და ყაენმა ეს ნაბიჯი გამიზნულად გადადგა. 1311 წლის დასაწყისში დავით VIII გარდაიცვალა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, საქართველოში ისევ გიორგი მცირე მეფობს „ორ წელ[ს] მეფე ქმნული“. ამავე დროს ჟამთააღმწერლის თხრობა ამ ნაწილში, შესაძლოა, შევსებულიც იქნეს. მართლაც, შემორჩა ერთი უნიკალური დოკუმენტური წყარო, რომელიც ამ დროის საქართველოს ვითარებას ოდნავ სხვაგვარად წარმოგვიდგენს. ამ წყაროს მიხედვით, 1311 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე სხვა პიროვნება — დიმიტრი ჩანს[23]. ეს დიმიტრი დღემდე არ არის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ იდენტიფიცირებული. თუმცა აზრი მისი ვინაობის შესახებ ა. შანიძემ გამოთქვა, მაგრამ მისი მოსაზრება, ვფიქრობთ, მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზას წარმოადგენდა. ა. შანიძეს

---

21 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 322.

22 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 322—323; ძეგლი ერისთავთა, დასახ. გამოცემა, გვ. 106; ეს წყარო აღნიშნავს, რომ დავითისა და ვახტანგის გარდაცვალების შემდგომ: „დაიპყრა მეფობაი გიორგი, ძემან დავითისამან“.

23 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 354—362 (დანართი რუსულ ენაზე); აგრეთვე, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ძლევაი“, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 25—31.

შიაჩნდა, რომ დიმიტრი, შესაძლოა კონსტანტინე ნარინის ძის (დას. საქართველოს მეფე 1293 წ-დან) ვაჟი და თანამესაყდრე იყო. ამავე დასძენს, რომ სიტყვა „შესაძლო“-ს ნმარობს იმიტომ, რომ მასზე სხვა ცნობები არ არის[24]. ვფიქრობთ, ეს დიმიტრი რომ კონსტანტინეს ძე არ არის, დავას არ უნდა იწვევდეს. ვახუშტის, ჟამთააღმწერლისა და „ქართლის ცხოვრების“ ერთი მინაწერის მიხედვით, შესანიშნავად ჩანს, რომ კონსტანტინე უშვილო იყო და ტახტს ძმა მიქელი ეცილებოდა, რასაც მიაღწია კიდეც 1327 წ. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ[25].

ჩვენი აზრით, ეს დიმიტრი არის ვახტანგ III-ის მცირეწლოვანი ძე, რომელსაც, ჟამთააღმწერლის სიტყვით, მამის სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო დმანისი „აქუნდა“[26]. ასე, რომ პეტრიწონის 1311 წლის წარწერის დოკუმენტური მოწმობით, ამ წელს დასავლეთ საქართველოში კონსტანტინეს (ნარინის ძე) მეფობასთან ერთად, საქართველოში მეფობს აგრეთვე დიმიტრიც: „ხოლო ქართლს (მეფობასა. — ვ. კ.) კონსტანტინესა და დიმიტრისა, ბაგრატონიაინთასა“[27] — ნათქვამია პეტრიწონის ხატის ჭედურ წარწერაში. ზემოთქმულიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა — ვახტანგ III-ის და დავით VIII-ის შემდეგ, მცირე ხნით მონღოლებს საქართველოს ტახტზე ვახტანგ III-ის მემკვიდრეც უცვნიათ კანონიერ პრეტენდენტად. ჟამთააღმწერლის დუმილი ამ მოვლენების შესახებ იმით უნდა აიხსნას, რომ დიმიტრის იმდენად მცირე ხანი უმეფია და მისი ზეობა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, იმდენად ეპიზოდური აღმოჩნდა, რომ მასზე სპეციალურად შეჩერება ჟამთააღმწერელს საჭიროდ არ უცვნია. იმ აზრს, რომ 1311 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე სხვა პირი ზის, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ 1314 წლისთვის (მაჰმუდ ფარვანეს რუმის აჯანყების უწინარეს, რომელიც 1314—1315 წწ. მოხდა)[28] საჭირო გამხდარა გიორგი მცირის ხელმეორედ ტახტზე დასმა. მოვუსმინოთ ჟამთააღმწერელს: „ამან ოლჯათ სულთანმან, წარ-

---

24 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 354—362 (დანართი რუსულ ენაზე); აგრეთვე, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ძლევაი“, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 25—31.

25 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 801; ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 295 (შენ. I), 325 (ჩანართი).

26 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 310, 322.

27 აკ. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 358 („ქართლი“ აქ ნახმარია საქართველოს მნიშვნელობით).

28 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის კომენტარებით, თბ., 1885, გვ. 276, შენ. I, აგრეთვე — C. D'Ohsson, Histoire des Mongols, t. IV, p. 576.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოავლინა მცირე გიორგი[29] მეფედ და ზაალ მელიქი, ვინმე ხუარასნელი და ახრუნჩი, მამის ძმა ჩოფანისა თანა წარმოატანა. რა-თა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგი-სსა"; გიორგი მცირისთვის მოამაგეებად მიუჩენიათ აგრეთვე შანშე-(II) და ზაქარია მხარგრძელები[30]. კვლავ მეფედ დამტკიცებული გი-ორგი მცირე ურდოდან ჯერ სამცხეს მისულა. მისი ამალა „აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს (ჯაყელებს, — ვ. კ.) და (მათ. — ვ. კ.) არა ინებეს" (გიორგი მცირის შესაგებებლად გამოსვლა. — ვ. კ.)[31]. რო-გორც ქამთააღმწერლის თხრობიდან უნდა ვიგულისხმოთ, გიორგი მცირეს ახლა გიორგი V-ს მეურვეობა მოუშორებია და ამიერიდან ერთპიროვნულად უნდა ემეფა. სქედან კარგად ჩანს ოლჯაითუ ყაენის შორს გამიზნული მოქმედებაც. იგი გიორგი V-ს თუმცა მთლად არ უსპობს მეფობის იმედებს („წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისა-თა"). მაგრამ საქართველოს ტახტზე ზედიზედ სხვადასხვა, რეალურ ხელისუფლებას მოკლებულ კანდიდატებს სვამს. ყაენმა იცის, რომ ტახტის პრეტენდენტთა შორის გიორგი V ყველაზე ძლიერი ფიგურაა და ოლჯაითუს სიცოცხლეში, გიორგი V-მ ვერც მოახერხა თავისი მიზნის განხორციელება, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

როგორც აღნიშნული იყო, გიორგი მცირის მეორედ მეფედ დამ-ტკიცების შემდეგ, 1314/15 წლისთვის, ყაენს რუმის („საბერძნეთის") გამგებელი მაჰმუდ ფარვანე („ფარმანის შვილი") განუდგა. ამ აჯან-ყების ჩასახშობად ყაენმა ჩობან ნოინი გაგზავნა. მას თან გააყოლეს, აგრეთვე, გიორგი V, როგორც ტახტის საშიში პრეტენდენტი. ამას-თან, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, გიორგი V-სათვის ეს ერთგვარი გამოცდაც იყო და თავის გამოჩენის საშუალებაც. მართ-ლაც, იგი თავგამოდებით იბრძვის ყაენის ინტერესებისათვის რუმში „ჯავახთა და თორელთა" თანხლებით[32]. ამ დროს კი გიორგი მცი-რემ იდროვა და თბილისში შევიდა თავის ამალასთან ერთად[33] (ჩანს, შანამდე, ყაენის ბრძანებისდა მიუხედავად, გიორგი V ეწინააღმდე-გებოდა თავისი ძმისწულის ერთპიროვნულ მეფობას და თბილისში შესვლას).

ამგვარად, თუ სერიოზულად დავუკვირდებით ქამთააღმწერლის ტექსტს, აშკარა ხდება, რომ 1314 წელი გიორგი მცირის

---

29 აქ რომ გიორგი მცირე, დავითის ძე, იგულისხმება, კარგად ჩანს კონტექს-ტიდანაც და მისი თანმხლები ამალის წევრების მიხედვითაც. ასე ესმის ეს ადგილი ვახუშტი ბატონიშვილსაც. იხ. მისი. დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

30 ქამთააღმწერელი, გვ. 324.

31 იქვე, გვ. 324.

32 ქამთააღმწერელი, გვ. 324.

33 იქვე.

ერთპიროვნული გამეფების წელი ყოფილა
არა გიორგი V-ისა. ამის შემდეგ, როგორც კანონიერ ტახტის მემ-
კვიდრეს, დავით VIII-ის (დემეტრე II-ის პირმშოს), ვაჟს, სწორედ
გიორგი VI მცირეს უნდა ემეფა. მაგრამ მისმა ბიძამ, გიორგი V-მ
ბრძოლა დამთავრებულად არ ჩათვალა მან პირადი, კარგი ურთიერ-
თობა დაამყარა საილხანოს უპირველეს ნოინ ჩობანთან და ცოტა ხნის
შემდეგ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა ტახტის ბედი. შემთხვევი-
თი არ არის, რომ ჯერ კიდევ ადრე, მცირეწლოვანი გიორგი დემეტრეს
ძე, „წარავლინა ბექამ ჩოფანს თანა"[34] და არა ყაენთან, შემდეგ, 1313
წლისთვის კი, როცა გიორგი V-მ, ჩანს, თავისი კონკურენტი თავიდან
მოიშორა (ამისი ყველაზე თვალნათლივი მაჩვენებელია ჟამთააღმწერ-
ლის სიჩუმე და გიორგი VI-ის უეცარი გაქრობა მისი თხზულებიდან)
და ყაენი ოლჯაითუც გარდაიცვალა, გიორგი დიმიტრის ძემ თავისას
მიაღწია.

მოვუსმინოთ ჟამთააღმწერელს: რუმიდან მობრუნებული ჩობანი
(მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების ჩახშობას წელიწადი დასჭირვებია) შე-
მოდგომაზე ყაენთან გამოცხადდა. „მივიდა ჩოფან ყაენს წინაშე და
მცირედღა დაჰყო, ვითარცა თუეცა ერთ, მოკუდა ოლჯათ სულტანი
და დაუტევა ძე მცირე... სახელით მუსაით (აბუ-საიდი. — ვ. კ.).., ხო-
ლო ესმა რა გიორგი მეფესა სიკუდილი ყაენისა და მის წილ დადგინე-
ბა მუსაითისა, წარვიდა ურდოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩო-
ფან და შეიტკბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი სა-
ქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი და-
ვით მეფისანი და მესხნი, შვილნი ბექასანი.. და იწყო მთიებმან
აღმოჭკრვებად..."[35] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). ჟამთააღმწერლის
ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ მონღოლთა კარზე მხოლოდ ახლა და-
უმტკიცეს გიორგის ერთპიროვნული გამგებლობა, რეალურ და ერ-
თადერთ ხელისუფლად სცნეს იგი და მთელი საქართველოს (ყოველ
შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველო, სამცხის ჩათვლით) მის
სკიპტრას დაუმორჩილეს. განა ამას არ ნიშნავს ჟამთააღმწერლის ხა-
ტოვანი გამოთქმა — „და იწყო მთიებმან აღმოჭკრვებად"!

ეს ფრაზა სწორედ ისე და იმ ადგილას არის მოტანილი, როცა
ჟამთააღმწერელი აპირებს მოგვითხროს უკვე მრავალჯერ დაპირებუ-
ლი („ვითარცა ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს"-ო გიორგი V-ის მეფო-
ბის შესახებ. ჩვენ სწორედ ეს მომენტი გვაინტერესებს, თორემ ტე-
რმინი „მეფე" მას მთელი იმ დროის განმავლობაში ეწოდებოდა, რაც

---

34 ჟამთააღმწერელი, გვ. 322.
35 იქვე, გვ. 324—325.

ეკი პირველად, ფორმალურად დასვეს თბილისის ტახტზე (მაგ. „და იყო მცირე გიორგი მ ე ფ ე დ ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა“)[36].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, გიორგის გამეფებაზე ოლჯაითუს გარდაცვალების შემდეგ მიგვანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილიც, როდესაც წერს „არამედ, სიგრძე წელიწადებითა ულჯათ-ყეენის გამო, რამეთუ მან ულჯათ ყეენმან ᲘᲑ წელი (13, ე. ი. 1304+13=1317, — ვ. კ.) [ი]ყეენა და ამ წელთა აღრიცხვათა იქმნებიან ეს ორნი გიორგნი (გიორგი ბრწყინვალე და გიორგი მცირე, — ვ. კ.) ესრეთ“[37].

რადგან გიორგი V-ს მონღოლთა კარზე ერთპიროვნული და რეალური მეფობა ოლჯაითუს სიკვდილისა და აბუ საიდის ტახტზე ასვლის შემდეგ მიუღია, ადვილი დასადგენია ამ მოვლენის თარიღიც. მართალია, ქამთააღმწერელთან თარიღები საერთოდ არ იხსენიება, მაგრამ აღმოსავლური წყაროების მიხედვით ამ ყაენთა მონაცვლეობის წლების დადგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. ცნობილია, რომ ოლჯაითუ ყაენი 1316 წლის 16-დეკემბერს ანუ ჰიჯრის 716 წლის 30 რამაზანს გარდაიცვალა. აბუ საიდი კი საზეიმოდ ტახტზე ავიდა 1317 წლის საფარის თვეში, ანუ აპრილ-მაისში[38].

რაც შეეხება იმას, რომ აბუ საიდი ტახტზე 1317 წელს ავიდა, გიორგი V კი 1318 წელს გამეფდა, ეს სხვაობა ადვილი ასახსნელია. ცხადია, რომ გიორგი V-ს ურდოში გასამგზავრებლად ერთი და ორი დღე კი არ დასჭირდებოდა. არამედ არანაკლებ რამდენიმე თვისა (ჰამდალახ ყაზვინის მიახლოებითი გამოთვლით, თბილისიდან სულთანიემდე 900 კმ-მდე იყო[39]). ამასთან, გიოირგი V ურდოში გამეფების ნებართვის მიღების შემდეგ თბილისში მობრუნდა და აქ საზეიმოდ ეკურთხა მეფედ. აგრეთვე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახუშტის წყარო, გელათური გარიგების ქრონიკონების ავტორი, შესაძლოა წელიწადს საეკლესიო სტილით ე. ი. სექტემბრიდან იწყებს. 1317 წლის აპრილ-მაისიდან კი სექტემბრამდე (ე. ი. 1318 წლამდე) სულ სამიოდე თვეა.

როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, გიორგი V-მ მეფობის დამტკიცება მხოლოდ ოლჯაითუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ურდოში გამოცხადებული გიორგი V საილხანოს ფაქტიურმა გამგებელმა ჩობანმა დიდი პატივით მიიღო

---

36 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 304 (აქ „მცირე“ — მცირეწლოვანებას გულისხმობს; საქმე ეხება XIII ს. მიწურულს).

37 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 11.

38 В. В. Бартольд. Абу-Саид (Статья из энциклопедии Ислама), Сочинения, т. VII, М., 1971, с. 481.

39 იხ. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55 (ჰამდალახ ყაზვინი — „ნუზჰათ ალ-ყოლუბ“ — „გულთა სიამის“ მიხედვით).

—„განიხარა და შეიტკბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო“[40], შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ახლა საქართველოს ტახტის ამ ერთადერთი და ძლიერი პრეტენდენტის მიმართ ჩობანმა კვლავ კარგი დამოკიდებულების გაგრძელება ირჩია, რადგან ეს მისი მდგომარეობისთვისაც ხელსაყრელი იყო. მართლაც, ეპოქის თანამედროვე არაბული წყარო მოგვითხრობს (ალ-კალკაშანდი, ალ-უმარიზე — 1301-1349 დაყრდნობით), რომ ჩობანი იყო საქართველოს მეფის „გულწრფელი მეგობარი... და ყველაზე უანგარო გულწრფელ მეგობართა შორის (საქართველოს მეფე. — ვ. კ.) მოუხმობდა მას (ჯუბანს) მნიშვნელოვანი საქმების დროს და სთხოვდა დახმარებას“[41]; მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი დამოკიდებულება თვით ჩობანისა და მისი მემკვიდრეებისთვისაც ხელსაყრელი ყოფილა[42], რადგან მონღოლ დიდმოხელეთა მუდამ ცვალებადი ბედი ხშირად კეთილმოყვარეთა რიცხვზე და ერთგულებაზე იყო დამოკიდებული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გიორგის გამეფების ჟამს ილხანებს საქართველოსათვის სრულიად არ ეცალათ. აღმოსავლური წყაროების ცნობით, სწორედ 1318—1319 წწ. ახალგაზრდა ყაენს (ფაქტიურად ჩობანს) რამდენიმე მკაცრი განსაცდელი ერთად დაატყდა თავს. აჯანყდა საქართველოს ნაცვალი ყურმიში, განდგა ხორასნის უფლისწული იასავური, ამასთან ოქროს ურდოს ყაენი უზბეკი და ეგვიპტის სულთანი შეიჭრნენ საილხანოს ტერიტორიაზე (იხ. ქვემოთ). უეჭველია, ამ ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ გაუშვებდა გამოცდილი პოლიტიკოსი გიორგი V. მეორე მხრივ, სწორედ ამ კრიტიკული სიტუაციით უნდა აიხსნას ჩობანის ესოდენი „წყალობა“ („მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“...) გიორგის მიმართ.

ასეთია იმ რთული „მრავალმეფიანობის“ პერიოდის დასასრული, რომელსაც მხოლოდ 1318 წელს გიორგი V-ის ტახტზე ასვლით მოეღო ბოლო[43].

*

* *

ამგვარად, ჰაფეზე აბრუს სიტყვით, საილხანოში ამ დროს „აჯანყებებსა და განდგომილებას ცოტა-ცოტა ყველგან ჰქონდა ადგილი

---

40 ქართველი, გვ. 325.

41 В. Г. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди..., с. 211—212.

42 იქვე.

43 უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ გიორგი V უცხოურ წყაროებში პირველად მხოლოდ 1321 წლიდან იხსენიება (სომხური ანდერძ-მინაწერები, რომის პაპის წერილები).

აბუ საიდის სამეფოში"[44]. როგორც აღინიშნა, გარდა იმისა, რომ ჩრდილოეთიდან საილხანოს კვლავ უზბეკ ყაენმა შემოუტია, საზღვარი ლაღარღვია ეგვიპტის სულთანმაც. აჯანყებამ იფეთქა ხორასანშიც. იქიდან აბუ საიდს შემოუტია ჩაღატაელმა უფლისწულმა იასავურმა. ამ აჯანყების ჩახშობა ისევ ჩობან ნოინმა იკისრა. ამავე წელს განდგა საქართველოს მონღოლი ნაცვალი— ყურმიში ალინაყის ძე (საინტერესოა, რომ მას ჟამთააღმწერელიც ახსენებს XIII ს. მიწურულის ამბებთან დაკავშირებით)[45]. არ ვიცით, ყურმიშის განდგომილებისას რა პოზიცია ეკავა საქართველოს მეფეს გიორგი V-ს. დ. ლანგი ვარაუდობს, რომ გიორგი V აქტიურად დაეხმარა ჩობანს და აბუ საიდს ამ აჯანყების ჩახშობაში და ამის სანაცვლოდ აბუ საიდმა ამოუკვეთა რიგი ვალდებულებანი საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ქ. ანისს[46]. შესაძლოა, გიორგი V-მ ამ ეტაპზე, მართლაც, არ ჩათვალა საჭიროდ ილხანთა წინააღმდეგ გალაშქრება და ლოიალობა შეინარჩუნა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყურმიშის განდგომილებასთან ანისის წარწერას უშუალო კავშირი არ უნდა ჰქონდეს. შესადარებლად შეიძლება გავიხსენოთ, რომ ცოტა უფრო ადრე ყაენმა ოლჯაითუმ დაახლოებით ასეთივე ბრძანება გასცა და ქვაზე ამოაკვეთინა იგი ქ. ბაქოს („ბაქუიე") შესახებაც. ამ იერლაყშიც საქმე ეხებოდა რიგი ვალდებულების (ყოფჩური, ნეფტი, უფრი და ა. შ.) ამოკვეთას ამჯერად ბაქოსა და მიმდებარე რაიონის მცხოვრებთათვის[47]. ასეთივე შინაარსისაა აგრეთვე აბუ საიდის 1330 წლის ბრძანება, რომელიც ამოკვეთილი იყო მცირე აზიაში, ქ. ანგორის (ანკარის) ერთ-ერთ კარიბჭეზე (აქაც ლაპარაკია ყოფჩურის გადასახადის გაუქმებაზე)[48].

ყურმიშის შეთქმულება თავდაპირველად წარმატებით დაიწყო, რადგან მთელი რიგი გავლენიანი ნოინები ემირ ჩობანის ერთპიროვნული გამგებლობის უკმაყოფილო იყვნენ. წყაროების ჩვენებით, „ყურმიშიმ ალინაყის ძემ და რამდენიმე ემირმა შურით დაუწყეს ცქერა ემირ ჩუბანის მდგომარეობას და შემთხვევას ეძებდნენ (რომ რაიმე ევნოთ მისთვის, ვ. კ)"[49]. ემირები განსაკუთრებით აღუშფოთებია იმას, რომ ჩობანმა ყურმიში და ზოგიერთი სხვა პირი აბუ საიდთან დაასმინა და საჯაროდ ჯოხით ცემა მიუსაჯა[50]. დასჯის ეს ფორმა

---

44 ჰაფეზე აბრუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

45 ჟამთააღმწერელი, გვ. 292.

46 D. Lang, Georgia in the reign of Ciorgi the Brilliant, p. 80.

47 Али-Заде А. А., Социально-экономическая и политическая история Азербайджана в XIII—XIV вв., с. 208—209.

48 იქვე, გვ. 209.

49 ჰამდალახ ყაზვინის „რჩეული ისტორია" და მისი გაგრძელებები. იხ. В. Г. Тизенгаузен, сборник материалов, т. II, с. 92.

50 ჰაფეზე აბრუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ვათვალისწინებული იყო ჩინგიზ ყაენის კოდექსით, მაგრამ მას უკვე აღარ იყენებდნენ, ამიტომ ჩობანის ამ ახალმა წამოწყებამ განსაკუთრებით აღაშფოთა ნოინები. ემირებმა გადაწყვიტეს, რომ შესაფერისი დრო დადგა ჩობანზე თავდასხმისათვის, მაგრამ შეთქმულთა გეგმები ჩობანს გაუმჟღავნა ემირთა შორის მყოფმა ერთმა მისმა მომხრემ. ამის მიუხედავად, შეთქმულებმა პირველ ხანს წარმატებებს მიაღწიეს. ისინი ქ. თავრიზსაც კი მიადგნენ და სულთანიესკენ აპირებდნენ გალაშქრებას[51]. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბრძოლას, სპარსული წყაროს ცნობით, ადგილი ჰქონდა გურჯისტანში, გოგჩის ტბის მახლობლად, ციხესიმაგრე დაღ-თან. აქ ჩობანი და მისი მომხრენი დამარცხდნენ. თვით ჩობანი ცხენიდან ჩამოვარდა და ძლივს მოასწრო გაქცევა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქ. ზენჯანთან (თავრიზსა და სულთანიეს შორის). სისხლისმღვრელ ომში ყურმიში სასტიკად დამარცხდა[52]. ამგვარად, ამჯერად ჩობანმა გაანადგურა თავისი მტრები.

საილხანოში ასეთი ვითარება, ცხადია, ხელს უწყობდა საქართველოს ახალ ხელისუფალს მოეგვარებინა თავისი ქვეყნის საშინაო პრობლემები. ამ საქმეში მას დიდად შეუწყო ხელი ჩობან ნოინთან კეთილი ურთიერთობის დამყარებამაც. ჩობან ნოინის — ილხანთა კარის ბეგლარ-ბეგის ანუ მთავარი ემირის, ხელისუფლება თითქმის შეუზღუდავი იყო. 12 წლის ყაენი აბუ საიდი კიდევ დიდხანს თვითონ ვერ შესძლებდა ქვეყნის დამოუკიდებლად მართვას. სპარსული წყარო მოგვითხრობს: „719 წელს (1319/20 წ.), რადგანაც აბუ საიდი ისევ მცირეწლოვანი იყო, ჩობანმა მისი სახელმწიფოს მართვა თავის ხელში აიღო“[53].

ჩობანისა და გიორგი V ურთიერთდამოკიდებულება, ცხადია, პოლიტიკური მოტივებით განპირობებული და ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იყო. არაბი ავტორი ალ-კალკაშანდი (ალ-უმარიზე დაყრდნობით) განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს ჩობანის „ქველმოქმედებასა“ და კეთილგანწყობილებას ქართველთა მეფის მიმართ[54]. ჩვენი აზრით, ჩობანის ასეთი დამოკიდებულება დამორჩილებული ქვეყნის მესვეურისადმი, პირველ ყოვლისა, ილხანთა სახელმწიფოს აშკარა დასუსტების მაჩვენებელია. სხვაგვარად ესმის წყაროს ეს ცნობა ინგლისელ ქართველოლოგს დ. ლანგს[55]. იგი საერთოდ არ აღნიშნავს ამ

---

51 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. ნაშრომი, გვ. 74—76.

52 ა ბ უ ბ ა ქ რ ა ლ ა ჰ რ ი, დასახ. ნაშრომი (ინგლისური თარგმანი), გვ. 52.

53 შეიხ უვეისის ისტორია, იხ. ვ. ტ ი ზ ე ნ გ ა უ ზ ე ნ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 100.

54 В. Г. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах, с. 211.

55 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. სტატია, გვ. 80, 83.

ორი მოღვაწის კეთილი ურთიერთობის პოლიტიკურ საფუძველს, სა-თანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს, აგრეთვე, თავის მხრივ, გიორგი V-ის ჩობანისადმი მომხრეობის მნიშვნელობას. ამის გარეშე კი ისტორიულად გაუმართლებელი ხდება ჩობანის მიერ საქართველოს „უანგარო მფარველობა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბული წყარო გიორგი V-ის სახელს რატომღაც ძლიერ დამახინჯებული ფორმით („ბრტლემა“) იხსენიებს. ამის გამო ამ მეფის იდენტიფიკაციისას ზოგჯერ გაუგებრობას აქვს ადგილი. რითაც არ უნდა იყოს გამოწვეული აღნიშნული სახელის ასეთი დამახინჯება, არაბული წყაროს ფაქტიური მონაცემებით აშკარაა, რომ აქ არ შეიძლება გიორგი V-ის გარდა სხვა პირი ვიგულისხმოთ. უკანასკნელ დროს ეს დამაჯერებლად აჩვენა დ. გოჩოლეიშვილმა[56].

ჩობან ნოინთან ასეთ დამოკიდებულებას გიორგი V იმისთვის იყენებდა, რომ ქვეყანას ძალა მოეკრიბა. შეწყვეტილიყო მონღოლთა პერიოდული შემოსევები და სახელმწიფო ეკონომიკურად მომძლავრებულიყო. ყველაფერი ეს მონღოლთა უღლის გადაგდების წინაპირობას წარმოადგენდა.

ზემოთ ნახსენები არაბული წყაროს (ალ-კალკაშანდი, ალ-უმარი) ცნობით, საქართველოში ჯერ კიდევ მოდიოდა ილხანთა ყაენის „იერლაყები“ (ფირმანები, ბრძანებები), მაგრამ წყაროს მიხედვითვე ჩანს, რომ ისინი ფორმალური ხასიათისა იყო. ამავე დროს, საქართველოში მონღოლთა დამსჯელ ლაშქრობებს ბოლო მოჰღებია: („სულთნის) ნაკადი (ლაშქარი) არ იღვრება მასში (საქართველოში) და მხედარნი არ იჭრებიან ქვეყანაში გამანადგურებელი ომის გასაჩაღებლად“[57] — გვამცნობს ეს წყარო.

ამ პერიოდში გიორგი V-მ განახორციელა მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო ღონისძიებანი. მან ალყა შემოარტყა „ოვსთა გორს მსხდომთა“ და „ჰბრძოდა სამ წელ“[58]. ეს ბრძოლა „ძეგლი ერისთავთა“-ს გარდა აღნიშნული აქვთ ვახუშტი ბატონიშვილსაც და ჟამთაღმწერელსაც[59]. ჟამთაღმწერელი ხატოვნად წერს, რომ ქ. გორი ოსებს ხელში ჩაუგდიათ XIII ს. 90-იან წლებში, როდესაც „იწყეს ოვსთა ოჯრებად, ჯოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა“. ქართველებს ქართლის ერისთავის ამადა ბეგას ძის მეთაურობით უცდიათ

---

56 დ. გ ო ჩ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები (ისტორიის... სერია), ტ. 184, თბ., 1977, გვ. 269—270.

57 В. Г. Тизенгаузен. Заметка Элькалькашанди., с. 211.

58 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 106.

59 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 256.

გორის გამოხსნა, მაგრამ უშედეგოდ. გარდა იმისა, რომ ორივე მხარე ძლიერ დაზარალებულა, თურმე: „დასწუეს გორი სრულიად“. ალყაში მოქცეულ ოსებს უცხო ძალისთვის — მუხრანში მდგომი თათრებისთვის მიუმართავთ, რამაც იმჟამად იხსნა კიდევაც ისინი. ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ ასე გრძელდებოდა მანამ, „ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან, სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა“-ო ოსნი[60]. ამავე ხანებში გიორგი V-მ მნიშვნელოვანი დიპლომატიური აქცია განახორციელა. ეგვიპტეში („მისრეთს“) ძღვნით გაგზავნილმა მისმა ელჩებმა — პიპა ქსნის ერისთავის ძემ და დეკანოზმა იოანე ბანდაის ძემ შეძლეს გიორგი V-ის „ყოველი სათხოვარის“ აღსრულება. მათ, მაგალითად, მიუღიათ „კლიტენი იჩრუსალიმისანი“, რაც განსაკუთრებით დიდი პატივი იყო, რადგან ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტეს გულისხმობდა. ამიტომ იყო, რომ „ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცეს კლიტენი ქართველთა“[61].

სადავოდაა გამხდარი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის მაჰმადიანთა ხელიდან გამოხსნის თარიღი. ზევით დასახელებული წყაროს (ალ-კალკაშანდი, ალ-უმარი) მიხედვით, ჯვრის მონასტერი ქართველებს გიორგი ბრწყინვალემ დაუბრუნა. მაგრამ სხვა არაბული წყაროების (ალ-მაკრიზი, ალ-აინი, მუჯირ ად დინი) მიხედვით, ეს გიორგი V-მდე მოხდა. აქედან გამომდინარე, ელ. მეტრეველი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ცნობების მოშველიების საფუძველზე ასკვნის, რომ ეს მონასტერი ქართველებს დაუბრუნდათ 1305 წელს[62], მაგრამ საქმე ის არის, რომ ზემოთ დასახელებულ არაბ ავტორებთან — ალ-მაკრიზთან (1364—1462) და ალ-აინისთან (1361—1451) მოცემულია ჯვრის მონასტრის გამოხსნის ორი თარიღი: 1305 და 1310 წწ. ამ უკანასკნელ წელს ასახელებს აბულ-ფადაილიც[63]. დ. გოჩოლეიშვილი, ელ. მეტრეველისგან განსხვავებით, ჯვრის მონასტრის გამოხსნის უეჭველ თარიღად 1310 წელს მიიჩნევს[64]. ჩვენ ვფიქრობთ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გამოხსნის შესახებ ცნობათა ასეთი სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს არამყარი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ჯვრის მონასტერი ხელიდან ხელში გადადიოდა და საჭირო გამხდარა მისი რამდენჯერმე გამოხსნა. ამით უნდა აიხსნას მისი გამოხსნის ხელახალი ცდები გიორგი V-ის დრო-

---

60 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ, გვ. 296.

61 „ძეგლი ერისთავთა“, დასახ. გამოცემა, გვ. 107.

62 ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 41—48.

63 დ. გ ო ჩ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 268.

64 იქვე, გვ. 268.

საც. ცხადია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობა პირდაპირ არ იძლევა იმის საბუთს, რომ „სათხოვართა“ შორის ჯვრის მონასტრის კვლავ დასახ-ნებაც ვიგულისხმოთ, მაგრამ არაპირდაპირ ამაზე მიგვანიშნებს წყაროში ნახმარი ფრაზა „აღსრულება ყ ო ვ ლ ი ს ა (ხაზი ჩვენია, ვ. კ.) სათხოვრისაი მისისაი“[65] (ე. ი. გიორგი მეფისა. — ვ. კ.). აქედან ჩანს, რომ ერთი საკითხი კი არ იყო ეგვიპტის სულთნის კარზე გადასაწყვეტი (მაგ., ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტის მიღება), არამედ რამდენიმე. გიორგი V-ის დიდ ღვაწლზე ჯვრის მონასტრის მიმართ მიუთითებს ისიც, რომ ამ მონასტერში სულ ცოტა 5—6 აღაპია განწესებული გიორგი ბრწყინვალისათვის და ბევრი მათგანი განსაკუთრებით საპატიო მარხვა-ზატიკის კვირაზე მოდის[66]. ერთი აღაპი კი, რომელიც დღეს აღარ იკითხება, მაგრამ XVII ს-ში თავისუფლად განირჩეოდა, გიორგი V-ს „ჯვარის მეორედ მაშენებელს“ უწოდებდა[67]. ჯვრის მონასტრის გამოხსნა გიორგი V მიერ (ალ-უმარის ცნობა) უდავოდ მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს[68]. გიორგი V დროს საქართველოდან ეგვიპტეში სულ ცოტა ორი ელჩობა ჩასულა—1316/17 და 1320 წლებში[69]. 1316/17 წ. ეგვიპტის სულთნის ალ მალიქ ან ნასერის (სულთნობდა 1293 წლიდან წყვეტილად 1341 წლამდე) კარზე ელჩების განსაკუთრებით დიდ რაოდენობას მოუყრიათ თავი. ამ წელს ეგვიპტეს სწვევიან: უზბეკის (ოქროს ურდოს ყაენი), თოღაის (უზბეკის ნათესავი), ბარსელონის ხელმწიფის, სტამბულის (ე. ი. ბიზანტიის) ხელმწიფის, ნუბიის მეფის და ქართველთა მეფის ელჩობანი[70] 1320 წლის 8 მაისს კი, საქართველოს ელჩებს გარდა, ეგვიპტის სულთანს ჰხლებიან უზბეკისა და ლასკარისის ელჩები[71]. 1322/23 წლისთვის, ალ-აინის ცნობით, ოქროს ურდოს ყაენ უზბეკს წერილი გაუგზავნია ეგვიპტის სულთანთან. უზბეკი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ მის წარგზავნილ შეიხ ნომანს „აუკრძალეს იერუსალიმში აეგო მეჩეთი მაღალი ალაჰის თაყვა-

---

65 „ძეგლი ერისთავთა“, დასახ. გამოცემა, გვ. 107.

66 ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

67 ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზ. კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 805.

68 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 269—271.

69 В. Г. Т и з е н г а у з е н, Сборник материалов... ,т. I, с. 170, 437, 440; აგრეთვე: ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968, გვ. 93—104. შესაძლოა, 1316/1317 წწ. ელჩობა გიორგი VI მცირემ გააგზავნა ეგვიპტეს.

70 ა ლ-მ ა კ რ ი ზ ი, იხ. В. Г. Т и з е н г а у з е н, Сборник материалов, т. I, с. 437.

71 ა ლ-მ ა კ რ ი ზ ი, ა ნ ნ უ ვ ე ი რ ი, ა ლ-ა ი ნ ი, იხ.: В. Г. Т и з е н г а у з е н, Сборник материалов, т. I, с. 170, 440, 520.

ნისსაცემად, იმ დროს როცა საქართველოს მეფეს (გიორგი V. — ვ. კ.) ნება დართეს (იქ) ეკლესია აეგო"[72].

ქართველი ელჩების წარმატება საქართველოს გაზრდილი საგარეო ავტორიტეტის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყნის შინაგანი მომძლავრების გამოძახილი იყო. საქართველოს გაზრდილ საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს, აგრეთვე, ეგვიპტის სულთნების საქართველოს მეფისადმი მიმართვის წესი და ფორმა: „დღეგრძელყოს ალაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა... თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (ე. ი. მართლმადიდებელთა. — ვ. კ.) მეფეთა შორის საუკეთესოსი... რუმის და ერანის ქვეყნების დამცველისა... ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, წმინდა ადგილთა განმადიდებელისა... რომის პაპის მეშველისა"[73] და ა. შ. (ტექსტი მოგვყავს მცირედი შემოკლებით. — ვ. კ.).

XIV ს. 20-იან წლებში გიორგი V ღონისძიებათა შედეგად აღიკვეთა მტრის თარეში, მოისპო „მრავალმეფიანობა", ქვეყანა ეკონომიკურად მომაგრდა, სამცხე-საათაბაგოს გამდგარ სამთავროში მეფის გავლენა გაიზარდა[74].

რადგანაც საქართველოში შინავითარება საგრძნობლად მოწესრიგდა, გიორგი V ახლა საგარეო ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ თავისი მიზანი — მონღოლთა განდევნა, განეხორციელებინა. ნიკ. ურბნელის სამართლიანი შეფასებით, ამ პერიოდში „მეფე გარემოებას აკვირდებოდა, დროების შესაფერად იქცეოდა"[75].

ამასობაში, საილხანოში კვლავ გართულდა სიტუაცია. 1321 წელს აბუ საიდს ყარაბაღში მოახსენეს, რომ საქართველოს ემირები ისევ განდგნენ. ამჯერად ყაენის წინააღმდეგ აჯანყებას მეთაურობდნენ მონღოლი მომთაბარე ფეოდალი არყანაი და ვინმე ყაზან ოღლანი (ოღული).

---

72 იქვე, გვ. 524.

73 В. Г. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах..., с. 213—214; საინტერესოა, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს მეფისადმი მიმართვის ეს ფორმულა დაცული აღმოჩნდა XIV ს. არაბი ავტორის ალ-საფადის დიპლომატიური ხასიათის შრომაში. ამ ხელნაწერის დედანი ინახება ქ. ბაქოს ხელნაწერთა ინსტიტუტში. ცნობა მოგვაწოდა აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. ფარზალიევმა.

74 ამ პერიოდში გიორგი V-მ თავის ბიძას სარგის II ჯაყელს უბოძა ათაბაგობისა და ამირსპასალარობის სახელოები; იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 256.

75 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 67.

არყანაიმ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და ილხანად „დასვა“ ყაზან ოღლანი. მათ საქართველოში ციხესიმაგრეები გაუმაგრებიათ, ჯარი საბრძოლველად მოუმზადებიათ. ყაენის ჯარებსა და განდგომილებს შორის ბრძოლა მოხდა საქართველოში ერთ-ერთ ასეთ გამაგრებულ ციხესიმაგრესთან, რომლის სახელი წყაროში დასახელებული არ არის. ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაგზავნილმა 10 000 ჯარისკაცმა პულად-ქაბის მეთაურობით აჯანყებულებს 3 დღის ბრძოლის შემდეგ სძლია. ამ განდგომილების ჩახშობის შემდეგ ყაენს მოახსენეს, რომ საქართველოში მონღოლთა გარნიზონი საკმარისი არ იყო და საჭირველი იქნებოდა მისი გაზრდა[76]. ჯერ ეს ამბავი არ იყო მოგვარებული, რომ 1322 წელს რუმის მმართველმა, ჩობან ნოინის ვაჟმა თიმურტაშმა, თავი დამოუკიდებელ მბრძანებლად გამოაცხადა და დაიწყო საკუთარი მონეტის მოჭრა. მას სირიასა და ეგვიპტეშიც გაუგზავნია წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებდნენ აბუ საიდ ყაენის წინააღმდეგ გალაშქრებას. ეს განდგომილებაც მალე სასტიკად ჩაახშო თვით ჩობან ნოინმა. აჯანყების ყველა ხელმძღვანელი, თიმურტაშის გარდა, სიკვდილით დასაჯეს. ეს უკანასკნელი კი ყაენმა შეიწყალა[77]. გიორგი V-მ, როგორც ჩანს, ამჯერადაც ლოიალობა შეინარჩუნა აბუ საიდისა და ჩობანის მიმართ, რადგან დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად დრო ჯერ შესაფერისად არ მიაჩნდა.

---

76 ჰაფეზე აბრუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

77 იქვე, გვ. 89.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

საქართველო XIV ს. 30-იან წლებში

§ 1. მონღოლთა ბატონობის დასასრული

> Adversus necessitatem ne dii quidem resistunt.
> „აუცილებლობის წინაშე თვით ღმერთებიც უკან იხევენ".
>
> ლათინური ანდაზა.

ამრიგად, XIV ს. 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მონღოლთა უღლის გადაგდებისათვის საშინაო პირობები მომზადებული იყო. მალე ხელსაყრელი საგარეო მომენტიც დადგა.

საილხანოში მეტად დაიძაბა ურთიერთობა ყოვლისშემძლე გიორგი V-ის მეგობარ ემირ ჩობანსა და ყაენ აბუ საიდს შორის. სრულწლოვანებას მიღწეულ ყაენს უკვე ამძიმებდა ჩობან ნოინის შეუზღუდავი ხელისუფლება. აბუ საიდს არ მოსწონდა, რომ სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვან პოსტზე ჩობანის შვილები და ნათესავები იყვნენ დანიშნული. თიმურტაშს რუმი ემორჩილებოდა, შეიხ მაჰმუდს — საქართველო, ჰასანს ხორასანი ეკავა. თალიში (ჰასანის ვაჟი) ფარსისა და ქერმანის ემირი იყო. დიმიშქ-ხოჯამ კი ადერბაიჯანი და ორივე ერაყი (სპარსეთისა და არაბეთისა) თავის კერძო საკუთრებად აქცია. XIV ს. სპარსული წყაროს ცნობით, ამ პირობებში აბუ საიდის ხელისუფლება იმდენად ფორმალური იყო, რომ მას თავისი სუფრის გაწყობის უფლებაც არ ჰქონდა. ყოველდღიური მისი ნორმა თურმე მხოლოდ ორი ჩიტით განისაზღვრებოდა[1]. ამას ისიც ემატებოდა, რომ სხვა ნოინებს შურდათ ჩობანის გავლენისა და ხშირად ასმენდნენ მას ყაენის წინაშე. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ აბუ საიდისა და ჩობანის მომხრეთა

---

1 აბუ ბაქრ ალ აჰრი, შეიხ უვეისის ისტორია, ჰაგა, 1954 (ინგლისური თარგმანი), გვ. 54.

შორის შეიარაღებულმა შეტაკებებმაც იჩინა თავი. ჩობანის ერთ ერთი ვაჟი — ჰასანი არწმუნებდა კიდეც მამას, დაუყოვნებლივ ... აჯანყება მოეწყოთ ყაენის წინააღმდეგ. ჰასანი დარწმუნებული ყოფილა, რომ როდესაც ამ აჯანყების ამბავს მისი ძმები, რუმისა და საქართველოს გამგებლები თიმურტაში და მაჰმუდი გაიგებდნენ, „ისინი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ააჯანყებდნენ საქართველოსა და რუმის ჯარებს“[2]. მაგრამ ჩობანმა ეს წინადადება რატომღაც უკუაგდო.

ზევით დასახელებული სპარსული წყაროს ცნობით, როდესაც ჩობანმა შეიტყო, რომ აბუ საიდი მასთან შებმას აპირებდა, განაცხადა: „მე ვიკისრე ვალდებულება, არ აღვმართო მახვილი ჰულაგუს ტახტის წინააღმდეგ“-ო. შემდეგ ჩობანმა თავის მოკავშირეს ჰერათის მფლობელ ნასირ ად დინს (ზოგიერთ წყაროში ღიას ად დინი) შეაფარა თავი. მაგრამ მალე, ღიას ად დინმა იგი მოღალატურად მოკლა ჰერათის ციხესიმაგრეში[3]. ეს მოხდა 1327 წელს. ჩობანის თითქმის ყველა შვილმა და მახლობელმა იგივე ბედი გაიზიარა. საქართველოს გამგებელი მაჰმუდი, მაგალითად, ოქროს ურდოს ყაენთან გაიქცა, მაგრამ სიკვდილს ვერ გადაურჩა. XIV ს. უცნობი სომეხი ავტორი ამ დრამატულ ამბებს ასე გადმოგვცემს: „775 (1326) წელს ბუსაიდი (აბუ საიდი. — ვ. კ.) სდევნიდა ჩობანს, რომელსაც მანამდე მთელი ქვეყნის მართვა-გამგებლობა ეპყრა ხელთ. ის (ჩობანი. — ვ. კ.) გაქცევისას მოკვდა“[4]. გავლენიანი და ძლიერი პოლიტიკოსის სიკვდილმა საილხანოს დაშლა დააჩქარა. აბუ საიდმა ველარ შეძლო ილხანთა უზარმაზარი სახელმწიფოს დამორჩილება. ირანში არეულობა დაიწყო. ეს სიტუაცია შესანიშნავად იცის ვახუშტი ბატონიშვილმა: „ხოლო შემდგომად სიკუდილისა ჩოფან ნოინისა, იკლეს რაიმე ნოინთა მუსაით-ყეენისაგან, სიყრმისათჳს მისისა“[5] (ე. ი. ნოინები აღარ ემორჩილებოდნენ აბუ საიდ ყაენს, ვ. კ). ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიას“ კი იგივე ამბავი ასე გადმოუცია: „გიორგი მეფის ჟამში ჩინგიზ-ყეენთა (ე. ი. მონღოლებს. — ვ. კ.) მტერობა აღუჩნდათ და წახდნენ“[6].

ვახუშტი ბატონიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ თუ ჩობანის სიკვდილის შემდეგ ნოინები ყაენს აღარ ემორჩილებოდნენ. აბუ საიდის

---

2 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101.

3 ა ბ უ ბ ა ქ რ ა ლ ა ჰ რ ი, დასახ. გამოცემა, გვ. 55.

4 Выдержки из «Хроники» неизвестного автора, Армянские источники о монголах, перевод и комментарий А. Г. Галстяна, М., 1962, с. 86.

5 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

6 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 325 (ეგნატაშვილის კომისიის ჩანართი-შენიშვნა).

გარდაცვალებისთანავე საილხანო დაიშალა. „განდგნენ ნოინნი თვისთვისად და რომელთამე დაიპყრეს სპარსეთი, სხუამან—ხუარაზმი, სხუამან — ერაყი, სხუამან — ადრაბაგანი (სამხრეთ აზერბაიჯანი. — ვ. კ.) და სხუათა — საბერძნეთნი“[7] (რუმი. — ვ. კ.) — წერს ვახუშტი. ჰაფეზე აბრუს სიტყვით, აბუ საიდი გარდაიცვალა ილხანთა ისტორიის ერთ-ერთ კრიტიკულ პერიოდში, როცა ჩრდილოეთიდან ჰულაგუს ჩამომავლებს კვლავ შემოუტია უზბეკ ყაენმა. აბუ საიდს გადაწყვეტილი ჰქონია, თვითონ დაესწრო მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ყარაბაღში 1335 წლის 30 ნოემბერს[8]. ამის შემდეგ, ჰაფეზე აბრუს მოწმობით, დიდი რაოდენობით მოქიშპეთა და პრეტენდენტთა ხელში ყაენის ტახტი სათამაშოდ ქცეულა.

ბრძოლა უზბეკის წინააღმდეგ აწარმოა ახალმა, ფაქტიურად მარიონეტმა ყაენმა არფამ. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მდ. მტკვართან შეხვდნენ. მოულოდნელად უზბეკმა დატოვა პოზიცია და უკან დაიხია. აბუ ბაქრ ალ აჰრის სიტყვით, იმ წელს ძალიან ცოტა წვიმა მოვიდა და უზბეკის უამრავ ცხენს ბალახი არ ყოფნიდა მოსაძოვად. გაბრაზებულ ჩრდილო ულუსის ყაენს მდ. მტკვრისათვის მახვილი დაუკრავს და უთქვამს: „(ამიტომ) ხართ (თქვენ) გულადად“-ო![9]. მას განზრახული ჰქონდა კვლავ ელაშქრა ირანის მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს განზრახვა ვეღარ განახორციელა[10].

ილხანთა ტახტს, მართლაც, ბევრი პრეტენდენტი აღმოუჩნდა. რადგანაც ახალგაზრდა აბუ საიდი უმემკვიდროდ გარდაიცვალა. დაძაბული ბრძოლებისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ, რაშიდ ად-დინის ვაჟის, ღიას ად დინ მუჰამედის აქტიური ქმედების შედეგად 1336 წელს ილხანთა ტახტზე აღმოჩნდა არფა-ხანი; იგი ჩინგიზ ყაენის უმცროსი ძის შორეული ჩამომავალი იყო, მაგრამ ყაენის ტახტი მყარად ვერ ეპყრა ხელთ. ის, რომ ახალი ყაენის მდგომარეობა და უფლებები საკმაოდ შეზღუდული იყო, ჩანს მისი საკუთარი სიტყვიდანაც, რომელიც მას გაყაენებისთანავე წარმოუთქვამს. იმ დროს, როდესაც აბუ საიდი და სხვა ყაენები თავის თავს „მსოფლიო მბრძანებლის“ და „უდიდესისა“ თუ „უმაღლესის“ ეპითეტებით ამკობდნენ, არფა-ხანს განუცხადებია:

---

7 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256; აგრეთვე. ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოსა და ჩობანიანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ..., გვ. 501—502.

8 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

9 ა ბ უ ბ ა ქ რ ა ლ ა ჰ რ ი, დასახ. გამოცემა, გვ. 59. სიტყვასიტყვით წყაროში წერია:“ ამიტომ ხარ შენ გულადი“! (აღდგენა ჩვენია).

10 ა ლ - უ მ ა რ ი, იხ. В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов.... т. I, с. 235.

„მე არ მივილტვი დიდებისაკენ, როგორც ჩემი ძლიერი წინამორბედი სულთნები. მე მინდა ოქროს ქამარი კანაფით შევცვალო, ბალიშებს გვირგვინის ნაცვლად მხოლოდ წითელი თავსაბურავი ვატარო“[11]. არფას გაუთავისუფლებია ყველა პატიმარი, რომელიც აბუ საიდის მიერ იყო დატყვევებული. მისი ყაენობა ექვს თვეს გაგრძელებულა. არფას მაშინვე აუჯანყდა აბუ საიდის ბიძა ალი ფადიშაჰი. მან მალე ჩამოაგდო ტახტიდან არფა ყაენი. შემდეგშიც მარიონეტი ყაენები ძალიან სწრაფად იცვლებოდნენ. არფა სულ მცირე ხნით შეცვალა მუსამ (ბაიდუს შვილიშვილმა). შემდეგ ყაენი გახდა ჰულაგუს შორეული მემკვიდრე მუჰამედი (1336—1338); ეს უკანასკნელი სათი-ბეგმა (1338—1339) (ოლჯაითუს ქალიშვილმა) შეცვალა. შემდეგ ტახტი დაიკავეს სულეიმანმა (1339—1343) და ნუშირვანმა (1343—1355). დამახასიათებელია, რომ ამ უკანასკნელის შესახებ აბუ ბაქრ ალ აჰრი დამცინავად აღნიშნავს: მელიქ აშრაფ ჩობანიანი მას ისე ინახავდა, როგორც „ჩიტს გალიაში“.

30-40-იან წლებში მარიონეტი ყაენების ზურგს უკან იდგნენ და ფაქტიურად ქვეყანას მართავდნენ ჰასან დიდი (ბუზურგი) ჯალაირი, შეიხ ჰასან მცირე (ქუჩუკი) ჩობანიანი და მისი ძმა მელიქ აშრაფი. ეს უკანასკნელები ჩობან ნოინის შვილიშვილები იყვნენ, ამიტომაც ილხანთა მემკვიდრე სახელმწიფო წარმონაქმნს ჩობანიანთა სახელით მოიხსენიებენ. საილხანოს ტერიტორია გაუთავებელი სისხლისმღვრელი შინა ომების ასპარეზად იქცა.

შეუძლებელია საქართველოს მეფეს გიორგი V-ს არ ესარგებლა საილხანოში შექმნილი ამ სიტუაციით და საბოლოოდ არ აღმოეფხვრა მონღოლთა ბატონობა საქართველოში. ნ. ურბნელი მოსწრებულად შენიშნავს, რომ გიორგი V-მ: „ოდესმე მრისხანე მეტოქის დასუსტება სამშობლოს აღორძინების საძირკვლად ჩასდო“[12]. ვახუშტის სიტყვით, გიორგი V-მ მონღოლები არა მარტო საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა, არამედ ყოფილ ყმადნაფიც ქვეყნებში, რანსა და შირვანშიც, ილაშქრა და ისინიც „მოხარკე ჰყვნა“[13]. ეს ცნობა ძნელი შესამოწმებელია, მაგრამ საინტერესოა, რომ ის ერთგვარ გამოძახილს პოულობს კირილე დონაურის ე. წ. „ანდერძში“. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „ოდეს ბრწყინვალემან მეფემან გიორგი გაიმარჯუა აგრიანთა ზედა განძას და შირ<ა>ვანს, მას ჟამსა შინა. ჩუენნი სამწყსონი შაქ-ქურმუხისანი ჩინებულად იბრძოდეს ძლევად მტერთა“. დოკუმენტი დათარიღე-

---

11 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

12 ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 94.

13 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

ზულია 1333 წლის 5 მარტით[14]. საბუთის დედანი დღეს აღარ იძებნება, მაგრამ თავის დროზე იგი ნახა და აღწერა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა[15]. ამ დოკუმენტის მიხედვით, თითქოს უცილობელი ხდება, რომ ჯერ კიდევ აბუ საიდის სიცოცხლეში გიორგი V-ს რანსა (განძა) და შირვანში ულაშქრია. ცნობილია გიორგი V-ს სხვა ბრძოლაც განძასთან, მაგრამ ეს ბრძოლა მოგვიანებით, დაახლოებით 1338 წლისთვის, მოხდა ჰასან ქუჩუკის შემოჭრილი ლაშქრის წინააღმდეგ[16].

ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის კომისიის ცნობით, გიორგი V-ს ამ პერიოდში, დაახლოებით 1327—1329 წწ. ჰერეთ-კახეთისა და სომხითის (ქვემო ქართლის) ურჩი და მონღოლთა მომხრე ერისთავები სიკვდილით დაუსჯია. მეფეს ეს ფეოდალები, „რომელ[ნ]იც ჩინგიზთ შიუდგნენ“, კახეთის ცივის მთაზე (სადაც მისი ერთ-ერთი რეზიდენცია იყო) თითქოს სადარბაზოდ მიუწვევია და ყველა გაუწყვეტია[17]. ჩვენი აზრით, გიორგი V-ის ასეთი მკაცრი განაჩენი იმან განაპირობა, რომ აღნიშნულ მხარეთა ერისთავები მის წინააღმდეგ იარაღითაც გამოვიდნენ იმ დროს, როდესაც მეფე მონღოლებთან გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა.

დ. ლანგი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი, გიორგი V-ის ამ აქციას ათარიღებს ჩობანის „მფარველობის“ ხანით და მიაჩნია, რომ საქართველოს მეფემ ურჩი ფეოდალები ჩობანის თანადგომით დასაჯა[18]. ასეთი დასკვნის უსაფუძვლობა ჩანს თვით წყაროს ჩვენებიდან იმის შესახებ, რომ დასჯილი ერისთავები „ჩინგიზთა“, ე. ი. მონღოლთა, მომხრენი ყოფილან. ამგვარად, გამოდის, რომ გიორგი V მონღოლთა მხარდაჭერით სჯის მათივე ერთგულ ფეოდალებს. მეორე მხრივ, ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ მონღოლთა უღლის დასასრულამდე („ჟამამდინ“) გიორგი V-მ ურჩი ერისთავების შეცვლაც კი ვერ მოახერხა: „არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყეენისათა“[19] — წერს იგი. არაორაზროვნად ამასვე აღნიშნავდა ჟამთააღმწერელიც[20].

---

14 კირილე დონაურის მეორე ანდერძი, წიგნში: მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 206.

15 იქვე, გვ. 203—204.

16 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოსა და ჩობანიანთა ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ..., გვ. 502—503.

17 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325 (ეგნატაშვილის კომისიის შენიშვნა); ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

18 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. სტატია, გვ. 76, შენ. 2.

19 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 256.

20 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 256.

ვახუშტის ცნობით, XIV ს. 30-იან წლებში გიორგი V-მ მთიულთა საქმეებიც მოაწესრიგა და სპეციალურად მათთვის შეადგინა სამართლის წიგნი: „განიხილა მეფემან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონი (ე. ი. უკანონობანი, უსამართლობანი. — ვ. კ.) იქმნებოდნენ... განუჩინა მათ სამართალი და წესნი და დაუსხნა წიგნით, რათა ჰყოფდნენ წალმართ ეგრეთ“[21]. მართლაც, ჩვენამდე მოაღწია გიორგი V-ის სამართლის კრებულმა „ძეგლის დებამ“, რომელიც სპეციალურად მთიულთათვის არის შედგენილი.

30-იანი წლების მიწურულს, ვახუშტისავე სიტყვით, გიორგი V-ს საეკლესიო კრებაც მოუწვევია[22]. მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ ასეთი კრების მოწვევა, მართლაც, საჭირო და აუცილებელი იქნებოდა. ამავე წყაროს მოწმობით, კრებას ორივე კათალიკოსი (ქართლისა და აფხაზეთისა) ესწრებოდა — „შემოიკრიბნა კათალიკოზნი... ივერიისანი“[23]. მართალია, მათი სახელები აღნიშნული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ 1335 წლამდე ქართლის კათალიკოსია ექვთიმე[24], შემდეგ კი ბასილი[25]. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსს, მისი სახელი ამ დროის არც ერთ სიგელში დასახელებული არ არის. მაგრამ სინას მთის სულთა მატიანის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „სულსა ქართლისა ქათალიკოზისა ეფთ[ვი]მეოზისა შეუნდვენ ღმერთმან“ და შემდეგ: „სულსა აფხაზეთისა ქათალიკოზისა ნიკოლოზ[ი]სა შეუნდვენ ღმერთმან“[26]. ეჭვს არ იწვევს, რომ აქ ნახსენები ეფთ[ვი]მეოზი, იგივე ექვთიმე კათალიკოსია (მის უწინარეს დასახელებულია აბრაჰამ კათალიკოსი, რომელიც, მართლაც, მასზე ადრე კათალიკოსობდა XIII ს. მიწურულში). ექვთიმეს შემდეგ მოხსენიებული ნიკოლოზი კი სწორედ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო პერიოდში[27]. ასე რომ, თუ საეკლესიო კრება, მართლაც, შედგა, მას დასწრებიან კათალიკოსები ბასილი და, შესაძლოა, ნიკოლოზი.

---

21 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

22 იქვე, გვ. 259.

23 იქვე.

24 1334 წ. მას შეწირულება გაუგზავნია პალესტინის ქართველი ბერებისათვის. იხ. ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1983, № 9, გვ. 164—165.

25 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

26 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 244.

27 ბედიელყოფილი აფხაზეთის კათალიკოსი ნიკოლოზი იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებშიც, იხ. ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131—132.

XIV ს. 20-30-იან წლებში გიორგი V-სა და რომის პაპს იოანე XXII-ს შორის საყურადღებო მიწერ-მოწერა წარმოებდა[28]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1329 წელს პაპმა სმირნის (იზმირის) კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა[29]. როგორც ჩანს, პაპის ყურამდეც მიაღწია მონღოლთა წინააღმდეგ გიორგი V-ის ბრძოლის ექომ. ვფიქრობთ, სმირნის საეპისკოპოსო კათედრის გადმოტანა თბილისში 1329—1330 წწ. შემთხვევითი არ უნდა იყოს. ავინიონში, რომის პაპის იმჟამინდელ რეზიდენციაში, ალბათ, უკვე იცოდნენ, რომ საქართველო ამიერიდან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და ასეთი ნაბიჯიც ამიტომ გადადგეს. იოანე XXII თბილისს უწოდებს „განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერ ქალაქს“[30]. 1330 წ. იგივე პაპი წერდა: „საქართველოს სამეფოს დიდებულ ადგილს — თბილისს ჩვენ ვამაღლებთ საეპისკოპოსო ქალაქის რანგამდე..., და ვუსურვებთ, რათა მომავალში იგი სამუდამოდ „საეპისკოპოსო ქალაქ თბილისად“ იწოდებოდეს“[31]. 1329—1330 წწ. იოანე XXII-მ კათოლიკეთა ეპისკოპოსებად დანიშნა იოანე ფლორენციელი (1330—1348) თბილისში და პეტრე გერალდი სოხუმში. 1332—1333 წწ. საქართველოს მეფეს გიორგი V-ს თბილისში ესტუმრნენ ფრანცისკანელი მისიონერები — რიკარდო მერჩერი (მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი[32].

ამგვარად, ვახუშტი ბატონიშვილისა და ბერი ეგნატაშვილის კომისიის ჩვენებით, გიორგი V-მ კარგად შეაფასა საგარეო ხელსაყრელი ვითარება. ვახუშტის მიხედვით, საილხანოში არეულობის დაწყებისთანავე, ე. ი. 1327 წ. შემდგომ: „იცა ჟამი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თჳსთა“[33]. მოკლედ მოგვითხრობს ამ მოვლენების შესახებ ეგნატაშვილის კომისიაც: „ამის გიორგი მეფის ჟამში ჩინგიზ-ყეენთა (ე. ი. მონღოლებს) მტერობა აღუჩნდათ და წახდნენ... და რა დრო და-

---

28 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 29—39.

29 იქვე, გვ. 34—36.

30 იქვე, გვ. 34.

31 ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1984, გვ. 213.

32 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის ევროპული..., გვ. 158—159.

33 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

იცა მეფე გიორგიმ... იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისა-ებრ ყოველი საქართველო"[34].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარაა, რომ XVIII ს. I ნახევრის ქართველი ისტორიკოსები ამ დროს ჯერ კიდევ არსებულ აღწერილ მოვლენათა თანადროულ წყაროებს ეყრდნობოდნენ[35].

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ინგლისელი ქართველოლოგის დავიდ მარშალ ლანგის შრომა, რომელიც საქართველოს ისტორიის აღნიშნულ პერიოდს შეეხება[36]. ამ სტატიაში, როგორც აღნიშნული იყო, დ. ლანგი აყენებს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგებიან ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს XIV ს. საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. ამიტომ მისი არგუმენტები რამდენადმე დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

დ. ლანგი გიორგი V-ის მოღვაწეობას ყოფს ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ ორ პერიოდად: ჩობანის მფარველობისა (1314—1327) და ჩობანის დაცემის შემდგომ ხანად (1327—1346)[37].

თავისთავად ასეთი დაყოფა შესაძლებელია, მაგრამ არა ჩობანის „მეურვეობის" გადამწყვეტი მნიშვნელობის პრინციპით. საქმე ის არის, რომ დ. ლანგი თვლის, თითქოს პირველი, ე. ი. ჩობანის მფარველობის ხანა გიორგი V მოღვაწეობის ერთადერთი ნაყოფიერი პერიოდია, ხოლო ჩობან ნოინის დაცემასთან ერთად ქართული სახელმწიფოც სწრაფად მიდის დალმავლობის გზით. მონღოლთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ავტორი თითქმის სრულიად უგულვებელყოფს ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობებს, მაგრამ ამასთანავე, მას გამორჩენია ჟამთააღმწერლის თხზულების მოღწეული ნაწილის მნიშვნელობაც და იმ დროის მცირე რაოდენობით არსებული, მაგრამ საყურადღებო ქართული სიგელ-გუჯრებიც. ასეთ ვითარებაში ინგლისელ ავტორს ისღა დარჩენია, რომ აღმოსავლურ, ძირითადად „მტრისაგან დაწერილი" (ივ. ჯავახიშვილის გამოთქმაა[38]) წყაროების ფრაგმენტულ და ტენდენციურ ჩვენებებს დაეყრდნოს. ამ წყაროებისა და ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით კი, დ. ლანგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქართველომ არა თუ დამოუკიდებლობის მოპოვება შესძლო, არამედ „გიორგი V-მ, როგორც უნდა ვიფიქროთ, დაკარგა

---

34 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325 (ეგნატაშვილის კომისიის ჩანართ-შენიშვნა).

35 იხ. ზევით წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (ვახუშტის წყაროები).

36 D. M. Lang, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant, BSOAS, London, 1955, XVII/1, p. 74—91.

37 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. სტატია, გვ. 75.

38 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 182.

თბილისი და აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი"[39]. ყველა ეს „უბედურების" ერთადერთ მიზეზად დ. ლანგს ჩობან ნოინის დაცემა მიაჩნია.

ამ კონცეფციას დ. ლანგი რიგი არგუმენტებით ამაგრებს, რომლებიც ასეთი სიმკვეთრით ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე არ მდგარა. მისი კონცეფციის ერთერთ დასაყრდენს წარმოადგენს არაბი ისტორიკოსის (კომპილატორის) ალ-კალკაშანდის (XV ს. დასაწყისი) შრომა, კერძოდ წყაროს შემდეგი ადგილი; „როცა ირანში თათართა მფლობელობა აღიკვეთა და მათი ძალები გაცამტვერდა, (ეგვიპტის სულთნის) მიმოწერაც ქართველთა მეფესთან ჩამომცრობილ იქნა ადრინდელი საფეხურიდან". საქმე ის არის, რომ ეს არგუმენტი დ. ლანგთან წარმოდგენილია იმ სახით, თითქოს მიმოწერის ფორმა ჩამოქვეითდა უშუალოდ ჩობანის სიკვდილისთანავე, 1327 წელს[40], და რაც თითქოს აშკარად ადასტურებს გიორგი V-ის ავტორიტეტის დაცემას; ასეთი დასკვნა უზუსტობას წარმოადგენს, რადგან თვით ალ-კალკაშანდის შრომაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ მიმოწერის ჩამოქვეითება მომხდარა არაბი ისტორიკოსის ალ-უმარის (1301—1349), ე. ი. გიორგი V-ის სიკვდილის (1346) შემდეგ[41]. ამას გარდა, უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მონღოლ ილხანთა სახელმწიფოს დაცემამ და გადაშენებამ ეგვიპტის სულთნების ინტერესი ამ რეგიონისადმი მკვეთრად შეამცირა[42], რადგან აღარ იყო საჭირო მოკავშირის ძებნა ეგვიპტის მამლუქთა დაუძინებელი მტრის — ილხანთა წინააღმდეგ. მიმოქცევაში ჩვენ მიერ შემოტანილი ევროპული წყაროები ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდში საქართველო უკვე ევროპასთან ეძებს კავშირს ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ[43]. მხოლოდ ამით აიხსნება დ. ლანგის მიერ დამოწმებული XIV ს. მიწურულის არაბი ავტორის (ალ-კალკაშანდი) ფრაზის რეალური საფუძველი. ამ წყაროს კომენტირებისას დ. ლანგს ყურადღებიდან გამორჩა. აგრეთვე, ალ-კალკაშანდის მიერ ირანელი ილხანების გადაშენების პირდაპირი აღიარება: „ირანში თათართა მეფო-

---

39 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

40 იქვე, გვ. 76.

41 Заметка Элькалькашанди о грузинах, издание В. Г. Тизенгаузена, ЗВОРАОб, т. I, вып. III, СПб., 1886, с. 214—215; იხ. აგრეთვე, დ. გ ო ჩ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 276—277.

42 А. М. П о л я к, Новые арабские материалы позднего средневековья о Восточной и Центральной Европе; Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, М., 1964, с. 53.

43 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი", № 9, 1982, გვ. 156—160; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, „მნათობი" № 4, 1983, გვ. 158—164.

ბა აღიკვეთა და მათი ძალები გაცამტვერდა“-ო — წერდა არაბი ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო რთულია დ. ლანგის მეორე არგუმენტი — ეპოქის ნუმიზმატიკური ვითარება. დ. ლანგი განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ ამ საკითხზე აკეთებს. საქმე ის არის, რომ მთელი XIV ს. I ნახევრის განმავლობაში (ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე და რიგ შემთხვევაში, საუკუნის მიწურულამდეც კი)[44] საქართველოს ზარაფხანებში (თბილისი, ყარაღაჯი და სხვ.) იჭრებოდა იმდროინდელი მონღოლი მარიონეტი მმართველების ზედწერილიანი მონეტები. ეს მაშინ, როცა საილხანო დაიშალა და ქართული წყაროების მიხედვით, საქართველომ გადაიგდო მონღოლთა უღელი. ამ ფაქტს ლანგზე ადრე მიაქციეს ყურადღება ნუმიზმატებმა — ი. ბარტოლომეიმ[45] და ე. პახომოვმა[46].

ამ მოვლენასთან დაკავშირებით რამდენიმე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ნუმიზმატი დ. კაპანაძე თვლიდა, მაგალითად, რომ ილხანთა ზედწერილიანი ეს მონეტები, რომლებიც განუწყვეტლივ იჭრებიან XIV საუკუნის საქართველოს ზარაფხანებში, ქართულ გამოშვებას წარმოადგენენ. მისი აზრით, XIV ს. I ნახევრის ნუმიზმატიკური ვითარების წინა პერიოდისაგან მოწყვეტით განხილვა დაუშვებელია[47], რომ მონეტების ამა თუ იმ ქვეყნისადმი კუთვნილება „განისაზღვრება არა იმდენად მათი გარეგნული ნიშნებით, რამდენადაც მათი არსით და მონეტებზე მოთავსებული წარწერების შინაგანი შინაარსით. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს „მონეტის ნიშნების შეპირისპირებით იმ ვითარებასთან, რა დროსაც ხდებოდა მათი მოჭრა“[48]. აქედან გამომდინარე, დ. კაპანაძე თვლის, რომ მართებული არ არის ვილაპარაკოთ ეროვნული გამოშვების მონეტების მოჭრის შეწყვეტის შესახებ და უფრო სწორია დავასკვნათ, რომ დაიწყო ისეთი მონეტების მოჭრა, „რომელთაც დაკარგული ჰქონდათ ეროვნული ქართული ნიშნები“[49].

დ. კაპანაძე იმასაც განმარტავს, თუ რატომ შეიქმნა ასეთი უცნაური სიტუაცია ქართულ სამონეტო სინამდვილეში. ავტორის სიტყვით, ამ დროს საქართველოში იჭრებოდა ორი ტიპის მონეტები: პირველი,

---

44 ც. ღვაბერიძე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯალაირთა სახელმწიფოსთან, თბ., 1986, გვ. 49—54.

45 J. Bartholomaei, Lettres numismatiques et archèologiques relatives à la Transcaucasie, S/Pbg., 1859, p. 108—109.

46 Е. Пахомов, Монеты Грузии, II-ое издание, Тбилиси, 1970, с. 200.

47 Д. Г. Капанадзе, Продолжительность и характер монгольского владычества по нумизматическим данным, «Советская археология», М., 1964, № 2, с. 64—69.

48 იქვე, გვ. 67.

49 იქვე, გვ. 68.

ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი მცირერიცხოვანი მონეტები საკუთრივ საშინაო ბაზრისათვის; მეორე, ძირითადი ტიპი კი, ე. წ. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები, რომელთა დანიშნულება იყო „საერთაშორისო ბაზარზე ფართო გავრცელება და საქონელბრუნვა“[50]. ამ აზრს ფაქტიურად ნუმიზმატი გ. დუნდუაც ეთანხმება: „გიორგი ბრწყინვალე... თავისი დროის შესანიშნავი პოლიტიკოსი, არ დაადგებოდა საქართველოს მახლობელ აღმოსავლეთთან ეკონომიკური მოწყვეტის გზას“[51]. მაგრამ გ. დუნდუა უარყოფს პირველი ტიპის მონეტების არსებობას, ე. ი. მას მიაჩნია, რომ გიორგი V-ს საკუთარი მონეტა საერთოდ არ მოუჭრია. ამ მიმართებაში მან ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: აღბუღა ათაბაგის სიტყვები (XIV ს. II ნახევარი) „დიდისა წარჩინებულისა. მეფის გიორგის ჟ ა მ ი ს თეთრი გავაჩინეთ“-ო[52] (ხაზი ავტორისაა) უშუალოდ არ მოწმობს გიორგი V-ის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრის ფაქტს. ავტორის მიხედვით, აქ ლაპარაკია მხოლოდ გიორგი V-ის დროის მონეტაზე[53]. თავის მხრივ, დ. კაპანაძე ამტკიცებს, რომ გიორგი V-მ მოჭრა საკუთარი მონეტა და ის დღეს ხელთ გვაქვს. ამის საფუძველს მკვლევარს აძლევს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერთი მონეტა (№ 133). მის შუბლზე დაქარაგმებულია ქართული ზედწერილი — „მეფეთა მეფე გიორგი“, ზურგზე კი ორმაგ რკალში ჩასმული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილია, რომელიც დამახინჯებულ სუნიტურ-რელიგიურ ფორმულას წარმოადგენს. დ. კაპანაძის აზრით, ილხანი მარიონეტების სახელით მოჭრილი მონეტების გვერდით გიორგი V-ს ეს მონეტა უნდა მოეჭრა 1339—1344 წწ-ში. ეს ერთგრამიანი მონეტა, მისი სიტყვით, სულეიმან ხანის (1339—1344) დრამის აშკარა პროტოტიპს წარმოადგენს, რაც განსაზღვრავს კიდეც მისი მოჭრის თარიღს[54]. გ. დუნდუა კი მიიჩნევს, რომ ზევით აღწერილი მონეტა გიორგი V-ს კი არა, გიორგი VII-ს (1393—1407) მიეკუთვნება[55].

გიორგი V-ის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრის ფაქტს ვ. გაბაშვი-

---

50 Д. Г. К а п а н а д з е, О происхождении некоторых монет, чеканившихся в Грузии по иноземным образцам, Сообщения АН ГССР, т. XXII, № 1, Тбилиси, 1959, с. 117; м и с и в е, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 106—107.

51 გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964, გვ. 54.

52 ბექა-აღბუღას სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1962, გვ. 42.

53 გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—55.

54 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 117; მისივე, ზემოთ დასახელებული სტატია, გვ. 72—73.

55 გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—55.

ლიც იზიარებს. იგი განმარტავს აგრეთვე, რომ დასავლეთ საქართველოში ამასთან ერთად კვლავაც იჭრება ტრადიციული, ტრაპეზონის ასპრების მინაბაძი, ე. წ. „კირმანეული თეთრი“, მაგრამ ამ მონეტების ნაწილს უკვე გიორგი V ინიციალებიც ახლავს (მონეტის ზურგზე)[56]. მართალია, თ. აბრამიშვილი ამ ინიციალების (ᲒᲗ) შესახებ წერს, რომ დღესაც დაუდგენელია — ის წმინდანს განეკუთვნება თუ მეფესო (ეს მერყეობაც დ. ლანგის შრომიდან იღებს სათავეს). ვფიქრობთ, ეს საკითხი არავითარ დავას არ უნდა იწვევდეს. განა შესაძლებელია, რომ ეს ინიციალები წმინდანს (წმ. ევგენის) მიეკუთვნოს, როდესაც მონეტის შუბლზე ამოტვიფრულია ორი ასო „მფ“ (ᲛᲤ), რაც მხოლოდ „მეფედ“ შეიძლება გაიშიფროს?

ნუმიზმატი ი. ჯალაღანიაც, უარყოფს ე. წ. მეორე ტიპის, ანუ საქართველოში მოჭრილ ჰულაგუიდთა მონეტების გიორგი V-ს თვის მიკუთვნებას. მისი აზრით, გაუმართლებელია, მონეტები, რომელთაც არავითარი ქართული ნიშანი არ გააჩნიათ (მოჭრის ადგილის გარდა), მივაკუთვნოთ დამოუკიდებელ ქართულ გამოშვებას. ამის საბუთად მას მოჰყავს ის გარემოება, რომ მონეტებზე საერთოდ არ ჩანს საქართველოს მეფის სახელი ან ქართული წარწერა, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი კარგად ასახავენ საილხანოს ცვალებად პოლიტიკურ სიტუაციას[57]. ამ საკითხში ი. ჯალაღანიას იზრი დ. ლანგისას უახლოვდება. ცალკე უნდა განვიხილოთ მოსაზრება ც. ღვაბერიძისა, რომელმაც უკანასკნელ ხანს სპეციალური ნაშრომი უძღვნა XIV ს. საქართველოს ნუმიზმატიკურ ვითარებას[58]. იგი დაწვრილებით იხილავს საქართველოში მოჭრილ მონეტებს XIII ს. მიწურულიდან XIV ს. ბოლომდე.

ც. ღვაბერიძე იზიარებს დ. ლანგის მოსაზრებას (ავტორის დაუსახელებლად) იმის შესახებ, რომ „სამოქალაქო ომის დროს ირანში (1338) ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ემირ ჩობანის შვილიშვილმა შეიხ ჰასან ქუჩუკმა (მცირემ). საქართველო ჩობანიდების მმართველო-

---

56 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, გვ. 136; აგრეთვე, თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, თბ., 1984, გვ. 107.

57 И. Л. Д ж а л а г а н и я, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., Тбилиси, 1979, с. 131.

58 ც. ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, საქართველოს ურთიერთობა... (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის მე-10 გვ-ზე დაშვებულია აშკარა შეცდომა. მეფისნაცვალი ჩობანიანი ილხანის მოადგილე ვერ იქნებოდა, რადგანაც აქ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განეკუთვნება ი ლ ხ ა ნ ე ბ ა მ დ ე ლ (1260 წ-მდე) სიტუაციას. იქვე, მე-4 პუნქტში არანის შემდეგ უნდა ეწეროს „მუღანი“ და არა „გილანი“).

ბას დაექვემდებარა"[59]. თუმცა იქვე აღიარებს, რომ: „უკანასკნელი ილხანები თვით ირანშიც არ სარგებლობდნენ რეალური ხელისუფლებით და მათი სახელით ფულის გამოშვება ილხანთა ირანთან ვასალური დამოკიდებულებს გამოხატულებას წარმოადგენდა"[60] და რომ უკანასკნელი ილხანების (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: უკანასკნელი მარიონეტი ყაენების): მუჰამედის, სულეიმანისა და ნუშირვანის დროს თბილისის ზარაფხანა მათი სახელით საერთო მონღოლური მონეტებისაგან განსხვავებული ტიპის ვერცხლის მონეტებს ჭრის. ც. ღვაბერიძის აზრით, ეს მცირე გადახვევაც კი სხვა ზარაფხანებში მოჭრილი დირჰემების ტრაფარეტიდან „უნდა მიგვანიშნებდეს იმ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, რომელიც საილხანოში შემავალ ქვეყნებსა და, მათ შორის საქართველოშიც ხდებოდა"[61]. კონკრეტულად რა ცვლილებებზეა ლაპარაკი, ავტორი არ აზუსტებს. აქვე დავძენთ, რომ თვით ლანგი საქართველოს მონღოლთა უღლის ქვეშ ყოფნას XIV ს. 50-იან წლებამდე გულისხმობს, ც. ღვაბერიძე კი უფრო შორს მიდის და ასკვნის, რომ XIV ს. II ნახევარში საქართველო „ჯელაირებს ექვემდებარებოდა"[62]. ამ აზრს იგი უფრო გამოკვეთილადაც გამოთქვამს: „შეიხ ოვეისის სახელით თბილისში მოჭრილი მონეტა ადასტურებს, რომ დავით IX-ისა და ბაგრატ V-ის (1360—1393) მეფობის დროს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ო ნ ღ ო ლ ებ ს ე მ ო რ ჩ ი ლ ებ ო დ ა. თუ რა მოვალეობა ჰქონდა საქართველოს ამ დროს მონღოლების მიმართ დაკისრებული, წერილობითი წყაროებიდან არაფერია ცნობილი"[63] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). ამგვარად, მხოლოდ მონეტების ზედწერილების ანალიზის საფუძველზე ც. ღვაბერიძე ასკვნის, რომ საქართველო მონღოლებს ემორჩილებოდა XIV ს. მიწურულამდე. მაგრამ, მეორე მხრივ, ავტორი გრძნობს, რომ თუ მხოლოდ მონეტების ზედწერილებიდან ამოვალთ, ერთგვარი წინააღმდეგობა იქმნება XIII ს. მიწურულის და XIV ს. დამდეგის ვითარებასთან, როდესაც თვით ყაზან ყაენის სამონეტო რეფორმის მკაცრ პირობებშიც კი ჰულაგუიდურ-ქართულ მონეტაზე ყაენის გვერდით ჩანს საქართველოს მეფის, მაგალითად, ვახტანგ III-ის სახელი. ამ ფაქტს ავტორი შემდეგნაირ ახსნას აძლევს: „ილხანები, დავით VIII-ის მოქმედებით შეშინებულნი, ვახტანგ III-თან ფრთხილ პოლიტიკას ეწეოდნენ და ზოგიერთ დათმობაზეც მიდიოდნენ მასთან"[64]. ამგვარი ლოგიკით გამოდის, რომ შემ-

---

59 იქვე, გვ. 33.

60 ც. ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

61 იქვე, გვ. 42—43.

62 იქვე, გვ. 44.

63 იქვე, გვ. 48.

64 იქვე, გვ. 59.

დეგ პერიოდში (როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა), არათუ ქართველი მეფეები ვეღარ „აშინებენ“ მონღოლებს, ისინი თვით არიან იმდენად შემკრთალნი, რომ 1396 წლამდე თავისი სახელის ხსენებას მონეტაზე ვეღარ ბედავენ. ასეთი დასკვნის მიუხედავად, ავტორი თვლის, რომ ჩრდილო კავკასიაში, ყარჯინსა და ალაგირში 1338/39, 1357/58 და 1340—1359 წწ. მარიონეტ ილხანთა სახელით გამოსულ მონეტებს გიორგი V და დავით IX (1346—1360) ჭრიან[65].

მართლაც, ამ პერიოდში ილხანთა მემკვიდრეების — ჩობანიანთა თუ ჯალაირიანთა ლაშქრობა ჩრდილო კავკასიაში არც ერთი წერილობითი წყაროთი არ დასტურდება. პირიქით, ცნობილია, რომ ოქროს ურდოს მესვეურნი აქტიურობენ და უტევენ ილხანთა სამფლობელოს, მეორე მხრივ, ქართული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ გიორგი V-ს ლაშქრობას აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში[66]. ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონეტებზე არაპირდაპირ აისახა გიორგი V-ის ლაშქრობა ჩრდილო კავკასიაში[67]. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ამგვარი დაშვება საკმაოდ დაუსაბუთებლად მოგვეჩვენება, თუ არ აღვნიშნეთ მთავარი: თვით საქართველოშიც ილხანი მარიონეტების სახელით გამოშვებული ფული ასევე გიორგი V-ისა და მისი ძის დავით IX-ის ბრძანებითაა მოჭრილი. XIV ს. სამონეტო გამოშვების შეფასებისას უთუოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს პოლიტიკური სიტუაცია და ეკონომიკური ფაქტორი. საქმე ის არის, რომ, გიორგი V-ისა და მისი ძის სახელით მოჭრილ მონეტას, საერთაშორისო მასშტაბით, არავითარი წონა და გასავალი არ ექნებოდა. ამიტომ გიორგი V ჩრდილო კავკასიაშიც ისე იქცევა, როგორც თავის ქვეყანაში — მონეტებს ჭრის ყოფილი სიუზერენის სახელით. ასეთი მონეტები კი, ტრადიციით, კვლავ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში მიმოიქცეოდა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ცვლიდა თავრიზის ტახტზე ერთმანეთს, ამ მხრივ ქართული სამეფო კარი ზუსტად იქნებოდა ინფორმირებული.

ამავე კუთხით უნდა განვიხილოთ 1356—1358 წწ. საქართველოს სამონეტო სიტუაცია, როდესაც, ც. ღვაბერიძის სიტყვით, „საოცრად საკვირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე“. ამ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ზარაფხანები ერთდროულად უშვებენ ოქროს ურდოსა და ჯალაირიანთა მონეტებს; ეს იმ დროს, როდესაც ყველა წყაროს

---

65 იქვე, გვ. 99.

66 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 258; ძეგლი ერისთავთა, დასახ. გამოცემა, გვ. 19; კ. დონაურის II ანდერძი, წიგნში: მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 204—206.

67 Г в а б е р и д з е Ц. О новом монетном дворе в Северной Осетии, Нумизматический сборник, Тбилиси, 1977, с. 117—125.

შიხედვით, ოქროს ურდოს ყაენმა ჯანი-ბეკმა და მისმა ვაჟმა ბერდი-ბეკმა საილხანოში დაამხეს ჩობანიანები, ხოლო საქართველოსთან ომში ჯალაირიანები საერთოდ არ ფიგურირებენ. ც. ღვაბერიძე ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: უნდა დავუშვათ, რომ 1356 წლისთვის ჩობანიანებმა მცირე ხნით თავი დამარცხებულად ცნეს ჯალაირ ჰასან დიდის სასარგებლოდ. შემდეგ მათ ისევ გაიმარჯვეს და ოქროს ურდოს ყაენი ჯანი-ბეკი უკვე ჩობანიანებს ამარცხებს[68]. ჩვენი აზრით, ასეთი ახსნა, მეტისმეტად ხელოვნურია და არც ერთი წყაროთი არ დასტურდება; ჯერ ერთი, ცნობილია, რომ 1346 წლიდან ჯალაირიანებთან დავაში წარმატებამ ჩობანიან მელიქ აშრაფის მხარეზე გადაინაცვლა[69] და მეორეც, 1356 წ. ივლისში თვით ჰასან დიდი ჯალაირი გარდაიცვალა; ასე რომ, ჯანი-ბეკის შემოსევის წინ (1356—1357 წწ.), ნაკლებ სავარაუდოა, ჰასან დიდი ჩობანიანთა დამარცხებას მოასწრებდა. ამ სიტუაციის ახსნისას ამოსავალი სხვაგან უნდა ვეძებოთ. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე, რომელსაც აქამდე არც ერთი ნუმიზმატის ინტერესი არ გამოუწვევია. ჯალაირიანთა სახელით საქართველოში მოჭრილ ყველა მონეტაზე აღბეჭდილია რწმენის მაჰმადიანურ-სუნიტური ფორმულა[70] (დასახელებულია ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი ისევე, როგორც უკანასკნელი ილხანების მონეტებზე), მაშინ, როდესაც, მკვლევართა სიტყვით, ჯალაირიანებმა შიიზმი აღიარეს. აღმოსავლეთმცოდნე ვან ლუნის დაკვირვებით, ჯალაირიანი ჰასან ბუზურგი ისევე, როგორც მისი მრავალი ჩამომავალი, დაკრძალეს „ქ. ნაჯაფში, სადაც ალის, ე. ი. წინასწარმეტყველის, სიძის საფლავი მდებარეობდა. ის ფაქტი, რომ ჰასანმა თავის უკანასკნელ განსასვენებლად ამოირჩია ქალაქი, სადაც შ ი ი ტ ე ბ ი ს ეს წმინდა სალოცავი მდებარეობდა, მეტყველებს იმაზე, რომ ისინი მთლიანად ირანიზირებულნი იყვნენ და მიღეს... ი ს ლ ა მ ი ს შ ი ი ტ უ რ ი მიმდინარეობა“[71] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.).

ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ შემთხვევაში როგორც ჯალაირების, ასევე ოქროს ურდოს ყაენთა სახელით მონეტებს ჭრის თვით საქართველოს სამეფო კარი, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით და მონეტას უშვებს მთელ აღმოსავლეთში აღიარებული იმ ძალის სახელით, რო-

---

68 ც. ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 46.

69 ა ბ უ ბ ა ქ ა რ ა ლ ყ უ ტ ბ ი, დასახ. გამოცემა, გვ. 11 (შესავალი).

70 ც. ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47—49.

71 ა ბ უ ბ ა ქ ა რ ა ლ ყ უ ტ ბ ი, დასახ. გამოცემა, გვ. 11 (მთარგმნელის წინასიტყვაობა).

მელიც კი ასპარეზზე გამოჩნდება. ქართული სამეფო კარისთვის კი სულ ერთი იყო, რწმენის რომელ ფორმულას ამოჭრიდა მონეტებზე — სუნიტურს თუ შიიტურს.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი რთული სამონეტო სიტუაციის ერთადერთი სწორი ახსნა სწორედ ეკონომიკური ტრადიციებისა და ფაქტორების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნ. მარის განმარტება, რომელიც მას ქ. ანისის XIII—XIV საუკუნეების ნუმიზმატიკური ვითარების განხილვისას აქვს გამოთქმული. ნ. მარი ვრცელ მონოგრაფიაში, რომელიც ქ. ანისს ეძღვნება, წერდა: „Что правители (г. Ани, В. К.), армяне, на своих монетах легенды писали на монгольском и арабском языках, а армянской легенды мы на них не находим, если исключить отдельные буквы, и те похожие более на грузинские, чем на армянские, для нашего вопроса это не столь важно. Выбор языка и письма (на монетах, В. К.) определяется различными международными, политическими и экономическими условиями и осторожность требует не полагаться целиком на их свидетельство“[72] (ხაზი ჩვენია.—ვ. კ.). ვფიქრობთ, აქ ზუსტად არის ახსნილი ის სიტუაცია, რომელსაც ამავე ხანებში საკუთრივ საქართველოს სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, მოჭრა თუ არა გიორგი V-მ საკუთარი მონეტა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გაცილებით მეტად მნიშვნელოვანია სპარსელი ავტორის რაშიდ ად-დინის ცნობა, რომელსაც დ. კაპანაძემ, გ. დუნდუამ და სხვა ნუმიზმატებმა კარგა ხანია მიაქციეს ყურადღება. სპარსელი ისტორიკოსი პირდაპირ აღიარებს, რომ საქართველო, რომელიც არც კი სცნობდა ყაზან ყაენის ხელისუფლებას, იძულებული იყო, ეკონომიკური მოსაზრებით მოეჭრა ყაზანის მიერ დაწესებული სამონეტო ტიპი. რაშიდ ად-დინი წერს: „Даже в Грузии, где никогда не чеканили монету во имя бога и наследника (его), стали по необходимости (ее) чеканить, ибо (другие монеты) помимо нее, не имели нигде хождения... хотя они (грузины) и не признают власти (Газан-хана), а иначе их деньги нигде не принимали“[73] (ხაზი ჩვენია.—ვ. კ.).

---

[72] Н. Я. Марр, Ани, Книжная история и раскопки на месте, М.—Л., 1934, с. 43.

[73] Рашид ад-Дин, Джами ат Таварих (Сборник летописей), т. III, Баку, 1957, с. 28.

სხვათაშორის, ასეთი მდგომარეობა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდებისთვისაც არ არის უცხო. ამ კონკრეტულ სიტუაციაში კი საქართველო მონღოლთა ასწლიან ბატონობას პოლიტიკურად თავს აღწევს, მაგრამ ეკონომიკური ტრადიციით მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში მის საკუთარ „დამოუკიდებელ" მონეტას არავითარი გასავალი არ ექნებოდა. ასეთი ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების მოჭრის ეკონომიკურ მიზეზს ის გარემოებაც მოწმობს, რომ ისინი ნაპოვნია საქართველოს მომიჯნავე ვრცელ ტერიტორიაზე — შირვანში, სომხეთში და უნდა ვიფიქროთ ირანშიც[74].

ამავე დროს, ი. ჯალაღანიას დაკვირვებით, თვით მონღოლებმა უცვლელად მიიღეს მათ დაპყრობამდე არსებული ძველი, ტრადიციული მუსულმანური სამონეტო სისტემა, რადგანაც „მონღოლებს მშვენივრად ესმოდათ, რომ არსებული (სამონეტო. — ვ. კ.) სისტემის შეცვლით, მათ შეეძლოთ ძირი გამოეთხარათ ახლად შექმნილი სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერებისათვის"[75].

ეს დასკვნა ზედმიწევნით ესადაგება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელი საქართველოს ნუმიზმატიკურ სიტუაციასაც. ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მიერ მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ ილხანთა მემკვიდრეების მონეტების კვლავ მოჭრა თბილისში (და ახალ ზარაფხანებში— ყარაღაჯში, დმანისში, ანისში, ჩრდილო კავკასიაში და ა. შ.) ეკონომიკური მიზნებით იყო განპირობებული.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ XIII—XIV სს. მიჯნაზე დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის მიერ მცირე რაოდენობით მონეტების მოჭრა, ქართული ზედწერილებით, პირიქით, აშკარად პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. იმ დროის რთულ შიდაპოლიტიკურ სიტუაციაში თითოეული ხელისუფალი ცდილობდა ამ სახითაც, საკუთარი ფულის მოჭრითაც, დაემკვიდრებინა თავისი ადგილი პოლიტიკურ ასპარეზზე. XIV ს. 30-იან წლებში კი სიტუაცია შეიცვალა — გიორგი V ერთპიროვნული ძლიერი და დამოუკიდებელი მმართველია. მას არ სჭირდება მონეტების წარწერებით განიმტკიცოს თავისი შიდა თუ გარე ავტორიტეტი. მისთვის გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის მომძლავრება და საერთაშორისო ბაზარი. მითუმეტეს, რომ მკვლევართა აღიარებით, XIV ს. 30-იანი წლებისათვის: „ილხანის (ე. ი. ყაენის. — ვ. კ.) ოდინდელი ძლიერების დაკარგვამ, შეასუსტა

---

74 И. Л. Джалагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., Тбилиси, 1979, с. 114.

75 И. Л. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII в., Тбилиси, 1958, с. 25.

სახელმწიფო კონტროლი სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ე ბ ზ ე ც“[76] (ხაზი ჩვენია, — ვ. კ.).

ნუმიზმატიკური მონაცემების გარდა, დ. ლანგმა ყურადღება მიაქცია სპარსელი ისტორიკოსის ჰამდალახ ყაზვინის გეოგრაფიული ხასიათის შრომას — „ნუზჰათ ალ ყოლუბ“ („გულთა სიამე“). ამ წყაროზე დაყრდნობით, დ. ლანგის მიხედვით, 1336 წლისთვის საქართველოდან ილხანთა ხაზინამ 120,5 თუმანი (1 202 000 ვერცხლის დინარი) მიიღო[77].

განვიხილოთ ხარკის საკითხი და დ. ლანგის კომენტარები მასთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით, აღნიშნული არგუმენტი მეტად სერიოზულია. ჰამდალახ ყაზვინი ფინანსური უწყების ცნობილი მოხელე იყო. მას ხელი მიუწვდებოდა საგადასახადო დავთრებსა და სხვა დოკუმენტებზე. თავისი გეოგრაფიული ხასიათის თხზულება „გულთა სიამე“, სადაც ამ ხასიათის ცნობებია დაცული, მან დაასრულა 1339/40 წწ. ამგვარად, როგორც თანამედროვის ცნობებს, ჰამდალახ ყაზვინის მონაცემებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ ამ საკითხსაც დ. ლანგი არაზუსტად წარმოგვიდგენს.

საქართველოდან გასული ხარკის საკითხზე პირველ გამოხმაურებას ვ. გაბაშვილის სტატიაში ვხვდებით. მკვლევარმა გაითვალისწინა რა საქართველოსა და საილხანოს იმდროინდელი საერთო სიტუაცია, დაასკვნა, რომ ამ ხარკს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და წარმატებით დამთავრებული ლაშქრობის შედეგი უნდა ყოფილიყო[78]. მოგვიანებით ეს საკითხი სპეციალურად განიხილა რ. კიკნაძემ. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჰამდალახ ყაზვინის დასახელებული ფინანსური ხასიათის ცნობა წინააღმდეგობაშია თვით ამ ავტორის წინასწარ განცხადებასთან; კერძოდ, ჰ. ყაზვინი გვამცნობს, რომ ყაზან ყაენის შემოსავალთან (2100 თუმანი) შედარებით, მისი დროის, ე. ი. XIV ს. 30-იანი წლების მიწურულის ილხანთა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი განახევრებულა[79] (ე. ი. დაახლოებით 1 000 თუმანი უნდა ყოფილიყო). მაგრამ ვნახოთ, რას გვაძლევს მის მიერვე დასახელებული ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც XIV ს. 30-იანი წლების ვითარებას უნდა ასახავდნენ. თუ შევკრებთ სპარსელი ავტო-

---

76 М. А. Сейфеддини, Монетное дело и денежное обращение в Азербайджане XII—XV вв., кн. II, Баку, 1981, с. 13.

77 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85. დ. ლანგი აქ ამრგვალებს წყაროს ცნობას, სადაც ლაპარაკია 120 თუმანსა და 2000 დინარზე.

78 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, გვ. 141.

79 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XIV ს. I ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ. 1976, გვ., 200—204.

რის მიერ მოყვანილ ყველა ქვეყნისა და ოლქის შემოსავალს (არაბეთის ერაყი, სპარსეთის ერაყი, არანი, მუღანი, აზერბაიჯანი, საქართველო და ა. შ., სულ 19 ერთეული), აღმოჩნდება, რომ შემოსავალი თითქმის იმდენივეა, რაც ყაზანის დროს იყო, დაახლოებით 1 976,5 თუმანი. ამგვარად, შემოსავლის განახევრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია (განსხვავება მხოლოდ 24 თუმნამდეა). ამ ფაქტს რ. კიკნაძეს ერთადერთი სწორი ახსნა მოუძებნა. მისი აზრით, ჰამდალახ ყაზვინი ამ შემთხვევაში სარგებლობდა ილხანთა არა ყოველწლიური შემოსავლის დავთრით, არამედ გადასახადთა წინასწარი განაწილების წიგნით (ანუ „დავთარე კანუნ"-ით), რომელიც ათეული წლების განმავლობაში არ იცვლებოდა[80], აქედან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს ყაზან-ოლჯაითუს დროინდელ საფინანსო ვითარებასთან და არა XIV ს. 30-იან წლებთან. დ. ლანგი, რომელიც ჰამდალახ ყაზვინის მონაცემების ღრმა ანალიზს არ ახდენს, სხვა დაუსაბუთებელ დებულებასაც აყენებს. ინგლისელ ავტორს პირდაპირ გადააქვს ჰ. ყაზვინის ცნობა საილხანოს ხაზინის შემოსავლის განახევრების შესახებ საქართველოს მაგალითზე და აცხადებს, რომ 1336 წ. საქართველოდან გასული ხარკის რაოდენობა ყაზანის დროის ხარკის ნახევარსაც არ შეადგენდა[81].

რაც შეეხება ამ პერიოდში ილხანთა ხაზინის შემოსავლის განახევრების ფაქტს, ეჭვი არ არის, რომ მას ნამდვილად ექნებოდა ადგილი. მაგრამ, ჩვენი აზრით, არა მარტო იმ მიზეზების გამო, რომლებსაც თვით ჰამდალახი და დღევანდელი მკვლევარები ასახელებენ (მონღოლთა მეურნეობის არაინტენსიური ხასიათი, კორუფცია, შინა ომები და ა .შ.), არამედ იმ გარემოებებითაც, რასაც ყაზვინი, როგორც ილხანთა კარის ოფიციალური კურსის გამტარებელი, პირდაპირ არასოდეს არ დაასახელებდა. ვფიქრობთ, რომ შემოსავლის „განახევრება" გამოწვეული იყო იმითაც, რომ XIV ს. 30-იან წლებში ილხანთა კარს რამდენიმე რეგიონი და პირველ რიგში — საქართველო, გამოაკლდა.

თავის მხრივ, დ. ლანგი საქართველოს ხარკის ოდენობის მკვეთრ შემცირებას XIV ს. 30-იანი წლებისათვის შემდეგნაირად ასაბუთებს: საქართველოს შემოსავალი (და შესაბამისად ხარკის რაოდენობა) იმიტომ განახევრდა, რომ იმ სისხლიან ფეოდალურ შინაომებს, რომლებმაც თავი იჩინა საილხანოში XIV ს. 30-იან წლებში, ადგილი ჰქონია ამავე პერიოდის საქართველოშიც[82]. სინამდვილეში, ამ პერიოდის საქართველოში ასეთი შინაომების დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი

---

80 იქვე, გვ. 204.

81 დ. ლანგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

82 იქვე.

არ გაგვაჩნია და მათ არც დ. ლანგი იმოწმებს. მაგრამ ეს უკანასკნელი განცხადება გაიზიარა ვ. გაბაშვილმა. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი შინაომებს და შფოთს საქართველოში, მართლაც, უნდა ჰქონოდა ადგილი, რადგან არსებობს ავგაროზ ბანდაისძის 1348 წლის ერთი მინაწერი, სადაც გადამწერის მიერ ნათქვამია: „ჴელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა. წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობაი" (1348)[83]. მინაწერში ნახსენებმა „სიგლახაკემ", „ეტრატის სიძვირემ", „შფოთმა" და „სიკუდილობამ" აფიქრებინა ვ. გაბაშვილს, რომ ლანგის დებულება საქართველოში შინაომების შესახებ სამართლიანი უნდა იყოს (თვით ინგლისელი ქართველოლოგი არ იცნობს ამ დოკუმენტს). ამასთან, მართალია ვ. გაბაშვილი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მინაწერში ნახსენები დიდი სიკვდილიანობა ამ პერიოდში (1346—1348 წწ.) მახლობელ აღმოსავლეთსა და საქართველოში მძვინვარე შავი ჭირის შედეგი იყო, მაგრამ სხვა ზევით ჩამოთვლილი უბედურებანი და პირველ რიგში შფოთი მაინც შინა ომების შედეგად მიაჩნია. კიდევ მეტი, მკვლევარის აზრით, შფოთი 1348 წელზე გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო[84].

ჩვენი აზრით, ავგაროზ ბანდაისძის ცნობა მხოლოდ და მხოლოდ შავი ჭირის ეპიდემიის შედეგებს ასახავს და მისი გამოყენება XIV ს. 30-იანი წლების გასულის საქართველოში შფოთისა და არეულობის მასობრივი ხასიათის მაჩვენებლად მართებული არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, წყაროში დაცული ცნობა დიდი სიკვდილიანობის, ეტრატის სიძვირის, სიგლახაკისა და შფოთის შესახებ არ უნდა განვიხილოთ ერთმანეთისგან მოწყვეტით. დიდი სიკვდილიანობა თავისთავად არის შედეგი მეურნეობის მრავალი დარგის მოშლისა, რაც საერთო არეულობასა და „სიგლახაკეს" იწვევს. მეორე მხრივ, ამ მძიმე ეპიდემიის გავრცელების დროს ხდებოდა მრავალი საგნის და მათ შორის ეტრატის დაწვაც. ამას რომ თავი დავანებოთ, არავითარი საბუთი არა გვაქვს, მთიულეთის ერთ კერძო თემში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძის ცნობები უყოყმანოდ გავავრცელოთ მთელი საქართველოს მასშტაბით. ასე ფიქრობდა ამ ცნობის პირველი მეცნიერულად შემფასებელი მკვლევარი — ივ. ჯავახიშვილი. მისი სიტყვით, ამ შფოთს ადგილი ჰქონდა, შესაძლებელია, სწორედ იმ თემში, სადაც

---

83 „ძეგლი ერისთავთა", შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954, გვ. 319.

84 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, გვ. 142.

ამ ცნობის ავტორი პირადად იმყოფებოდა[85] 1346—1348 წწ. სხვა ქვეყნების ისტორიასაც თუ გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ იქაც მსგავსი და ხშირად უარესი სურათიც კი გადაგვეშლება შავი ჭირის მძვინვარების გამო. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად: სომხეთში, ეგვიპტეში, სირიაში, ინგლისში და ა. შ. შავი ჭირის შედეგების სანახვენებლად, ვფიქრობთ საინტერესო იქნება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. XIV ს. ანონიმი სომეხი ავტორი წერს: „В году 797 (1348) был страшный голод. Три года подряд в армянской стране волки нападали на людей, после чего свирепствовала смерть. Превратилась в пустыню многолюдная армянская страна"[86]. არაბი ავტორი ალ-აინი კი აღნიშნავს, რომ 1348 წელს ეგვიპტეში გარდაცვლილთა რიცხვმა 900 000 მიაღწია. იგი აგრეთვე წერს: „Она (чума.—В. К.) охватила и мусульман и неверных, во всех странах, особенно в землях франковых и обезлюдила большую часть стран. Оказался недостаток во всех товарах, вследствие незначительности привоза их"[87]. (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). ეპიდემიამ გაამწვავა სოციალური პროცესები სოფლად (მაგალითად, ინგლისში), ძალიან გაზარდა ყველა პროდუქტის ფასი[88]. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ რომ XIV ს. 30-იან წლებში საქართველოში ფეოდალური შინაომების და შფოთის არსებობის დასამტკიცებლად ბანდაის ძის მინაწერი არ გამოდგება. ეს ცნობა ლოკალურად უნდა ჩაითვალოს დროის და შესაძლოა, ტერიტორიის მიხედვითაც. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს 1344 წ. შიომღვიმის ლავრის შემორჩენილი სიგელი, რომლის მიხედვით, 1344 წელს საქართველოში შფოთსა, არეულობაზე, თუ დიდ სიღატაკეზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ გუჯარში, რომელსაც შიომღვიმის ლავრა მჭედელ ჯაუნორს აძლევს, იგი თავის თავს უწოდებს „ძლიერსა და უძლეველს"[89].

XIV ს. 50-იან წლებში საქართველოს ხარკის გადამხდელ ქვეყანათა რიცხვში ჩასათვლელად დ. ლანგი იმოწმებს კიდევ ერთ წყაროს, ამჯერად საქმე შეეხება აბდალაჰ იბნ ქია ალ-მაზანდარანის ფინანსური

---

85 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 179.

86 «Хроника» неизвестного автора, Армянские источники о монголах, перевод и издание А. Г. Галстяна, М., 1962, с. 87.

87 В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов..., т. I, 1884, с. 539.

88 История средних веков, т. I, под редакцией А. Д. Удальцова, Е. А. Косминского, О. Л. Вайнштейна, М., 1941, с. 339.

89 თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა... თბ., 1896, გვ. 71—72.

ხასიათის თხზულებას („რესალი-ე ფალაქია“), რომელიც პირველად მეცნიერულად განიხილა ვალტერ ჰინცმა. ალ-მაზანდარანის ბიბლიოთეკა ვით, საქართველოს 1350 წ.[90] გადასახადის სახით გაუღია 40 თუმანი (400 000 დინარი)[91]. თვით ვ. ჰინცი ამ თარიღმა სერიოზულად დააეჭვა. მისი გამოანგარიშებით, მაზანდარანის თხზულება დაწერილია ჯალაირიანების ეპოქაში, არა უადრეს 1363 წლისა. გერმანელი ორიენტალისტის სიტყვით, თხზულებაში დასახელებულ 1350 წელს ის რაიონები, რომლებსაც ალ-მაზანდარანი ჩამოთვლის (საქართველო, გილანი, შირვანი, მცირე აზია და ა. შ.) ჯალაირიანებს არ ემორჩილებოდნენ. ამ დროს ისინი ფორმალურად მელიქ აშრაფის (ჩობანიანის) გავლენაში არიან. მაშასადამე, დაასკვნიდა ვ. ჰინცი, ხარკის გადახდის წელი არასწორადაა დასახელებული. აქედან გამომდინარე, გადასახადის ეს თანხა ვ. ჰინცს აბუ საიდის პერიოდში გადაჰქონდა[92]. რაც შეეხება დ. ლანგს, მან ამ ცნობის თარიღში დაეჭვების ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხა. მისი სიტყვით, ალ-მაზანდარანი სარგებლობს მელიქ აშრაფის დროინდელი საღრიცხვო წიგნებით, რომლებიც ჯალაირიანებს ხელში ჩაუვარდათ 1358 წ. მათ მიერ თავრიზის საბოლოოდ დამორჩილების შემდეგ[93]. დ. ლანგს არ აეჭვებს თანხის მეტად მცირე რაოდენობაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისედაც მცირე თანხა — 40 თუმანი, XIV ს. დასაწყისიდან ფულის სინჯისა და წონის პროგრესული კლების გამო (რასაც თვალნათლივ თვით დ. ლანგის მოყვანილი ცხრილი აჩვენებს)[94], ნომინალის ნახევარს თუ შეადგენდა.

თავისთავად, 10 წლის მანძილზე (1340-დან 1350-მდე) გადასახადის ასეთი შემცირების ფაქტი (მიუხედავად შავი ჭირის შედეგებისა და ა. შ.) მეტად საეჭვოდ მიაჩნია მკვლევარ ს. აშურბეილის[95]. ბოლო დროს მან სპეციალურად შეისწავლა ალ-მაზანდარანის აღნიშნული თხზულება და გაიზიარა ადრე გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საქართველოს მიერ 40 თუმნის გადახდის თარიღი — 1350

---

90 ვ. ჰ ი ნ ც თ ა ნ, დ. ლ ა ნ გ თ ა ნ და სხვა ავტორებთან აღნიშნულია 1349/50 წ. ს. ა შ უ რ ბ ე ი ლ ი ს თ ა ნ — 1350 წ. (იხ. ქვემოთ).

91 დ. მ. ლ ა ნ გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—89.

92 W. H i n z, Die Resala — ye Falakiyya des Abdollah ibn Mohamad ibn Kiya al Mazandarani, Wiesbaden, 1952, s. 2—6.

93 დ. ლანგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

94 იქვე, გვ. 89.

95 С. Б. А ш у р б е и л и, «Ресалей-е Фалакий-е» Абдаллаха ибн Мухаммада ибн Киа ал-Мазандарани как источник по социально-экономической истории Грузии, Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1979, с. 38—46.

წელი, ნდობას არ იმსახურებს. ამასთან, ჰინცისგან განსხვავებით, ს. აშურბეილის თარიღი აბუ საიდის ხანაში კი არ გადააქვს, მიაჩნია, რომ ხარკის გადახდა XIV ს. ბოლოს უნდა მომხდარიყო[96]. მართალია, იგი სათანადოდ ვერ ასაბუთებს ამ აზრს, მაგრამ როგორც დავრწმუნდებით, ეს მოსაზრება ახლოს არის სინამდვილესთან. სადღეისოდ, ალ-მაზანდარანის თხზულების თვით შექმნის თარიღიც კი სათუოდაა გამხდარი. თუ ვ. ჰინცს მისი შედგენის თარიღად დაახლოებით 1363 წ. მიაჩნდა, ს. აშურბეილი თხზულებას ათარიღებს 1467 წლით[97]. რაც უფრო დამაჯერებელი ჩანს. ს. აშურბეილი თვალნათლივ აჩვენებს იმ მრავალ სერიოზულ ქრონოლოგიურ უზუსტობას, რომელიც ალ-მაზანდარანის თხზულების ხელნაწერში გვხვდება. რამდენიმე შემთხვევაში, სადაც ამის გარკვევა ხერხდება, თარიღების უზუსტობა — სხვაობა 100 წელს აღწევს[98]. სხვა შემთხვევებში, საბუღალტრო ჩანაწერთა ნიმუშებში, თარიღები „მხოლოდ“ 30 წლის სხვაობას იძლევა. ვ. ჰინცის და ს. აშურბეილის დასკვნით, თარიღების ასეთი უზუსტობა გამოიწვია ალ-მაზანდარანის ხელნაწერის გადამწერის მეთოდმა. ს. აშურბეილის სიტყვით, მას რატომღაც თავისი დროის (XV ს. დასაწყისი) ამბები ხშირად გადააქვს უფრო ადრე. მაგალითად, დადასტურებულია, რომ 1437 წელს მომხდარი ფაქტი ხელნაწერში დათარიღებულია 1340 წლით და ა. შ. ს. აშურბეილის დაკვირვებით, გამორიცხული არ არის, რომ ასე იქცევა არა ხელნაწერის გადამწერი, არამედ თვით ავტორი[99]. იმის გამო, რომ ამჟამად სამეცნიერო მიმოქცევაშია ალ-მაზანდარანის თხზულების ერთადერთი (აია-სოფიის ბიბლიოთეკის) ხელნაწერი, ძნელია თარიღებზე და თხზულებაში დასახელებულ იმ პირებზე რაიმეს გარკვევით თქმა, რომლებიც სხვა წყაროებში არ გვხვდებიან. მკვლევარის სიტყვით: „საჭიროა ღრმა, გამოწვლილვითი მუშაობა მოცემული სახელებისა და პიროვნებების იდენტიფიცირებისათვის და ასევე ამ პირებთან დაკავშირებული ზუსტი თარიღების დადგენისათვის“[100].

კონკრეტულად განვიხილოთ ალ-მაზანდარანის თხზულების ის ადგილი, სადაც საქართველოზეა ლაპარაკი. იქ რამდენჯერმე იხსენიება გურჯისტანიდან შემოსული გადასახადი („მალი“), რომელიც

---

96 იქვე, გვ. 45.

97 С. Б. Ашурбейли, «Ресалей-е Фалакий-е» Абдаллаха ибн Мухаммада ибн Киа ал-Мазандарани как источник по социально-экономической истории Грузии, Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1979, с. 43—44.

98 იქვე, გვ. 43.

99 იქვე, გვ. 42—43.

100 იქვე, გვ. 43.

400 000 დინარს ან 40 თუმანს შეადგენდა[101]. რაც შეეხება თარიღს 1350 წ., იგი მხოლოდ ერთხელ იხსენიება VIII თავის იმ ნაწილის დასაწყისში, სადაც ლაპარაკია დივანში (საფინანსო უწყებაში) სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულ გადასახადთა შესახებ[102]. ტექსტიდან ვიგებთ, რომ „გურჯისტანის მელიქს“ (ზოგჯერ ამ ტერმინის ნაცვლად ნახმარია მმართველის მნიშვნელობის სიტყვა „ვალი“) უკისრია გადაეხადა და გადაუხდია კიდეც 40 თუმანი. ერთ ადგილას მაზანდარანისთან პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს თანხა საქართველოს გამგებელმა (მეფემ) ბარათებით გადაიხადა „დამტკიცებული დოკუმენტის საფუძველზე“[103]. სხვაგან ნათქვამია: „გადასახადი (მალი)... აიღო თავის თავზე (საქართველოს. — ვ. კ.) გამგებელმა“[104]. ამგვარად, გამოდის, რომ ეს გადასახადი ახლად არის ნაკისრი საქართველოს მეფისგან და არ მოდის ძველთაგანვე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თხზულებაში არც ერთგან არ იხსენიება როგორც საქართველოს მეფის, ისე თანხის მიმღები ქვეყნის მბრძანებლის სახელი. მაზანდარანის თხზულებაში დასახელებულია მხოლოდ იმ ფინანსური უწყების მოხელეთა სახელები, ვინც თანხა მიიღეს. სახელდობრ, იქ იხსენიება ხაზინადარი ბარდ ად-დინ ლულუ[105], ხოჯა, ჯალალ ედ დინი და ემირი იბდალლახი, რომელსაც ეს თანხა დივანში მიუტანია. არც ერთი მათგანი დღეს-დღეობით იდენტიფიცირებული არ არის და, ამგვარად, მათი მოღვაწეობის წლებიც უცნობია. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ თხზულების მიხედვით, ეს თანხა (40 თუმანი) შეუკრებიათ საქართველოს სხვადასხვა რაიონში და მიუტანიათ „ტფილისში“, „აბხაზში“ (აფხაზეთში) და სხვა პუნქტებში[106]. გამოდის, რომ გადასახადი, რომელიც წყაროში მალის სახელით იხსენიება, დასავლეთ საქართველოდანაც აუკრეფიათ. რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? პირველ რიგში, ვფიქრობთ, აშკარად ჩანს ს. აშურბეილის დასკვნის მართებულობა იმის შესახებ რომ თარიღი 1350 წ., ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, გადასასინჯი და შესამოწმებელია. 1350 წლისათვის არც ერთი ქართული და უცხოური წყარო არ ასახელებს ჩობანიანთა შემოჭრას საქართველოში. მაზანდარანის მიხედვით კი

---

101 ს. ა შ უ რ ბ ე ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44—45.

102 იქვე, გვ. 45.

103 იქვე.

104 იქვე, გვ. 44.

105 საინტერესოა, რომ ვინმე ბადრ ად-დინ ლულუ ქ. მოსულის ათაბაგი იყო 1233—1259 წწ-ში.

106 ს. ა შ უ რ ბ ე ი ლ ი დასახ. ნაშრომი, გვ. 40. ეს თანხა გარკვეულ ასოციაციას იწვევს პლანო კარპინის მიერ XIII ს. შუა ხანებში დასახელებულ ხარკის თანხასთან — 40 000 იპერპერთან ან ბიზანტთან.

ეს გადასახადი ახალი ნაკისრია: „Вали (правитель) Гурджи взял на себя обязательство доставить безоговорочно путем откупа налога, на основании утвержденного документа, 400.000 динаров (40 туманов)“[107]. XIV ს. ბოლოს კი, მართლაც, იხსენიება უკვე ფორმალურად ქცეული „სათათრო მალი“. მაგალითად, დაახლოებით 1391—1446 წლების ვანის ქვაბის ერთი ხელნაწერის მინაწერში გვხვდება „ჭაჭკრული სათათრო მალი“[108]. ვფიქრობთ, მაზანდარანის თხზულებაში საქმე ეხება ყარა-ყოინლუს მბრძანებლის ჯაჰან-შახის (1438—1467) პერიოდის გადასახადს, რომელიც უკისრია საქართველოს მეფეს 1440 წ. ამ წელს ჯაჰან-შახმა სასტიკად დაარბია სამშვილდე და თბილისშიც შევიდა. ცნობილია აგრეთვე, რომ მან ქრისტიანებს დიდი ხარკი დაადო[109]. მაზანდარანის თხზულებაში რომ ჯაჰან-შახის დროინდელ დროებით ნაკისრ გადასახადს ეხება საქმე, მით უფრო საფიქრებელია, რადგან, როგორც აღინიშნა, ახალი გამოკვლევის მიხედვით, ხსენებული თხზულება სწორედ ჯაჰან-შახის დროს უნდა შექმნილიყო, მისი მეფობის ბოლო წლებში ან უფრო გვიანაც კი[110]. იმ პერიოდსა და სიტუაციაში 40 თუმანი ორივე მხარისთვის მისაღები თანხა იქნებოდა.

საქართველოს მიერ XIV ს. 30-იან წლებში მონღოლთა უღლის გადაგდების უარსაყოფად, რაც დ. ლანგის მთავარ დებულებას წარმოადგენს, მას მოჰყავს კიდევ ერთი არგუმენტი. ამჯერად იგი იმოწმებს სპარსელი ავტორის ჰაფეზე აბრუს (გარდ. 1430/31 წ.) თხზულებას. დ. ლანგის მიხედვით, 1338 წელს საქართველო დალაშქრა და თითქოს დაიპყრო შეიხ ჰასან ქუჩუკმა (მცირემ), ჩობანიანმა[111].

დაწვრილებით განვიხილოთ დ. ლანგის ეს არგუმენტიც, მით უფრო, რომ ამის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან ცოტა რამ დაწერილა[112].

ჰასან ქუჩუკი და მისი ძმა მელიქ აშრაფი (ჩობან ნოინის შვილთა შვილები) დამაარსებლები იყვნენ ჩობანიანთა სახელმწიფოსი, რომელიც ილხანთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა. ჰასან ქუჩუკმა 1336—1338 წლებში არა ერთი ადარბადაგანის მეზობელი თუ შორე-

---

107 იქვე, გვ. 44—45. (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.).

108 თ. ყორდანია, ისტორიული საბუთები..., გვ. 48. (მინაწერი № 11).

109 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად ტ. III, თბ., 1982, გვ. 265.

110 ს. აშურბეილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

111 დ. ლანგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—84, 91 (ქრონოლოგიური ცხრილი).

112 ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს., თბ., 1967, გვ. 178.

ული ქვეყანა დალაშქრა, მათ შორის ტრაპიზონიც კი[113]. ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ვახუშტი ბატონიშვილთან აღწერილი XIV ს. 30-იანი წლების შუა ხანებში „ადარბაგანის (ადარბადაგანის) ნოინების“ საქართველოზე თავდასხმა სწორედ ჰასან ქუჩუკის შემოსევას გულისხმობს[114]. როგორც ჩანს, ვახუშტის საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის წერისას დოკუმენტური ქართული წყაროები გააჩნდა. მათზე დაყრდნობით აღწერა მან სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საილხანოში აბუ საიდის სიკვდილის შემდეგ. ეს ბრძოლა, მისი ცნობით, ქ. განძასთან (განჯასთან) მომხდარა: გიორგი V-ს მონღოლ ნოინებზე გაუმარჯვია და მტერი უკუუქცევია[115].

განვიხილოთ ჰაფეზე აბრუს თხზულების ის ადგილი, რომელსაც დ. ლანგი ეყრდნობა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის გავლენით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არაზუსტად აისახა ჰაფეზე აბრუს ეს ცნობა. დ. ლანგთან ლაპარაკია იმაზე, თითქოს ჰაფეზე აბრუ იუწყებოდეს, რომ ჰასან მცირემ, ჩობანიანმა, საქართველოს ნაწილი, კონკრეტულად — აღმოსავლეთი საქართველო დალაშქრა და დაიპყრო[116]. იგივეს აღნიშნავს ვ. გაბაშვილიც[117]. ზემოთ მოყვანილ ავტორებზე დაყრდნობით ეს აზრი გავიზიარეთ ჩვენც 1979 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში[118]. სინამდვილეში, ჰაფეზე აბრუს კონკრეტულად არა აქვს აღწერილი არც ერთი ბრძოლა საქართველოსთან (აქ ვგულისხმობთ XIV ს. 30-იან წლებს) და, ბუნებრივია, არა აქვს დასახელებული ბრძოლის თარიღიც. ვიდრე 1339 წ. ამბებს მოგვითხრობდეს, ჰაფეზე აბრუ ზოგადად აცხადებს: „მას შემდეგ, რაც შეიხ ჰასან ჩობანიანმა მთლიანად დაიპყრო ერაყი აჯემი (სპარსეთის ერაყი, ვ. კ.), აზერბაიჯანი, არანი, მუღანი (ტექსტში ეს ტოპონიმი დამახინჯებულია.— ვ. კ.) და გურჯისტანი, იგი სულთანიეში საზეიმოდ შე-

---

113 ვ. კიკნაძე, მ. პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1985, გვ. 76—79.

114 ვ. კიკნაძე, საქართველოსა და ჩობანიანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ, გვ. 501—503. ეს დებულება აისახა საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც, იხ. ბ. ლომინაძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, § 6, გვ. 667 (შენ. 3).

115 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 258—259.

116 დ. ლანგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—84, 91.

117 ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხი, გვ. 137—141.

118 ვ. კიკნაძე, საქართველოსა და ჩობანიანების..., გვ. 502.

ვიდა და იქ იმყოფებოდა ზამთრის ბოლომდე“[119] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.) როგორც ვხედავთ, სპარსელი ავტორი არ ლაპარაკობს საქართველოს ნაწილზე და არც რაიმე კონკრეტულ ბრძოლაზე. იგი მთლიანად „გურჯისტანს“ ასახელებს. ამ ტექსტის ციტირებისას დ. ლანგი სწორედ ჩვენ მიერ დამოწმებულ გამოცემას და გვერდს უთითებს, მაგრამ ეტყობა მიაჩნია, რომ მთლიანად საქართველოს დაპყრობა იმ დროის დაშლილ საილხანოს მემკვიდრეთ არაფრით აღარ შეეძლოთ და „კორექტირებას“ უკეთებს ჰაფეზე აბრუს ზოგად განცხადებას. ასევე იქცევა ა. ალი-ზადეც, რომელიც საქართველოს დასახელებისას უმატებს მას სიტყვა „ნაწილს“ რაც, როგორც დავრწმუნდით, სპარსელ ავტორთან არ არის[120].

დ. ლანგი თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ჰაფეზე აბრუს ტექსტს და წერს, რომ 1342 წელს ჰასან ქუჩუკს აუჯანყდა ძმა მელიქ აშრაფი და ისიც საქართველოში შევიდა („დაიხია“)[121]. ესეც დ. ლანგის აზრით, საქართველოს დაპყრობის მაჩვენებელია.

ეს აზრი უფრო გარკვევით აქვს მას გამოთქმული შრომისადმი დართულ ქრონოლოგიურ ნუსხაში. აქ ნათქვამია შემდეგი: „1342 წ. მელიქ აშრაფ ჩობანიანმა, ჰასან მცირის ძმამ, დაიპყრო აღმოსავლეთ საქართველო“[122]. სინამდვილეში, სამხრეთ აზერბაიჯანში, სადაც ჰასან მცირის რეზიდენცია იყო, მეტად არეული სიტუაცია შეიქმნა. 1339 წ. ჰასან დიდი ჯალაირის და ჰასან მცირე ჩობანიანის არმიები მდინარე ჯალათუსთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში შეეჯახნენ ერთმანეთს. მართალია, ამ ბრძოლაში ჩობანიანებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ამის შემდეგ ჰასან მცირეს განუდგა მისი ჯარის მხედართმთავარი ფირ ჰუსეინი. მალე, ჰასან მცირემ იგი მოტყუებით შეიპყრო და მოკლა, მაგრამ ახლა ჩობანიანებს აუჯანყდა ჩობანის ერთ-ერთი ვაჟი იაღიბასთი, რომელმაც თავი ჯალაირიანებს შეაფარა. ამას მოჰყვა სეიფ ალ-მულუქის გამოსვლა, რომელმაც თავი ოლჯაითუს შთამომავლად გამოაცხადა[123]. ამ ამბების გადმოცემის შემდეგ ჰაფეზე აბრუ სიტყვა-სიტყვით შემდეგს გვაუწყებს: „მელიქ აშრაფი თავისი ძმის (ჰასან ქუჩუკის,—ვ. კ.) შიშით, რომელიც იმ დროს ძალიან ძლიერი იყო, წავიდა საქართველოს ქვეყანაში და თ ა ვ ი გ ა დ ა ი რ ჩ ი ნ ა“[124] (ხაზი

---

119 H a f i z i A b r u, Chroniques des rois Mongols en Iran, Paris, 1936 p. 131.

120 А. А. А л и - З а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., с. 330.

121 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ.131—135.

122 იქვე, გვ. 91.

123 ჰ ა ფ ე ზ ე აბრუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—135.

124 იქვე, გვ. 136.

ჩვენია. — ვ. კ.). როგორც ვხედავთ, სიტუაცია სულ სხვაგვარია. ... ...

არტყეს ალყა თავრიზს, რადგან დედაქალაქის მცხოვრებლებს მათი შეშვება არ უნდოდათ. მართალია, მალე აშრაფმა და ბასთიმ თავრიზს მიალწიეს და დედაქალაქ თავრიზში შევიდნენ (სადაც სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გამართეს), მაგრამ ამის შემდეგ თვით მათ შორის ჩამოვარდა განხეთქილება[129]. შემდგომ ხანებში აშრაფის საქართველოში შემოჭრის შესახებ არც ერთ წყაროში არაფერი არ არის ნათქვამი. ჰაფუზე აბრუს სიტყვით, 40-იანი წლების მიწურულს მელიქ აშრაფმა ალყა შემოარტყა ჯალაირიანთა დედაქალაქ ბაღდადს, მაგრამ უშედეგოდ. ბაღდადელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას, აშრაფის ჯარმა მოხსნა ალყა და სამარცხვინოდ გაიქცა. იგი თავრიზში დაბრუნდა. ამის შემდეგ, ჰაფეზე აბრუ კვლავ ზოგადად და დაუსაბუთებლად აცხადებს, რომ აშრაფმა „აზერბაიჯანის, ერაყი-აჯემის, არანის, მუღანის, ქურდისტანის და გურჯისტანის ქვეყნების მმართველებად დანიშნა ის ემირები, ვინც მისი ერთგულები იყვნენ“[130]. შევადაროთ, როგორ წარმოგვიდგენს ყოველივე გამოთქმულს თავის შრომაში დ. ლანგი. იგი წერს: „1342 წ. შეიხ ჰასან მცირეს ძმა მელიქ აშრაფი აუჯანყდა და მან საქართველოში დაიხია. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჰასან მცირე მოკლულ იქნა, მელიქ აშრაფმა თ ა ვ ი ს ი ე რ თ ი მ ო მ ხ რ ე თ ა გ ა ნ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა მ გ ე ბ ლ ა დ დ ა ნ ი შ ნ ა“[131] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). დ. ლანგის შრომაში დაკარგულია წყაროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი. მოყვანილი ტექსტიდან ისე გამოდის, თითქოს მელიქ აშრაფი საქართველოში თავის გადასარჩენად კი არ გადასულა, არამედ ქვეყნის დასაპყრობად. ამ აზრს უფრო აძლიერებს მოტანილი ციტატის შემდეგი წინადადება, რომლის მიხედვით მკითხველი იფიქრებს, რომ წყარო კონკრეტულად ასახელებს, ვინ დანიშნა აშრაფმა ამის შემდეგ საქართველოს (კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს) განმგებლად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ წარმოადგენს დ. ლანგი გიორგი V-ის მოღვაწეობას 1327 წ. შემდეგ. დ. ლანგის მიხედვით, აბუ საიდ ყაენის მიერ ჩობანის მოკვლის შემდეგ გიორგი V-მ რუსუდან დედოფალსა და დავით ნარინს მიბაძა და სამეფო ტახტი ქუთაისში გადაიტანა. ამ აზრის დამადასტურებლად, დ. ლანგს მოჰყავს XVIII ს. ქართული წყაროების ვახუშტისა და ეგნატაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი V 1330 წ. დასავლეთ საქართველოში გადადის და იმიერ-ამიერს აერთიანებს[132]. ამ შემთხვევაში ამ გვიანდელი ცნობე-

---

129 ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ, დასახ. ნაშრომი, გვ. 146—147.

130 იქვე, გვ. 148.

131 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

132 იქვე, გვ. 86—87.

ბის მიმართ ავტორს ეჭვი არ ებადება, მაგრამ თავისებურად იმეორებს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი ავტორის ასეთი დასკვნის უსაფუძვლობას კარგად აჩვენებს (თავი რომ დავანებოთ თვით ვახუშტისა და ეგნატაშვილის კომისიის სრულიად გარკვეულ ცნობებს ამ საკითხზე) 1338 წლის გიორგი V-ის სიგელი. ამ საბუთის მიხედვით, 1338 წელს გიორგი V-ის რეზიდენცია თბილისშია; მეფე ივანე ჯავახიშვილ-თორელს კოჟრის (კოჯრის) მონასტერ „ათენაგუენს" უბრძანებს. ის, რომ საქმე თბილისის მახლობელ სოფელ კოჯორს შეეხება, მტკიცდება იმით, რომ სიგელის დასამოწმებლად მეფე მიმართავს „ტფილისის ამირათ-ამირათა" და ქართლის კათალიკოსს[133]. დ. ლანგის ზევით მოყვანილი დებულების უსაფუძვლობას მოწმობს, აგრეთვე, საფრანგეთის მეფის ფილიპე VI—ვალუას მიმართვა გიორგი V-ისადმი და საქართველოს მეფის პასუხი 1332/33 წწ[134]. ამ წერილში, გიორგი V საფრანგეთის მეფეს უთვლიდა, რომ მზად იყო მასთან ერთად „წმინდა მიწების" გამოსახსნელად სირია-პალესტინაში გაელაშქრა და ამ მიზნით 30 000 ჯარისკაცი გამოეყვანა[135]. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ გიორგი V ამ დროს უკვე თვით არის თავისი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი. ამავე წყაროში ნათქვამია, რომ 1332 (1333) წ-ს გიორგი V-ს თბილისში პატივით მიუღია საფრანგეთის მეფის წარგზავნილები — რიკარდო მერჩერი (მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი[136].

გიორგი V-ის მიერ თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს მფლობელობაზე 1335 წლისთვის და მონღოლთაგან მის დამოუკიდებლობაზე მეტყველებს, აგრეთვე, გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულთათვის შედგენილი სამართალი— „ძეგლის დადება" (შედგენილია 1334—35 წწ.)[137]. ამ ძეგლის პრეამბულაში მეფე აცხადებს, რომ სამართალი მთიულთათვის დაუდვია — „ყოველგნით უცილობლად ქონებასა შინა სამეფოსა... და უცილობლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისა"[138]. იქვე მეფე დასძენს, რომ ადრე მის სახელოვან წინაპრებს მთიულთათვის სამართალი ვერ დაუდვიათ „სხვის ჟამის შემოსრულობის" გამო. აქედანაც ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ახლა, მის დროს, „სხვის (უცხოელთა) ჟამი" დასრულებულა და მეფემ მთი-

---

133 წყალობის სიგელი გიორგი V-ისა ივანე თორელ-ჯავახიშვილისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1966, გვ. 97.

134 იხ. ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, ჟურნალი „მნათობი", 1983, № 4, გვ. 158—164.

135 იქვე, გვ. 159.

136 იქვე.

137 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 13—15.

138 იქვე, გვ. 103.; შეად. ვახუშტი, აღწერ. ნაშრომი, გვ. 258.

ულეთის არეული საქმეებისათვის მოიცალა. „ძეგლის დადების“ ამ ადგილს ყურადღება მიაქცია და სწორი ინტერპრეტაცია მისცა ჯერ კიდევ 1889 წ. ნ. ურბნელმა[139]. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამავე წყაროში მეფე გიორგი თავის სამეფო რეზიდენციად ჟინვანთან (საზაფხულო სასახლე) ერთად, მ უ ხ რ ა ნ ს ა ც (საზამთრო სამყოფელი) ასახელებს. ეს კი გამორიცხული იქნებოდა მონღოლთა მფლობელობის ჟამს, როდესაც ქართული წყაროების ცნობით, მუხრანი მონღოლ-მომთაბარეთა ერთ-ერთ ძირითად სადგომს წარმოადგენდა ქართლში (იხ. ზევით. ჟამთააღმწერელი, „ძეგლი ერისთავთა“).

გარდა ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა, მონღოლთა უღლის გადაგდებაზე თვალნათლივ მეტყველებს, აგრეთვე, ჟამთააღმწერლის, გიორგი V-ის თანამედროვე ავტორის შემორჩენილი ტექსტიც, მართალია, ამ მატიანის თხრობა მხოლოდ 1318 წ-მდე აღწევს, მაგრამ თხზულების მთელი აღნაგობა და თავშეკავებული მემატიანის მიერ გიორგი V-ის აღფრთოვანებული დახასიათება („ბრწყინვალე“, „უძლეველი“, „საკვირველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა“, „დიდი“, „საჩინო“)[140], მოწმობს ამ მეფის ძალიან დიდ ღვაწლს სამშობლოს წინაშე. გიორგი V-ის დროს კი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება საქართველოში მომხდარიყო, მონღოლთაგან განთავისფლება იყო. ამიტომ ადარებს ეს ქართველი ისტორიკოსი გიორგი V-ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას დილის ვარსკვლავის („მთიების“) ამობრწყინებას[141]; ამიტომაც უწოდებს XIV ს. მიწურულში მოღვაწე აღბუღა სამცხის ათაბაგი გიორგი V-ს „დიდს, წარჩინებულს“[142]. ამასთან ერთად, თავისი თხზულების დასაწყისშივე ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ საქართველომ მარცხი განიცადა მონღოლებთან ბრძოლაში XIII ს. 20-იან წლებში. ამის შემდეგ, „ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა (ქართველებს, — ვ. კ.) ძლევა თათართა ზედა, ვ ი დ რ ე ჟ ა მ თ ა მ დ ე ჩ უ ე ნ თ ა[143] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.), ე. ი. მემატიანის დრომდე საქართველომ ვეღარ მოახერხა მონღოლთა დამარცხება. მაგრამ გიორგი V-ის ჟამს ქართველებმა სძლიეს მტერს. სწორედ ასე ესმოდა მემატიანის ეს სიტყვები ივ. ჯავა-

---

139 ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 80.

134 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 255, 294, 296, 304.

141 იქვე, გვ. 325.

142 ბ ე ქ ა-ა ღ ბ უ ღ ა ს სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1962, გვ. 42.

143 იქვე, გვ. 165.

ხიშვილს[144]. საინტერესოა ისიც, რომ 1335 წ. ერთი უცხოური წყაროს საქართველოს მეფეს „უძლიერესს“[145] უწოდებდა. XIV ს. შესანიშნავი ლებული ხონის ეკლესიის წმ. გიორგის ხატის წარწერაც გიორგის „უძლეველის“ ეპითეტით ამკობდა[146].

მონღოლთა უღლის გადაგდებასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: გიორგი V რომ სავსებით მომზადებული არ შეხვედროდა 1327 წ. საილხანოს პირველი ნოინის ჩობანის სიკვდილს, იგი თვითონაც მის ხვედრს გაიზიარებდა. გავიხსენოთ გიორგი V-ის მამის, დემეტრე II-ის (1270—1289) მაგალითი. დემეტრე თავდადებული, როგორც ცნობილია, მხოლოდ იმიტომ დასაჯეს ურდოში სიკვდილით, რომ მას ყაენისაგან შერისხული ბუღა ჩინგსანის (ეს წოდება მონღოლთა ყველაზე საპატიო წოდება იყო. ამ ეპითეტით ბუღას ჟამთააღმწერელიც ახსენებს) მომხრეობა დაჰბრალდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ დემეტრესთვის თავი მოეკვეთათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი სიტუაცია მონღოლთა ისტორიაში გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ასე რომ, 1327 წელს გიორგი V-ს ალტერნატივა არც ჰქონდა: მონღოლთა წინააღმდეგ იგი ან იარაღით უნდა გამოსულიყო, ან თვითონ მას დაიბარებდნენ ურდოში და ჩობანის ხვედრი გარდუვალი იყო. ჩობანისა და გიორგი V-ის ურთიერთობისა და კეთილმოყვარეობის ამბავი ხომ იმდენად გახმაურებულა, რომ შორეული ეგვიპტის არაბი ისტორიკოსების ალ-აინისა და ალ კალკაშანდის ყურამდეც მიუღწევია. ვფიქრობთ, ზევით მოყვანილი ეს მომენტი, რომელსაც ისტორიოგრაფიაში ნაკლები ყურადღება ექცევა, გადამწყვეტ არგუმენტს წარმოადგენს საქართველოდან მონღოლთა განდევნის დასამტკიცებლად[147].

ამგვარად, კრიტიკულად განვიხილეთ ყველა ის არგუმენტი, რომლებიც თითქოსდა ეწინააღმდეგებიან საქართველოს მიერ მონღოლთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას 1327—1335 წწ-ში. როგორც დავრწმუნდით, ისინი არ იძლევიან საკმარის საფუძველს, უარვყოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრი ამ ეპოქაში განხორციელებული კარდინალური მოვლენის — საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ.

---

144 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 247.

145 ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები..., გვ. 160.

146 შ. ამირანაშვილი, ხონის ეკლესიის წმ. გიორგის ხატი, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1924, გვ. 138.

147 ამ საკითხზე ერთგვარად ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ლ. სანიკიძე. იხ. „უქარქაშო ხმლები“, წ. II, თბ., 1984, გვ. 192.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრაპიზონს ზევით... მდებარეობს ერთი მბრძანებლის დიდი და ხალხმრავალი ქვეყანა. იქ ისეთი თანხმობა სუფევს, რომ მას ვერცერთი წარმართი ვერაფერს დააკლებს“.

XV ს. სერბი იანიჩარის ჩანაწერებიდან.

XIII ს. II ნახევარში, მონღოლთა გაბატონების შედეგად, საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა ფაქტი გახდა. 1259—1264 წწ. ლიხთიმერეთში დავით რუსუდანის ძე, ნარინად წოდებული (1247—1293) დამკვიდრდა და ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქად აქცია.

ამავე ხანებში (1266 წ.) საქართველოს გამოეყო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — სამცხე-საათაბაგო. სამცხე ილხანი ყაენის უშუალო მფლობელობაში გადავიდა (ე. წ. „ხასინჯუდ“ იქცა).

ამ დროის დასავლეთ საქართველოს შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შემონახული. 1293 წელს, დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ, ლიხთიმერეთის მეფედ მისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე ეკურთხა. ჟამთააღმწერლის მიხედვით, დავით ნარინს, კონსტანტინეს გარდა, კიდევ ორი ძე ჰყავდა — მიქელი და ალექსანდრე — „რომელი უშვა დედოფალმან დიდისა პალიალოღოსის ასულმან“ (იგი, ჩანს, სწრაფად გარდაიცვალა). შემდეგ მემატიანე განაგრძობს: „ხოლო მიიღო მეფობა კოსტანტინე პირმშოებისა ძლით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქელ და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო“. ეს დავა ძმათა სიკვდილამდე გაგრძელებულა, „რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან“[148]. კონსტანტინეს, როგორც ჩანს, გარკვეული სახელი მაინც მოუხვეჭია, რადგან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთი აღაპი მას ამ მონასტრის „ახლად შემკაზმავს“ (ე. ი. აღმდგენელ-განმაახლებელს) უწოდებს[149]. მისი აღაპი ძმა მიქელთან ერთად დაუცავს სინას მთის ერთ-ერთ ხელნაწერსაც[150] და პეტრიწონის მონასტრის 1311 წ. ხატის წარწერასაც[151].

კონსტანტინეს შემდეგ მისი ძმა — მიქელი გამეფდა, მაგრამ მისი მეფობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. მიქელი 1329 წელს გარდაიცვა-

---

148 ჟამთააღმწერელი, გვ. 295.

149 ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100, 138.

150 ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

151 ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, გვ. 358.

ლა[152]. შემორჩენილია მის მიერ გაცემული მიქელაძეთა სასისხლო სიგელის გვიანდელი ასლი, რომელიც დათარიღებულია 1326 წლით[153]. თუ ამ სიგელის XIX საუკუნის ასლში რაიმე შეცდომა არ არის დაშვებული, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მიქელი 1327 წ. კი არა, როგორც ვახუშტის აქვს, არამედ ერთი წლით ამაზე ადრე გამეფებულა. ამ აზრს თითქოს ის გარემოებაც ამაგრებს, რომ თვით ვახუშტი ერთგან აღნიშნავს გამეფებიდან — 1329 წ-მდე (გარდაცვალებამდე), მიქელმა სამი წელი იმეფაო[154] (ე. ი. 1326+3=1329 წ.). მიქელაძეთა დასახელებული სიგელი სხვა მხრივაც საინტერესოა. გარდა იმისა, რომ იქ იხსენიება იმ დროის დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ-დიდებულთა გვარები (მხეცის-ძე, კახაბერის-ძე და ა. შ.), რაც საბუთის სანდოობაზე მეტყველებს, სიგელის მიხედვით ისიც დასტურდება, რომ მონღოლთა სუზერენობა გარკვეული დროით და სახით ლიხთ-იმერეთზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, სიგელში ნათქვამია, რომ მანგასარ მიქელაძეს სასისხლო სიგელი არ აღმოაჩნდა, რადგან თურმე „თათართაგან წაღებული [ჰ]ქონდა"[155]. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა რაშიდ ად-დინის მიმოწერის ცნობებიც.

ირკვევა, რომ თვით ამ სპარსელ მემატიანეს, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, დასავლეთ საქართველოშიც ჰქონია ზაფრანის მოზრდილი პლანტაციები[156]. გარდა ზევით დასახელებული ფაქტიური მონაცემებისა, რაშიდ ად-დინის მიმოწერაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ყაზან ყაენს სირიაში ლაშქრობის დროს ჯარის ერთი ნაწილი, 120 000 მეომრის რაოდენობით, ტრაპიზონსა და „აფხაზეთში" (ჩანს, დასავლეთ საქართველოში) გაუგზავნია: „ურჩი ხალხისა და ბილწი ბრბოს წესრიგში მოსაყვანად და მათთვის მონობისა და მორჩილების უღლის დასადგმელად"[157]. ეს უნდა მოხდარიყო 1299—1300 წწ-ში, ამგვარად, თუ ცნობა სინამდვილეს შეესაბამება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან დასავლეთ საქართველო გარკვეული სახით კვლავ მონღოლთა მფლობელობაშია. შესაძლოა, ეს მოხდა ჯერ კიდევ რუსუდან დედოფლის (1222—1245) მიერ მონღოლებთან დადებული ზავის პირობების აღდგენის საფუძველზე. ზავი, კერძოდ, გულისხმობდა, რომ ლიხთ-იმერეთში მონღოლთა ლაშქარი და მათი

---

152 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 257.

153 მიქელაძეთა სასისხლო სიგელი. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1904, გვ. 33.

154 ვახუშტი, დასახ. შრომა, გვ. 801.

155 მიქელაძეთა სასისხლო სიგელი, დასახ. გამოცემა, გვ. 33.

156 კ. ტაბატაძე, რაშიდ ად-დინის [მიმოწერის] ცნობები..., გვ. 85.

157 იქვე, გვ. 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელეები არ შევიდოდნენ, მაგრამ იმერეთიც სცნობდა მათ უზენაესობას და გარკვეული რაოდენობით ხარკს გადაიხდიდა[158].

ვახუშტი ბატონიშვილის დაკვირვებით, ვითარება ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში დეცენტრალიზაციის ძალიან კარგ პირობებს ქმნიდა. მისი სიტყვით: „იხილა დადიანმან გიორგი ესე ვითარება მათ შორის (იგულისხმება ქიშპი კონსტანტინესა და მიქელს შორის, ვ. კ.), მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე, აგრეთვე, შერვაშიძემ — აფხაზეთი და გურიელმან — გურია და სუანთა ერისთავმან — სუანეთი და განიმკვიდრნეს თ ვ ს ა დ და არღარა ეგოდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა“[159].

მართლაც, ოდიშის ერისთავები — დადიანები, თანდათან ძალას იკრებენ და აფართოებენ თავიანთ საგამგეოს. ისინი ფორმალურადღა ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. თანდათანობით მათი საერისთაო ტერიტორია დამოუკიდებელი სამთავროს ატრიბუტებს იძენს; თუმცა მოცემულ პერიოდში დასრულებული სახით ის არ გაფორმებულა, მაგრამ რამდენად დიდი გავლენა ჰქონიათ დადიანებს, ჩანს არაბი ავტორის ალ კალკაშანდის კომპილაციიდანაც. ეს წყარო (ალ მუჰიბიზე დაყრდნობით) დადიანებს „მელიქების“ (მეფე, მთავარი) ტიტულით მოიხსენიებს და დასავლეთ საქართველოს მეფეებად ჰყავს მიჩნეული[160]. ისევე, როგორც ვახუშტი, ალ. კალკაშანდიც აღნიშნავს, რომ დადიანები ქ. სოხუმსაც ფლობდნენ[161]. დადიანთა ძლიერება იმდენად დიდი ყოფილა, რომ XV ს. შექმნილი თურქული ეპოსი („ქითაბი დედე ქორქუთ“) მათ ქ. ახალციხის ფლობასაც კი მიაწერდა[162]. ვახუშტის მიერ ნახსენები გიორგი დადიანი, XIII ს. მეორე ნახევრის ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთუხუცესის — ბედან დადიანისა და ბეგა ქართლის ერისთავის ასულის — ხუაშაგის ძე იყო[163]. იგი გარდაიცვალა 1323 წ. მას ცვლის ვაჟი მამია, რომელმაც „უმეტესად დაიპყრა ოდიში“[164]. ვახუშტის ცნობით, მიქელ ნარიანის ძეს

---

158 შდრ. ც. ღ ვ ა ბ ე რ ი ძ ე, ფულადი ტერმინების შესახებ XIV ს. სასისხლო სიგელებში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“ XXXV — B, თბ., 1981, გვ. 17—18.

159 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ ნაშრომი, გვ. 801.

160 В. Г. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди..., с. 214.

161 იქვე.

162 Б а р т о л ь д В. В., Турецкий эпос и Кавказ, Сочинения, т. V, М., 1968, с. 48; შდრ. დედე ქორქუთის წიგნი, თბ., 1987, გვ. 90 (აქ ტექსტი სხვაგვარად იკითხება).

163 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1973, № 2, გვ. 77.

164 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ ნაშრომი, გვ. 801.

უცდია ერისთავთა და მთავართა დამორჩილება, მაგრამ ერისთავთა გადაყენება და შეცვლა მას აღარ შესძლებია: „წართმევითა ... ლებითა ვერღარა შეუძლო“[165], წერს იგი.

ამ პერიოდში გაძლიერდა დადიანთა ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. მართალია, ცნობილია, რომ ამ დროს შავი ზღვის სანაპიროზე გენუელთა კოლონიები (გაგარი, სანტა სოფია, კავო დე ბუქსო, ნიკოფა, სანტ-ანჯელო) მოქმედებდნენ, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი იყო, რომ ცხუმში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. ეს კათედრა დაარსებულა გიორგი დადიანის დროს, 1318 წელს. სოხუმის პირველი კათოლიკური ეპისკოპოსი იყო ბერნარ მორე. როგორც ჩანს, იგი ეპისკოპოსობდა 1330 წლამდე, როცა ამ პოსტზე შეცვალა წარმოშობით ინგლისელმა პეტრე გერალდმა[166].

ამ დროს შავი ზღვის სანაპიროზე სებასტოპოლს (ცხუმს) გარდა, დიდ როლს თამაშობდა ბიჭვინთა (იტალიურ რუკებზე „პეცონდა“). XIII ს. დამლევს და XIV ს. დამდეგს ბიჭვინთა (სოტირიუპოლი) მთელი დასავლეთ კავკასიის რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა, რადგანაც მასთან შეერთებული იყო ჯიქეთისა და ალანთა მიტროპოლიები. სამი კათედრის ასეთი გაერთიანების შესახებ ი. კულაკოვსკი ფიქრობდა, რომ შესაძლოა მას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ზ. ანჩაბაძეს კი მიაჩნდა, რომ გაერთიანების მიზეზი სოტირიუპოლის (აბაზგიის) იერარქის ჩრდილო კავკასიაში გავლენის გავრცელება იყო[167]. ეს მოსაზრება უფრო მართებული ჩანს. XIV ს. მიწურულიდან ბიჭვინთაში მკვიდრდება აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსიც. მანამდე, როგორც ზევით ციტირებული პეტრე გერალდის წერილი მოწმობს, დასავლეთ საქართველოს პატრიარქის (წყაროში მას „ეპისკოპოსთა-ეპისკოპოსი“ ეწოდება) რეზიდენცია სოხუმში (სებასტოპოლში) ყოფილა.

როგორც აღვნიშნეთ, მიქელ დავით ნარინის ძემ მხოლოდ სამი წელი იმეფა და 1329 წელს გარდაიცვალა. დასავლეთ საქართველოში ახლა მიქელის მცირეწლოვან ძეს ბაგრატს უნდა ემეფა, მაგრამ „ამან, ბაგრატ, სიყრმით თჳსით და დაუმორჩილებლობითა მთავართათა ვერ იკადრა მეფობა, რამეთუ არღარა მოერთნენ ერისთავნი“.

---

165 ვახუშტი, დასახ. მაშრომი, გვ. 801.

166 Richard J., La Papaute et les missions d'Orient au Moyen age, Rome, 1977, p. 178; Raynaldy O., Annales Ecclesiastici.., t. XV, Rome 1691, p. 417 (1333, № 57).

167 Ю. Кулаковский, Христианство у алан, Византийский временник, т. V, СП, 1898, с. 11; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, с. 241.

გიორგი V-მ, რომელიც თვალს ადევნებდა იმერეთის სამეფოში მიმდინარე მოვლენებს, ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და „დასავლეთ საქართველოში ილაშქრა. ვახუშტის სიტყვით, „მაშინ იხილა ესე ვითარება..., ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და ეზრახა იმერთა... მერმე შემოიკრიბნა სპანი თჳსნი ძლიერნი, გარდავლო მთა ლიხისა სპითა. და ამისი მხილველნი იმერნი, ყოველნი მოერთოდენ სიხარულითა"[168]. მისივე ცნობით, ლიხთ-იმერეთს ლაშქრით გადასულ გიორგი V-ს წინააღმდეგობა ფაქტიურად არავინ გაუწია; თავისი შრომის მეორე ნაწილში (საქართველოს XIV—XVIII სს. ისტორია) ვახუშტი იმერთა უბრძოლველად დანებების მიზეზსაც განმარტავს: „იმერნი, ვინაითგან შეიწრებულ იყვნენ ჯდომითა და ოჯრებითა, და არცა გიორგი იყო შორეული მემკვიდრე იმერეთისა, ამისთჳს მისცეს პირი მტკიცე"[169].

ყრმა ბაგრატ მიქელის ძე მის აღმზრდელებს და მომხრეებს ქუთაისის ციხეში გაუმაგრებიათ, მაგრამ როცა გიორგი ბრწყინვალის ლაშქარი მოახლოვდა, „ბაგრატ ვერღარა წინააღდმდგომი და შემჭირვებული რაოდენსამე ჟამსა, ევედრა მეფესა გიორგის, რათა არა-რაი ავნოს სიკუდილითა, ანუ პატიმრობითა[170]. გიორგი V-მ შეიწყნარა ბაგრატის თხოვნა და შორაპნის ერისთავად დააყენა ის[171]. 1330 წლისათვის გიორგი მეფეს სჭერია „ყოველნი ციხე-ქალაქნი იმერეთისანნი"[172]. ამის შემხედვარე დადიანი მამია, გურიელი, შერვაშიძე და სვანთა ერისთავი მორჩილებას უცხადებენ მეფე გიორგი ბრწყინვალეს[173].

დასავლეთ საქართველოს შემოერთების ამბავს მოკლედ მოგვითხრობს, აგრეთვე, ბერი ეგნატაშვილის კომისიის მინაწერიც „ქართლის ცხოვრების" ტექსტზე. ამ წყაროს სიტყვით, ნარინ დავითის შვილნი „ერთმანეთზედა აღდგნენ", ამით ისარგებლა გიორგი V-მ — „იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო"[174].

ვახუშტის მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთების დეტალური აღწერა ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ მას XIV ს. ქართული დოკუმენტური წყარო გააჩნდა. მისი თხრობის სანდოობაზე მეტყველებს, აგრეთვე სამეცნიერო მიმოქცევაში ჩვენს მიერ შემოტანილი, სოხუ-

---

168 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 257, 802.
169 იქვე.
170 იქვე, გვ. 257.
171 იქვე, გვ. 258.
172 იქვე, გვ. 257.
173 იქვე, გვ. 278.
174 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325 (ჩანართ-შენიშვნა).

მის (სებასტოპოლის) კათოლიკეთა ეპისკოპოსის პეტრე გერალდის წერილი. საბუთში ნათქვამია, რომ 1330 წელს დასავლეთ საქართველოს გამგებელი (როგორც ჩანს, მამია დადიანი) მთელი საქართველოს მხედართმთავრის (ამირსპასალარის) წოდებას ატარებდა[175]. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი V დასავლეთ საქართველოში სწორედ 30-იან წლებში გადასულა და მორჩილების აღიარების სანაცვლოდ მამია დადიანისათვის (1323—1345) ამირსპასალარობა უბოძებია, როგორც ამას გვაუწყებს ვახუშტი. გიორგი V-ის მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე უნდა მეტყველებდეს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ იმიერ საქართველოს XIII—XIV სს. ტრადიციული ფულადი ერთეულის, ე. წ. „კირმანეული თეთრის" ზოგიერთ ცალზე ჩნდება გიორგი მეფის მონოგრამა — ინიციალები[176].

ქართული წყაროების მიხედვით, ასე უსისხლოდ განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორც საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა იყო.

როგორც ი. სიხარულიძე აღნიშნავს, „იმერ-ამერის დარღვეული ერთიანობის აღდგენა პროგრესის ძალთა დიდი გამარჯვება იყო"[177].

იმერეთის შემოერთების შემდეგ განცალკევებით რჩებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო. ეს მხარე გიორგი მეფის დედის და აღმზრდელი პაპის ბექა მანდატურთუხუცესის სამშობლო იყო. ჟამთააღმწერლის ცნობით, XIV ს. დასაწყისისათვის ბექას უზარმაზარი ტერიტორია სჭერია: „ტასისკარითგან — ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე"[178] (იგულისხმება შავი ზღვა. — ვ. კ.) გიორგი ბრწყინვალემ ჯერ კიდევ 20-იან წლებში ბიძა სარგის II დაიახლოვა და „მიუბოძა სარგისს ჯაყელსა ათაბაგობა და ამირსპასალარობა"[179].

დაახლოებით 1334 წ.[180] კი, როდესაც სარგის II გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე ყვარყვარე უკვე თვით მეფემ „დასვა" სამცხის გამგებლად. ამგვარად, აღიარებულ იქნა საქართველოს მეფის უზენაესობა

---

175 ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ., გვ. 98—99.

176 თ. აბრამიშვილი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ასპრებისა და დასავლეთ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 107.

177 ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, XIII—XIV სს., გვ. 176.

178 ჟამთააღმწერელი, გვ. 304.

179 ვახუშტი, გვ. 253.

180 იქვე, გვ. 255; იხ. აგრეთვე, ვ. კიკნაძე, ვინ არის ჟამთააღმწერელი? გვ. 156—157. ჩვენი აზრით, ვახუშტის ეს თარიღი უფრო ადრეა გადასაწევი (იხ. აქვე, დამატება).

სამცხე-საათაბაგოზე თუმცა: „ძენი ბექასნი ფრიად განდიდებული იყუნენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბრწყინვალის მიერ სამცხე-საათაბაგოს დამორჩილებას ჟამთააღმწერელიც მოგვითხრობს. მემატიანე აღწერს დავით ულუს და სარგის I უთანხმოებას და დასძენს: „მიერითგან, იქმნეს ჯაყელნი მორჩილნი ულოსისანი (ე. ი. მონღოლთა. — ვ. კ.), ვიდრე ჟამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსა, დიდისა გიორგისათა“[181].

ასე დასრულდა XIV ს. პირველ ნახევარში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის პროცესი. ვახუშტის ცნობით, გიორგი V ამით არ დაკმაყოფილებულა და ყოფილი ყმადნაფიცი ქვეყნებიც შემოუმტკიცებია: „კუალად შემოიკრიბნა სპანი და შევიდა რანს, ვერ-ეინ წინააღუდგა და მუნიდამ შევიდა შირვანს და დაიმორჩილნა იგი-ნიცა და მოხარკე ჰყუნა დარუბანდამდე“[182]. მართალია, ვახუშტის ეს ცნობა მკვლევართა ნაწილს სარწმუნოდ მიაჩნია[183], მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე უნდა ეხებოდეს გიორგი V-ის მიერ დასახელებულ რაიონებში მხოლოდ ლაშქრობას და არა ამ რეგიონების კვლავ შემოერთებას. ასეთ ლაშქრობას ადგილი ჰქონია 1333 წელს. გიშ-ქურმუხელი მთავარეპისკოპოსი კირილე დონაური თავის ანდერძში გვამცნობს, რომ „ბრწყინვალემან გიორგი გაიმარჯუა აგარიანთა ზედა განძას და შირ<ა>ვანს“[184]. სპარსელ ისტორიკოსს ალ ყუტბი ალ აჰრის არა ერთხელ აქვს დასახელებული მდ. აღსუ (თეთრი წყალი), როგორც მოხღოლი ნოინების მოქმედების უკიდურესი საზღვარი[185] ამავე ავტორს მოჰყავს ჰასან დიდი ჯალაირის (ბუზურგის) ძლიერების ხანაში (1338—1339 წწ.) საილხანოს ტერიტორიის დანაწილების ნუსხა. ჰასან ჯალაირს დიარბექირის ოლქი ჰაჯი თაღაისთვის მიუცია, რომელ-ართანა განაგებდა, შარური და დვინი ნახჭევნამდე ჰაჯი ბეკ აყჯის ძისთვის ჩაუბარებია, ტერიტორია ყარაბაღის მისადგომებიდან საქართველოში შესასვლელამდე ამირა სურღანს რგებია. შირვანი და სასაზღვრო სანაპირო დუმენი შეიხ ჩუბან აყანჯის ძეს მიუღია საგანმგეოდ და ა. შ.[186]. როგორც ვხედავთ, ეს წყარო უაღრესად საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს. აქედან კარგად ჩანს, რომ საქართველოს

---

181 ჟამთააღმწერელი, გვ. 255.

182 ვახუშტი, გვ. 256—257.

183 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 177; ბ. ლომინაძე, საქართველო XIV ს. I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 663.

184 კ. დონაურის ანდერძი, წიგნში; მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 206.

185 ალ აჰრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59, 63 (სხვათაშორის, წყაროში ნათქვამია, რომ მდ. აღსუს მიდამოებში ნავთობი მოიპოვებოდა).

186 ალ აჰრი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

სუვერენიტეტი აღარ ვრცელდება შირვანზე და მით უფრო დარბაზებზე, მაგრამ დოკუმენტიდან ისიც სრულიად აშკარა ხდება, რომ ამ პერიოდში საქართველო მონღოლებს არ ემორჩილება და ერთ-ერთ მონღოლ ნოინს მხოლოდ საქართველოს მისადგომებამდე ტერიტორია აბარია.

1341 წ. საქართველო (და მისი მეთაური) აქტიურ მონაწილეობას იღებს ტრაპიზონის იმპერიაში ქართული ორიენტაციის ჯგუფის გამარჯვების საქმეშიც.

1341 წ. 4 ივლისს, ბიზანტიელი ავტორების ცნობით, ტრაპიზონის საკეისროს თურქები შეესივნენ და დაარბიეს[187]. ამ ვითარებაში ტრაპიზონის კეისრის ალექსი II (1297—1330) კომნენოსის უფროსი ასული ანა (ანახუტლუდ წოდებული) მონაზვნობას თავს ანებებს და „ლაზეთში" მიდის[188]. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ამ გეოგრაფიულ სახელში საქართველო იგულისხმება, რადგან საკუთრივ „ლაზეთი" ტრაპიზონის სამეფოს შემადგენლობაშია[189]. იმავე წლის 17 ივლისს ანახუტლუ ტრაპიზონში ბრუნდება ლაზური (ქართული) ლაშქრით და ტახტს იპყრობს. ბიზანტიის კეისრის — ანდრონიკე III პელეოლოგოსის (1328—1341) ასული ირინე გადაყენებულად გამოცხადდა.

ამრიგად, ანახუტლუ, რომელიც ქართული ორიენტაციის ჯგუფს ეკუთვნის, ტრაპიზონის ბიზანტიურ დასზე ქართული სამეფოს უშუალო თანადგომითა და დახმარებით იმარჯვებს.

მართალია, ქართული ორიენტაციის ჯგუფის გამარჯვება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა — 1343 წ. 4 სექტემბერს დედოფალი ანა (ანახუტლუ) და მისი მომხრეები კონსტანტინეპოლიდან მოსულმა ჯარისკაცებმა სიკვდილით დასაჯეს[190], მაგრამ ფარული თუ აშკარა ბრძოლა ქართულ და ბიზანტიურ დასთა შორის შემდგომშიც არ შეწყვეტილა.

საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის ასეთი სურათი გვაქვს ქართულ და ნაწილობრივ უცხოურ წყაროთა მიხედვით.

მაგრამ ამ საკითხზე, ისევე როგორც საქართველოს მიერ მონღოლთა უღლის გადაგდებასთან დაკავშირებით, თავისებური აზრისაა ინგლისელი მკვლევარი დ. ლანგი. საქმე ის არის, რომ იგი თავისებურად იაზრებს ქართული წყაროების ჩვენებებს გიორგი V-ის მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთების შესახებ. როგორც აღინიშნა,

---

187 მიხ. პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, „გეორგიკა", ტ. 7, თბ., 1967, გვ. 179—180; ასევე: ნიკ. გრიგორასი, „ისტორია", „გეორგიკა", ტ. 7, გვ. 146.

188 მიხ. პანარეტოსი, დასახ. გამოცემა, გვ. 180.

189 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 271.

190 მიხ. პანარეტოსი, დასახ. თხზულება, გვ. 82.

დ. ლანგის არგუმენტებს, რომლებიც მან გამოაქვეყნა სტატიაში „საქართველო გიორგი ბრწყინვალის მეფობისას“ გამოეხმაურა გამოჩენილი ქართველი მკვლევარი ვ. გაბაშვილი. იგი ძირითადად არ ეთანხმება ინგლისელ ავტორს, მაგრამ რატომღაც მიაჩნია, რომ დ. ლანგი აღიარებს საქართველოში პოლიტიკური ერთიანობის აღდგენას. ვ. გაბაშვილი წერს: „გიორგი ბრწყინვალე რომ 1327 წ. შემდეგაც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა, ეს კარგად ჩანს მისი იმ პოლიტიკიდან, რომელიც მან სამცხე-საათაბაგოს და დასავლეთ საქართველოს მიმართ განახორციელა. ამ პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო საქართველოს ერთიანობის აღდგენა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორც ცნობილია, ქრონოლოგიურად 1327—1335 წწ. თავსდება. ამ ფაქტებს არც ლანგი უარყოფს, ამასთან, რგი იმოწმებს ქართველთა ტრაპიზონში ლაშქრობასაც. მაგრამ ყველაფერი ეს მას მაინც არ მიაჩნია მონღოლთა მფლობელობის მოსპობის და მონღოლების საქართველოდან განდევნის დამადასტურებლად“[191] (ხაზი ჩვენია, — ვ. კ.).

მართალია, ლანგი აღიარებს გიორგი V-ის დასავლეთ საქართველოში გადასვლას. მაგრამ საინტერესოა, რა კონტექსტში. ზევით მოყვანილ ციტატში დ. ლანგი წერს: „1327 წლიდან... გიორგი V-მ დაკარგა კონტროლი თბილისზე და აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე. მან — ეს დანაკარგი აანაზღაურა იმით, რომ თავის კვერთხს დაუმორჩილა მთელი დასავლეთ საქართველო“[192].

შემდეგ ლანგი უფრო ფართოდ მსჯელობს ამ საკითხზე. გიორგი V-ის ლიხთ-იმერეთში გადასვლა მას მიაჩნია არა საქართველოს ერთიანობის აღდგენის დამადასტურებელ ფაქტად, არამედ გიორგი V-ის იძულებითი უკანდახევის მანიშნებლად. როგორც აღნიშნული გვქონდა, დ. ლანგის აზრით, გიორგი V-მ მიჰბაძა თავისი გვირგვინოსანი წინაპრების: რუსუდან დედოფლისა (1222—1245) და დავით ნარინის (1249—1293) მაგალითს და 1327 წლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაიხიზნა[193].

ინგლისელი ავტორის ამ მოსაზრების უსაფუძვლობა წინა პარაგრაფში ვაჩვენეთ და ამიტომ ამ საკითხზე ვრცლად აღარ შევჩერდებით (იხ. მაგალითად, გიორგი V-ის 1338 წლის სიგელი ივ. ჯავახიშვილთორელისადმი და 1332/33 წწ. წერილი ფილიპე VI ვალუასადმი).

რაც შეეხება ტრაპიზონის საკითხს (იგულისხმება ქართული ორი-

---

191 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მონღოლთა ბატონობის ხანგრძლიობის საკითხისათვის.., გვ. 139.

192 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. სტატია, გვ. 75.

193 იქვე, გვ. 86—87.

ენტაციის მქონე ანახუტლუს შესვლა ტრაპიზონში ქართული ჯარით (1341 წ.), დ. ლანგი აქაც ასეთ აზრს გამოთქვამს: „არავითარი დასაბუთებელი ტკიცებელი საბუთი არ არის იმისა, რომ ვაჩვენოთ, იყო ეს ლაზ-ქართველთა ინტერვენცია — მეფე გიორგის მიერ დაგეგმილი, თუ ქართველთა მონაწილეობა აქ გამოიხატებოდა მხოლოდ როგორც პარტიზანების ან დაქირავებულთა მოქმედება“ [194].

1341 წ. ტრაპიზონში ქართული დასის გამარჯვების შესახებ ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ასეთი ვითარება საქართველოს მეფესთან, გიორგი V-თან, შეთანხმების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა[195]. მართლაც, აქ რომ „პარტიზანებთან და დაქირავებულ რაზმებთან“ არა გვაქვს საქმე, კარგად ჩანს თვით ბიზანტიელი ავტორების სიტყვებიდან; მაგ., მიხ. პანარეტოსი (XIV ს. II ნახ. — XV ს. დასაწყ.) აღნიშნავს, რომ როცა ტრაპიზონის ტახტზე ბიზანტიელი დედოფალი ირინე (ადრონიკე III პალეოლოგოსის ასული) ავიდა — „მაშინვე აჯანყდნენ მთავრები და წარმოიშვა ო რ ი ბ ა ნ ა კ ი“[196] (ხაზი ჩვენია, — ვ. კ.). ამ დასების პოლიტიკურ საფუძველზე და იმაზე, რომ ალექსი II-ის ასული ანახუტლე პირადი შეხედულების შესაბამისად კი არ მოქმედებს, არამედ მთელი ქართული ორიენტაციის ჯგუფის ინტერესების გამომხატველია, აშკარად ლაპარაკობს მეორე ბიზანტიელი ავტორი ნიკიფორე გრიგორასი (1290—1360): „ირინეს მოწინააღმდეგე დასმა დაიყოლია იგი (ანახუტლუ,— ვ. კ.) მოლოზნის კაბა გაეხადა და ლაზეთში (საქართველოში. — ვ. კ.) წასულიყო, სადაც იგი... (ტრაპიზონის, — ვ. კ.) მეფედ იქნა გამოცხადებული. ლაზები, ჭანები და ყველა ადგილობრივნი თავის მშობლიურს, კომნენოსთა ოჯახიდან გამოსულს აძლევდნენ უპირატესობას, პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსულ ირინეს წინაშე“[197].

ამას გარდა, მნიშვნლობას მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ანახუტლუს მამა, ალექსი II (1297—1330), ბექა მანდატურთუხუცესის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული[198]. ე. ი. ანახუტლუ გიორგი V-ის პირდაპირი ნათესავი იყო და მას დეიდაშვილად ერგებოდა.

ყველა ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს, დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სამეფო კარი უშუალოდ იყო დაინტერესე-

---

194 დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. სტატია, გვ. 87.

195 ივ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 272.

196 მ ი ხ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, გეორგიკა, ტ. 7, გვ. 177.

197 ნ ი კ. გ რ ი გ ო რ ა ს ი, „გეორგიკა“, ტ. 7, გვ. 146, შენიშვნა.

198 მ ი ხ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. გამოცემა, გვ. 172; ქ ა მ ფ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 304.

ბული ტრაპიზონში მიმდინარე მოვლენებითა და მათი შედეგებით. ეს საკეისრო, რომელიც დასახლებული იყო დიდი რაოდენობით ქართველთა მონათესავე ტომებით (ლაზ-ჭანები), ქართველთავე ხელშეწყობით დაარსდა თამარ დედოფლის დროს[199]. დაარსების შემდეგ იგი ყოველთვის რჩებოდა ქართული სახელმწიფოს ყურადღების არეში[200], როგორც მნიშვნელოვანი, სამხრეთ-დასავლეთიდან მოსაზღვრე ქრისტიანული ერთეული (ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერია ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ კონსტანტინოპოლის მიმიჯნავე ტერიტორიით იფარგლება).

ინტერესი ტრაპიზონის მიმართ მით უფრო გაძლიერდებოდა, რაც საქართველო გაერთიანდა და ქართული სამეფო კარის ინტერესებში კვლავ მოექცა იმიერ საქართველო და სამცხე-საათაბაგო, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდნენ ტრაპიზონის საკეისროს.

---

199 ი. ბ ე რ ა ძ ე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის, 1971 გვ — 34-36.

200 მიხ. პანარეტოსისს ცნობით, 1282 წ. დავით ნარინი ტრაპიზონში შეიჭრა და ამ საკეისროს დედაქალაქს ალყა შემოარტყა. იხ. მ ი ხ. პ ა ნ ა რ ე ნ ტ ო ს ი, ტრაპიზონის ქრონიკა, „გეორგიკა", ტ. 7, გვ. 170.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

საქართველო XIV ს. 40—70-იან წლებში. მონღოლთა ბატონობის შედეგები

„ჰოი ხომალდო, კვლავ გაგიტაცებს შენ ზღვაში ტალღა!“

ჰორაციუსი.

„არა უწყია, ვითარმედ მენავეთმოძღუარსა — ზამთარი, და მხედარსა — ბრძოლაი, ერისთავსა — [ლაშქრის] განწყობაი და ქრისტიანესა — განსაცდელი... გამოსცდის?!“

ბასილი კესარიელი

XIV ს. 40-70-იანი წლების ქართული ორიგინალური საბუთები თითქმის მთლიანად განადგურდა. ის მასალაც კი, რასაც ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილი თითქმის სამი საუკუნის წინ, ამჟამად აღარ იძებნება. ამიტომ XIV საუკუნის შუა წლების პოლიტიკური ისტორიის აღსადგენად მხოლოდ ფრაგმენტული ცნობებიღა გაგვაჩნია.

ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ XIV ს. 30-იანი წლების დასაწყისში გიორგი V მზად იყო ევროპის სახელმწიფოებთან ერთად ელაშქრა პალესტინა-იერუსალიმში, ე. წ. „წმინდა მიწების“ ეგვიპტის სულთნისგან გამოსახსნელად[1], მაგრამ შემოდგომში ლაშქრობა აღარ განხორციელებულა.

როგორც აღნიშნული იყო, ამავე საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულს (დაახლ. 1338 წ.), ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი V ბრწყინვალე შეებრძოლა ადარბადაგანის ნოინებს და კერძოდ ჰასან ქუჩუკს. იმავე ხანებში (30-იანი წლების მიწურული) საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, კერძოდ კი კლარჯეთს, „საბერძნეთის“ (მცირე აზიის) სულთანი ორხანი შეესია: „საბერძნეთის სულ-

[1] ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1983, №, გვ. 158—164.

ტანმან ორხან ინება, რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი. მცნობმან გიორგი მეფემან მიუვლინა მას ზავისა პირი, ხოლო ... ინება და შეკრებული სპითა, მეფე ეწყო სულტანსა. მოსცა ღმერთმან ძლევა და მოსრნა ურიცხუნი თურქნი და ილტვოდნენ სულტნითურთ"[2].

საქმე ეხება თურქ-ოსმანთა სახელმწიფოს დამაარსებლის ოსმანის ძეს — ორხანს (1326—1359). მისი რეზიდენცია მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქ. ბრუსა (ბურსა) იყო. ვახუშტის ცნობა არცერთ უცხოურ წყაროს არ დაუცავს[3], რის გამოც ამ ცნობის მეცნიერული ანალიზი აქამდე არ მომხდარა. ძნელია გადაჭრით მტკიცება, მაგრამ ვფიქრობთ, უცხოურ წყაროებში საქართველოს დასავლეთ ნაწილზე ორხანის ლაშქრობის მოუხსენიებლობა არ გვაძლევს საფუძველს უარვყოთ ვახუშტის ცნობის სიმართლე. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ვახუშტი ქართულ წყაროს ეყრდნობოდა. უცხოური წყაროებისთვის კი ორხანის ლაშქრობის ეს ეპიზოდური შემთხვევა ინტერესს არ წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ 1337 წელს ორხანმა გადალახა ჰელესპონტის სრუტე და მცირე ხნით კონსტანტინოპოლის ევროპულ ნაწილსაც კი შემოარტყა ალყა[4]. მანვე ჩამოაყალიბა შემდგომში სახელგანთქმული იანი-ჩართა კორპუსი. ახლად ჩასახული და მადაგახსნილი ოსმანთა ამ სახელმწიფოსათვის ჰელესპონტიდან საქართველოს საზღვრებამდე ლაშქრობა ჩანს ამ ტერიტორიაზე პირველი, საცდელი საომარი მოქმედება იყო.

1342 წელს, როგორც ვწერდით, საქართველოს თავის გადარჩენის მიზნით თავი შეაფარა ჰასან ქუჩუკის ძმამ — მელიქ აშრაფმა[5]. შესაძლოა, ამ მომენტსაც გულისხმობდა არაბი ავტორი ალ-კალკაშანდი (ალ-უმარიზე დაყრდნობით), როდესაც წერდა, რომ ქართველებს განსაკუთრებით ენდობიან „ჩობანის შვილები, შვილთაშვილები და სხვა მემკვიდრენი"[6].

ამ პერიოდში საქართველოში თავი იჩინა მოვლენამ, რომელსაც ქვეყნის დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით შორს მიმავალი შედეგები ჰქონდა. მართალია, ქვეყანა გაერთიანდა და გარკვეული დროით ძველი ძლიერება აღიდგინა, მაგრამ ამასთან ერთად, კვლავ არსებობენ ე. წ. „პროვინციის მეფეები". ამ მოვლენას მონღოლთა აშკარა ხელშეწყობის გამო სამეფო ხელისუფლება ვეღარ ეწინააღმდეგებოდა.

---

2 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 259.

3 M. Brosset, Histoire de la Gèorgie, t. I, p. 648, № 3.

4 W. Heyd, Histoire du Commerce du Levant au Moyen age, Liepzig, 1936, t. I, p. 489.

5 ჰაფეზ აბრუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

6 Тизенгаузен В. Г., Заметка Элькалькашанди о грузинах..., с. 211.

ფაქტობრივად, პროვინციის მეფეები დიდი ფეოდალები იყვნენ, რომლებიც სამეფო საგვარეულოს უშუალო ნათესაობით უკავშირდებოდნენ. მათ მიერ გაცემულ სიგელებში ისინი თავს განიდიდებენ „მეფეთ-მეფისა“ და მთელი საქართველოს მეფეების სხვა ოდინდელი ეპითეტებით. შემორჩენილია „პროვინციის მეფეთა“ რამდენიმე სიგელი, რომელთა მეშვეობითაც ნათელი ხდება, რომ ისინი ძირითადად ქ. გორის მიმდებარე რაიონების მფლობელები ყოფილან[7]. მათი ერთი შტო კი ჯავახეთში მდებარე საუფლისწულო ს. ალასტანს დამკვიდრებულა[8]. პირველად პროვინციის მეფეები ჩანან დავით VIII-ის — დემეტრეს ძის — 1297 წ. სიგელში[9]. ამავე სიგელის საშუალებით ირკვევა, რომ საბუთის დამამტკიცებელი პროვინციის მეფე მელქისედეკი და მისი ძმა ანდრონიკე დავით VIII-ის ძეები ყოფილან[10], მეორე მხრივ, ამ „მეფეებს“ საერთოდ არ ახსენებს ჟამთააღმწერელი და თბილისის სამეფო ტახტიც მათ ალბათ არასდროს სცნობდა.

ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, საქართველოში უკვე იმდენად ღრმად არის გამჯდარი „სახელმწიფოებად“ დაშლის ტენდენცია, რომ ფეოდალური სეპარატიზმის ეს სახეობა მყარად იკიდებს ფეხს[11].

საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც გიორგი V-ის მიერ საქართველოს გაერთიანებაზე მსჯელობს, იქვე აღნიშნავს: მართალია, საქართველო XIV ს-დან პოლიტიკურად მთლიან ერთეულად რჩება XV ს. შუა ხანებამდე (გიორგი VIII ალექსანდრეს ძემდე — 1446—1468), მაგრამ ხანდახან რომელიმე კუთხე შესაძლოა ფორმალურად განდგომილიყო კიდეც: „გარნა თუ განდგებოდიან და იწოდებიან „მეფედ“, არამედ ირიცხვის ესრეთ, ვინაითგან არა იყო სიმტკიცე“-ო[12] (ხაზი და ბრჭყალები ჩვენია,

---

7 ანდრონიკე მეფის სიგელი წითლოსან ქვენიფნეველისადმი; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 99; ს. კაკაბაძე, დავით უცნობი XIV ს. მეფე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ. 1914, გვ. 140; Грамота царя Андронике Цитлосану Квенипневели, Грузинские документы IX — XV вв. перевод и комментарии С. С. Какабадзе, М., 1982, с. 87—91.

8 ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV—XVII სს., კრებ. XVIII ს. რამდენიმე ქართველი ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 89—90.

9 1297/98 წწ. სიგელი დავით მეფისა... ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, თბ., 1984, გვ. 183—184

10 ჯ. ოდიშელი, დასახელებული სტატია, გვ. 89.

11 ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში, მასალები საქართვ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 25

12 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 802.

— ვ. კ.). ასე რომ. ვახუშტი ბატონიშვილის სამართლიანი განმარტებით, გამდგარი კუთხეების მფლობელნი (ამ შემთხვევაში „პროვინციის მეფეები“) მხოლოდ ფორმალურად ირიცხებოდნენ (ითვლებოდნენ) „მეფეებად“, რადგან ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის არ იყო მზად ამ მოვლენის ასალაგმავად.

XIV ს. 40-50-იან წლებში გორის მხარის პროვინციის მეფეები არიან ანდრონიკე და დავითი[13], ჯავახეთს კი გიორგი — ალასტანელად წოდებული ფლობს, რომელიც 1373 წ. აგვისტოში დაღუპულა საქართველოში შემოჭრილ თურქებთან ბრძოლის დროს[14].

1344 წლის ერთადერთი სიგელის მიხედვით, შიო-მღვიმის ლავრას, რომელიც თავის თავს მოიხსენიებს „ძლიერის და უძლეველის“ სახელით, მჭედელ ბივრიტის ძე ჯაუნორისთვის გადაუცია განთქმულ ვარდანის ძეთა ნაქონი სამი დღიური მიწა ადგილ შოლაღრიურში, სამაგიეროდ, მჭედელ ჯაუნორს უკისრია ლავრისთვის წელიწადში ერთხელ, წმ. შიოს დღეს, გადაეხადა ოთხი ლიტრა ცვილი. სიგელს ამტკიცებენ ქართლის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები გლეხები, მზარეული, ხელოსანი, მღვიმის ყმები. აქ დასახელებულია შემდეგი სოფლები: ანგროვანი, თეძამი, კოხოტი, ხევისპირი, გოროვანი და წეროვანი. გუჯარს (რომელსაც დედანში „დაწერილი“ ეწოდება), ამტკიცებენ აგრეთვე: პალატის წინამძღვრის „შვილი“, საწოლის მწიგნობარი, მთავარ მამა (მღვიმელი), ქართლის მთავარეპისკოპოსი მელქისედეკი, მცხეთის მოძღვარი შაბურის ძე აბრამი, მღვიმის დეკანოზი დავითი და პალატის მოძღვარი გერმანოზი[15].

საილხანოში ამ დროს დიდი არევ-დარევა სუფევდა. ყოფილი მოკავშირენი ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, „მტრის“ ტერიტორიებს აჩანაგებდნენ და დაუნდობლად ჟლეტდნენ ერთმანეთს. 1343 წ. 15 დეკემბერსა და 1344 წ. 15 მაისს შორის ქ. თავრიზში ჩობანიანთა მეტად საინტერესო შეხვედრა შემდგარა. რადგანაც ემირები ერთურთს არ ენდობოდნენ და არ ინდობდნენ, მათ გადაუწყვეტიათ წერილობითი შეთანხმება დაედოთ. აქ შეყრილან ემირი სურღანი ან სოურღანი (ჩობანის ერთ-ერთი გადარჩენილი ძე), ჩობანისვე შვილიშვილი მელიქ აშრაფი და ჩობანის ვაჟი იაღი-ბასთი. ამ ემირებს წერილობითი შეთანხმება დაუდვიათ, ვის რა ტერიტორია უნდა სჭეროდა მ ა თ ი, ე. ი. ტ ე რ ი ტ ო რ ი ე ბ ი ს, დ ა პ ყ რ ო ბ ი ს შ ე მ დ ე გ. თავრი--

---

13 ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დასახ. სტატია, 89—90.

14 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 110; აგრეთვე „ცხოვრება საქართველოისა“ (პარიზის ქრონიკა), თბ., 1980 გვ. 38.

15 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 71—72.

ზის თათბირზე დაუდგენიათ, რომ ემირ სურღანს დაემორჩილებოდა, რასაც კი იგი დაიპყრობდა თავრიზის კარიბჭიდან სულთანიეამდე. ორე მხრივ, რა ტერიტორიის დაკავებასაც მელიქ აშრაფი შესძლებდა, მარანდიდან და ნახჭევნიდან რუმის მიმართულებით, ყველაფერი მას დაექვემდებარებოდა; ხოლო არანი, შირვანი და საქართველო უნდა მიჰკუთვნებოდა იაღი-ბასთის[16]. ეს უნიკალური ცნობა შეიხ უვეისის ისტორიას დაუცავს, თუმცა დღემდე ანალიზის საგნად არ გამხდარა. თვითმხილველი სპარსელი ავტორის ეს და ზევით მოტანილი ცნობები თავისთავად ბევრის მეტყველია. განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ შეთანხმებაში ყველგან ლაპარაკია იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ჩობანიანებს 1343 წ. შემდგომ უნდა დაეკავებინათ თავისად. ე. ი. დაბეჯითებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მანამდე (და მას შემდეგაც) საქართველო სავსებით სუვერენული ქვეყანა ყოფილა. ის, რომ ემირ იაღი-ბასთის „წილში ხვდომილი“ საქართველო არასდროს არ დაუპყრია, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ მალე ამ შეთანხმების შემდეგ, 1344 და 1345 წწ. შორის, იგი სიკვდილით იქნა დასჯილი მელიქ აშრაფის მიერ[17].

აზრს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ამაგრებს ალ აჰრის კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა. გადმოგვცემს რა 1347—1348 წწ. საილხანოში შექმნილ სიტუაციას, იგი წერს: „მელიქ აშრაფი ერთხელ კიდევ შევიდა თავრიზში და ასობით ათასი მშიერი მგელი მიუშვა ადერბაიჯანის და არანის (საჯიჯგნად). ისინი იმას იქმოდნენ, რაც მოესურვებოდათ. მოსახლეობაში იზრდებოდა სასოწარკვეთილება. მათ ყველამ მიატოვეს მშობლიური მხარე და ნაწილი წავიდა ჯილანში (ხომ არ უნდა იყოს გილანი? ვ. კ.), ნაწილი შირვანსა და დეშტი ყიფჩაღში (ოქროს ურდო, ვ. კ.), ნაწილმა კი საქართველოს მიაშურა“[18] (ხაზი ჩვენია, ვ.კ.) მაშასადამე, მელიქ აშრაფის ტირანიით შეწუხებული მოსახლეობა თავის გადასარჩენად, სპარსელი ავტორის მოწმობით, თურმე სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოშიც გარბოდა. ვფიქრობთ, უაზრობა იქნებოდა მუსულმანური მოსახლეობისათვის მეზობელი საქართველოსთვის თავის შეფარება, თუ იქ ისეთივე პირობები და ჩაგვრა სუფევდა, რაც არანსა და ადერბაიჯანში (დღევანდელი სამხრეთ აზერბაიჯანი). ამგვარად, დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს: საქართველო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც ჩობანიანთაგან დამოუკიდებელი ქვეყანაა.

1346 წელს საქართველოს ახალი მძიმე განსაცდელი მოევლინა.

---

16 ალ ყუტბი ალ აჰრი, „თარიხ-ი შეიხ უვეის-“ი, დასახ. გამოცემა, გვ. 71.

17 იქვე, გვ. 72.

18 იქვე, გვ. 74.

მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, ყირიმში, აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე და ევროპაში შავი ჭირი გავრცელდა, რამაც უამრავი ბევრი იმსხვერპლა და ეკონომიკა მოშალა. ამ პერიოდის ქართული საბუთები არ შემორჩა, მაგრამ შავი ჭირის მძვინვარების ამსახველი ავგაროზ ბანდაისძის მინაწერი ზევით უკვე ნახსენები იყო. 1347 წ. ჭირი მძვინვარებდა საქართველოს მომიჯნავე სომხეთსა და ტრაპიზონშიც. იგი 1348 წლამდე გაგრძელებულა, მაგრამ ეპიდემიის ცალკეულ გამოვლინებებს მოგვიანებითაც ჰქონია ადგილი, ვახუშტის მიხედვით, 1366 წ. შავ ჭირს უმსხვერპლია ბაგრატ V-ის (1360—1393) მეუღლე ელენე დედოფალი[19]. ის გარემოება რომ ეპიდემიას XIV ს. 60-იან წლებში ხელმეორედ უფეთქია, ჩანს სომხური ანონიმური ქრონიკიდანაც. იქ ნათქვამია, რომ 1363 წ. მზე დაბნელდა და სომხეთში საშინელი ეპიდემია გავრცელდა[20].

1346 წ. გარდაიცვალა გიორგი V ბრწყინვალე და საქართველოს ტახტზე ავიდა მისი ძე დავით IX (1346—1360). გამორიცხული არ არის, რომ გიორგი V შავი ჭირის მსხვერპლი გახდა.

გიორგი ბრწყინვალის ძის — დავითის ეპოქის შესახებ კიდევ უფრო ცოტა ცნობებია შემორჩენილი. „ძეგლი ერისთავთა“ მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ მისი ქალიშვილი გულშარი ქსნის ერისთავ იოანეს უთხოვია. წყაროში დავითის ასული საუკეთესო ეპითეტებითაა შემკული — „რომლისა ქებასა თუ შეკრბენ ყოველნი ბრძენნი სოფლისანი, ვერ მისწუთებიან“[21] — ნათქვამია იქ.

ორიოდე შემორჩენილი სიგელიდან ჩანს, რომ დავით მეფის დროს ნიკოლოზ მაწყვერელი (აწყურის ეპარქიას სამცხეში ცენტრალური ადგილი ეჭირა) სრულ მორჩილებას აცხადებს ქართლის კათალიკოსის იოვანეს[22] მიმართ. როგორც ჩანს, სამცხე-საათაბაგოს ხანისჯუდ ქცევის დროიდან, მაწყვერელ ეპისკოპოსსაც გამოყოფის ტენდენცია დაეტყო, მაგრამ გიორგი V-ის მიერ შემომტკიცებული სამცხე მის ძეს დავითს ახლა ეკლესიურადაც შემოუმტკიცებია[23].

1350 წლის თმოგვის ციხის წარწერა გვამცნობს: „შეწევნითა და

---

19 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

20 Армянские источники о монголах, перевод с древнеармянского и комментарий А. Г. Галстяна, с. 87.

21 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 111.

22 ვახუშტის მიხედვით, ამ დროს (1357 წლიდან) ქართლის კათალიკოსია დოროთეოსი, იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 260; მაგრამ აღნიშნული წყაროს ცნობა უფრო სარწმუნო ჩანს.

23 ერთგულების დაწერილი ნიკოლოზ მაწყუერლისა იოანე კათალიკოსისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 181—182; აგრეთვე, რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, XIV—XVI სს. ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები, პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965, გვ. 114—115.

ძლიერებითა ვარძიის ღვთისმშობელისაითა, ქორონიკონს ლ (33) დავიწყე ზღოდე ესე, მე მეფეთ-მეფის დავითის ვარძიელმა საწილის მწიგნობარმა"...[24]. როგორც ეს ეპიგრაფიკული წყარო დოკუმენტურად მოწმობს, 1350 წ. უკვე ნამდვილად დავით IX, გიორგის ძე, მეფობს და მას თმოგვში აღდგენით-გასამაგრებელი სამუშაოებიც უწარმოებია. 1355 წელს კი დავით IX-ს იმ დავის გადასაწყვეტადაც მოუცლია, რომელსაც დასაბამი მისი დიდი პაპის დავით ულუს (1249—1270) დროს დასდებია; ორბოძლელ ფეოდალს (ორბოძლელთა მიწები, ს. მარღიშვილის გამოკვლევით, ძამისა და ხვედურეთის ხევებში მდებარეობდა) დავით ულუსთვის, როგორც ჩანს, სანადიროდ თეთრი ქორი მიურთმევია; ამის სანაცვლოდ აღფრთოვანებულ მეფეს მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილი მიწების ხარჯზე ორბოძლელი უხვად დაუსაჩუქრებია. თეთრი ქორის სანუქფოდ ორბოძლელს მიუღია ხვედურეთის ხევისა და იმერხევის სახმარ-უხმარი სანახები და გლეხები. ულუს ასეთი საქციელი იმდენად უცნაურად აღარ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საეკლესიო მიწების ე. წ. „გამოწირვის" პროცესი. გრძნობდა რა თავისი „საჩუქრის" საკმაოდ საეჭვო ხასიათს, დავით ულუს ამ მიწებისა და გლეხების უკან დასახსნელი პირობაც დაუდვია. თუ ქართლის კათალიკოსი ორბოძლელს 12 000 თეთრს გადაუხდიდა, თავის კუთვნილ გლეხებსა და მიწას უკანვე მიიღებდა. მაგრამ როგორც დავით IX გვაუწყებს, XIII ს. 50—70-იანი წლებიდან მის დრომდე ე. ი. თითქმის ერთი საუკუნე, ეს საქმე ვეღარ მოგვარებულა. „ესე ჟამთა შლილობისაგან, არცა მეფეთა მოევლო, არცა ქათალიკოზსა და მცხეთელთა დაეხსნა და ორბოძლელს... ყუელა მიმძლავრებით დაეჭირა"[25]. როგორც ჩანს, 1355 წელს მეფეს უკვე სხვა საქმეები მოგვარებული ჰქონდა და ეს გაჭიანურებული კონფლიქტიც მოაგვარა. მან თვითონ გადაიხადა თავისი „პაპის მამისა... დავითისაგან გაჩენით ნაბრძანები" — 12 000 თეთრი და მცხეთის საკათალიკოსოს ძველი კუთვნილება უკანვე დაუბრუნა.

ამ ფრიად საინტერესო სიგელის დედანი XX ს. დასაწყისში დაკარგულა, მაგრამ თ. ჟორდანიას პუბლიკაციის სანდოობას ამოწმებს მარი ბროსეც. საქართველოში მოგზაურობისას მას მცხეთის საკათა-

---

24 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 103.

25 თ. ჟორდანია, ქრონიკები... ტ. II, თბ., 1897, გვ. 185. ეს სიგელი, მცირეოდენი შემოკლებით გადაუწერია ივ. ჯავახიშვილსაც, მაგრამ მეცნიერმა მისი ანალიზი ვეღარ მოასწრო. იხ. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი № 262 (ქართვ. ერის ისტ. ე. წ. ვრცელი ვარიანტის მასალები), ფ. 135.

ლიკოსოს დავთრებსა და გუჯრებში პირადად უნახავს ეს სიგელი, მისი მოკლე შინაარსიც გადმოგვცა[26]. XIV ს. ბოლოსთვის ხვედურეთი და იმერხევი რომ კვლავ მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილ მამულებშია, ჩანს 1392 წლის გუჯარიდან[27], რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ამ სიგელის სანდოობას. ამ სიგელის მნიშვნელობა ისიც არის, რომ კარგად გვიხატავს იმ მშვიდ და ჭრილობათა მოშუშების სიტუაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIV ს. შუა პერიოდში. არაპირდაპირ, იგი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ 1348 წელს საქართველოზე მოწეული უბედურებანი იმ საშინელი სენის შედეგი იყო, რომელიც „ხმამაღლა მოთქმას" (დ. ლ ა ნ გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, შენ. 2) აიძულებდა მთელს აღმოსავლეთს.

როგორც ჩანს, ვახუშტისაც ძალიან მწირი ცნობები ჰქონია დავით IX-ის ზეობის შესახებ. ამით აიხსნება მისი თხრობის ზოგადი და პათეთიკური ხასიათი: „მოვლიდა ესე დავით მეფე სამეფოსა თვისსა ზემო-ქუემოსა, ამერ-იმერთა და განაგებდა, ნადიმობდა და იშუებდა"[28]. ზემოთქმულთან ერთად ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ XVIII ს. ქართველ ისტორიკოსს ისეთი საბუთებიც ჰქონდა ხელთ, რაც დღეს უკვე დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ვახუშტი წერს, მაგალითად, რომ დავითის მეუღლეს სინდუხტარი რქმევია. რომ ეს ცნობა ისტორიკოსს დოკუმენტური წყაროდან ამოუღია, ჩანს ვახუშტის მიერ თავისი შრომის ბოლოს დართული ქრონოლოგიური ცხრილიდან. 1354 წლის გასწვრივ ვახუშტის მოაქვს დავით მეფისა და დედოფალ სინდუხტარის რომელიღაც წყალობის სიგელის პირველი ფრაზა („ჩუენ მეფემან დავით და დედოფალმან სინდუხტარ გიწყალობეთ...")[29]. ასევე მომდევნო 1355 წლის გასწვრივ მოტანილია სიგელის საწყისი: „ჩუენ, მეფემან დავით, ყოვლისა საქართველოსამან, გიწყალობეთ..."[30]. არ ვიცით, მხოლოდ აქ, ზევით ნახსენები, ორბოძელისა და ქართლის კათალიკოსის დავის შესახებ დავითის გაცემული საბუთი იგულისხმება, თუ სხვა დოკუმენტზეა საუბარი.

1357 წელს, ვახუშტისვე ცნობით, მზე დაბნელებულა. ამას გარდა, მზის დაბნელებას ვახუშტი ახსენებს 1361 და 1372 წწ-ში[31].

---

[26] M. B r o s s e t, Rapports sur un Voyage... IV rapp. III livr. S/Pg 1851 p. 8.

[27] ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 177.

[28] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 260.

[29] იქვე, გვ. 895 (ქრონოლოგიური ცხრილი).

[30] იქვე.

[31] იქვე, 1361 წ. მზის დაბნელებას მიხ. პანარეტოსიც მოწმობს. იხ. მისი ტრაპიზონის ქრონიკა, „გეორგიკა", ტ. VII, გვ. 194.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, ჯაყელთა რომელიღაც მატიანედან აქვს ამოღებული ბაგრატის ცნობა ყვარყვარე ბექას ძე ჯაყელის ასულის ქორწინების შესახებ ბაგრატ მიქელ ნარინის ძეზე, 1358 წელს[32].

თავის მხრივ, სპარსული წყარო კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს გვიყვება უკანასკნელ ჩობანიანთა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. მელიქ აშრაფის უაზრო სისასტიკემ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ ამ ტირანს საკუთარი მონა-მსახურნიც კი აუჯანყდნენ. ალ ყუტბი ალ აჰრი მოგვითხრობს: „ბაიაზიდი და ალფი მის (აშრაფის, ვ. კ.) მიერ დაწინაურებული მონები იყვნენ. როდესაც მათ დაინახეს, რომ მისი გაუმაძღრობა უკვე საკუთარ მსახურებსაც გადასწვდა, ისინი აჯანყდნენ. ისინი შეიყარნენ განჯასა და ტფილისს შორის და მდ. მტკვარი გადალახეს. (შემდეგ) ისინი შევიდნენ ლიპარიტის[33] პროვინციაში, სადაც ორივენი მოკლულ იქნენ, მათი თავები კი მელიქ აშრაფს გაუგზავნეს“[34]. ამ მოკლე ცნობიდან ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ იყო ლიპარიტი, რატომ შეიპყრო მან აჯანყებულები და ა. შ., მაგრამ ის კი ცხადია, რომ მდ. მტკვრის გადალახვის შემდეგ შეთქმული ბაიაზიდი და ალფი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. როგორც ჩანს, ისინი ამ მხარის (შესაძლოა კახეთის) განმგებლის (ერისთავის), ვინმე ლიპარიტის, თავის მხარეზე გადაყვანას ფიქრობდნენ. იქ ისინი ძალთა მოკრებას აპირებდნენ, რის შემდეგაც თავრიზს შეუტევდნენ. სხვაგვარად აზრი არ ჰქონდა შეთქმულთა ჩრდილოეთით წასვლას. მაგრამ ლიპარიტს (ან საქართველოს მეფეს) სხვაგვარად უფიქრია. მან ამჯობინა, მელიქ აშრაფი ტყუილუბრალოდ არ გაეღიზიანებინათ, ამიტომაც, საქართველოში აჯანყებულები სიკვდილით დასაჯეს, მათი თავები კი აშრაფს გაუგზავნეს. ეს მოხდა XIV ს. 50-იანი წლების შუა ხანებში (1353-სა და 1356 წწ. შორის), მეფეთ-მეფე დავით IX-ის ზეობისას.

აშრაფის ტირანია კი დღითიდღე მატულობდა. თავის რეზიდენციად მან თავრიზის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქი „რუბ-ი რაშიდი“ აირჩია. ეს ქალაქი ისტორიკოსისა და ფეოდალის რაშიდ ადდინის მიერ იყო დაარსებული. ამ უმდიდრესმა ფეოდალმა იქ 24 ქარვასლა, 1500 ქულბაქი, 30 000 სახლი, ქაღალდისა და აბრეშუმის სარეწი ქარხანა, ზარაფხანა და სხვა ობიექტი ააშენა[35], აქვე იყო რელიგიური შენობა „იმარათი რაშიდი“. სწორედ თავრიზის ამ გარეუბანში

---

32 იქვე, გვ. 260, 802, 895.

33 ტექსტში სიტყვასიტყვით წერია „ლიბარიკ“. გამომცემელი აღნიშნავს, რომ ვერსად დაადგინა მისი მნიშვნელობა.

34 ა ლ ყ უ ტ ბ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

35 ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

დაიდო ბინა მელიქ აშრაფმა. ალ ყუტბი გვამცნობს, რომ აშრაფმა „ბრძანება გასცა, როგორც კი მისი დეკრეტი გამოვიდოდა, ეპისკოპოსები, წარჩინებულები, მოსამართლენი და უფლისწულები (მაშინვე) „რუბ-ი რაშიდი"-ში გამოცხადებულიყვნენ. ეს განსაკუთრებით თავრიზზე ვრცელდებოდა, რადგანაც აქაური მოსახლეობა და სახელმწიფო მოსამსახურნი (ყოველდღე) დადიოდნენ რელიგიურ დაწესებულებაში („იმარათ"-ში). მთელი დღე ისინი თავიანი საქმით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ (ყოველ) საღამოს კვლავ ბრუნდებოდნენ („რუბ-ი რაშიდი"-ში). ხალხში სასოწარკვეთილება იზრდებოდა და ყველა სიკვდილს ნატრობდა. მას (აშრაფს. — ვ. კ.) ერთი დირჰემიც კი არ გაუღია, მაგრამ შეაგროვა კი ყველაფერი ძალითა და უსამართლობით"[36]. იმავე წყაროს ცნობით, მელიქ აშრაფს ნაღდ ფულად, ოქრო-ვერცხლისა და სხვა ძვირფასეულის გარდა, 300 000 ვერცხლის დინარი დაუგროვებია.

ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებში (1356 წლამდე) მელიქ აშრაფი საქართველოს საზღვრებშიც შემოიჭრა. კერძოდ, აშრაფს ქ. ბიჯნისი დაურბევია და ხალხი გაუწყვეტია[37]. მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდური თავდასხმა იყო. აშრაფის[38] გამგეობა სამხრეთ აზერბაიჯანში, როგორც მრავალი წყარო, მათ შორის ალ აჰრი მოწმობს, სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა. მოკლე ხანში მან მთელი მოსახლეობის ზიზღი და მტრობა დაიმსახურა. მის წინააღმდეგ დიდი აჯანყებანი მოეწყო თავრიზში 1346/47 წწ. და არანში 1351/52 წლებში[39]. მალე აზერბაიჯანის მოსახლეობის მოწვევით ჩრდილოეთიდან აშრაფის წინააღმდეგ გამოილაშქრა ოქროს ურდოს ყაენმა ჯანი-ბეკმა. ამ ყაენმა განახორციელა ჩრდილოეთის ურდოს დიდი ხნის ოცნება და ილხანთა მემკვიდრე ჩობანიანების სახელმწიფო საბოლოოდ გაანადგურა. ჯანიბეკმა აშრაფი ტყვედ ჩაიგდო და სიკვდილით დასაჯა[40]. როდესაც შეპყრობილი აშრაფი თავრიზში ჯანი-ბეკთან მიჰყავდათ, მოსახლეობა მას ლანძღვით ხვდებოდა და სახლების სახურავებიდან ქვიშასა და ნაცარს აყრიდა. ეს მოხდა 1356 წ.[41]. ასე უსახელოდ დამთავრდა ჩობანიანების ბატონობა. ალ ყუტბის სიტყვით, აშრაფის მიერ ნაძარცვი მთელი ქონება, „საქონლის ჯოგები და მისი საკუთარი შვილები და დედაც კი

---

36 ალ ყუტბი ალ აჰრი, შეიხ უვეისის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 75.

37 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ., ტ. III, თბ., 1982, გვ. 180 (შეცდომით ივ. ჯავახიშვილს მელიქ აშრაფი ჯალაირიანად მიაჩნია).

38 ფორმალურად ამ დროს აშრაფმა ტახტზე დასვა მარიონეტი ყაენი ანუ შირვანი (1343—1350).

39 ა. ალი-ზადე, დასახ. წიგნი, გვ. 335.

40 D' Ohsson, Histoire des Mongols, t. IV, p. 740—741.

41 В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов, т. II, 1941, с. 230—232.

ჯანი-ბეკმა ოქროს ურდოში წაასხა...“[42]. „ასე აღიკვეთა ირანში უძლეობა“ — დასძენს იგი.

ჯანი-ბეკი სწრაფად უკანვე, ოქროს ურდოში, გაბრუნდა, თავრიზის ტახტზე კი მოადგილედ თავისი ვაჟი ბერდი-ბეკი დატოვა. მაგრამ აზერბაიჯანში მისი ყაენობაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. გაიგო რა მამის ავადმყოფობის ამბავი, იგი სწრაფად გაეშურა ოქროს ურდოს დედაქალაქ სარაიში, გადატრიალება მოახდინა და თავი ყაენად გამოაცხადა. ყველაფერი ეს ძალიან სწრაფად, 1356-1357 წწ. განმავლობაში, მოხდა. აზერბაიჯანის გამგებლობა ბერდი-ბეკმა თავის ერთ-ერთ ამირას ახიჩუკს ჩააბარა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც კი ბერდი-ბეკი გაემგზავრა, მაშინვე თავი დამოუკიდებელ მბრძანებლად გამოაცხადა და დამხობილი მელიქ აშრაფის მომხრეები შემოიკრიბა.

როგორც ადრე იყო აღნიშნული, ნაპოვნია მონეტები, რომლებიც მოჭრილია თბილისში, ჯანი-ბეკის და ბერდი-ბეკის სახელით. ამ ფაქტმა ნუმიზმატებს (გ. დუნდუა, ც. ღვაბერიძე) აფიქრებინა, რომ დარუბანდის გარდა, ჯანი-ბეკის ლაშქრის ნაწილმა, დარიალის გზით, თბილისზეც გაიარა[43]. ჩვენი აზრით, ასეთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია. ჯერ ერთი, არც ერთ წყაროში სამხრეთ აზერბაიჯანში ჯანი-ბეკის ლაშქრობის მარშრუტად, დარუბანდის გასასვლელს გარდა, სხვა გზა დასახელებული არ არის. გაუგებარია, რა მიზეზით უნდა გამორჩენოდათ დარიალის გზა ამ ამბების დაწვრილებით აღმწერ აღმოსავლელ ავტორებს. არაერთგზის ციტირებული სპარსელი თვითმხილველი ავტორი ალ ყუტბი ალ აჰრი წერს, რომ ჯანი-ბეკმა: „მდ. თერგი გადალახა და დერბენდს ჩავიდა. აქედან იგი შირვანში შევიდა და მელიქ აშრაფს მაცნე გაუგზავნა ასეთი დანაბარებით: „მე მოვდივარ, რათა ჰულაგუს ულუსი ჩემად დავიკავო...“ შემდეგ, იმავე წყაროს ცნობით, ჯანი-ბეკმა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით მდ. მტკვარი გადალახა და აიღო ქალაქები არდებილი და სარაბი. სწორედ ამ ქალაქის მიდამოებში გაიმართა მთავარი ბრძოლა აშრაფისა და ჯანი-ბეკის ჯარებს შორის[44]. ის, რომ ციტირებული ავტორი სხვა წყაროებს გარდა, უშუალოდ ბრძოლის მონაწილე თვითმხილველთა მონათხრობს ეყრდნობოდა, ჩანს მისი ერთი ფრაზიდან, რომელიც ქ. სარაბის მახლობლად გა-

---

42 ალ ყუტბი ალ აჰრი, დასახ. შრომა, გვ. 78.

43 გ. დუნდუა, ერთი ფურცელი საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ისტორიიდან XIV-ს-ში, ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნ. კრებული, თბ. 1976, გვ 319—323; ც. ღვაბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

44 ალ ყუტბი ალ აჰრი, „თარიხ-ი შეიხ უვეის“, დასახ. გამოცემა, გვ. 76—78.

მართულ ბრძოლაში აშრაფიანთა ჯარის დანაკარგს — 2 თუ 3 000 კაცს/ შეეხება. ალ ყუტბი წერს: „ამ ცნობის (ე. ი. დაღუპულთა რიცხვის, ვ. კ.) სიმართლე მთხრობელის კისერზე იყოს“-ო[45]. უფრო მეტიც, იმავე ავტორის მოწმობით, ჯანი-ბეკი უკანაც იმავე გზით გაბრუნდა და დერბენდზე გავლისას თავი ცუდად იგრძნო[46].

მეორეც, კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ჯანი-ბეკის ლაშქრის ერთმა მცირე ნაწილმა (მცირემ იმიტომ, რომ დარიალის ვიწროებში დიდი ლაშქრით მოძრაობა საკმაოდ გაძნელდებოდა და თანაც ჯარის დიდი რაოდენობით ამ გზით გადაადგილება წყაროებს არ გამორჩებოდათ) დარიალზე გაიარა, განა მხოლოდ გავლა საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ აქ მაშინვე მოეჭრათ მონეტა ოქროს ურდოს ყაენთა სახელით? თანაც, არა მარტო იმჟამინდელი ყაენის ჯანი-ბეკის, არამედ, რაც უფრო დაუჯერებელია, სარაისა და თავრიზის ტახტის მხოლოდ მომავალი მფლობელის — ბერდი-ბეკის სახელითაც? ამავე დროს, ჯარის ამ საკარაუდო ნაწილს ძალიან უნდა ეჩქარა, რომ ჯანი-ბეკის მთავარი ძალებისათვის მიესწრო სამხრეთ აზერბაიჯანში გენერალური ბრძოლის გამართვის დროს და საკითხავია, სად ეცლებოდა მას თბილისში მონეტის მოჭრისათვის (სრულიად რომ გამოვრიცხოთ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მესვეურთა ნება-სურვილი).

აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ზუსტად ამავე დროს (1356—1357 წწ.) თბილისის ზარაფხანა მონეტებს ჭრის ჯალაირიანების: ჰასან ბუზურგის და მისი ძის შეიხ უვეისის სახელითაც. ეს იმ დროს, როცა ალ აჰრის, შეიხ უვეისის კარის ისტორიკოსის დოკუმენტური მოწმობით (იხ. ზევით), ამ ჯალაირიანებს საქართველო არც არასდროს სჭერიათ და არც თბილისზე გაუვლიათ. ამას სხვათაშორის, მოწმობს აზერბაიჯანელი მკვლევარი ა. ალი-ზადეც, რომელიც ჯალაირიანთა სამფლობელოების დასახელებისას (აზერბაიჯანი, სპარსეთისა და არაბეთის ერაყი, სომხეთი, ქურთისტანი) საქართველოს საერთოდ არ ახსენებს[47]. ამგვარად, აქ საქმე, როგორც წინა თავში (§ 1) იყო აღნიშნული, სულ სხვა ვითარებასთან გვაქს და ჯუჩიანთა და ჯალაირიანთა სახელით ფულის გამოშვება მხოლოდ თბილისზე გავლით არ აიხსნება. ჩვენი აზრით, ქართული სამეფო კარი ფხიზლად ადევნებდა თვალს ყოფილი სიუზერენის კარზე მიმდინარე პროცესებს და „იმისდა

---

45 ა ლ ყ უ ტ ბ ი ა ლ ა ჰ რ ი, „თარიხ-ი შეიხ უვეის“-ი, დასახ გამოცემა, გვ. 78.

46 იქვე.

47 ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 336. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაუმართლებელია ც. ღვაბერიძის მიერ საქართველოს ხელაღებით მიკუთვნება ჯალაირიანებისადმი, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით, რომელ მხარეს იხრებოდა უპირატესობა და გამარჯვება, საქართველოში სათანადო ყაიდის მონეტა იჭრებოდა"[48].

როგორც აღვნიშნეთ, ბერდი-ბეკმა თავრიზში თავის ნაცვლად დატოვა ახიჩუკი, მაგრამ მისი მბრძანებლობაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი.

1358 წელს მის წინააღმდეგ დიდი ძალებით გაილაშქრა შეიხ უვეისმა. ჰასან დიდი ჯალაირის ვაჟმა ახიჩუკი სასტიკად დაამარცხა. 1358 წ. 6 აგვისტოს შეიხ უვეისი შევიდა თავრიზში და თავისი რეზიდენცია გამართა სწორედ იმ „იმარათ-ი რაშიდიში", სადაც ადრე აშრაფ ჩობანიანი იყო დამკვიდრებული. მართალია, იმჟამად უვეისმა ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლა და ბაღდადს გაბრუნდა, მაგრამ უკვე მომდევნო წელს ახიჩუკის ძალები გაანადგურა მუზაფარიანმა მუბარიზ ად დინ მუჰამედ იეზდელმა[49]. მუზაფარიანები ილხანთა გადაშენების შემდეგ გამოდიან ასპარეზზე. ისინი თავდაპრველად მხოლოდ ქ. იეზდს ფლობდნენ (1313 წ-დან), შემდეგ კი მიიერთეს ქერმანი (1341), ფარსი შირაზითურთ (1354) და სპარსეთის ერაყის დიდი ნაწილი ისპაჰანითურთ (1358). აშკარაა, რომ მათი სახელმწიფოს გაფართოების თარიღები ყოფილი საილხანოს დასუსტების ახალ საფეხურს მოწმობს. მუზაფარიანთა სახელმწიფომ 1393 წ.-მდე იარსება.

მუბარიზ იეზდელის გამარჯვებაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. რამდენიმე დღეში მან თავრიზი დატოვა, რადგანაც გაიგო, რომ იქით კვლავ უვეისი მიემართებოდა. თავრიზი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან-ხელში. საბოლოოდ კი იგი უვეისმა დაიმორჩილა. ახიჩუკი და მისი მომხრეები სიკვდილით დასაჯეს[50].

ასეთი ვითარებაა საქართველოსა და ყოფილი საილხანოს ტერიტორიაზე დავით გიორგის ძის ზეობისას.

დავით IX-ის ეპოქის შესახებ კიდევ ორიოდე ცნობის ძოტანა შეიძლება. ბიზანტიური წყაროს მოწმობით, დავითის — „თბილისის მეფის" ასული გულქანი ტრაპიზონის იმპერატორის უმცროს ძეზე — მანუილზე გათხოვილა[51]. 1377 წელს გულქან-ხათუნი გონიოდან მაკრიალში (პუნქტია ლაზეთში, გონიოსა და ხოფს შორის, ამჟამად ეწოდება „ქემალ ფაშა")[52] ჩასულა, სადაც მას შეხვედრიან ტრაპიზონის იმპერატორი და მისი ამალა. ერთი წლის შემდეგ, 1378 წელს, ქორწინება შემდგარა, რომლის დროსაც გულქან-ხათუნისთვის სახელი გამოუცვ-

---

48 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 100.

49 ა ლ ყ უ ტ ბ ი ა ლ ა ჰ რ ი, დასახ. გამოცემა, გვ. 11—12 (შესავალი).

50 იქვე, გვ. 12.

51 მ ი ხ ე ი ლ პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, ტრაპიზონის ქრონიკა, „გეორგიკა", ტ. VII, გვ. 207.

52 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ჭანეთი, I, ბათუმი, 1977, გვ. 46—47.

ლიათ და ევდოკია უწოდებიათ[53]. იქვე ნათქვამია, რომ გულქანი „აღბუღას დისწულია“. როგორც ჩანს, საქმე ეხება აღბუღა სამცხის სპასალარს, სჯულმდებელს[54]. ამგვარად, გამოდის, რომ დავით IX მეუღლე სინდუხტარი (შესაძლოა შემდეგში მან სხვა ქალი ითხოვა) აღბუღას და ყოფილა. მკვლევართა შორის დავას იწვევს ის საკითხი, პანარეტოსის მიერ ნახსენები „თბილისის მეფე“ დავითი ნამდვილად დავით გიორგი ბრწყინვალის ძეა, თუ იგი ბაგრატიონთა რომელიმე გვერდითი შტოს (მაგ. ალასტანელთა) შთამომავალია. ყოველ შემთხვევაში, სარგის კაკაბაძე ამ უკანასკნელ აზრს დაბეჯითებით იცავდა[55]. ალ. გამყრელიძის აზრით, ამ დავითის ალასტანელობა თუნდაც იქიდან არ მტკიცდება, რომ ალასტანელებს დედაქალაქი თბილისი არასდროს დაუჭერიათ თავისად[56]; მაგრამ მეცნიერი იქვე აღნიშნავდა, რომ ასეთ გაიგივებას (დავით თბილისის მეფისა და დავით IX-სა) თითქოს ეწინააღმდეგება სადედოფლოს — გულქანის და ნეფის ასაკი, სადედოფლო 1377/78 წელს — 17 წლის მაინც უნდა ყოფილიყო (რადგან მამამისი მეფე დავითი 1360 წ. გარდაიცვალა), მაშინ, როცა მანუილ ტრაპიზონელი 1364 წ. დაიბადა და, ამგვარად, სადედოფლო მასზე სულ ცოტა 13 წლით უფროსი გამოდის[57]. ეს დაბრკოლება ადვილად მოიხსნება, თუ გავითვალისწინებთ ბერძნული წყაროს ცნობას იმის შესახებ, რომ გულქანი მანუილისთვის კი არ იყო განსაზღვრული საცოლედ, არამედ მისი უფროსი ძმის ანდრონიკესათვის, რომელიც 1355 წ. იყო დაბადებული[58]. იგივე წყაროს მოწმობით, ეს ქორწინება არ შედგა უბედური შემთხვევის გამო, რადგანაც უფლისწული ანდრონიკე 1376 წელს სასახლიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა[59]. ამის გამო იყო სწორედ, რომ: „საქორწინო პირობა, რომელიც დადებული იყო იბერიასთან, თბილისის მეფის დავითის ასულისათვის“, აღარ დაარღვიეს და ჭაბუკ მეფე მანუილს, ანდრონიკეს ძმას, რამდენადმე უფროსი ქალიშვილი შერთეს ცოლად. ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს, რომ ეს საქორწინო შეთანხმება აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და ამიტომაც მისი დარღვევა

---

53 მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

54 იქვე, გვ. 183 (კომენტარები).

55 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914, გვ. 139, 140 და სხვ.

56 მიხ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

57 ტრაპიზონის ქრონიკა, ალ. გამყრელიძის გამოცემა, გვ. 183, (კომენტ. № 149).

58 იქვე, გვ. 31.

59 იქვე, გვ. 41.

დაუშვებლად მიიჩნიეს. შეიძლება გვევარაუდა ისიც, რომ შეთანხმებას გარკვეულად მოწინააღმდეგეებიც აღმოუჩნდნენ (ბიზანტიის ან საკმაოდ მომძლავრებული თურქების მხრიდან) და ტრაპიზონის იმპერატორის უფროსი ძის სასახლიდან „გადმოვარდნა“ სწორედ საქორწინოდ გამოცხადებული თარიღის წინ, შემთხვევითი ინციდენტი არ იყო. ამ პერიოდში საქართველო-ტრაპიზონის აშკარად განახლებული ალიანსი დასტურდება თუნდაც დავით IX-ის ძის ბაგრატის ტრაპიზონის იმპერატორის ასულ ანაზე დაქორწინების ფაქტიდანაც[60]. ამგვარად, გულქან-ევდოკია ჩვენ უდავოდ საქართველოს მეფის დავით IX-ის, და არა რომელიმე პროვინციის მეფის, ასულად მიგვაჩნია. ამას ერთგვარად შეიძლება მოწმობდეს მისი სახელიც (გულქანი), რადგანაც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, დავით IX-ის მეორე ქალიშვილს, რომელიც ქსნის ერისთავ იოვანეზე იყო გათხოვილი, გულშარი ერქვა. ასე რომ, ადვილი მოსალოდნელია, დავითის ასულებს მსგავსი სახელები: გულქანი და გულშარი რქმეოდათ.

1382 წ. 19 ივნისს გულქან-ევდოკიასა და მანუილს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ტრაპიზონელი პაპის სახელი ბასილი დაარქვეს[61].

1360 წელს დავით IX გარდაიცვალა და იგი შეცვალა მისმა ძემ ბაგრატმა[62]. ამ თარიღის შემოწმება დღესდღეობით შეუძლებელია, მაგრამ ვახუშტის მიერ ქრონოლოგიურ ცხრილში ამ თარიღთან ნახსენები „გუჯარი ბარათიანთა“[63] და აგრეთვე მის მიერ ადრე დამოწმებული „იმერეთის გარიგების წიგნის“ ქრონიკალური სია გვაფიქრებინებს, რომ ეს ცნობა ნდობას იმსახურებს. ამგვარად, 1360 წ. გამეფდა ბაგრატ V, ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით „დიდად“ წოდებული. წყაროთა სიმცირისა და ფრაგმენტულობის გამო გაურკვეველია, რა დამსახურებისთვის ეწოდა ბაგრატს ეს საპატიო წოდება. მიხეილ პანარეტოსი მას რამდენჯერმე ასახელებს თავის თხზულებაში. პირველად იგი ნახსენებია 1367 წ. ამბებთან დაკავშირებით, როდესაც მაკრიალში (მაკროსეგიალოსში) ჩასულა ტრაპიზონის კეისარი თავის საპატარძლო ქალიშვილ ანასთან ერთად, „რომელიც უნდა მისთხოვებოდა ცოლად იბერთა და აფხაზთა მეფეს ბატონ ბაგრატ ბაგრატიონს“[64]. შემდეგ ბაგრატ V დასახელებულია 1372 წელს. მიხეილ პანარეტოსი წერს: „6 აგვისტოს წავედით ლაზიკაში და... შევხვდით ბაგრატ მეფეს. მას

---

60 ტრაპიზონის ქრონიკა, ალ. გამყრელიძის გამოცემა, გვ. 38, 40, (კომენტ. № 149).

61 იქვე, გვ. 43 — 44

62 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 260.

63 იქვე, გვ. 895.

64 მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, „ტრაპიზონის ქრონიკა“ (ალ. გამყრელიძის გამოცემა), გვ. 38.

შემდეგ მივედით ბათუმს..., გვყავდა 2 კატარღა და 40-მდე ნავი. ... ვებაასეთ გურიელს, რომელიც მეფესთან პატივისცემისათვის ... და"[65]. როგორც ვარაუდობენ. შესაძლოა, ცნობაში ნახსენები გურიელი — კახაბერ გურიელი, ერისთავთ-ერისთავ გიორგი დადიანის ძე **იყოს**[66]. **ბაგრატ** მეფეს მაღალი ეპითეტებით იხსენიებენ სომეხი ქრონისტებიც. XIV ს. მიწურულს სანაინის მონასტრის ერთი გადამწერი მას უწოდებს „ძლევამოსილ, მამაც მეფე ბაგრატს" და იქვე დასძენს, რომ „მის დროში დიდი მშვიდობიანობა იყო საქართველოში"[67].

თემურ-ლენგის შემოსევასთან დაკავშირებით მ. პანარეტოსი კიდევ ერთხელ ახსენებს საქართველოს მეფეს. ამ კონტექსტში ტრაპიზონელი **მემატიანე** მას „გამოჩენილი სარდალ ბაგრატ მეფეს"[68] უწოდებს. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ბაგრატმა სახელი და დიდება თემურ-ლენგის შემოსევებამდე მოიპოვა[69]. მართლაც, როგორც ჩანს, ეს ასეც იყო, რადგან კოჭლ ნამონღოლართან ორთაბრძოლაში ბაგრატს **მაინც** და მაინც დიდი სახელისთვის ვერ უნდა მიეღწია. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფეცის სიტყვით, „იგი (ბაგრატი. — ვ. კ.) დიდძალი ძღვნით, მორჩილებით ეახლა ბილწ ხელმწიფეს (თემურ ლენგს — ვ. კ.) ხოლო მან, აღსავსემ სატანის ბოროტებით, რჯული დააგდებინა მას"[70]. მართალია, ამავე ავტორის და ახალი ქართლის ცხოვრების მოწმობით, ეს ბაგრატის ტაქტიკური ნაბიჯი იყო და შემდეგ მან შვილებთან ერთად თემურს შეუტია, 12 000 მისი მხედარიც ამოწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ საგრძნობ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია[71].

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ბაგრატი ქუთაისში უკურთხებიათ მეფედ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რადგანაც მამამისი, დავით IX, გეგუთს გარდაიცვალა და გელათს დაკრძალეს, ამიტომ ბაგრატიც იქვე ეკურთხა სრულიად საქართველოს მეფედ[72]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქუთაისში კურთხევა განპირობებული იყო ორივე სამეფოს

---

65 იქვე, გვ. 40.

66 იქვე, გვ. 81 (კომენტ. № 144).

67 ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ... გვ. 26.

68 მ. პანარეტოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

69 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III (1966), გვ. 408; მისივე, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1986, გვ. 181.

70 თ. მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, თბ., 1987, გვ. 24.

71 იქვე, გვ. 24—25; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 329—330

72 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

(ლიხთ იმერის და ამერის) ბაგრატის მიერ უცილობლად პყრობით და „ძველი წესი“-ს შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტის ხელთ ჰქონია ერთი საინტერესო ცნობა, რომლის თანახმად 1362 წელს სვანები აჯანყებულან, დიდი ლაშქრით გადმოსულან ქუთაისში, დაურბევიათ და დაუწვავთ ქალაქი[73]. რამ გამოიწვია სვანთა ეს ჯანყი, უცნობია. მართალია, XIII—XIV სს. სვანური საბუთები აღიარებენ, რომ „ჰავისა ჟამისა შემოსლვამა ქუეყანა დააშავა“ და „მრავალსა უწესურსა საქმესა დაუხუდენით“-ო[74]. მაგრამ ქუთაისის გადაწვას რაღაც უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ედო საფუძვლად. შესაძლოა, ბაგრატს სურდა სვანთა საერისთაოში სამეფო ხელისუფლების გამტკიცება, რაც სვანთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. საგულისხმო ფაქტია, რომ XIII—XIV სს. მრავალ სვანურ ხელნაწერ დოკუმენტში საქართველოს მეფე მხოლოდ ერთხელ იხსენიება და ისიც დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე ნარინის ძეა[75]. აჯანყების ცენტრი, როგორც ჩანს, ეცერში იყო; ამასთან „უკუ-მდგარ“ სვანთა რიცხვი საკმაოდ დიდი ყოფილა, რადგანაც ბაგრატ მეფეს დასჭირდა შემოეკრიბნა „სპანი სრულიად გიორგიისანი“, რათა აჯანყება ჩაეხშო[76]. ვახუშტი გვამცნობს, რომ როცა საბოლოოდ ბაგრატმა ჰერკახთა, რაჭველთა, აფხაზთა, სომხითართა, ოდიშართა, გურულთა, მესხთა, კლარჯთა გაერთიანებული ლაშქრით ეცერი აიღო, გადმოცემის თანახმად („იტყვიან...“), სვანთა ერისთავი ვარდანის ძე დააპატიმრა, ახალ ერისთავად კი გელოვანი გაამწესა. ამის შემდეგ, მისი სიტყვით, მეფემ თვით სვანები „უმეტეს პირველისა, მორჩილ ჰყვნა“[77].

ამავე ხანებში მომთაბარე თურქებს გაუგიათ, რომ მეფეს მათთვის არ ეცალა და სამცხე დაურბევიათ. მაგრამ ბაგრატმა 12 000 მხედარი აარჩია და თურქებს სწრაფად დაედევნა. მას ფერსათის (ლადოს, ლომსიას) მთა გადაუვლია და სამი დღე-ღამე გაუჩერებელი ჭენების შემდეგ მდ. არაქსს (რახსი) მიღმა დასწევია თურქებს[78]. ბაგრატ V-მ თურქები სასტიკად დაამარცხა და თბილისს დაბრუნდა. ამის

---

73 იქვე.

74 ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ.,1986, გვ. 134 (№ 30) და გვ. 138 (№ 37).

75 სიგელი კონსტანტინე მეფეთ მეფისა გოშქოთელიანისადმი, სვანეთის წერილობითი ძეგლები, გვ. 102. ამ მხრივ, გამონაკლისია სოფ. ლაჰილის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის (XIII—XIV) წარწერა, იქ კრებითად იხსენიებიან „მეფენი ბაგრატუნიანნი“.

76 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

77 იქვე.

78 იქვე, გვ. 262.

შემდეგ მეფის ძლიერების შემყურე მთელი საქართველო „დამშვიდ-
და“ და „აღარავინ იყო მავნებელი“. როგორც ჩანს, ამ პერიოდზე
ლისხმობდა ზევით ნახსენები სომეხი ავტორი, რომელიც ბაგრატ V-ის
დროს „დიდ (ღრმა) მშვიდობიანობის“ ჟამად მიიჩნევდა. 1366 წელს
საქართველოში კვლავ თავი იჩინა მასობრივმა „მომსვრელმა“ სენმა.
ჩანს, საქმე შავი ჭირის რეციდივს შეეხება, რომელსაც მრავალი
ქართველი უმსხვერპლია. მ. პანარეტოსის მოწმობით, 1363 წელს იკი
მოდებული ყოფილა თურქებს შორის[79]. შესაძლოა, საქართველოშიც
მათვე შემოიტანეს. 1382 წლისთვის კი თვით ტრაპიზონში გავრცელე-
ბულა საზარდულის რაღაც მასობრივი სენი. ალ. გამყრელიძის გან-
მარტებით, შესაძლოა, ამ სენშიც შავი ჭირი იგულისხმებოდეს[80].
1369—1370 წწ. ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა ქ. თავრიზში. ზო-
გიერთი აშკარად გაზვიადებული ცნობით, მსხვერპლმა ამ ქალაქში
300 000 მიაღწია[81].

როგორც აღვნიშნეთ, 1366 წელს შავ ჭირს ბაგრატ V-ის მეუღ-
ლე ელენეც შეუწირავს. დედოფლისაგან ბაგრატს ორი ძე დარჩა: გი-
ორგი და კონსტანტინე[82]. მომდევნო, 1367 წელს, ბაგრატმა ცოლად
შეირთო ტრაპიზონის იმპერატორის იოანე — ალექსი III-ის (1350—
1390) ასული ანნა. ანნა 1357 წ. 6 აპრილს იყო დაბადებული. დედამი-
სი თეოდორა ბიზანტიის კეისრის კარზე დაახლოებული, ნიკიფორე
კანტაკუზენეს ასული იყო. ანნა დედოფალი, მისი ძე დავითი და
თვით მეფე ბაგრატი შემდგომში ტყვედ ჩაიგდო თემურ-ლენგმა, რო-
დესაც მან „ომის კანონით ხელთ იგდო საოცარი (ქალაქი) თბილი-
სი“[83].

1363 წლისთვის, ვახუშტის სიტყვით, სამცხის ათაბაგი ყუარყუა-
რე გარდაიცვალა და ბაგრატ V-მ ნაცვლად მისი ძე მანდატურთუხუ-
ცესი ბექა (II) დასვა[84]. ეს ცნობა ეჭვს იწვევს, რადგანაც დანამდვი-
ლებით ვიცით, რომ XIV ს. 80-იან წლებში სამცხის ათაბაგია სჯულ-
მდებელი აღბუღა, რომელსაც ვახუშტი საერთოდ არ ახსენებს. აღბუ-

---

79 მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, ტრაპიზონის ქრონიკა (ალ. გამყრელიძის გამოცემა), გვ. 36.

80 იქვე, გვ. 85 (კომენტ. № 161).

81 ა ლ ი ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 337.

82 იხ. თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ც ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; ვახუშტი შეცდომით ელენე დედოფლის ძედ მიიჩნევს არა კონსტანტინეს, არამედ დავითს, რომელიც მეფეს ტრაპიზონის იმპერატორის ასულთან შეეძინა... თუმცა მან კარგად იცის ისიც, რომ მეფის მეორე მეუღლეს ანნა ერქვა. იხ. ვახუშტი, გვ. 262, 264.

83 მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. გამოცემა, გვ. 45 (ფრჩხილები ჩვენია).

84 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 262. შდრ. მ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, შალვა სამცხის სპასალარი და ათაბაგი, „ძეგლის მეგობარი“, № 3, 1983, გვ. 40.

ლა თავის თავს ბექა მანდატურთუხუცესის (გარდ. 1308 წ.) შვილი-შვილს უწოდებს[85]. ასე რომ, იგი ყვარყვარეს (ან შალვას) ძე უნდა იყოს.

XIV ს. 70-იან წლებში საქართველოში კვლავ მშვიდობიანობაა. გააქტიურებულან ევროპელი კათოლიკე მისიონერებიც. 1373 და 1390 წწ. ფრანცისკანელი პატრები ქ. ახალციხეს სწვევიან და შესაძლოა, იქ თავისი რეზიდენციაც დააარსეს. 1370 წელს საქართველოში ჩამოსულა სალონიკის არქიეპისკოპოსი (როგორც ჩანს ფრანცისკანელი ანტონი) 25 სხვა ფრანცისკანელ ძმასთან ერთად[86]. 1382 წელს კათოლიკურ „მოქადაგე ძმათა საზოგადოებას“ თავისი რეზიდენცია დაუარსებია თბილისსა და ახალციხეში[87].

1373 წ. საქართველოს სამხრეთ საზღვრებს კვლავ თურქი მარბელნი შეესივნენ. ისინი საქართველოს სიღრმეში ჯავახეთამდე შეიჭრნენ და აქ, ალასტანში, მომთაბარე თურქებს ბრძოლა გაუმართა ერთ-ერთმა უკანასკნელმა „პროვინციის მეფემ“ გიორგიმ. თურქებს, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, ხოსია ბაედარის ძე მეთავეობდა, მეფე გიორგის კი სხვა წარჩინებულებთან ერთად მხარს უმაგრებდა ქსნის ერისთავი ქვენიფნეველი. ბრძოლის დროს ალასტანელი მეფეც და ქსნის ერისთავიც მოკლეს[88]. აშკარაა, რომ „ხოსია ბაედარის ძე“ ქსნის საგვარეულო მატიანის ავტორის, ან გადამწერთაგან დამახინჯებული საკუთარი სახელია. რამდენადაც ვიცით, ის არავის გაუშიფრავს. ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ საქმე ეხება ყარა-ყოინლუს თურქმანთა ერთ-ერთი ტომის ბელადის ბეირამის (ან ბაირამის) რომელიღაც ძეს. ბეირამი კი წყაროებში სწორედ XIV ს. 60-იანი წლების ბოლოდან — 70-იან წწ. ბოლომდე ფიგურირებს[89]. რაც შეეხება მის ძეს ე. წ. „ხოსია“-ს, ყველაზე უფრო ახლოს ამ სახელთან „ჰუსეინი“-ა, ამგვარად, ვფიქრობთ, საქმე ეხება ვინმე ჰუსეინ ბეირამის ძის, ყარა-ყოინლუს თურქმანის, თავდასხმას სამხრეთ საქართველოზე.

1374 წ. გარდაიცვალა თავრიზის ტახტის მფლობელი შეიხ უვეისი. იგი შეცვალა მისმა ძემ ჰუსეინმა. მას მაშინვე აუჯანყდა ძლიე-

---

85 სამართალი ბექასი და აღბუღასი, ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 425.

86 ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული..., გვ. 163.

87 იქვე.

88 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 110.

89 აბუ ბაქრ ალ ყუტბიალ აჰრი, დასახ. გამოცემა, გვ. 12 (წინასიტყვაობა); აგრ. ა. ალი-ზადე, დასახ. ნაშრომი, გვ. 338; აქვე აღვნიშნავთ, რომ „ისლამის ენციკლოპედიაში“ არაფერია ნათქვამი ამ ბეირამზე. იქ ნახსენები თურქმანი „ბაირამი“ XVI ს-ში ცხოვრობდა.

რი ვასალი შახ-შუჯა, მუზაფერიანი, რომელმაც თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. მან 1375—1376 წწ. ისპაჰანიდან აზერბაიჯანზე გაილაშქრა და თავრიზიც კი ხელში ჩაიგდო, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. აბდ არ-რაზაყ სამარყანდის (1413—1482) დაცული აქვს ერთი საინტერესო ეპიზოდი ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით. იგი მოგვითხრობს, რომ როდესაც შახ-შუჯამ აზერბაიჯანი დაიპყრო, სხვადასხვა რაიონებსა და ოლქებში თავისი ნათესავები და ვასალები დაავზავნა. შირვანის, არანის, მუღანის და დერბენდი — შემახიის სამართავად მას გაუგზავნია თავისი ძმისშვილი შახ მანსური. წყაროს თანახმად, იმდროინდელ შირვანშაჰს მისთვის შეუთვლია, რომ იგი არ აპირებდა თავისი სამფლობელოს დათმობას და ურჩევდა შახ მანსურს — გასცლოდა იქაურობას. ამის საპასუხოდ შახ მანსურმა მას მისწერა: „...ჩვენ მოვედით აქ და არავისი არ გვეშინია. ჩვენ ბრძოლაში ვიწვევთ ყველას, თუგინდ იგი შირვანიდან, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ ან რუმიდან იყოს... ბიძაჩემმა შახ-შუჯამ დაიმორჩილა აბუ საიდის რეზიდენცია, დაიპყრო რა მიწები სისტანიდან ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ დ ე“[90] (ხაზი ჩვენია, ვ. კ.). ამ ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ საქართველო ამ დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულია კავკასიაში და მას ასახელებენ ისეთ ქვეყნებს შორის, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. რაც შეეხება მომდევნო ფრაზას, რომ შახ-შუჯამ დაიპყრო ყაენ აბუ საიდის კუთვნილი მიწები საქართველომდე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „საქართველომდე“-ს გავიგებთ როგორც ტერიტორიებს საქართველოს ჩათვლით, აქ აშკარად შახ მანსურის კვეხნასთან უფრო გვაქვს საქმე ვიდრე რეალურ ვითარებასთან. ამაზე მიუთითებს ჯერ ერთი ამ პატარა პოლიტიკური ერთეულის (მუზაფარიანთა) მესვეურთა ამბიციოზური განცხადება და პრეტენზიები აბუ საიდის დროინდელ საილხანოს საზღვრებზე; და მეორეც, შახ-შუჯასა და მისი ძმისშვილის ბაქიობა კარგად ჩანს იქიდანაც, რომ მათ აზერბაიჯანში მხოლოდ ოთხ თვემდე დაყვეს[91], შემდეგ კი უსიტყვოდ გაბრუნდნენ უკან, ისპაჰანში.

1382 წელს ჯელაირიანი ჰუსეინი საკუთარმა ძმამ აჰმედმა დაამხო და სიკვდილით დასაჯა, თავრიზის ტახტი კი თავისად გამოაცხადა (1382—1410, წყვეტილად). თითქმის მაშინვე მას განუდგა მომდევნო ძმა ბაიაზიდი. რომელმაც აგრეთვე სულთნის ტიტული მიიკუთვნა. ასეთი ვითარება იყო საქართველოს მომიჯნავე რეგიონში ბაგრატ V დიდის მეფობისას.

---

90 აბდ არ-რაზაყ სამარყანდი მითითებულია ა. ალი-ზადეს დასახელებული შრომის მიხედვით, გვ. 380—381.

91 ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

თუ ვახუშტის დავუჯერებთ, ბაგრატს ამ პერიოდში რანი, მოგვიკანი და დვინი „მოხარკედ აქუნდა“[92]. ალბათ, ეს ცნობა კორექტირებას მოითხოვს, მაგრამ ქართულ წყაროთა უქონლობის პირობებში, ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა. საინტერესო ფაქტია, რომ იერუსალიმის ერთი სომხური ხელნაწერი, თემურ ლენგთან დაკავშირებით, ბაგრატს „თურქთა მომხრეს“ უწოდებს[93]. თუ ეს წყარო არ ცდება, შესაძლოა, მხოლოდ ის ვივარაუდოთ, რომ მრისხანე მტრის მოახლოვებისას, ბაგრატს უცდია თანხმობა ჩამოეგდო ისეთ ძალასთანაც კი, როგორიც მომთაბარე თურქმანები, მომავალი ყარა და აყ ყოინლუს სახელმწიფოთა დამაარსებლები იყვნენ და რომელთა პერიოდულ თავდასხმებს ბაგრატი ძირშივე აღკვეთდა ხოლმე. ვფიქრობთ, ეს ერთადერთი წყაროა, სადაც ბაგრატი თურქების მომხრედ თუ მეკავშირედ იხსენიება.

როგორც უნდა ვივარაუდოთ, ბაგრატს თემურ ლენგის გამოჩენამდე აღდგენითი და აღმშენებლობითი საქმიანობა ეხერგიულად უწარმოებია. ამის დამადასტურებლად თითქოს რამდენიმე სიგელიც მოიპოვება. ერთი მათგანი, გერგეტის სამებას და მის საყდრიშვილებს შეეხება, მეორე კი „მთის წმინდა გიორგის“ ყმებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ორივე საბუთის ზუსტი დათარიღება ძალიან გაძნელებულია, ამიტომ მათ ხან ბაგრატ V-ის გაცემულად მიიჩნევენ, ხან კი XV ს-ში შედგენილ ბაგრატ VI-ის საბუთებად. პირველ სიგელში ნათქვამია: „ღვთივ გუირგუინოსანმან, მეფეთა მეფემან ბაგრატ, ესე მტკიცე, უქცეველი ბრძანება და სიგელი“ თქვენ. გერგეტის საყდრისშვილებს, გიბოძეთო. მეფეს ძველი სიგელი განუახლებია და გერგეტის საყდრისშვილთა სისხლი მაღალი ნიხრით შეუფასებია. სამწუხაროდ, სიგელი დაზიანებულია და სხვა რამის გარკვევა იქიდან არ ხერხდება[94]. მეორე საბუთი საკმაოდ ვრცელია. იგი სასისხლო სიგელს წარმოადგენს. მისი დათარიღება კიდევ უფრო ჭირს, რადგან დედანი არ შემონახულა, საბუთის ასლი კი უთარიღოა. საბუთის გამცემია „ორთავე სახელმწიფოთა: ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა თუით-მპყრობელი“, მეფეთ-მეფე ბაგრატი. სიგელში იხსენებიან აგრეთვე მისი მეუღლე ელენე, ვაჟები: გიორგი და ალექსანდრე[95].

---

92 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

93 Из сборника рукописей Иерусалимского Матенадарана, в кн.: Л. Х. Тер-Мкртчян, Армянские источники о Средней Азии VIII—XVIII вв., М., 1985, с. 90.

94 საბუთის უკანასკნელი გამოცემა იხ. თ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ. 91, 117

95 განჩინება მთის (წმ.) გიორგის ყმათა სისხლის შესახებ; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, პატარა წერილები და შენიშვნები, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ, 1924, გვ. 248.

საქმეს ის ართულებს, რომ როგორც ბაგრატ V-ის პირველ მეუღლის, ისე ბაგრატ VI-ის (1455—1478) თანამეცხედრესაც ელენე ეწოდ-რაც შეეხება ვაჟების სახელებს. ბაგრატ V-ს ჰყავდა ვაჟი გიორგი, მაგრამ არ ჰყავდა ალექსანდრე. ხოლო ბაგრატ VI-ის ერთ ვაჟს ერქვა ალექსანდრე, მეორეს კი დავითი. ამგვარად, სიგელის გამცემი მეფის იდენტიფიკაცია გართულებულია: ყოველ შემთხვევაში, საბუთი საინტერესო წყაროა და მასში ლაპარაკია რაჭის მოოხრებული სოფლის (შავორის ანუ შაორის) აღდგენაზე და ხელახლა დასახლებაზე. მეფე მოგვითხრობს აგრეთვე, რომ მას დიდად უგულსმოდგინებია მთის წმ. გიორგის (ეკლესია დგას რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე, ცნობილია ლეკნარის წმ. გიორგის სახელითაც) „ახლად აღშენებად და შემკობად". საბუთში იხსენიება რაჭის სოფლები: შავორი, თხმორი, ძმუისი, წყნორი, ველიეთი (ველევი?), ბობოთი, კაციეთი და ა. შ., აგრეთვე, სურამი და მასთან ახლო მდებარე სოფ. ფონა[96].

XIV ს. იწურებოდა. თვითეული ახალი წელი ااახლოვებდა მრისხანე განსაცდელს. არ ვიცით, რას ფიქრობდა საქართველოს სამეფო კარი და როგორ ემზადებოდა ახალ მსოფლიო მბრძანებელ კოჭლ თემურთან შესახვედრად. სასტიკი მტერი კი სულ ახლოს იყო მოსული საქართველოს საზღვრებთან და შეიძლება ითქვას, მისი სუსხიანი სუნთქვა უკვე სწვდებოდა ივერიას. ბაგრატის მეფობის ოცდამეექვსე წელი ილეოდა, როცა: „უფლის წელთაღრიცხვის 1386 წელს... გამოჩნდა ერთი ყველაზე უბორეტესი და უავესი მხეცი: ლენგ-თემური"[97]. საქართველოში ხანგრძლივი ზამთარი დადგა. „მზე დაბნელდა და ქუეყანა ზარტეხილ იქმნა"[98]. თემურის რვაგზისი ამაოხრებელი ლაშქრობების შედეგად საქართველო დიდხანს ვეღარ გასწორდა წელში.

მონღოლთა ბატონობის შედეგები

მონღოლ-თათართა თითქმის ასწლიან ბატონობას საქართველოსათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. მათმა მფლობელობამ გავლენა მოახდინა ფეოდალური საქართველოს ყოფა-ცხოვრების, ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალური წყობილების ყველა სფეროსა და ასპექტზე. დაქვეითდა ქართველი ხალხის თვითშეგნება, კულტურა. დამკვიდრდა ქართული ყოფისათვის უცხო წესჩვეულებანი. მონღოლური ლექსიკა

---

96 განჩინება მთის წმინდა გიორგის ყმათა..., გვ. 248—249.

97 Хачатур Джугаеци, История Персии, ч. I, в кн.: Л. Х. Тер-Мкртчян, Ук. издание, с. 86.

98 ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 189.

შეიჭრა ქართულ ენაში (ეს ეხება ტერმინებს, საკუთარ და ტოპონიმურ სახელებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონღოლური საკუთარი სახელების დამკვიდრების კარგი მაგალითია გარეჯის ტეტრალინგვა (1352 წ.)[99] და ქარცების ეკლესიის (XIV ს. I ნახევარი) წარწერები[100]. ამ მხრივ საინტერესოა პირველ წარწერაში ნახსენები საკუთარი სახელები ამირ-საიდი და არსლანი, მეორეში კი ჯუბინი. საყურადღებოა ისიც, რომ გარეჯის წარწერა (გრაფიტი) ამოკაწრულია ოთხ ენაზე (ქართულ, სომხურ, სპარსულ და უიღურულზე) იმ დროს, როცა მონღოლთა მფლობელობა უკვე გადაშენებული იყო.

გამწვავებული ეკონომიკური მდგომარეობის და მომთაბარე მეურნეობის შემოტევის შედეგი იყო ეკლესიისათვის შეწირული მიწების საერო პირების მიერ უკან გამოთხოვის („გამოწირვის") პროცესის დაწყებაც[101].

რამდენად დაცემულა ხალხის თვითშეგნება, ჩანს კახა თორელის „დაწერილიდან"; ამ საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალები თურმე ერთმანეთს თავს ესხმოდნენ და: „მონასტერსა და საფლავთაც დათხრას ემართლებოდნენ"[102]. გიორგი V-ის მიერ გორის გამოხსნისათვის ბრძოლის დროს (XIV ს. 20-იანი წლები) მეფის ლაშქარში შემავალი არაგვისა და ქსნის ხეობელნი ერთმანეთს წაჰკიდებიან. მათი კონფლიქტის მიზეზი მხოლოდ ის გამხდარა, რომ თურმე ქსნის ერისთავის ვირშელის ქება — „შეიშურვეს მთიულთა არაგვისათა"[103]. მათი დამშვიდება გიორგი V ძეს — დავითსაც კი ვერ მოუხერხებია, თუმცა მორკინლებს — „ძე მეფისაი მუხლთა დაუყრიდა"-ო[104], გვამცნობს ეს წყარო.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მონღოლთა მფლობელობის შეფასება სრული და ობიექტური არ იქნება, თუ არ აღინიშნა შემდეგი: მ ო ნ ღ ო ლ თ ა უ ღ ე ლ მ ა თ ა ვ ი ს ი ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, ვ ე რ შ ე ძ ლ ო ქ ა რ თ უ ლ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს მ ო შ ლ ა-გ ა რ დ ა ქ მ ნ ა. მონღოლთა გავლენა საქართველოს სინამდვილის სხვადასხვა სფეროზე

---

99 Л. М. Меликсет-Беков, Гареджинская тетралингва эпохи монголов (1352), Эпиграфика Востока, ч. VIII, М.—Л., 1953, с. 58.

100 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 118.

101 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 276; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 396—397; 161—164.

102 კახა თორელის დაწერილი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 59.

103 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II გვ. 107.

104 იქვე, გვ. 108.

მაინც ზედაპირული იყო. მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილის (ოუ-მის), ირანისა და შუა აზიის რიგი რაიონებისაგან განსხვავებით, საქართველოში მონღოლთა ბატონობის შედეგად არ შეცვლილა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება. ამასთან, საქართველომ შეინარჩუნა „ტერიტორია მის ძველ პოლიტიკურ საზღვრებში, შემოინახა მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა, აგრარული ურთიერთობანი და სამოხელეო ორგანიზაცია. შენარჩუნებული იყო სამეფო ხელისუფლება, რომელიც მონღოლ ყაენებთან ყმადნაფიცობის ანუ ვასალიტეტის საფუძველზე იყო დამოკიდებულ-დაკავშირებული“[105].

დამახასიათებელია, რომ XIV ს. ანონიმი მემატიანე ჟამთააღმწერელი მონღოლურ-თურქულ ტერმინებს ხშირად მარტავს შესაბამისი ქართულის მეშვეობით; ე. ი. მემატიანე გულისხმობს, რომ იმ დროის საზოგადოებას ეს ტერმინოლოგია კიდევ არ შეუთვისებია და შესაძლოა მოსახლეობისათვის ისინი გაუგებარი ყოფილიყო.

ყოველივე ეს აიხსნება როგორც ქართული ფეოდალური ტრადიციების სიმტკიცით, ასევე იმ გარემოებითაც, რომ თვით მონღოლ-ილხანთა სახელმწიფო შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე კონგლომერატს წარმოადგენდა. საილხანოში მახინჯი ფორმით იყო შერწყმული მომთაბარულ მემინდვრული ფეოდალიზებული მონღოლური სახელმწიფოებრიობა განვითარებულ ირანულ ფეოდალიზმთან, ისევე, როგორც პრიმიტიული შამანიზმი — ისლამურ ნორმებთან[106] .

უნდა დავასკვნათ, რომ ქართული სახელმწიფოს ფეოდალური სუბსტრატის თითქმის უცვლელად შენარჩუნებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მიერ მონღოლთაგან დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეს.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ საქართველოში მონღოლ ნაცვალთა სია, რომელიც სხვადასხვა წყაროსა და ლიტერატურის შედარება-შეჯერების შედეგად დავადგინეთ ან დავაზუსტეთ[107].

1265 — სირმონი (შირემუნი) ჭორმაღანის ძე (რაშიდ ად დინი)

1284 — აჯაი, არღუნ ყაენის ბიძა (რაშიდ ად დინი)

---

105 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ჟამთააღმწერლის თხზულებაში, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 32—33.

106 И. П. П е т р у ш е в с к и й. Иран и Азербайджан под властью Хулагуидов, в книге: Татаро-Монголы в Азии и в Европе, М., 1977, с. 235.

107 ასეთი სია მოყვანილია მხოლოდ ბ. შპულერის წიგნში, მაგრამ სია 1316 წ. წყდება და ამავე დროს არაზუსტია, იხ. მისი დასახელებული შრომა, გვ. 352.

1280-იანი წლების ბოლო — 1300-იანი წლების დასაწყისი — ფირ-სულთანი რაშიდ ად დინის ძე (რაშიდ ად დინის მემოიარეა წერა).

1316 — ერენჯინი, უფლისწული, (ბერთოლდ შპულერი, „მონღოლები ირანში“).

1319 — ყურმიში ალინაყის ძე (ვ. ბარტოლდი, ანისის მეჩეთის წარწერა).

1327 — მაჰმუდი, ჩობან ნოინის ძე (ალ-კალკაშანდი, შენიშვნა ქართველების შესახებ...).

1334 — ფორმალურად და მცირე ხნით — შეიხ ჰასან დიდი ჯალაირი (შეიხ უვეისის ისტორია...).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ უკანასკნელი პირის, შეიხ ჰასან დიდის ნაცვლად დანიშვნის გარემოებებზე. დევიდ ლანგი ამ საკითხსაც თავისი კონცეფციის სასარგებლოდ იყენებს (იხ. ზევით), თუმცა დღემდე ქართველ მეცნიერთაგან საგანგებოდ ამ მხრივ არავის გაუმახვილებია ყურადღება.

დ. ლანგი წერს, რომ 1327 წ. შემდეგ, როცა ჩობანის ძე, შეიხ მაჰმუდი, საკუთარმა ჯარისკაცებმა სიკვდილით დასაჯეს, საქართველოს მონღოლ გამგებლად (ნაცვლად) დაინიშნა იყბალშახი, ყუთლუღშაჰის ძე, ხოლო 1334 წელს „ეს პოსტი გადაეცა შეიხ ჰასან ჯალაირს, ცნობილს „დიდი“-ს სახელით“[108]. ამ ცნობათა წყაროდ ავტორი ასახელებს „შეიხ უვეისის ისტორიას“.

ჩვენ შევამოწმეთ ლანგის მიერ მითითებული წყარო და უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: იყბალშახის საქართველოს ნაცვლად დანიშვნაზე იქ არაფერია ნათქვამი; შეიხ ჰასან დიდის შესახებ კი, ეს წყარო შემდეგს გვაუწყებს: აბუ ბაქრ ალ ყუტბი, მართლაც, წერს, რომ 1333—1334 წწ. „ზამთარში იგი (ყაენი აბუ საიდი. — ვ. კ.) კვლავ ბაღდადში მივიდა და დააგზავნა იარლიყი (ბრძანება. — ვ. კ.), რომ ამირა შეიხ ჰასანი წასულიყო საქართველოში. ემირი წავიდა იქ“. მაგრამ მთავარი ის არის, რაც ამ ცნობას ორიოდე წინადადების შემდეგ მოსდევს და, რაც დ. ლანგს მხედველობიდან სრულებით გამორჩენია. აბუ ბაქარი სიტყვასიტყვით წერს: „და კვლავ გამოიცა ყაენის ბრძანება, რათა მთელი რუმი ამირა თაჯ ად დინ (საპატიო ტიტულია, — ვ. კ.)

---

108 დ. ლ ა ნ გ ი, დასახელებული სტატია, გვ. 83.

შეიხ ჰასანს დამორჩილებოდა და რომ იგი იქ წასულიყო"[109]. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. სპარსული წყარო თვით გვიდასტურებს, რომ ყაენს სურვილი კი ჰქონია 1333—1334 წწ. საქართველოში კვლავ თავისი ნაცვალი გაეგზავნა, მაგრამ აშკარაა, რომ მისი ნაცვალი საქართველოში აღარ მიუღიათ და ყაენიც იძულებული გამხდარა ბრძანება შეეცვალა — შეიხ ჰასანი რუმში გაემწესებინა. შეიხ ჰასან დიდს 1334 წელს რუმის გამგებლად ასახელებს ბ. შპულერიც[110]. ამგვარად, ჩობანის ძე — მაჰმუდი იყო უკანასკნელი მონღოლი ნაცვალი და მონღოლური ლაშქრის უფროსი საქართველოში...

---

109 აბუ ბაქარ ალ ყუტბი ალ აჰრი, „თარიხ-ი შეიხ უვეის", გვ. 58.
110 ბ. შპულერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 354.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

XIV საუკუნის ქართული კულტურის ისტორიიდან

„ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე კი ხანმოკლე".

ჰიპოკრატე

XIV ს. კულტურული ვითარება ნაკლებადაა შესწავლილი, ხოლო კულტურა, როგორც ზედნაშენური მოვლენა, ხშირად აირეკლავს პოლიტიკურ სიტუაციასაც (თუმცა არა სარკისებურად). ცნობილი მკვლევარის კ. კეკელიძის სიტყვით, „მასალები მონღოლთა დროის ქართული კულტურის ისტორიისათვის არც ბევრია და არც მაინცდამაინც კონკრეტული და ხელშესახები. როგორც ოქროს მაძიებლებს..., ისე აღნიშნული დროის ისტორიკოსს ჩვენში უხდება უამრავი საისტორიო და სამუზეუმო-საარქივო მასალის გადაჩხრეკა-გადარჩევა, რომ... გამოსადეგი მასალის ნამცეცები გამოკრიბოს იქიდან"[1]. აღნიშნული ვითარების გამო ხშირად ადგილი აქვს ამ პერიოდის კულტურული დონის დაქვეითების გადაჭარბებულად შეფასების ფაქტს.

ჩვენ შევეცადეთ სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით, საერთო წარმოდგენა შეგვექმნა ამ დროის კულტურის ძირითადი დარგების შესახებ.

ამ საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს XIII ს. უკანასკნელ ოცწლეულში აგებული თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი. მეტეხი აგებულია დემეტრე II (1270—1289) მიერ აქ ადრე არსებული ტაძრის ადგილას და იმეორებს ადრინდელი ეკლესიის ისეთ ფორმებს, რომლებიც ამ პერი-

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 314

ოდში უკვე აღარ გვხვდება (ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძი, სამი შვერილი აფსიდი და სხვ.)[2].

ჟამთააღმწერლის ცნობაზე დაყრდნობით, მეტეხის აშენების თარიღი მკვლევართა მიერ განსაზღვრულია 1278—1289 წწ[3]. აქედან პირველი თარიღია დემეტრე II მიერ რეალური მმართველობის დაწყების წელი (გამეფებისას იგი მცირეწლოვანი იყო), მეორე კი დემეტრეს სიკვდილია. ჩვენ შევეცადეთ უფრო დაგვეზუსტებინა მეტეხის აგების თარიღი. ამის შესაძლებლობა კი, მართლაც, არის. ჟამთააღმწერლის ცნობას მეტეხის აგების შესახებ უშუალოდ მოსდევს დემეტრეს ურდოში წასვლისა და ცნობილი მედროვის სადუნ მანკაბერდელის მიერ (მონღოლთა გადასახადისათვის) მეფისადმი ფინანსური დახმარების აღმოჩენის ამბავი[4]. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ მეტეხი აგებულია სადუნის სიკვდილამდე. მანკაბერდელი კი 1280 წ[5]. გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტეხი აგებული (თუ საფუძვლიანად რესტავრირებული) ყოფილა 1278—1280 წლებში.

XIII ს. ბოლოს ქართულ არქიტექტურაში თავს იჩენს მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ცვლილებები; მაგალითად: XII—XIII სს. I ნახევრის არქიტექტურის დახვეწილობის მნიშვნელოვნად უარყოფა, X—XI სს. ხუროთმოძღვრული მოტივების მოგონება-გამეორება (რემინისცენცია), ეკლექტიზმის ნიშნების გაჩენა, სახეთა დაწვრილმანება და ა. შ.[6].

ეს ცვლილებები დამახასიათებელია მეტეხის ტაძრისათვის და უფრო მეტად მომდევნო ხანის ძეგლებისათვის.

XIII—XIV სს. მიჯნის ძეგლები ყველაზე მეტი რაოდენობით შემორჩენილია ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ზარზმის კომპლექსის დიდი ტაძარი და საფარის წმ. საბას ეკლესია. ამ პერიოდში სამცხე-საათაბაგო, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობს აქ ბექა ჯაყელი. მის მიერაა აგებული საფარის წმ. საბას ეკლესია. ზარზმის დიდი ტაძარი კი მისი

---

2 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1970, გვ. 164. ბოლო დროს რიგი მკვლევარებისა გამოთქვამს ვარაუდს, რომ დემეტრე მეფემ მეტეხი მხოლოდ აღადგინა. თუ ასეა, აღდგენა მეტად საფუძვლიანი ყოფილა.

3 ვ. ბ ე რ ი ძ ე, რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, რ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, გვ. 12.

4 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქცა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 272.

5 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 221.

6 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, გვ. 62

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის ადგილობრივი ფეოდალის მიერაა აშენებული. „წმ. ეროსის ტაძარი (საფარაში. — ვ. კ.) ზარზმის ტაძართან ერთად ყველაზე დიდია ბექასდროინდელ ეკლესიათა შორის. იგი პირველთაგანია საქართველოს იმდროინდელ ძეგლთა შორისაც როგორც სიდიდით, ისე მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ხასიათით"[7] — აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძე. ორივე ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანია, ჩუქურთმებითაა შემკული და თამარისა (1178—1207/12) და ლაშა-გიორგის (1207/12—1222) ხანის გუმბათოვან ტაძრებს უახლოვდება. მაგრამ განსხვავებაც თვალსაჩინოა. განსაკუთრებით თვალშისაცემია აღმოსავლეთ ფასადზე სამკუთხა ჩაღრმავებული ნიშის უქონლობა, რაც ასე დამახასიათებელია XI—XIII სს. ტაძრებისათვის.

წმ. საბას ტაძარი, წარწერის მიხედვით, აშენებულია ხუროთმოძღვარ ფარეზას-ძის მიერ. ხიდლო ზარზმის დიდი ტაძარი აგებულია იქ, სადაც ჯერ კიდევ სერაპიონ ზარზმელმა დააარსა მონასტერი. ზარზმაში ყურადღებას იქცევს უზარმაზარი ჩუქურთმიანი ჯვარი ცენტრალური სარკმლის თავზე, გარეთა მხარეს.

ასევე XIII—XIV სს. მიჯნით თარიღდება სამცხის შემდეგი ძეგლები: ჭულეს გუმბათიანი ტაძარი, აგებულია 1308 წ-მდე. მოხატულობა კი ამავე საუკუნის ბოლოს უნდა განეკუთვნოს (ამჟამად ტაძარი ძლიერ დაზიანებულია; ფრესკები აღარ არსებობს)[8]. გავეთის წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი ეკლესია; მკვლევართა სიტყვით, იგი არის „ძალიან ლამაზი... ნაშენი შოწითალო ფერის შესანიშნავად დამუშავებული თლილი ქვით"[9]. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის ორნამენტებში შეიმჩნევა ახალი, ისლამური ელემენტები (მუზარადისებრი თაღები, გეომეტრიული ფიგურები), დაბისა და ჭულეს ეკლესიათა მსგავსად[10]. ქარზამეთის ეკლესია საქართველოში ყველაზე დიდი ერთნავიანი ბაზილიკაა (სიგრძე — 18 მ, სიგანე — 10 მ). აქვს უთარიღო წარწერა გრიგოლ მაწყვერელ-მთავარეპისკოპოსისა, რომლის ბრძანებითაც აუგიათ ეს ეკლესია[11]. ამ პერიოდისაა ბიეთის, წყორძის (ამჟამად ძლიერ დაზიანებული) და სხვა ეკლესიები.

ჯავახეთში შეიძლება დავასახელოთ იხტილას (ლრტილას) წმ. სტე-

---

7 ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 70.

8 ნ. ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, ჭულე, „ძეგლის მეგობარი", № 35, თბ., 1974, გვ 33.

9 იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება (XIII—XVI სს.), თბ., 1955, გვ. 180—186.

10 იქვე, გვ. 180—186.

11 იქვე, გვ. 186—188.

ფანეს ეკლესია, რომელიც 1308 წელსაა აგებული[12], ასევე განძანის ორი ერთნავიანი ეკლესია[13] (თუმცა, უკანასკნელ დროს ზოგიერთნი XIII ს. ათარიღებს მათ)[14]. ასევე, XIII—XIV სს. უნდა განეკუთვნოს საკმაოდ დიდი ზომის სოფ. ყაურმის ხიდი მდ. ფარავანზე.

ბორჯომის რაიონში, სოფ. დაბასთან (ისტორიული თორი), საინტერესოა გიორგი V-ის მოლარეთუხუცესის მიერ აგებული ერთნავიანი ეკლესია (სურ. 1). გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, იგი წმ. გიორგის სახე-

სურ. 1

ლობისაა[15] (თუმცა იქვეა კითხვის ნიშანი). უკანასკნელ ხანს გამოსულ შრომაში „გუჯარეთი" კვლავ გამეორებულია აშკარად მცდარი სახელწოდება, მცირე ვარიაციით: „ჩრდილოეთის წმ. გიორგი"[16]. მართალია, დაბის ეკლესიას ასე მოიხსენიებს ადგილობრივი მოსახლე-

---

12 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 94.

13 იქვე, გვ. 96—106.

14 გ. ოთხმეზური, XII—XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 99—102.

15 გ. ჩუბინაშვილი ბორჯომის რაიონის სოფ. დაბის ეკლესიის ტიმპანის წარწერის თარიღისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, № 9, 1956, გვ. 861.

16 გუჯარეთი, თბ., 1987, გვ. 58.

ობა, მაგრამ იგი ნამდვილად არ შეიძლება წმ. გიორგის სახელობის იყოს, რადგანაც თვით ეკლესიის წარწერა გამორიცხავს ასეთ ეჭვ-ლებლობას. იქ მიმართვის სახით ნათქვამია: „სიტყჳსა ღვთისა ჯორცთშესხმისა მიზეზო“! ე. ი. აღმშენებელი მიმართავს იმ წმინდანს, ვის სახელზედაცაა აგებული ეკლესია. ასეთი მიმართვა კი მხოლოდ ღვთისმშობელს გულისხმობს, ე. ი. მამაღმერთის „სიტყვის“ ანუ იესო ქრისტეს ადამიანური ხორცშესხმის მიზეზს — ღვთისმშობელ მარიამს. ამგვარად, ეკლესია რომ წმ. გიორგის სახელობის იყოს, აღმშენებელი მას შეეეედრებოდა და არა ღვთისმშობელს. ამ ფრაზაზე დაყრდნობით ასეთი ვარაუდი გამოთქვა ჯერ კიდევ მ. ბროსემ[17]; რაც შეეხება მოსახლეობაში გავრცელებულ აზრს, იგი აიხსნება იმით, რომ დაბის ამჟამინდელ მცხოვრებთ დაავიწყდათ ეკლესიის თავდაპირველი სახელი, ხოლო ტერიტორიულად ახლოს მდებარე სადგერის წმ. გიორგის ეკლესიისგან გასარჩევად დაბას უწოდეს „ჩრდილოეთის წმინდა გიორგი“, რაც, თავისთავად, გაუგებრობის ნაყოფია. ეკლესიას ათარიღებენ 1333 წლით, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი 1318 წლის ახლო ხანებშია აგებული[18]. ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგი ასე აფასებს ამ ეკლესიას: „კოხტა, მისი ეპოქისათვის ბრწყინვალე, პატარა ეკლესია დაბაში, თავისი ფასადებითა და მათი დამუშავებით ძალიან დამახასიათებელია იმ საუკუნისათვის, რომლითაც ის თარიღდება“[19].

XIII—XIV სს. მიჯნას მიეკუთვნება აჭის (მახარაძის რ-ნი) ერთნავიანი წმ. გიორგის ეკლესიაც. აქ არის მოხატულობაც, რომელიც ე. წ. პალეოლოგთა ეპოქას მიეკუთვნება[20].

ამავე ხანისაა სვანეთში ლაშთხვერის მიქელ მთავარანგელოზის („მჯერ“) და „თარნგზელ“ ეკლესიები. ორივეგან დაცულია მოხატულობა, კანკელი. ასევე XIV ს-ისაა ს. ლაღამის მაცხოვრის ორსართულიანი ეკლესია (ყველა მესტიის რ-ნი). ს. უღვალის წმ. გიორგის ეკლესია.

XIV ს. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ძეგლთაგან შეიძლება აღინიშნოს: ასპინძის მახლობლად მდებარე ეკლესია „ბეთლემი“; ქვემო ოშორის ეკლესია (შემორჩენილია მოხატულობა); ახალციხის რაბათის კომპლექსის სარგის ჯაყელის ციხესიმაგრე; ახალციხის რ-ნის

---

17 M. Brosset, Lettres de Bartolomaei.., p. 266, № 2.

18 იხ. ვ. კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977, გვ. 229—230.

19 Шмерлинг Р. О. Постройка моларет-ухуцеса царя Георгия Блистательного в селении Даба.., Грузинское искусство, II, Тбилиси, 1948, с. 122.

20 დ. უკლება, ჯ. იოსებიძე, აჭი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბ., 1977, გვ. 78.

სოფ. ელიაწმინდის ამავე სახელობის ეკლესია (XIII—XIV სს.) მოხატულობის მცირე ნარჩენებით; ბოლნისის ცენტრში, გორაკზე აღმართული პატარა ერთნავიანი ბაზილიკა „ყორანთა“ (XIII—XIV სს.); ბოლნისის რაიონის სოფ. კიანეთის მონასტრის მთავარი ეკლესია „დავითსაგარეჯო“ (XIII—XIV სს.); კასპის რ-ნის გუდალეთის გუმბათოვანი ეკლესია (დანგრეულია); ახმეტის რ-ნის ახაშნის გუმბათიანი ეკლესია საჩინო; ხაშურის რ-ნის ს. ნაბახტევის (XIV—XV სს.) და ონის რაიონში სორის ეკლესიები. ხობის მონასტერი (არის XIII—XIV სს. მოხატულობა); გელათის სამრეკლო; ჩხოროწყუს რ-ნის ს. მუხურის ეკლესია „ოწინდალე“ (შემორჩენილია XIV—XV სს. მოხატულობა); ჭიათურის რ-ნის მღვიმევის მონასტრის მცირე ეკლესია (დაცულია წარწერები); აბაშის რ-ნის საფიეთში მდებარე ყადარის ეკლესია (არის მოხატულობა) და სხვ.

XIII ს. 70-იან წლებსა და XIV ს. 30-იან წლებს შორის მონაკვეთით თარიღდება ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსის გუმბათოვანი ტაძარი[21].

XIV ს. I ნახევარს მიეკუთვნება გერგეტის სამება, სამრეკლოსთან ერთად[22], რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი შესანიშნავი მდებარეობით მყინვარწვერის ფონზე. ეს ხევის ერთადერთი გუმბათიანი და ყველაზე დიდი ეკლესიაა.

ამ პერიოდის აღდგენითი სამუშაოებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ მცხეთის სამთავროს ტაძრის (XI ს.) გუმბათის აღდგენა[23], რომელიც, როგორც ჩანს, XIII ს. 80-იანი წლების ძლიერი მიწისძვრის შედეგად ჩაინგრა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი V- მ აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა სვეტიცხოველშიც: (საპატრიარქო ტაძარი) — „ძვრით დარღვეული აღაშენა ოა (71) მეფემან გიორგი“[24] (გიორგი V. — ვ. კ.). XIV ს-ში აღუდგენიათ აგრეთვე ცხინვალის რ-ნის ხეითის X ს. მონასტერი „საბაწმინდა“, ს. ერედვის 906 წელს აგებული წმ. გიორგის ეკლესია და ს. ჭარების X—XI სს. ბაზილიკა; ახალციხის რ-ნის ს. აგარას X—XI სს. ეკლესია და აწყურის X—XI სს. ღვთისმშობლის ტაძარი და სხვ.

XIV ს-დან, ისევე როგორც საერთოდ შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან, ჩვენამდე ძირითადად სა-

---

12 ვ. ზ ა ქ ა რ ი ა, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბ., 1956, გვ. 58, 67.

22 თ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1975.

23 ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. I, თბ., 1975, გვ. 64.

24 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 349.

კულტო ნაგებობებმა მოაღწიეს. ამ მხრივ გამონაკლისია ს. ჟინვალის ხუთსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, რომელიც გიორგი V-ის ნამეფო რეზიდენციის (იხ. „ძეგლის დადების“ პრეამბულა) ერთ-ერთი ცენტრალური ნაგებობა უნდა ყოფილიყო. კოშკი მასიურია და საკმაო სიმაღლეზეა აღმართული (18.70 მ). მისი პირველი სართული ყრუა და, ჩანს, სამეურნეო დანიშნულებისათვის (შესაძლოა, ყინულის შესანახად) იყო განკუთვნილი[25], მეხუთე სართული კი ოთხი თაღოვანი ფორმის ღია აივნით ყოფილა შემკული. იმას, რომ კოშკი სოციალურად მაღალი ფენის რეზიდენციას წარმოადგენდა, მოწმობს იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც. ჟინვალის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მოუჭიქავი და მოჭიქული თიხის ჭურჭელი, იმპორტული ფაიანსის ორმოცამდე ნაირსახეობა, მინის ჭურჭლის და სარკმლის მინის ნამტვრევები, ბრინჯაოს, რკინის, ძვლის ნივთები[26]

ცნობილია გიორგი ბრწყინვალის ელჩების ზრუნვა იერუსალიმის ქართული კულტურის კერებსა და სიძველეებზე. ამ მხრივ საინტერესოა არაბი ისტორიკოსის ალ-აინის (1361—1451) ერთი ცნობა. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ 1318/1319 წწ. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ე ს (იგულისხმება გიორგი V. — ვ. კ.) უ ფ ლ ე ბ ა მ ი ე ც ა ი ქ (ი ე რ უ ს ა ლ ი მ შ ი, — ვ. კ.). ე კ ლ ე ს ი ა ა ე გ ო“[27] (ხაზი ჩვენია. — ვ. კ.). არ ჩანს მხოლოდ, საქმე, მართლაც, ახალი ეკლესიის აგებას, თუ ძველის საფუძვლიან აღდგენას ეხება.

ამ პერიოდის კედლის მხატვრობიდან აღსანიშნავია ზემოთ ნახსენები საფარისა და ზარზმის ტაძრების ისტორიულ პირთა — ჯაყელების — პორტრეტები (ორივე მოხატულობა ტაძრის აშენების თანადროულია). ამასთან, თუ საფარაში ტაძრის ქტიტორად ბექა მანდატურთუხუცესი ჩანს (რაკი ტაძრის გამოსახულება მას უპყრია ხელთ), ზარზმაში თუმცა გამოსახული არიან იგივე პირები — სარგის I, ბექა და მისი ვაჟები — სარგის II, ყვარყვარე, არცერთ მათგანს ტაძრის მოდელი არ უჭირავს, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ტაძარი აუგიათ ადგილობრივ ფეოდალებს, ჯაყელები კი დახატულნი იყვნენ, როგორც ქვეყნის მფლობელები. ზარზმის მხატვრობაში, საფარისაგან განსხვავებით, სარგის პირველს თავზე შარავანდედი ადგას, რაც იმას მოწმობს, რომ იგი ან გარდაცვლილი, ან ბერად აღკვეცილი იყო.

---

25 ზ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ჟინვალის ციხე, კრებ. არქეოლოგიური ძიებანი, (ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1977, გვ. 144.

26 იქვე, გვ. 142—143.

27 Э л ь - А й н и, В. Г. Т и з е н г а у з е н, Сборник материалов..., т. I, Спб., 1884, с. 520.

ალსანიშნავია, რომ წმ. საბას ფრესკა საფარის მონასტერში საქართველოში ყველაზე დიდი ზომისაა[28]. ზარზმის ტაძარი მთლიანად მოხატულია, მაგრამ სხვა ისტორიული პირების ფრესკები გვიანდელია. XIV ს. მხატვრობის ძირითადი ნაწილი წმინდა რელიგიური შინაარსისაა. აქ ყურადღებას იქცევს პორტრეტი ქართლის კათალიკოსის ეფთიმოსისა, რომელიც კათალიკოსობდა 1298—1310 და 1318—1335 წწ.[29].

საინტერესოა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ორი ტაძრის მოხატულობის XIV ს. I ნახევრის ფენები. ესენია: ბედიის (X—XI სს.) და ლიხნეს (XI ს.) ტაძრები. ბედიის ტაძარში მხატვრობის სამი ფენაა (რ. შმერლინგი)[30], რომელთაგან მეორე განეკუთვნება XIII საუკუნის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისს. მხატვრობის შემორჩენილი შესაბამისი ფენები ორივე ტაძარში (ლიხნე, ბედია) მხოლოდ რელიგიურ თემატიკას ასახავს. მათთვის დამახასიათებელია კედლის მხატვრობის ე. წ. პალეოლოგიური სკოლის უფრო ადრეულ პერიოდთან მსგავსება, როცა სახარების სცენების გადმოცემისას გარკვეულად იჩენს თავს მხატვრულობის ელემენტი[31].

ორივე ტაძრის მოხატულობა, როგორც აღინიშნა, ახლოს დგას ბიზანტიურთან, მაგრამ შეინიშნება ამ სკოლისაგან განსხვავებული თავისებურებანიც. ერთ-ერთი მათგანია ის გარემოება, რომ ფრესკული ფიგურები იზრდება პროპორციულად არა ზევით, გუმბათისაკენ, რასაც ჩვეულებრივ აქვს ხოლმე ადგილი, არამედ დაღმავალი ხაზით, რაც სრულიად განსხვავებულ სივრცობრივ შთაბეჭდილებას ახდენს[32].

საერთოდ, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისათვის, როგორც აღმოსავლურ, ბიზანტიურ არეალში შემავალი ხელოვნებისათვის, დამახასიათებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ვერტიკალურობა“ (ამერიკელი თეოლოგის ტილიხის ტერმინია), როცა სინამდვილიდან აღებული საგნები და მოვლენები განლაგებული არიან იერარქიულად და იძენენ ღვთაებრივ, სიმბოლურ მნიშვნელობას, განსხვავებით დასავლეთის („ჰორიზონტალური“) ხელოვნებისაგან, სადაც ხელოვნების ნიმუშები უფრო რეალისტურია და წარმოდგენილია სივრცეში

---

28 გ. ხუციშვილი, ფრესკა საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძრიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 23, თბ., 1970, გვ. 67.

29 კ. კეკელიძე, დასახ ნაშრომი, გვ. 315.

30 Шмерлинг Р. О., К вопросу датировки росписи храма Бедия. Сообщения АН ГССР, т. XVIII, № 4, Тбилиси, 1957, с. 510.

31 Шервашидзе Л. А. Некоторые средневековые стенные росписи на территории Абхазии, Тбилиси, 1971, с. 27, 34.

32 იქვე, გვ 143.

და დროში[33]. ა. ალექსიძის აზრით, „შეიძლება ითქვას, რომ (ბიზანტიური ხელოვნების მიერ. — ვ. კ.) მესამე განზომილების უგულებელყოფაში, ორგანზომილებიანი ხელოვნების კულტივირებაში, საქმე გვაქვს სწორედ ბიზანტიური აზროვნების ვერტიკალიზმის გამოხატულებასთან“[34].

სურ. 2

ჩვენი აზრით, ზევით მოტანილი დებულების კარგი ილუსტრაციაა, მაგალითად, ნაუმბურგის საეპისკოპოსო ტაძრის (გდრ) დედოფალ უტას XIII ს. ბრწყინვალე რეალისტური ქანდაკება (სურ. 2) (სხვა ამ ტიპის ქანდაკებებთან ერთად), სადაც ოსტატს სრულიად რეალური, სივრცესა და დროში არსებული ბანოვანი გამოუქანდაკებია, ხაზგასმული, დახვეწილი ხელისთითებით და, ვთქვათ, ოპიზის (ამჟა-

---

33 ა. ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო XIII—XIV სს., თბ., 1976, გვ. 39-40.

34 იქვე, გვ. 40.

მად თურქეთის ტერიტორიაზე) ტაძრის IX ს. აშოტ კუროპალატის რელიეფი, სადაც ეს კონკრეტული პირი ქტიტორის უფრო სიმბოლური სახეა, ვიდრე რეალური გამოსახულება (ამიტომაც იქცა ალბათ,

სურ. 3

ეს მასიურ ხელებგაწვდილი, ტაძრის მოდელიანი ფიგურა ქართული ხუროთმოძღვრების სიმბოლოდ) (სურ. 3).

ქართულ, ისევე როგორც სხვა ბიზანტიურ-მართლმადიდებლური საწყისების ხელოვნებაში, კანონიზირებული სახე წარმოადგენს არა იმდენად ინფორმაციის წყაროს, რამდენადაც მის აღმძვრელს[35].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უბისის XII ს. ტაძრის შესანიშნავი, დამიანესეული მოხატულობა. ამ მონუმენტური ფერწერის

---

35 Е. П. Яковлев, Искусство и мировые религии, М., 1977, с. 195.

თარიღი, მკვლევართა აზრით, XIV ს-ით იფარგლება. შ. ამირანაშვილის დასკვნით (რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ეს საკითხი), „XIV ს. პირველი ნახევრის მონუმენტური ფერწერის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხატვარ დამიანეს შემოქმედებას“[36]. მაგრამ იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია ზუსტი და-

სურ. 4

თარიღებისათვის აუცილებელი საყრდენი (ისტორიული პირის პორტრეტი, დოკუმენტი, თარიღის აღნიშვნა და ა. შ.), მოხატულობის შესრულების დროს ზოგჯერ XIV ს. ბოლოთი განსაზღვრავენ[37]. დამიანეს ფერწერაში ცენტრალური ადგილი „საიდუმლო სერობის“ ორიგინალურ კომპოზიციას ეთმობა (სურ. 4). ეს მხატვრობა გამოირჩევა წერის თავისებური მანერით, ექსპრესიით, დიდი ოსტატობით. დამიანეს ხელოვნება მომდინარეობს ძველი ქართული ეროვნული ხელოვნე-

---

36 შ. ამირანაშვილი, დამიანე, თბ., 1975, გვ. 7; მისივე, უბისი, თბ., 1929; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია თბ. 1971, გვ. 332—335.

37 ი. ლორთქიფანიძე, უბისი, „ფრესკა“, ალმანახი № 3, თბ., 1976, გვ. 19.

ბის ტრადიციებიდან, მაგრამ ბიზანტიური ფერწერის გავლენასაც ეტყობა ნიცდის.

ქართულ ტრადიციებზეა აღმოცენებული, მაგრამ ბიზანტიური სკოლის გავლენას განიცდის, აგრეთვე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის (XI ს.) მოხატულობაც, რომელიც, ისტორიული წყაროების ცნობით, ორჯერ იქნა საფუძვლიანად განახლებული — XIV ს. დასაწყისში და XVII ს-ში[38]. კერძოდ, XIV ს. მიეკუთვნება ქრისტე პანტოკრატორისა და ღვთისმშობელი ოდიჰიტრიის გამოსახულებანი აბსიდის-პირა შვერილებზე, მთავარანგელოზები საკრებულოს სცენიდან და ა. შ.[39].

XIII—XIV სს. უნდა განეკუთვნოს, გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, დავით გარეჯის კომპლექსის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა. ხელოვნებათმცოდნე ამ ოსტატის ფერადოვან სტილს ელ-გრეკოს მხატვრობას ადარებს[40]. ხარების ეკლესიის ფერწერაში სამი ცენტრია: ღვთისმშობლის გამოსახულება, ეპისკოპოს იოანეს ქტიტორული პორტრეტი და მეფე დემეტრე II-ის (1270—1289) ფრესკა. ეს უკანასკნელი, ახალგაზრდა ასაკის, მეფური ჩაცმულობით, გამოსახული იყო მთელი სიმაღლით. იმ დროს, როდესაც გ. ჩუბინაშვილმა და ცნობილმა საბჭოთა მხატვარმა აკად. ევგ. ლანსერემ ეს პორტრეტი იხილეს, მეფის ტანსაცმელიც და შარავანდედიც იასამნისფერი იყო (ასეთი ჩაიხატა კიდევაც ფრესკა ე. ლანსერემ), მაგრამ, გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ეს არ არის მოხატულობის თავდაპირველი ფერი, არამედ იგი მხოლოდ საფუძველი უნდა ყოფილიყო ოქროსფერი შეფერილობისა, რომლის მცირე ნაშთიღა იყო შემორჩენილი შარავანდედსა და გვირგვინზე[41].

XIV ს. ფერწერაში, უბისის ფერწერასთან ერთად, თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს რაჭის სოფ. სორის ეკლესიის დავითის მიერ შესრულებულ მხატვრობას. „ქართული ხელოვნების ისტორიისათვის დავითის შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მან, ისევე როგორც უბისის მაღალმხატვრული ფრესკების ოსტატმა, თავის ნაწარმოებში ყველაზე უფრო სრულად და ნათლად ასახა XIV ს. ქართული მონუმენტური ფერწერის დამახასიათებელი ნიშნები“[42]. მოხატულობა რბილი ფერებით, სადღესასწაულო იერით

---

38 Вирсаладзе Т. М., Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Ш. Руставели, Тбилиси, 1973, с. 12.

39 იქვე, გვ. 33.

40 Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, (Очерк по истории искусства Грузии), Тбилиси, 1948, с. 74.

41 იქვე, გვ. 73.

42 იხ. იზ. ჭიჭინაძე, სორის მოხატულობა, თბ., 1985, გვ. 3.

გამოირჩევა და შენობის შიდა სივრცეს თითქმის იატაკამდე ხალიჩა-სავით ფარავს. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე გამოსახულნი არიან ქტიტორები, ისტორიული პირები, რაჭის ერისთავები — ჭარელის-ძენი. შემორჩენილი ფრესკული მხედრული წარწერებიც ეკლესიის XIV ს-ში მოხატვას უჭერენ მხარს, თუმცა ქტიტორთა შორის გამოსახულია XVII ს. მოხატულობის განმაახლებელიც — შოშიტა ერისთავი. მოხატულობის დანარჩენი ნაწილი გადმოგვცემს „ვედრების“ (ნაწილობრივ აღდგენილია XVIII ს-ში), „მსხვერპლის თაყვანისცემის“, „ჯვარცმის“, „ხარების“ კომპოზიციებს, აქვეა მთავარანგელოზთა ფრესკები, „ღვთისმშობლის მიძინების“ სცენა და ა. შ.. ფერთა შორის სჭარბობს მოყავისფრო-წითელი, მუქი ლურჯი, ქათქათა თეთრი, იისფერი, ზურმუხტოვანი მწვანე, ოქრა. ოსტატის ინდივიდუალობა აშკარაა[43].

ფერს, სინათლეს ქრისტიანულ ფერწერაში სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. ოქრო და ოქროსფერი ღვთაებრივი საწყისის მატარებელია, მაგრამ აქაც თავისებური განსხვავებაა ბიზანტიურ და დასავლურ შუა საუკუნეების ხელოვნებაში. თუ ბიზანტიაში დიდი ყურადღება ექცევა ოქროსფერი ფონის მოზაიკას, დასავლეთში (კათოლიკურ სამყაროში) იქმნება ფერადი ვიტრაჟი... ღვთაებრივი სინათლე — ეს არის წმინდანთა, ქრისტესა და ღვთისმშობლის შარავანდედები, სინათლის სხივი, რომელიც „ხარების“ კომპოზიციაში ღვთისმშობელს ეცემა და ა. შ.[44].

სორის მოხატულობაში, ჩვენი აზრით, ხელოვანი ღვთაებრივ საწყისს წითელ (და მთელ მასთან დაკავშირებულ გამას) და ქათქათა თეთრ ფერს ანიჭებს.

ლიხნეს, ბედიის, უბისის, ზარზმის, საფარის, მარტვილის ფრესკულ მოხატულობებზე დაყრდნობით, იზ. ჭიჭინაძე სამართლიანად ასკვნის, რომ XIV ს-ში „საქართველო კვლავ რჩება შუა საუკუნეების ერთ-ერთ უდიდეს მხატვრულ ცენტრად“[45].

XIV ს. მიწურულს განეკუთვნებიან ხობის, ნაბახტევის, მარტვილის კედლის მხატვრობანი. ეს ფერწერული ძეგლები ბიზანტიური, ე. წ. „პალეოლოგთა სკოლის“ დიდ გავლენას განიცდიან. ხობის მონასტერმა შემოინახა მანდატურთუხუცესის, ერისთავთ-ერისთავის ვამეყ დადიანის (1384—1396) წარწერა, რომელშიც ეს უკანასკნელი მოგვითხრობს, რომ ჯიქეთზე ერთ-ერთი წარმატებული ლაშქრობის შემდეგ იქიდან წამოუღია „სვეტნი და ფიქალნი მარმ[ა]რილოსანი“, რომ-

---

43 იზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სორის მოხატულობა, თბ., 1985, გვ. 16.

44 ე. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი, დასახ. წიგნი, გვ. 72—73.

45 იზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სორის მოხატულობა, გვ. 33.

ლითაც მონასტერში დედ-მამის საფლავები შეუმკია[46]. წალენჯიხის ტაძარი ვამეყ დადიანისვე დაკვეთით მოუხატავს საგანგებოდ ამ მიზნით ბიზანტიიდან მოწვეულ ფერმწერს კირ მანუილ ევგენიკოსს[47].

ოქრომჭედლობის ნიმუშებიდან გამოირჩევა ხონის წმინდა გიორგის ხატი. წარწერის მიხედვით, იგი გიორგი V ბრწყინვალის დროს არის შესრულებული — ე. ი. 1318—1346 წწ. ხატზე წმინდა გიორგი ფეხზემდგომია გამოსახული, მარჯვენა ხელში შუბით. მისი ფიგურა და სამოსელი ძველი იკონოგრაფიული მანერითაა შესრულებული, მაგრამ სახე უკვე სქემატურია[48] (ხატი განადგურდა 1924 წ.)[49].

ანჩისხატის კარედის შიდა მხარეზე გამოსახულია კომპოზიციები „თორმეტი დღესასწაულის" ციკლიდან. აქ არსებული წარწერიდან ვგებულობთ, რომ იგი სამცხე-საათაბაგოშია შესრულებული 1308—1334 წწ[50]. მისი შემამკობელი ოსტატი ცდილობდა მიებაძა სახელგანთქმული წინაპრის, ოქრომჭედელ ბექა ოპიზარის ნამუშევრისათვის[51].

ინტერესს იწვევს აგრეთვე პეტრიწონის ქართველთა მონასტრის (ამჟამად ბაჩკოვოს მონასტერი ბულგარეთში) ღვთისმშობლის ერთი ხატი, რომელიც შექმნილია 1311 წ. ამას გვამცნობს მისი ვრცელი ქართული წარწერა. ხატზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. მან რამდენიმე რესტავრაცია განიცადა (XVII ს., XIX ს.) და დაკარგა თავდაპირველი სახე. 1949 წ. იგი ნახა საქართველოდან ბულგარეთში მივლინებულმა სამეცნიერო ექსპედიციამ. მისი ერთი წევრი აკ. შანიძე ხატის შესახებ გადმოგვცემს, რომ დაზიანების მიუხედავად, „კარგად ჩანდა მისი შემქმნელი ოსტატის უბადლო მხატვრული გემოვნება"[52]. წარწერის მიხედვით, ხატი მოუჭედია ორ ტაოელ ძმას — ათანასესა და ოქროპირს, ეგნატეს ძეთ.

საინტერესოა ქსნის ერისთავთა ქრონიკის ცნობა, რომ შალვა ერისთავმა (XIV ს. I ნახ.) „მოჭედნა ხატნი და შეამკო ხატი თეთრო-

---

46 ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, „მაცნე" (ისტორიის... სერია), № 3, თბ., 1973, გვ. 79.

47 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ, 38—41.

48 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა XIII—XVIII სს. (ალბომი, ისტ. შიმოხილვა და ანოტაციები), თბ., 1957, გვ. 13.

49 შ. ამირანაშვილი, ხონის ეკლესიის წმ. გიორგის ხატი, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1924, გვ. 136—151.

50 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897, გვ. 17; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 367.

51 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 367.

52 აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 357 (დანართი რუსულ ენაზე).

სანი, წმიდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა"; მის ძეს ლარგველს (II) კი აუგია „ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ეკლესიფნევნს" და მასვე შეუქმნია „დიდი... ხატი მაცხოვრისა, საზომითა ტანისა თჳსისაითა"[53].

XIV ს-ში მიმდინარე ინტენსიური აღდგენითი საქმიანობა კარგად ჩანს XIV—XV სს. საბუთში, ე. წ. „მთის წმ. გიორგის" ყმათა სისხლის განჩინებაში. საქართველოს მეფე ბაგრატი რაჭის ამ ერთ-ერთ გამორჩეულ სალოცავს ასე მიმართავდა: „ვიგულსმოდგინეთ და ხელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძარს შენსა და გარდავჭედეთ ზეით ტყუივითა (ტყვიით, ვ. კ.) და სპილენძითა და მოვჭედნეთ ხატნი წმიდის გიორგისანი და წმიდისა მარინასნი"[54]. საინტერესო ცნობაა, რომ წმ. გიორგის ეს ეკლესია კრამიტით კი არა, ტყვიითა და სპილენძით ყოფილა დახურული.

შემორჩენილია XIV—XV სს. ოქრომჭედლობის ანგარიში. იქ ნათქვამია: „ოდეს ოქრომჭედელი დავისვით და ხატნი დაუკაზმეთ, მაშინ ხატი და ჯვარი ორმოცი დაუკაზმეთ"-ო[55]. საბუთი სვანეთში, ეცერის ხევშია ჴედგენილი და მოწმობს, რომ საქართველოს ამ განაპირა მხარეშიც კი ლითონმჭანდაკებლობას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა.

XIV ს-ში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამა იოსებს საბაწმინდის მონასტრისაგან შეუძენია შემდეგი ნივთები: ბარძიმი, ტაბაკი, საცეცხლური, ხკვნი (ხკმირი?), კოვზი, სათბობი — ყველა ვერცხლისა, 9 ათას დრაჰკანად ღირებული[56]. საგულისხმოა, რომ ეს ნივთები მაღალი გემოვნებით იქნებოდა დამზადებული და ჩუქურთმებითა და პატიოსანი თვლებით შემკული.

სოფ. კაბენში ყანჩაეთის მონასტერში XIII—XIV სს. ხელნაწერთა ნაშთებთან ერთად მარი ბროსეს უნახავს ძალიან ლამაზი, ბზის ხისაგან გამოკვეთილი ამ მონასტრის მოდელი[57]. შესაძლოა, იგი XIV ს-ში იყო შესრულებული.

შემორჩენილია ნაქარგობის ერთი უძველესი თარიღიანი ნიმუში; 1312 წ. ცაიშის (მანამდე ანჩის) საყდრის საღვდელმთავრო ოლარი („эпитрахиль"). ოლარი ოქრომკერდის ძაფებითაა ნაქარგი და მაღა-

---

53 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 107.

54 განჩინება მთის წმ. გიორგის ყმათა, დასახ. გამოცემა, გვ. 247.

55 ანგარიში ოქრომჭედლის მიერ დაკაზმული ხატებისა და ჯვრებისა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986, გვ. 123.

56 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 86 (აღაპი 82).

57 M. B r o s s e t, Rapports.. (VI), pp. 72—73.

ლი ოსტატობით გამოირჩევა. იგი გადაკეთდა XIV ს. შუა წლებში და განაახლეს 1652 წ., მაგრამ ოლარს მხატვრული ღირებულება დაუკარგავს. ახლა მას აღარ გააჩნია პირველი მისი შემსრულებლის (თამარ ხერხემლისძის) და თარიღის (ქორონიკონი ფლბ — 532) აღმნიშვნელი წარწერა[58], რომელიც პირველად წაიკითხა და გამოსცა თ. ჟორდანიამ[59].

XIV ს. დასაწყისში, ისევე როგორც ადრე, მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა გადაწერა-შემკობა, ახლის შექმნა. შეიძლება დავასახელოთ შიო-მღვიმის 1304 წ. და მოქვის 1300 წ. გადაწერილი ოთხთავები. ამ უკანასკნელის შესახებ თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ იგი არის „მრავალის სურათებით შემკული და უმაღლესის ხელოვნებით დახატული", და რომ არქეოგრაფი კონდაკოვი „განაცვიფრა ამ სურათების უმწვერვალესმან ხელოვნებამ"[60]. იგი გადაწერილია კალიგრაფ ეფრემის მიერ.

XIV საუკუნეშია გადაწერილი ლაჰილის ოთხთავიც. სახარება გადაწერილია იოვანე ქსცხიანის-შვილის მიერ, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში სპეციალურად სვანეთის მუხერის (მოხერის) მთავარანგელოზის ეკლესიისათვის (ჩანს, იგი შემდგომ მოხვდა მახლობელ სოფ. ლაჰილის მაცხოვრის ეკლესიაში). გადამწერ იოვანეს იმაზეც კი უზრუნვია, რომ ღამით კითხვისას ხელნაწერი არ დაზიანებულიყო და ოთხთავის ანდერძში ასეთი გაფრთხილება ჩაურთავს: „კუამლისგან შეინახეთ, ღამი[თა] კვარას ნუვინ მიუშვებთ"[61]. სვანეთში შემონახულ მეორე სახარებისთვის (პალიმფსესტი) გადამწერ ტიმოთეს ზუსტი თარიღიც დაუსვამს — 1322 წლის დამდეგი[62].

XIII—XIV სს. უნდა იყოს გადაწერილი, აგრეთვე, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში დაცული ერთი სვინაქსარი. ეს თარიღი (XIII—XIV სს.) აღნიშნულია კატალოგშიც და, რაც მთავარია, ამას მიუთითებს ტექსტის მსხვილი ნუსხური, რომელიც პალეოგრაფიულად XIV ს. ხელს უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, სვინაქსარის გადაწერა ვერ გადასცილდება XIV საუკუნეს, რადგან მისი ერთ-ერთი დათარიღებული აღაპი უკვე 1422 წ. ჩაუწერიათ (გვ. 272). სვინაქსარი დიდი ზომისაა, ნაწერია პერგამენტზე, საწყისი ასოები მთავრულია და ხშირად მხატვრულად გაფორმებული.

---

58 ქ. დავითაშვილი, ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში, „ძეგლის მეგობარი", № 22, თბ., 1970, გვ. 30—33.

59 თ. ჟორდანია, ქრონიკები...., ტ. II, გვ. 175.

60 იქვე, გვ. 172.

61 სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 56.

62 იქვე, გვ. 57—58.

იგი გადაწერილი უნდა იყოს ყანჩაეთის მონასტერში. ამას მოწმობს ზევით აღნიშნული აღაპი და მიხეილ (გობრონ) საბინინის ქართული მინაწერი (გვ 95 v.): „ეს წ(მიდა) სჯნაქსარი მოვიპოვე ქართლს, ყ ა ნ (ჩ) ა ვ ე თ ს ჩყ(ბ (1898) წელ(ს)“ (ხაზი და ფრჩხილები ჩვენია, ,ვ. კ.). როგორც ამ ხელნაწერის ბიბლიოთეკაში შესვლის თარიღიდან (1899) ჩანს, იგი შემდეგ წელს საბინინს გადაუცია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკისათვის. ასე აღმოჩნდა აღნიშნული სვინაქსარი ლენინგრადში. სვინაქსარი გადაწერილია ვინმე ბერი ბასილის მიერ[63].

ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან შეიძლება აღინიშნოს XIV ს. დასაწყისში უცნობი ავტორის მიერ შექმნილი „ნიკოლოზ დვალის წამება“ ნიკოლოზ დვალი წარმოშობით სოფ წაიდან ყოფილა. მოღვაწეობდა კლარჯეთში, იერუსალიმში, კვიპროსზე და ბოლოს, 1314 წლის 19 ოქტომბერს, მოწამეებრივად აღესრულა დამასკოს. საინტერესოა, რომ კ. კვიპროსზე მან: „ხატი დაახატვინა წმიდისა ნათლისმცემლისაი და მის წინაშე შესწირვიდა“[64]. ამავე ხანაში უნდა იყოს შექმნილი ლუკა იერუსალიმელის წამება; ხოლო სირიულიდან მაკარი მესხს XIV ს-შივე უთარგმნია პეტრე იბერიელის ცხოვრება[65].

XIV ს. I ნახევარში მოღვაწეობდა შესანიშნავი ისტორიული თხზულების ანონიმი ავტორი, რომელიც „ჟამთააღმწერელად“ იწოდება. იგი მოგვითხრობს საქართველოს ასი წლის ისტორიას (XIII ს. დასაწყ. — XIV ს. დასაწყისი). მისი თხრობა თანმიმდევრულ ხასიათთან ერთად მხატვრულობითაც გამოირჩევა. ჟამთააღმწერელი ეხება საქართველოს მეზობელი ქვეყნებისა და მონღოლ-თათრების ისტორიასაც; მრავალმხრივ განათლებული ავტორი იცნობს მონღოლთა ენას, იყენებს ბერძნულ, სპარსულ, სომხურ[66] და, როგორც უანასკნელ ხანს დავადგინეთ, სირიულ წყაროსაც კი[67]. ჟამთააღმწერლის ტექსტის ანალიზისას ს. ყაუხჩიშვილმა შემდეგი საყურადღებო აზრი გამოთქვა: „ის გარემოება, რომ XIV საუკუნეში შესაძლებელი ყოფილა ასეთ მაღალ ღირსებათა მქონე საისტორიო თხზულების დაწერა, გვაიძუ-

---

63 ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყ., ფონდი „Груз. Нов.“, серия 22; აგრ. ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა ძეგლი ერისთავთას დათარიღებისათვის, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრ. შტუდიები, II, გვ. 52.

64 **უცნობი ავტორი,** ნიკოლოზ დვალის წამება, ქართული პროზა, წ. III, თბ., 1982, გვ. 23—26.

65 იქვე, გვ. 21—22, 26, 58.

66 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., ტ. VIII, თბ., 1977.

67 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ჟამთააღმწერლის სირიული წყარო, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 118 № 3, თბ., 1985, გვ. 649—652.

ლებს გადავშინჯოთ ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში წინათ არსებული შეხედულება XIII—XIV საუკუნეებზე, როგორც დაცემის ნანაზე"[68].

ამ პერიოდის სამართლის ძეგლებიდან აღსანიშნავია სამცხეში შედგენილი ბექა-აღბუღას სამართალი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე"[69]. მისი ძირითადი ნაწილი შექმნილია ბექა მანდატურთუხუცესის დროს (გარდ. 1308 წ.), ძეგლი ძვირფასი წყაროა ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად.

მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლია გიორგი V მიერ მთიულთათვის 1335 წელს შექმნილი სამართალი — „ძეგლის დადება"[70] (დღემდე შემორჩენლია შესავალი ნაწილი და 46 მუხლი). „ძეგლის დადების" შესავალში გადმოცემულია მისი შექმნის მიზეზები და მოქმედების არე[71].

უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს სამეფო კარის ცერემონიალისა და ჩვეულებათა აღწერილობის წიგნი — ე. წ. „ჯელმწიფის კარის გარიგება". აქ დაცულია უმნიშვნელოვანესი ცნობები კარის მოხელეთა და მათი ფუნქციების შესახებაც. მისი შედგენის ზუსტი დრო უცნობია, მაგრამ ძეგლში მოხსენებული ისტორიული ფაქტებისა და საერთო სურათის მიხედვით, იგი XIV ს. I ნახევარშია შექმნილი[72]. მისი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ პატარა მაგალითს, რომელიც სამეფო პურობას შეეხება და იმ დროის ყოფითი კულტურის გათვალისწინებისათვისაც საინტერესოა: „სამყინვარი (საყინულე) ვერცხლისა უნდა ტაბაკი; ცულ-წერაქვი პატარა..., ტარის ბოლოს მოჭედილი, ტარმოკლე... მას ტაბაკსა ზედა ძე[ვ]ს... ერთი ვერცხლის კოვზი პირდიდი მასვე ტაბაკსა ზედა ძე[ვ]ს.., (საღვინის მოლარე) წვერით გასტეხს (ყინულს), კოვზით აიღებს (და) ჭიქასა შიგან ჩასდებს"[73] (ტექსტის აღდგენა ფრჩხილებში ჩვენია, ვ. კ.).

---

68 ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხ. მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 023.

69 სამართალი ბექასი და აღბუღასი, ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 429—473.

70 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 14.

71 იქვე, გვ. 103 (სამართლის ტექსტი).

72 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები (ხელმწიფის კარის გარიგება. დასტურლამალი), თბ., 1970, გვ. 1, 14; ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, იხ. წიგნში ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967 (დანართი), გვ. 418—422.

73 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 41 (ძეგლის ტექსტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ინტერესს იწვევს სწავლა-აღზრდის მდგომარეობა XIV ს-ში. არსებობს 1310 წლის ერთი საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხზე წარმოდგენას გვიქმნის. ეს არის ქურმუხის (დღ. კახი აზერბაიჯანის სსრ-ში) მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის ე. წ. ანდერძი. საბუთი პირველად გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა[74]. დღეს კი, სამწუხაროდ, ლ. მაღალაშვილისეული სახარება, რომელშიც ანდერძი იყო ჩართული, დაკარგულია[75].

საბუთიდან ირკვევა, რომ საქართველოს პატრიარქს ექვთიმეს მიმოუხილავს თავისი სამწყსოს აღმოსავლეთი და ჩრდილო ნაწილი (ძირითადად ჰერეთი, აგრეთვე დაღესტნის, ჩეჩნეთის ნაწილი, თუშეთი), შემდეგ ქურმუხის მთავარეპისკოპოს კირილესათვის დაუვალებია სახარების გადაწერა-გამრავლება და იმ ეკლესია-მონასტრებისათვის დაგზავნა, სადაც ამის საჭიროება იყო. კირილე დონაურს ბრძანება შეუსრულებია და ამას გარდა სახარება დაუგზავნია „შვდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი". ეს ცნობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. როგორც ჩანს, საქმე ეხება საერო ტენდენციის სასწავლებლებს (რადგან ისინი ეკლესია-მონასტრებისაგან განცალკევებით იხსენებიან), რომელთაც საკუთარი ხელმძღვანელი — „თავსმდგომი" ჰყავთ. საბუთში ნახსენებია ისიც, თუ რა ისწავლებოდა ამ „სასწავლელებში" „სჯული ჭეშმარიტი" (საღვთო სჯული) და „ფილასოფოსებაი", „მამათა ცხორებაი", „ქართლის ცხორება" და „ცხორებაი ალვანიისა". დასახელებულია ამ უკანასკნელის ავტორიც — ვინმე პეტრე ლაგაძე. ჩანს, ეს საგანი ალბანეთთან უშუალო მეზობლობის გამო ისწავლებოდა.

ამგვარად, საბუთის მიხედვით, საქართველოს ერთ განაპირა კუთხეში, ჰერეთში — შვიდი სკოლა არსებულა, სადაც სწავლა ასეთი ფართო დიაპაზონით წარმოებდა.

გვინდა შევეხოთ იმ საკითხსაც, რატომ შეადგინა კირილე დონაურმა ეს ანდერძი, სადაც ასეთი დაწვრილებითი ცნობებია დაცული პატრიარქ ექვთიმეს და თვით მისი მოღვაწეობის შესახებ. აქ უნდა გავიხსენოთ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობა იმის შესახებ, რომ ღვთის მსახურების, მისი წმინდანების დამსახურების თხრობა ღვთის ქებად ითვლება[76]. იგივე ბიოგრაფის შენიშვნით: „სიბრძნე

---

74 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 205.

75 ეს გარემოება რიგ მკვლევართა მხრიდან საბუთის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ბადებს, მაგრამ ბეჭდური სახით. ამის შესახებ არაფერი გამოთქმულა. რაც შეეხება კ. კეკელიძეს, მისი აზრით, საბუთში დაეჭვების რაიმე საფუძველი არ გაგვაჩნია. იხ. მისი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324.

76 იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები XI. ს. სწავლა-აღზრდის შესახებ, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 323.

დაფარული და საუნჯე უჩინო, ვინ ირგოს მისგან?"[77]. ამავე დროს საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება იმიტომ უნდა აღიწერებოდეს, „ითა ჩუენ მოხსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთათა... ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდეთ"[78]. შესაძლოა, მთავარეპისკოპოსი კირილე ანდერძის შედგენისას მსგავსი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა[79].

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, უნდა დავასკვნათ, რომ XIV ს-ში, მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ქართული კულტურა კვლავ ინარჩუნებს ძველ ტრადიციებს და საკმაოდ მაღალ დონეს. ეს თავის მხრივ კარგად მეტყველებს ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობისა და ნორმების დიდ გამძლეობაზე. რაც შეეხება დაღმავლობის ტენდენციებს, ისინი არსებობენ, მაგრამ აშკარად XV ს. II ნახევრიდან იჩენენ თავს.

---

77 გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ. 1978, გვ. 272.

78 იქვე, გვ. 273.

79 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, XIV ს. I ნახევრის საქართველოს კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, კრებულში: საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982, გვ. 51—63.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ა ტ ე ბ ა

XIV ს. ქართველი ანონიმის — ჟამთააღმწერლის ვინაობისათვის

Temporis filia veritas.
„ჭეშმარიტება დროების შვილია“.

ლ ა თ ი ნ უ რ ი ა ნ დ ა ზ ა.

ვინ არის ჟამთააღმწერელი?

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XIV საუკუნის დასაწყისის ანონიმი ავტორი — ე. წ. ჟამთააღმწერელი, ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია. ამავე დროს, იგი „ქართლის ცხოვრების“ საუკეთესო ავტორთაგანია. არ შეიძლება მკითხველი გულგრილი დატოვოს მისმა ერუდიციამ, მოქნილმა და მჭერმეტყველმა ენამ, სხარტმა და გააზრებულმა თხრობამ, მრავალი უცხო ენის ცოდნამ. თხზულებიდან ჩანს, რომ იგი თავისუფლად ფლობს სპარსულ, მონღოლურ, ბერძნულ-ლათინურ, სომხურ, სირიულ ენებს. ქართველი მემატიანის კრედოს, მისივე აღიარებით, წარმოადგენს „ჭეშმარიტების მეტყველება“. ამ თვისებებმა მისი თითქმის ასი წლის მატიანე (XIII ს. დასაწყისიდან ვიდრე — 1317 —18 წლამდე) ქართული საისტორიო (და არა მარტო საისტორიო) მწერლობის უბრწყინვალეს ძეგლად აქცია.

სამწუხაროდ, თვით მემატიანის შესახებ ფაქტიურად არაფერი ვიცით. ერთადერთი წყარო მის შესახებ მისივე თხზულებაა, მაგრამ აქაც პირველ პირში მემატიანე თავის თავს არსად ასახელებს. ამის მიუხედავად, სერიოზული და დაკვირვებული ანალიზის შედეგად, ვფიქრობთ, თხზულებაში არ შეიძლება არ ამოტივტივდეს ავტორის პიროვნებაც; როგორც ბევრი აღწერილი მოვლენის თანამედროვე და აშკარად სამეფო კართან დაახლოებული პირი, იგი უთუოდ აქტიური თუ პასიური მონაწილე უნდა ყოფილიყო მისგანვე აღწერილი მოვლენებისა (მხედველობაში გვაქვს, რასაკვირველია, XIII ს. მიწურული და XIV ს. დასაწყისი, როდესაც მატიანე იწერებოდა).

სახელი „ქამთააღმწერელი“ ამ ანონიმ მემატიანეს, მისი თხზულებიდანვე გამომდინარემ, მოსწრებულად უწოდა ივ. ჯავახიშვილმა, რადგან მემატიანე თვითონ წერს, რომ „ქამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება“ არისო.

ქამთააღმწერლის თხზულების პირველი სერიოზული მკვლევარი და შემფასებელი ვახუშტი ბაგრატიონი იყო. თხზულების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ვახუშტიმ დაასკვნა, რომ მატიანის დღევანდელი ტექსტი, რომელიც 1318 წელზე წყდება. თავდაპირველად გიორგი V-ის მთელ მოღვაწეობას მოიცავდა (1318—1346), მაგრამ ეს ნაწილი მომდევნო ხანაში დაიკარგა. ამ დასკვნის საფუძველს, ვახუშტის სიტყვით, იძლევა ქამთააღმწერლის ცნობები იმის შესახებ, თუ გამეფების შემდეგ „ბრწყინვალემან გიორგი, რავდენ გონიერად ჰყო ბრძოლანი ანუ შემატებანი სამეფოსანი“[1].

ვახუშტი იყო პირველი, ვინც ქამთააღმწერელთან დაცული თვის, რიცხვისა და დღის საშუალებით გამოიანგარიშა დემეტრე II სიკვდილით დასჯის წელი (1289)[2]. მანვე იპოვა „ძველ ქორონიკონთა შინა“ გიორგი V-ის ტახტზე ასვლის წელი — 1318წ[3]. (ქამთააღმწერლის თხზულება, როგორც ცნობილია, თარიღებს არ შეიცავს) და ა. შ.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ არა ერთი მკვლევარი დააინტერესა ქამთააღმწერლის ვინაობამ და მისმა თხზულებამ, რის შესახებაც მსჯელობდნენ: მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. გრიგოლია, რ. კიკნაძე, ბ. ვლადიმირცოვი, კ. თუმანოვი და ა. შ., მაგრამ სპეციალურად მისი ვინაობის გარკვევას ემსახურებიან თ. ჟორდანიას[4], პ. ინგოროყვასა[5] და კ. გრიგოლიას[6] შესაბამისი შრომები.

თედო ჟორდანიას აზრით, თხზულება თითქოს დაწერილია თვითონ სამცხის განთქმული გამგებლების სარგის (გარდაიც. 1265 წ.) და ბექა (გარდაიც .1308 წ.) ჯაყელ-ციხისჯვრელთა მიერ. მათი სიკვდი-

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 291.

2 იქვე, გვ. 10.

3 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, გიორგი V-ის გამეფების თარიღის საკითხისათვის, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977; მისივე, XIV ს. დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან (გიორგი V გამეფების თარიღი), „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, თბ., 1983.

4 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები..., ტ. III (გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ), დამატება I, თბ., 1967, გვ. 577—584.

5 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველიანა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 118—120

6 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 85—195.

ლის შემდეგ კი, ხსენებული ავტორის მიხედვით, თხზულება გადამუ-
მუშავებია და ბოლო ნაწილი დაურთავს ვინმე „ვარძიელ ბერეთმოძღვარს“.

3. ინგოროყვას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ჟამთააღმ-
წერელი თორელთა საგვარეულოს წარმომადგენელია; იგი ავტორის
აზრით, თხზულების დაწერის დროისთვის ბერად იყო აღკვეცილი და
ოპიზის მონასტერში მოღვაწეობდა. თავის მხრივ, კ. გრიგოლია
ეთანხმება ამ აზრს და აზუსტებს, რომ ანონიმი მემატიანე წარმოშო-
ბით მესხია და ოპიზარ-მაწყვერელი უნდა ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არ გააჩნია თ. ჟორდანიას
მტკიცებას, რომ ჯაყელებმა თვითონ დაწერეს ეს ისტორია და მესა-
მე პირში ხოტბა შეასხეს თავიანთ მოღვაწეობას. არსაიდან არ ჩანს
ჟამთააღმწერლის თორელობაც. მაგრამ სავსებით სწორია სხვადასხვა
ავტორთან წარმოდგენილი დებულება იმის შესახებ, რომ მემატიანე
წარმოშობით მესხია და სასულიერო წოდებას ეკუთვნის.

ჟამთააღმწერელი დეტალურად მოგვითხრობს სარგის და ბექა
მანდატურთუხუცესის მოღვაწეობაზე, დაწვრილებით აღწერს სამხ-
რეთ საქართველოს გეოგრაფიულ გარემოს, იქაურ ტაძარ-მონას-
ტრებს. რაც მთავარია, მემატიანე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას
ავლენს ჯაყელთა საგვარეულოს და საერთოდ მესხთა მიმართ. სადაც
კი საქმე მესხებს შეეხება, იგი არც ერთ შემთხვევას არ უშვებს, რომ
ხაზგასმით არ აღნიშნოს მათი დამსახურება ლაშქრობისას, ქრისტეს
სჯულის ქადაგებისას, თუ სხვა მოღვაწეობისას[7]. ასევე, იგი ხაზგასმით
აღნიშნავს და გულისტკივილს გამოთქვამს იმ მომენტებზეც, როცა
„უმეტეს სხვათა, მესხთა“ ევნოთ. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს მე-
მატიანე, თავისი კუთხის (ამ შემთხვევაში ვიწრო გაგებით) სიყვარული
ყოველთვის აშკარად გამოსჭვივის. რასაკვირველია, ეს ყველაფერი
არ ჩრდილავს ისტორიკოსის საერთო ეროვნულ-ქართულ შეგნებას.
სხვაგვარად, მისი თხზულება ცალმხრივი და ნაკლებ ღირებული იქნე-
ბოდა. პატრიოტული თვალსაზრისით სამაგალითოა ჟამთააღმწერლის
მიერ მოყვანილი ბექა მანდატურთუხუცესის სიტყვა, რომლითაც მას
მიუმართავს თავისი ჯარისათვის შემოსეულ თურქთა წინააღმდეგ
გალაშქრებისას. ვფიქრობთ, აქ თვით მემატიანის პატრიოტული შეხე-
დულებებიც იჩენს თავს. აი რას ათქმევინებს მას ჟამთააღმწერელი:
„ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო
ჩემნო!... დიდმან და სახელგანთქმულმან, სკიპტრისა და პორფირის
მქონებელთა წორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით (აღმაშენე-

---

7 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 153, 260, 276.

ბელმა, — ვ. კ.) დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა". მას შემდგომ, განაგრძობს ბექა, დღემდე (XIV ს. დასაწყისი) თურქებს აღარ შევუწუხებივართ, ახლა კი კვლავ გამოჩნდნენ ჩვენს საზღვრებთან — „ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან"-ო[8]. მიაქციეთ ყურადღება, რომ ბექა, ჟამთააღმწერლის მიხედვით, საერთო ქართული მასშტაბით აზროვნებს. თითქმის მთლიანად დამოუკიდებელი ერთეულის — სამცხის, მეფის ტოლი და ხშირად მასზე ძლიერი ფეოდალი, რომელიც ლოგიკურად სწორედ ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებაზე უნდა ოცნებობდეს, წუხს რომ მისი დროის საქართველოს აღარ ჰყავს დავით აღმაშენებლის დარი მეფე (ამ დროს გიორგი ბრწყინვალე ჯერ კიდევ მცირეწლოვანია,) რომ სრულიად საქართველოს მეფის უფლებები დამცრობილია მონღოლთა ბატონობის გამო. რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, თვით მონღოლთაგან ხასინჯუდ, ე. ი. პირადად ყაენის მიწებში ჩარიცხულ-შეწყნარებული და მეფისგან გამდგარი ბექა, წუხს საქართველოს თავკაცთა ცენტრალური ხელისუფლებისგან ჩამოცილებას! ასეთი მასშტაბის აზროვნება შუა საუკუნეების მემატიანისთვისაც საკვირველია, მით უმეტეს, რომ ჟამთააღმწერლის ეპოქა მიჩნეულია საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური დაღმავლობის ხანად. ამ ფონზე ყოვლად გაუგებარია, რას ემყარება შ. ნუცუბიძის დასკვნა იმის შესახებ, რომ ჟამთააღმწერლის იდეოლოგია „არსებითად რეაქციულია, საერო ძალაუფლებისა და განსაკუთრებით ერთმმართველობის წინააღმდეგ მიმართული"[9]. ჟამთააღმწერლის თხზულების მთელი ღირსება სწორედ ის არის, რომ მიუხედავად თავისი გვაროვნულ-თემობრივი და სოციალური წარმოშობისა, მიუხედავად ჯაყელთა გვართან უეჭველი და მყარი კავშირისა, მიუხედავად სასულიერო წრისადმი კუთვნილებისა — მემატიანე ყველაზე მაღლა, ყოველთვის საქართველოს და მის მეფეს აყენებს. ის მიესალმება გიორგი ბრწყინვალის მიერ ჯაყელთა დაქვემდებარებას. სწორედ მისი წყალობით და მისი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს შედეგად დარჩა შთამომავლობას საერთო ეროვნულ გმირებად ცოტნე დადიანი და დემეტრე II. ჟამთააღმწერელი აშკარად სასულიერო პირია (ამის შესახებ ქვემოთ), მაგრამ მას არ ავიწყდება,რომ დემეტრე თავდადებული, პირველ რიგში „საქართველოსათვის წამებული" მეფეა[10].

რაც შეეხება ქართველი მემატიანის სასულიერო წრისადმი კუთ-

---

8 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 311—312.

9 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 186.

10 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 291.

ვნილებას, მისი თხზულება ასეთი დასკვნის გამოტანის სრულ საფუძველს იძლევა. გარდა იმისა, რომ ასეთი სახის მწიგნობრულ მოღვაწეობას, ჩვეულებრივ ბერ-მონაზვნები ეწეოდნენ. ჟამთააღმწერლის თხზულების აგების პრინციპი, იდეოლოგია და ბიბლიის ბრწყინვალე ცოდნა ამ აზრს უჭერს მხარს. კ. გრიგოლია სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში გატარებულია პროვიდენციალიზმის იდეა. ეს რელიგიური კონცეფცია იმას გულისხმობს, რომ ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდება, წინასწარ ღმერთის განგებით არის გათვალისწინებული. ასევე, ქვეყნის მესვეურთა და ხალხის ბოროტებისაკენ თვითეული გადახრა სათანადოდ ისჯება. ამ საფუძველზე ხსნის მემატიანე საქართველოში მომხდარ ყველა უბედურებას — ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევას, გაჭირვებას, ჭირს და შიმშილობას. კ. გრიგოლია იმასაც აღნიშნავს, რომ მემატიანის სამღვდელო დასისადმი მიკუთვნებაში გადამწყვეტი მაინც მისი დამოკიდებულებაა საეკლესო მიწების ე. წ. „გამოწირვის" პროცესთან მიმართებაში. ამ მოვლენამ XIII ს. II ნახევარში იჩინა თავი. საქმე ის არის, რომ ეკონომიური გაჭირვების გამო საერო ფეოდალებმა დაიწყეს ჯერ არნახული „მკრეხელობა" ეკლესიისთვის ადრე შეწირული მიწების უკან „გამოწირვა". ამან, ცხადია, საეკლესიო წრეების აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ 1263 წ. სპეციალური საეკლესიო კრებაც კი იქნა მოწვეული, რომელმაც მკაცრი მუქარა და ღონისძიებათა მთელი კომპლექსი შეიმუშავა უმაღლეს საერო ფეოდალთა მიმართ ამ პროცესის როგორმე შესაჩერებლად. კრების მესვეურნი დავით ულუს შეახსენებდნენ — „სამოცდაათხუთმეტთა თქვენთა გარდასულთა მეფობისა შიგა, უფროისი და უმრავლესი ჟამი ამისაგან (ე. ი. XIII ს. 60-იან წლებთან შედარებით, — ვ. კ.) უძნელესი და უბოროტესი ყოფილა, ვითა ქართლის ცხორებაი, წარმოაჩენს[11]". მაგრამ ასეთი გაუგონარი რამ არავის ჩაუდენიაო, წერდნენ მღვდელმთავრები. აი, ამ დაძაბულ და მძაფრ დავაში მემატიანე მთლიანად სამღვდელოების მხარეზეა. იგი აღშფოთებას ვერ მალავს საერო ფეოდალთა „უწესობისა და ბოროტების" გამო. აქ, მართლაც, ყველაზე კარგად ვლინდება, თუ რომელ დასს ეკუთვნის მემატიანე. როგორც აღინიშნა, იგი ბიბლიის შესანიშნავი მცოდნეა და ხშირად მოაქვს იქიდან ციტატები; განსაკუთრებით მოსწონს ე. წ. წიგნი ეკლესიასტე და არა ერთხელ იმოწმებს მას. ჟამთააღმწერელი დარწმუნებულია, რომ: „დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოსა. ვითარ იტყვის

---

11 დადგენილება საეკლესიო კრებისა ულუ დავითისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1970, გვ. 162.

ბრძენი ეკლესიასტე: ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს"[12]. სხვაგან იგი მრავალმნიშვნელოვნად დასძენს: „უგუნურებასა ბრძენ ვართ ნათესავნი ადამისანი"-ო[13]. დემეტრე II-ს კი ისტორიკოსი ასეთ მოხდენილ სენტენციას ათქმევინებს: „მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრივ წარვლენ"[14] და ა. შ. სამართლიანად აღნიშნავდა შ. ნუცუბიძე, რომ ჟამთააღმწერელი უდავოდ ფილოსოფიური განწყობის ავტორია, ისტორიას იგი ფილოსოფიურ ასპექტში იხილავს. ჩვენი აზრით, ისტორიკოსის ასეთი განწყობა იმასაც მოწმობს, რომ თავისი თხზულების წერისას მემატიანე საკმაოდ ხანდაზმული უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, საწუთროს ასეთი ფილოსოფიურ-ამაოებრივი ჭვრეტა მხცოვან, მრავალჭირნახულ და დაბრძენებულ პირს უფრო შეეფერება. მემატიანის ასაკოვნობაზე მეტყველებს მისი ღრმად რელიგიურობაც. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მატიანის რეალისტურ ქარგაში სასწაულებრივი მომენტების ჩართვის დროს. საძაგლითოა ყრმა დავით ლაშას ძის (ულუს) თავგადასავალი. ავტორის ღრმა რწმენით, იგი მხოლოდ ღვთისმშობლის ხატმა იხსნა აშკარა და გარდუვალი სიკვდილისაგან. მაგალითად, როცა დავითი გველებით სავსე ხაროში ჩაადგეს, მათ არა მარტო არაფერი ავნეს უფლისწულს, არამედ პირიქით, ლოკვით განკურნეს იგი და ა. შ. იქვე მემატიანე ბიბლიურ პარალელსაც იშველიებს და დავით ულუს ძველი აღთქმის გმირს — დანიელს ადარებს, რომელიც მსგავს სიტუაციაში „დაცულ იქმნა... პირისაგან ლომისა"[15]. ამგვარი ფანტასტიკური მომენტები შემდგომი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიას იმდენად ეუცხოებოდა, რომ, მაგალითად, თ. ჟორდანია ცდილობდა ისინი საერთოდ სხვა პირის, არარსებული „ვარძიელი რედაქტორის" ჩანართებად გამოეცხადებინა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ თხზულების მთელ აგებულებას, ავტორის სასულიერო წოდებას და მის ღრმა რელიგიურობას, ეს მომენტები არც ისე უცხო და წინააღმდეგობრივი მოგვეჩვენება. ქრისტიანობა სასწაულს თავისი მოძღვრების აუცილებელ, კანონიკურ კომპონენტად თვლის. ამ ფონზე ჟამთააღმწერელთან, როგორც ღრმად მორწმუნე ადამიანთან, სასწაულებრივი მომენტები არ მოდიან წინააღმდეგობაში მის მიერვე აღიარებულ „ჭეშმარიტების მეტყველებასთან". მისთვის ისინი ისეთსავე ჭეშმარიტებას წარმოადგენენ, როგორც სხვა, რეალური ამბები. ასე რომ, ამ მომენტების შეფასებისას მისი დროის

---

12 ჟამთააღმწერელი, გვ. 185.

13 იქვე, გვ. 256.

14 იქვე, გვ. 273.

15 იქვე, გვ .200—203.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეალური ვითარებიდან და კონცეფციებიდან უნდა ამოვიდეთ და არა დღევანდელობიდან.

შემდეგი მომენტი, რომელიც თხზულებიდან კარგად ჩანს, ჟამთააღმწერლის სამეფო კართან სიახლოვეა. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ბ. ინგოროყვაც, თუმცა კონკრეტული დასაბუთების გარეშე. მემატიანის სამეფო კართან ურთიერთობაზე მეტყველებს მისი ღრმა განსწავლულობა, ქართველთა და მონღოლთა სამეფო კარის მოხელეთა პირადი, ხოლო ჩვეულებათა ზედმიწევნითი ცოდნა. ამაზე მიუთითებს მისი შრომის საერთო განწყობილებაც და ა. შ. ამ მხრივ, ბევრი დეტალის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია თუნდაც ერთი პატარა საინტერესო ნიუანსი; როდესაც ქართველი მემატიანე ოლჯაითუ ყაენის გარდაცვალებას გვაუწყებს (1316 წ.), წერს, რომ ყაენს დარჩა — „ძე მცირე, ვითარ (ე. ი. დაახლოებით!) შვიდისა წლისა, სახელით მუსაით“ (აბუ საიდი)[16]. ყველა აღმოსავლური წყარო კი იუწყება, რომ ამ დროს მომავალი ყაენი აბუ საიდი 12 წლის ყმაწვილი იყო. ამგვარად, ვფიქრობთ, აშკარაა რომ მემატიანე ამ ცნობას რომელიმე წყაროდან კი არ იმოწმებს, თავის პირად შთაბეჭდილებას გადმოგვცემს. ამაზე მიუთითებს მის მიერ ნახმარი ფრაზა — აბუ საიდი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ შვიდი წლისა იყო. ე. ი. მას პირადად ჰყავს ნანახი მონღოლთა უფლისწული და ისე აფასებს მის წლოვანებას; თორემ, თუ იგი რომელიმე წერილობით წყაროს დაეყრდნობოდა, ცხადია, არ იხმარდა ამ სიტყვას[17]. აღარაფერს ვამბობთ ქართულ სამეფო კარზე მიმდინარე ყველა პროცესის მის მიერ საუკეთესო ცოდნაზე.

ჩვენი აზრით, მემატიანის ვინაობის გარკვევასთან არსებითი კავშირი აქვს დემეტრე II-ის დასჯის მატიანისეულ აღწერილობას. ამის გამო, ამ მომენტზე რამდენადმე დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

XIII ს. გასულს ილხანთა ყაენ არღუნის (1284—1291) წინააღმდეგ შეთქმულება გამომჟღავნდა. ურჩობა დაბრალდა მონღოლ დიდმოხელეს — ბუღას. იმ დროის მონღოლური ჩვეულებისამებრ, ბევრი სჯა-ბაასის გარეშე ბუღა და მისი ოჯახობა სიკვდილით დასაჯეს, რეპრესირებულ იქნენ მისი მომხრეები და კეთილმოსურნენიც. სამწუხაროდ, მათ რიცხვში მოხვდა დემეტრე მეფეც. 1289 წ. მარტში დე-

---

16 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 324.

17 გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა ს აზრით, ეს ციფრი ამ კონტექსტში, საკრალური მნიშვნელობისაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მემატიანე არ იტყოდა „დაახლოებით შვიდი წლის“-ო, მით უფრო, რომ აბუ საიდის რეალური წლოვანება — 12 წელი, ასევე საკრალური რიცხვია და ავტორისავე აღიარებით, მას განსაკუთრებით ხშირად ხმარობს მემატიანე. იხ. Г. А л а с а н и а, Классификация грузинских писменных исторических источников, Тб., 1986, с. 178.

მეტრე ურდოში დაიბარეს, მიუხედავად დარბაზის რჩევისა, ეროვნული ბიბლიოთეკა მთიულეთში გახიზვნაზე უარი განაცხადა. მან გადაწყვიტა მონღოლთა ყაენის რისხვა პირადად გადაეტანა და ამით თავისი ქვეყანა როგორმე მორიგი გაჩანაგებისაგან ეხსნა. სწორედ ამის გამო უწოდა მას შთამომავლობამ „თავდადებული“. მატიანეში ეს დრამატული ამბავი იმდენად ცხოვლად არის აღწერილი და იმდენ საყურადღებო დეტალს შეიცავს, რომ მიზანშეწონილი იქნება ტექსტის დიდი ნაწილის მოტანა (ხაზი და ტექსტის აღდგენა ფრჩხილებში აქ და ქვემოთ ჩვენია): „შეიპყრეს მეფე (დემეტრე) და ძე მისი, მცირე ყრმა დავით ცალკე, და წარჰყვა თანა (ურდოში) მ ღ დ ე ლ-მ ო ნ ა ზ ო ნ ი, გ ა ზ რ დ ი ლ ი მ ი ს ი (დემეტრესი) შ ო ს ე. და არგნითა სცეს მეფესა, და ეგონა ყოველთა აღღარა მოკლვა მეფისა, რამეთუ წესად აქვნდათ, რა არგნითა სციან, აღღარა მოაკუდინიან. გარნა არა დამშვიდდა გულისწყრომა მისი (ყაენისა). წარიყვანეს (მეფე) სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დივანხანად უწოდეს და ჰკითხვიდეს, უკეთუ თანა-ეწამა განზრახვათა... ბულასა. და ვერა ბრალი ჰპოვეს... და მოიწივნეს ათორმეტნი მჯედარნი ყაენისნი, რათა წარიყვანონ (დემეტრე) და სიკუდილსა მისცენ. და ვითარ ცნა მეფემან სიკუდილი თავისა თჳსისა, მხიარულითა პირითა მოიკითხვიდა მთავართა საქართველოსათა, რამეთუ ყოველნი მუნ მოსრულ იყვნეს ნუგეშინის-ცემად მეფისა და ხუტლუბულაცა მდგომარე იყო მუნ. რქუა მეფემან: „უკუეთუ ძალგიძს. ყაენს წინაშე შემეწიე სიკუდილსა ამას შინა, და თუ არა გნებავს, ძე ჩემი მცირე დავით, იღუაწე, რათა არა მოიკლას გულისწყრომითა აღსავსისა ყაენისაგან“. ხოლო მან და ყოველთა მთავართა, იწყეს ტირილად და განვიდეს გარე; (დემეტრემ) ილოცა და ეზიარა ჯორცსა მეუფისა ჩუენისა ქრისტე ღმრთისასა. ეგრეთ აღსუეს ცხენსა და წარიყვანეს ვ ი თ ა რ მ ი ლ ი ო ნ ე რ თ[18] და ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს მცირედ... და წარკუეთეს მეფეს დიმიტრის თავი. ხოლო გამოჩნდა მასვე ჟამსა პატივი, ღმრთისა მიერ ცხებულსა მისსა (ზედა), რამეთუ მზემან შარვანდედი თჳსი უჩინო-ყო სრულიად და იქმნა სიბნელე დიდი და ყოველნი წარმართნი განკვირდეს, იყო ჟ ა მ ი მ ე ა თ ე და მწუხრამდე შეიმოსა ბნელი... ხოლო იყო მესამე შაბათი წმინდათჳს მარხვათა, მეათორმეტე თვისა, ებრაელთა მიერ ნისანად

---

18 აღსანიშნავია, რომ ლ. სანიკიძეს მემატიანის გამოთქმა — „ვითარ მილიონ ერთ“ პირდაპირი, დღევანდელი მნიშვნელობით ესმის (იხ. „უქარქაშო ხმლები“, ტ. II, თბ., 1984, გვ. 151), მაგრამ „მილიონი“ („მილი“) მანძილის აღმნიშვნელი ერთეული იყო და ათას ნაბიჯს უდრიდა. იხ. ქცა, II, ლექსიკონი. აგრ. ი. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

წოდებული და ჩუენ მიერ მარტად"[19], შემდგომ გადმოცემულია ფრაგმენტი უფლისწულის თავგადასავალი, რომელსაც ქვემოთ დავუბრუნდებით, ახლა კი მოტანილი ტექსტი გავაანალიზოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეტრე II დასჯის ამბავი, როგორც ვხედავთ, ძალზე დაწვრილებით არის აღწერილი. მთხრობელი თვალნათლივ წარმოგვიდგება როგორც აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი. იგი მიმართულების მაჩვენებელ ისეთ თავსართებსაც კი ხმარობს, როგორებიცაა: „მო-იწივნეს", „მო-სრულ იყვნეს" და ა. შ. (და არა „მი-იწივნეს", „მი-სრულ იყვნეს"). ამგვარად, ავტორი თავის თავს გულისხმობს დემეტრეს გვერდით, დასჯის ადგილას. ამის დამადასტურებელია ის მომენტები, რომლებიც გადმოცემით არ იქნებიდა აღწერილი. მაგ., მეფისათვის ურდოში არგნის (ხელჯოხის) დარტმა, მისი სამსჯავრო სახლში (დივანხანაში) წაყვანა, მხედრების რაოდენობა (თორმეტი). რომელთაც დემეტრე უშუალოდ დასჯის ადგილას მიიყვანეს, რა თქვა დემეტრემ დასჯის წინ, რომ დემეტრეს დამღუპავი ხუტლუბუღა სადუნის ძეც ესწრება დასჯას. საინტერესოა, რომ სიკვდილის წინ დემეტრე თუმცა კი ცდილობდა „მხიარული პირით" გამომშვიდობებოდა ქართველ დიდებულებს, მაგრამ ეტყობა, მაინც შემკრთალა. ეს იქიდან ჩანს, რომ მეფე დახმარებას სთხოვს მისსავე დამღუპველ მედროვე ხუტლუბუღას. ამასთან, ნაკლებად სჯერა რა ასეთი შემობრუნებისა, მეფე სადუნ მანკაბერდელის ნაშიერს უკანასკნელ ნებად უბარებს იზრუნოს მცირეწლოვან უფლისწულ დავითზე. ხუტლუბუღას, თუმცა კი ფარისევლური ცრემლები გადმოუყრია, მაგრამ, როგორც მემატიანის შემდგომი ტექსტიდან ჩანს, სასიკვდილო განსაცდელის დროს მას თითიც არ გაუნძრევია დავითის გადასარჩენად. მოტანილი ნაწყვეტი კიდევ ბევრ ისეთ დეტალს შეიცავს, რომლებიც მხოლოდ თვითმხილველისთვის თუ იყო ცნობილი და მნიშვნელოვანი. თუნდაც ისეთი ფრაზა, როგორიცაა მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ ხუტლუბუღასთან ლაპარაკის შემდგომ ქართველი დიდებულები „განვიდეს გარე", მეფე კი ამ დროს ზიარებას იღებს. რომ დემეტრე დასასჯელად წაიყვანეს ათასი ნაბიჯით წინ („ვითარ მილიონ ერთ"), რომ დასჯა მოხდა დილის ათ საათზე („იყო ჟამი მეათე") და რომ ამის შემდეგ კარგა ხნით მზე დაბნელდა და ა. შ. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მემატიანის მიერ თითქოსდა სხვათაშორის და უადგილოდ ნათქვამი ფრაზა, რომ ურდოში დემეტრესა და დავითს „წარჰყვა თანა მღვდელ-მონაზონი, გაზრდილი მისი (დემეტრესი) ჰოსე". საოცარი ის არის, რომ აქ მემატიანე არ ასახელებს არც ერთ დიდგვაროვან საერო თუ საეკლე-

---

19 ქამთააღმწერელი, გვ. 290—291.

სიო დიდმოხელეს (მათ შორის კათალიკოსსაც კი). მაშინ, როგორც მემატიანის შემდგომი თხრობიდან ირკვევა, დემეტრეს დასჯას მრავალი მათგანი და კათალიკოსიც ესწრებოდნენ. ამგვარად, თავისთავად ყურადღებას იპყრობს ამ ფონზე ვიცაც მღვდელ-მონაზვნის მეფისადმი ურდოში ხლება. მის შესახებაც ჟამთააღმწერელი მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ ეს მღვდელ-მონაზონი მოსე დემეტრეს „გაზრდილია". იგი ამ ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით კიდევ რამდენჯერმე გამოჩნდება.მაგრამ მივყვეთ ჟამთააღმწერლის ტექსტს. დემეტრეს დასჯის შემდგომ, ურდოში მყოფი დაობლებული უფლისწული დავითი ერთ-ერთ მონღოლ მხედართმთავარს — ტაჩარს მიჰგვარეს. მონღოლებმა თურმე ეს არ იკმარეს და გადაწყვიტეს დავითის ღამით, ფალულად მოკვლა, „გარნა ვერა იხელთეს". გათენდა თუ არა, „განიპარა მოსე ღვდელი, რომელი არაოდეს განეშორებოდა დავითს, და შევიდა ტაჩარს წინაშე". როგორც ვხედავთ, ასპარეზზე კვლავ გამოდის მოსე მღვდელ-მონაზონი. შემდეგი ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი ეკედრება და არწმუნებს ტაჩარ ნოინს, მფარველობა აღმოუჩინოს უდანაშაულო მცირეწლოვან უფლისწულს... მართლაც, ტაჩარი გულისხმიერებას იჩენს, ყაენთან მიდის და სთხოვს, ქართველი უფლისწული დასჯის ნაცვლად მას გადასცენ. „ისმინა (ყაენმან) და და მოსცა (დავითი) და წარიყვანა (ტაჩარ) სახლსა თჳსსა და შეევედრა ხოჯასა თჳსსა, რომელი უკანასკნელ სახიბ-დივან იქმნა"-ო, გვამცნობს ჟამთააღმწერელი. ეს უკანასკნელი ფრაზა საკმაო ინფორმაციის შემცველია, მაგრამ ჯერ ისევ მოსე მღვდელს დავუბრუნდეთ.

დასჯილი დემეტრე მეფის გვამს მონღოლები დღე და ღამე იცავდნენ და ქართველებს მისი დამარხვის ნებას არ აძლევდნენ. „ხოლო იყვნეს მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი [მუნ] და ვერვინ იკადრა გამოთხოვად გუამი მეფისა. მაშინ კათალიკოსმან და მოსე იყიდეს კაცნი და მოსეცა თანა წარჰყვნა და მოიპარეს ღამით გუამი დიმიტრი მეფისა"[20], გადმოგვცემს მემატიანე. შემდეგ, თურმე, მუღანის ველზე, სადაც დემეტრეს დასჯა მოხდა, შემთხვევით თბილისელი მეთევზეები გამოჩენილან. მათ თევზთან ერთად გვამის მალულად წაღება იკისრეს და დემეტრეს ცხედარი მცხეთას, მეფეთა სამარხს, წაასვენეს (იქვე). როგორც ვხედავთ, მეფისთვის უკანასკნელი პატივის მიგებაში კვლავ მოსე მონაზონი იღებს აქტიურ მონაწილეობას. უნდა ვიფიქროთ, ამ დროს მოსე მღვდელ-მონაზონი ახალგაზრდა იქნებოდა, რადგან იგი პირადად იღებს მონაწილეობას ისეთ საშიშ ღონისძიებაში, როგორიც დემეტრეს ცხედრის მოპარვა იყო. ეს საქმე კი, გაბედულებასთან ერთად, დიდ ფიზიკურ მობილურობას

---

20 ჟამთააღმწერელი, გვ. 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვდა, რაც ხანდაზმული მონაზვნისათვის გამორიცხული იყო. ეროვნული ბიბლიოთეკა
იგი რომ ახალგაზრდა იყო, ჩანს იქიდანაც, რომ მოსე დემეტრეს „გაზრდილია", ე. ი. იგი სამეფო კარზე დემეტრესთან ერთად გაზრდილი პირი ყოფილა. დემეტრე მეფე კი დასჯისას, სულ ახალგაზრდა, იყო, 30 წ. არ შესრულებოდა. ამგვარად, მოსე მეფეზე ახალგაზრდა თუ არა, უფროსი არ იქნებოდა. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „გაზრდილობა" ძველი ფეოდალური ინსტიტუტი იყო. „სამეფო კარზე, მეფის შვილებთან, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრე უფლისწულებთან ერთად, იზრდებიან დიდებულ აზნაურთა შვილები... გასაგებია, რომ ესენი ერთგულები და (მომავალი მეფის, ვ. კ.) მორჭმა-განდიდებისათვის თავდადებით ნამსახურნი არიან"[21]. მკვლევარის სიტყვით, სამეფო კარი „გაზრდილთათვის" მარტო პოლიტიკური კი არა, ფართო განათლებისა და კულტურის ცენტრიც იყო.

ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, ვინ არის ეს ჟამთააღმწერლისეული მეფის გაზრდილი მღვდელ-მონაზონი მოსე? ნუთუ იგი სრულიად შემთხვევითი პირია, უადგილოდ მოხვედრილი ჟამთააღმწერლის თხრობაში? გასარკვევია, რისთვის დასჭირდა მემატიანეს ამ უმნიშვნელო პირის (რომელზედაც მოკლე, მაგრამ საკმარისი ინფორმაციაა მოცემული) მოხსენიება მეფისა და უფლისწულის გვერდით იმ დროს, როდესაც სხვა, უფრო წარჩინებული პირები მხოლოდ კრებითად იხსენიებიან („მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი").

მსგავსი სიტუაციები სხვა წყაროებშიც გვხვდება. მხედველობაში გვაქვს ვითარება, როდესაც ამა თუ იმ ავტორის ზოგად და ნეიტრალურ თხრობაში უეცრად ჩნდება და მკვეთრად გამოიყოფა ძირითადი თხრობისათვის არასაჭირო ფიგურა. ხშირად იგი პერსონალური თვისებებითაც არის ხოლმე დახასიათებული, მაგრამ მოვლენათა განვითარებასთან მას უშუალო კავშირი არა აქვს და შემდგომ თხრობიდან ქრება კიდეც. ასეთ მომენტებს თითქოს დისონანსი შეაქვს ამა თუ იმ ავტორის წერის მანერაში, მაგრამ მემატიანე ასეთ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის შეგნებულად მოქმედებს (მხედველობაში არა გვყავს დაბალი ხარისხის, კომპილაციური შრომების ავტორები). მას სურს, ასეთი ფორმით გადმოსცეს და შემოუნახოს შთამომავლობას თავისი, ან მისი საგვარეულოს წარმომადგენლის ესა თუ ის ღვაწლი ქვეყნისა და მის მესვეურთა წინაშე. ასე იქცევა, მაგალითად, ქსნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკის — „ძეგლი ერისთავთა"-ს ავტორი (XV ს. დასაწყისი), რომელიც საერთო ტექსტიდან გამოყოფს, მკვლე-

---

21 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, გვ. 86—87.

ვართა აღიარებით, მისი საგვარეულოს — ბანდას-ძეთა დამსახურებას[22].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, ასეთი ვითარებაა ჟამთააღმწერელთანაც. ჩვენი აზრით, მღვდელ-მონაზონი მოსე თვითონაა ავტორი ამ ასწლიანი მატიანისა. ამ აზრის სასარგებლოდ მთელი რიგი გარემოებანი მეტყველებენ. როგორც აღნიშნული გვქონდა, მემატიანე დაწვრილებით და წვრილმანი დეტალებით აღგვიწერს დემეტრეს დასჯის ამბებს და აშკარა შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორი ამ ტრაგიკული ამბების თანამონაწილეა. მოსე კი დემეტრეს დასჯას არა მარტო ესწრებოდა, არამედ აქტიურად მოქმედებდა კიდეც. რაც მთავარია, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მემატიანე, რომლის უაღრესი კეთილგანწყობა დემეტრესადმი აშკარაა, მოსეს, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა მისი სათაყვანო მეფისათვის, ყოველგვარი საქებარი ეპითეტების გარეშე, სრულიად ნეიტრალურად მოიხსენიებს. ჩვენი მემატიანისათვის დამახასიათებელი არ არის ასეთი ნეიტრალური პოზიცია. ჩვეულებრივ, თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება არ აკავებს, იგი ყოველთვის ნათლად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ პირისა თუ მოვლენისადმი. ეს გარემოება მით უფრო თვალში საცემია, რომ ხსენებული მოსე, სასულიერო პირი, მღვდელმონაზონია. ჟამთააღმწერელთან კი არცერთი მომენტის მოძებნა არ შეიძლება, რომ ქების გარეშე იქნეს ნახსენები კონკრეტულად დასახელებული რომელიმე სამღვდელო პირი, რომელსაც კი დადებითი ქმედება მიეწერება, ავტორის ასეთი პოზიცია ვრცელდება არა მარტო მართლმადიდებლებზე, არამედ ერეტიკოს-ნესტორიანელებზეც კი[23]. კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ მემატიანე ქებას არ იშურებს არა თუ ქრისტიანი მოღვაწეების, არამედ თვით მონღოლი ყაენის — ყაზანის მიმართაც: „იყო ყაზან ფრიად რამე კეთილ და უბოროტო გონება და სიმართლის მოქმედ“[24], წერს იგი. მითუმეტეს უცნაურია მემატიანის მიერ მოსეს ღვაწლის მხოლოდ მშრალი აღნუსხვა. ამავე დროს, მოსეზე იგი ისეთ ცნობებს გვაწვდის, რომელთა ცოდნა გასაკვირიც კია უცხო პირისათვის. ვთქვათ, ის, რომ მოსე „არაოდეს განეშორებოდა დავითს“, ან, რომ იგი პირადად მონაწილეობს მეფის ცხედრის მო-

---

22 ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 1.

23 თავის თხზულებაში ჟამთააღმწერელი მოკლედ აღწერს ნესტორიანი მღვდელმთავრის, ქ. მარაღის „ეპისკოპოსის“ (კათალიკოსის) თავგადასავალს. მისი სიმპატია ამ „ერეტიკოსისადმი“ (მართლმადიდებლებისთვის ნესტორიანობა მძიმე მწვალებლობად ითვლება) აშკარაა. იხ. ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ჟამთააღმწერლის სირიული წყარო, საქართველოს მეცნ. აკად. „მოამბე“ 118 № 8, 1985, გვ. 652.

24 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, .გვ 301.

პარვაში; ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ უშუალოდ დასჯის წინ, როდესაც დემეტრე ქართველ დიდებულებს გამოემშვიდობა და ისინი „განვიდეს გარე“, მემატიანე გადმოგვცემს იმასაც, რაც-აკეთებს დემეტრე ამის შემდეგ (ზიარებას იღებს). ე. ი. ავტორი ამ დროსაც მეფის გვერდით ჩანს[25]. მნიშვნელოვანია სხვა დეტალებიც. ზევით აღნიშნული გვქონდა, რომ დავით უფლისწულის ტაჩარ ნოინისადმი მიგვრის ეპიზოდში („ტაჩარ წარიყვანა (დავით) სახლსა თვისსა...“) საინტერესო ინფორმაციაა მოცემული. ჟამთააღმწერელი აქ ისეთი ნიუანსების ცოდნას ამჟღავნებს, რომლებიც მხოლოდ თვითმხილველისათვის თუ იყო ხელმისაწვდომი. მემატიანე არა მარტო ქართული, არამედ უნებლიედ მონღოლთა კარის მოხელეთა საუკეთესო მცოდნედაც გვევლინება. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ დასახელებული დავითის შემფარველი ტაჩარ ნოინი ილხანთა სინამდვილში კარგად ცნობილი მონღოლი მხედართმთავარი თაღაჩარ (ან თოღაჩარ) ნოინია; ხოლო ტაჩარის უსახელო ხოჯა, რომელსაც უშუალოდ „შეავედრეს“ დავით უფლისწული — შემდგომში ილხანთა კარზე არა ნაკლებ ცნობილი საფინანსო უწყების მეთაური (საჰიბ-დივანი) სადრ ად დინ ახმედ ალ ზენჯანი ანუ ალ ხალიდია. სპარსული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ სადრ ად დინისა და თაღაჩარის ახლო კავშირსა და კეთილმოყვრობას[26]. როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერელი ამ ერთ ფრაზაში ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის. 1289 წ. უბრალო ხოჯა სადრ ად დინი ცოტა ხნის შემდეგ („უკანასკნელ“), კერძოდ კი 1292 წ., მართლაც, საჰიბ-დივანი ხდება[27]. მოვლენის ეპიზოდურობის გამო ჟამთააღმწერელი დავითის შემფარველი ხოჯის სახელსაც კი არ ასახელებს, მაგრამ თავისდაუნებურად ამჟღავნებს აღწერილი მოვლენის თანადამსწრეობას (საინტერესოა, რომ მოგვიანო ხანის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ჟამთააღმწერლის ტექსტის შესაბამისი ადგილის გადმოცემისას პირდაპირ სადრ და დინს უწოდებს ხსენებულ ხოჯას). სხვათა შორის, ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას მიუქცევია ყურადღება. მართალია, იგი ვერ არკვევს ამ ხოჯის ნამდვილ ვინაობას, მაგრამ სამართლიანად აღნიშნავს: „მემატიანის მოთხრობას ისეთი ძალდაუტანებელი, ბუნებრივი მიმდინარეობა აქვს, რომ გეგონება, ეს ეს არის... ახლად დაბრუნებული გიამბობს თვალით ნახულს, საქმით განცდილს და დასწრებულს... რა საჭირო იყო ისტორიაში აღნიშვნა ვიღაც უბრალო ხოჯასი, თუ რომ ეს ხო-

---

25 ჟამთააღმწერელი, გვ. 291.

26 Рашид ад Дин, Джами ат таварих (Сборник летописей), т. III, Баку, 1957, с. 12.

27 იქვე, გვ. 136.

ჯა ცოცხალი არ იყო ამ მატიანის დაწერის დროს"[28]. უნდა გავითვალისწინოთ ჩვენთვის საინტერესო წინადადების გადმოცემის თარიღიც. ავტორისათვის ამ მოვლენის ათვლის წერტილი 1289 წელია. მემატიანემ მაშინ იცოდა, რომ დავით უფლისწულის შემფარველი პირი უბრალო ხოჯა იყო. მოგვიანებით კი, ეს ხოჯა მაღალი თანამდებობის პირი — საჰიბ-დივანი ხდება. თუ ავტორი ამ ამბების პირადი დამსწრე არ არის და მოვლენებს რეტროსპექტულად გადმოსცემს, ე. ი. ათვლის წერტილი მოვლენის თანადროული კი არა, მოგვიანოა, მაშინ იგივე წინადადება ქამთააღმწერელთან ასეთი ფორმით იქნებოდა გადმოცემული: დავითი შეავედრეს საჰიბ-დივანს, რომელიც მაშინ უბრალო ხოჯა იყო. ამავე დროს, თუ ქამთააღმწერელი გადმოცემული მოვლენების თანამედროვე და დამსწრე არ არის, საიდან გაიგო მან თუნდაც ისეთი წვრილმანი, თუ კონკრეტულად ვის ჩააბარეს დავით უფლისწული ტაჩარ ნოინის კარზე.

ახლა განვიხილოთ ქამთააღმწერლის პირადი დამოკიდებულება დემეტრე მეორესა და დავით VIII მიმართ. თუ ქამთააღმწერლის შრომის ტენდენციების დახასიათებისას მხოლოდ იქიდან ამოვალთ, რომ ის საეკლესიო პირია, წარმოშობით მესხი და ძლიერ დაახლოებულია ჯაყელებთან (რაც დავას არ იწვევს), აუხსნელი და გაუგებარი რჩება მისი საოცარი, სწორედ სამღვდელო პირისაგან მოულოდნელი შემწყნარებლობა დემეტრე II და მისი პირმშო დავითის მიმართ. ამ საკითხში საყურადღებოა, ასე ვთქვათ, დაუინტერესებელი პირის, ივანე ჯავახიშვილის პოზიცია. იგი, ქამთააღმწერლის ტექსტიდანვე გამომდინარე, მკაცრად ახასიათებს როგორც დემეტრე მეორის პიროვნების უარყოფით მხარეებს (მომხვეჭელობისაკენ მიდრეკილება, სამცოლიანობა და ა. შ.), ისე, განსაკუთრებით დავით VIII მოღვაწეობას. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ დემეტრეს დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. იგი დემეტრე II პიროვნებას ლაშა გიორგისას ადარებს. მემატიანისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც ცნობილია, სასტიკად კიცხავს ლაშას და მის დასრუსუდანს, ივანე ჯავახიშვილი ლაშა გიორგის დემეტრე თავდადებულზე მაღლაც კი აყენებს. იგი წერს, რომ დემეტრე ლაშა გიორგისგან: „იმით დიდად განსხვავდებოდა, რომ თუ ლაშამ თავისი გულის სატრფოს დაკარგვის შემდგომ, სიკვდილამდე, ცოლი აღარ შეირთო, დემეტრე II-მ პირიქით, ერთი ცოლით თავისი... გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა და სამსაც კი გაუნაწილა"-ო[29].

---

28 თ. ჟორდანია, ქრონიკები. ტ. III, გვ. 572.

29 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის

მით უფრო უცნაურია საეკლესიო პირის, მორალური ნორმების მკაცრი დამცველის — ჟამთააღმწერლის ასეთი ლმობიერი დამოკიდებულება დემეტრეს მიმართ. მემატიანე ვერ მალავს დემეტრეს ისეთ უარყოფით თვისებებს, რომლებიც, თავი რომ დავანებოთ ქართულ ადათ-წესებს, ღრმად მორწმუნე სასულიერო პირისათვის უაღრესად აღმაშფოთებელი უნდა ყოფილიყო. აკი მეფეს მოურიდებლად ამხილებდნენ კიდეც თურმე ბასილი მთაწმინდელი და ნიკოლოზ კათალიკოსი, მაგრამ ამაოდ[30]. ნიკოლოზ კათალიკოსის პროტესტი იმდენად დიდი იყო, რომ დემეტრეს საქციელის გამო მან დემონსტრატიულად დატოვა საკათალიკოსო ტახტი[31]. დემეტრე საკმაოდ ვერცხლისმოყვარეც ყოფილა და ქვეყნისათვის მძიმე დროს დიდძალი ქონება დაუგროვებია. საინტერესოა, რომ დემეტრეს საგანძურში ერთი ნივთი (სარტყელი) იმდენად განთქმული ყოფილა და ჩანს ჟამთააღმწერელსაც არაერთხელ უნახავს, რომ მემატიანე მას ასეთი ფორმით ახსენებს — „სარტყელიცა იგი დიდფასისა". ამას გარდა, დემეტრემ სამი ცოლი მოიყვანა, ხოლო თავისი და თამარი მესამე ცოლად გაატანა მედროვე სადუნ მანკაბერდელს[32]. მის დროს გრძელდებოდა, აგრეთვე, საეკლესიო მიწების გამოწირვის ხსენებული პროცესი. „იწყეს მთავართა ხელის შეხებად საყდართა და მონასტერთა"-ო[33]—გულისწყრომით წერს მემატიანე. საოცარი სწორედ ის არის, რომ ყოველივე ამის შემდეგ ჟამთააღმწერელი თავის თავს მხოლოდ იმის უფლებას აძლევს, გაკვრით აღნიშნოს, რომ დემეტრემ მართებული გზიდან მცირედ გადაუხვია და „ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული, მ ც ი რ ე დ სიბოროტედ მიდრკა"[34]; იგივე ითქმის დავით მერვის მიმართაც. მემატიანის დამოკიდებულება დავითის მიმართ ყველაზე რელიეფურად ჩანს რუმის („საბერძნეთის") ქალაქ ტუნღუზალოს განდგომილების აღწერისას. ამიტომ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს ეპიზოდი.

1291 წ. აგვისტოს ბოლოს მონღოლ-ილხანებს განუდგა რუმის (დღ. თურქეთი) გამგებელი თაღაჩარი. იგი სწორედ ის ტაჩარ-თაღაჩარია, რომელმაც ამ ამბებამდე სულ სამიოდე წლით ადრე, დემეტრე II დასჯისას, დავით უფლისწული დაღუპვას გადააარჩინა. ჟამთააღმწერლის მოწმობით, დავითმა კიდევ კარგა ხანს დაჰყო თაღაჩარის

ფონდი № 261, ფ. 876—877. „ქართველი ერის ისტორიის" ეს აბზაცი, არცერთ გამოცემაში არ დაბეჭდილა.

30 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 282.

31 ი ქ ვ ე, გვ. 278, 282.

32 იქვე, გვ. 278.

33 იქვე, გვ. 276.

34 იქვე, გვ. 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარზე. მართალია, უფლისწული „იწროებათა შინა“ იმყოფებოდა, მაგრამ თურმე „ტაჩარ თანა-შეეწეოდა დავითს“[35]. ამ დროს გარდაიცვალა დემეტრეს დამსჯელი ყაენი არღუნი. ახალმა ყაენმა ქეღათუ (1291—1295) ვითარება სწორედ შესაფერისად ჩათვალა უმიზეზოდ დასჯილი ქართველი მეფის ძის ლოიალობის გამოსარკვევად. ამ მიზნით მან რუმში თაღაჩარის აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა არა საქართველოს იმდროინდელი მეფე ვახტანგ II (1289—1292), არამედ დავით უფლისწული. ამგვარად, დავით უფლისწულს ალტერნატივა წაუყენეს: მას ან უნდა გაელაშქრა თავისი ცოტახნისწინანდელი მოამაგისა და სიკვდილისაგან გადამრჩენის წინააღმდეგ, ან უნდა გამოსთხოვებოდა მეფობაზე ფიქრს. დავითმა პირველი გზა აირჩია. მართლაც, მონღოლებმა სწრაფად ჩაახშეს თაღაჩარის აჯანყება და უკან მობრუნებულ დავითს სათანადო პატივიც მიაგეს — საქართველოს სრულუფლებიან მეფედ დაამტკიცეს. „ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთვის და სდგახარ ერთგულებასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენი ყოველი“[36]. ამ სიტყვებით დაულოცა მეფობა დავითს ქეღათუ ყაენმა. როგორც ამ ეპიზოდიდან ვხედავთ, დავითის საქციელი მაინცდამაინც მოსაწონი და აღსანიშნავი არ არის. საინტერესოა, როგორ იქცევა ამ შემთხვევაში ჟამთააღმწერელი. ამ მნიშვნელოვან მოვლენებს იგი ვერ აუვლის გვერდს, მაგრამ გამოსავალს იმაში პოულობს, რომ აღწერილ ეპიზოდში საერთოდ არ ასახელებს რუმის გამდგარი გამგებლის — მისთვის კარგად ცნობილი თაღაჩარის (ტაჩარის) სახელს; მემატიანე შეგნებულად, ხაზგასმით აღნიშნავს მხოლოდ იმ ქალაქის სახელწოდებას (ტუნღუზალო), რომელშიც თაღაჩარი იმყოფებოდა („განდგა ქალაქი... ტუნღუზალო“). მეორე მხრივ, ეს ქალაქი ამ ამბების აღმწერ სპარსულ წყაროებშიც კი არ იხსენიება (მაგალითად, რაშიდ ად დინის „მატიანეთა კრებული“). ქართველი მემატიანის ასეთმა ხერხმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში თავის დროზე დაბნეულობა შემოიტანა. მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, ერთხმად აღნიშნავდნენ სპარსული წყაროების თაღაჩარის აჯანყებისა და ჟამთააღმწერლისეული ტუნღუზალოს განდგომილების იგივეობას. მაგრამ ისინი გაკვირვებულნი იყვნენ, რა იყო ეს ქალაქი ტუნღუზალო და რატომ დასჭირდა მისი ხსენება ჟამთააღმწერელს[37]. რადგან ჟამთააღმწერლის ხსენებული ხერხი ამოცნობილი ვერ იქნა, ისინი იმ არასწორ დასკვნამდე მივიდნენ, თითქოს

---

35 ჟამთააღმწერელი, გვ. 293, 294.

36 იქვე, გ 3.297.

37 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III (1966), გვ. 277 — 280, 246—247; M. Brosset, Histoire de la Géorgie, t. 1, S/Petersbourg, 1850, p. 611, № 2.

ტუნღუზალო ქალაქის კი არა. პიროვნების — თაღაჩარის დამახასიათებული ფორმა ყოფილიყოს. სინამდვილეში, რუმში ასეთი ქალაქი ნამდვილად არსებობდა[38]. ამას მოწმობს არაბული, სომხური და სხვა წყაროები, სადაც ეს ქალაქი თითქმის ისეთივე ტრანსკრიპციით — „ტუნღუზლუ", იხსენიება. სახელოვან მკვლევართა არასწორი დასკვნა იმან განაპირობა, რომ არ იქნა გათვალისწინებული (ან ამოცნობილი) მემატიანის განწყობილება მეფის მიმართ: მემატიანე აშკარად ერიდება, რამდენადაც კი შესაძლებელია, დავით VIII-ის აუგად ხსენებას. აღწერილი მომენტის გარდა, სხვა შემთხვევაშიც, იქ, სადაც ივ. ჯავახიშვილი დავითის წინდაუხედაობას დაუნდობლად აკრიტიკებს, მემატიანე ფაქტების მშრალი აღნუსხვით კმაყოფილდება.

ქამთააღმწერლის ასეთი პოზიცია მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, თუ ვიგულისხმებთ, რომ იგი დემეტრეს საქართველოსათვის თავდადების ობიექტური დაფასების გარდა, უშუალოდ მის კარზეა გაზრდილი; რომ, გარდა ამისა, მემატიანეს ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე დავით უფლისწულის აღზრდასა და სიკვდილისაგან გადარჩენის საქმეში. ყველა ამ პირობას პირდაპირ პასუხობს იმ მღვდელ-მონაზონ მოსეს პიროვნება, რომელიც დემეტრეს დასჯისას ფიგურირებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე ძუნწადაა დახასიათებული, ზოგიერთი რამ მის შესახებ მაინც მოცემულია. თუ ქამთააღმწერელს მის მიერ (თითქოს სხვათაშორის) მოხსენიებულ მღვდელ-მონაზონ მოსედ მივიჩნევთ, მაშინ გასაგები ხდება ავტორის, როგორც სამღვდელო დასისადმი კუთვნილება, სამეფო კართან ურთიერთობა და განათლება (მოსე დემეტრე II-ის „გაზრდილია"), ასევე, დემეტრე II და დავით VIII-სთან მისი დამოკიდებულება: მოსე პირადად მონაწილეობს დავით უფლისწულის გადარჩენის საქმეშიც და დემეტრე II-ის გვამის მოპარვასა და საქართველოში გაგზავნაშიც. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მემატიანე პირველ პირში არ ახსენებს თავის თავს, ვფიქრობთ, ეს ადვილი ასახსნელია. ჩვეულებრივ, ამ სახის თხზულებებში ასეთი რამ არ იყო მიღებული (ამიტომაა „ქართლის ცხოვრების" უმეტესი მატიანეების ავტორი უცნობი). თავმდაბალი მემატიანე ერიდება ხაზგასმით თავისი ღვაწლის გადმოცემას, მაგრამ მიუღებლად მიაჩნია ისიც, რომ მთლიანად დავიწყებას მიეცეს მისი ზრუნვა გამზრდელი მეფის ცხედარსა და მის ძ ე ზ ე[39].

---

38 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 190, შენ. 45.

39 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, ახალი მოსაზრება ანონიმი მემატიანის ქამთააღმწერლის ვინაობის შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა I რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1979; გვ. 49—50.

ამ ვარაუდის დაშვებისას ცხადი ხდება იმ დაწვრილებითი დეტალებისა და ფაქტების წარმომავლობაც, რითაც ასე უხვია ჟამთააღმწერელის თხზულების განხილული მონაკვეთი. ცხადია, მოსე მღვდელ-მონაზონს, რომელიც თვითონ ესწრება დემეტრე II-ის დასჯასაც და XIII ს. მიწურულის სხვა მშფოთვარე მოვლენების თანამონაწილე და თვითმხილველია, არ გაუჭირდებოდა მათი დეტალური აღნუსხვა იმ დიდი მოცულობის საისტორიო შრომაში, რომელიც გიორგი V მეფობაშია დასრულებული.

რაც შეეხება თვით ამ სახელს — მოსეს, ქართულ სინამდვილეში იგი ძალიან გავრცელებული არ არის, მაგრამ ძველი დროიდანვე გვხვდება (გავიხსენოთ თუნდაც მოსე ხონელი). საინტერესოა, რომ სინას მთის ერთ-მოგვიანო დაახლოებით XIV—XV სს. ხელნაწერში, იხსენიება „მღვდელი მოსე", რომელსაც აღნიშნული ხელნაწერის გადაწერის საქმისთვის „ბევრი უხარკია"[40]. შესაძლოა, მას რაიმე კავშირი ჰქონდეს ჟამთააღმწერელის მოსესთან.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მოსე ჟამთააღმწერლის მოღვაწეობის თარიღზე.

თვით მატიანიდან გამომდინარე, სამართლიანად აღიარებული აზრია, რომ ჟამთააღმწერელი გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე მოღვაწეა. თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, იგი გიორგი V-ის უმცროსი თუ უფროსი თანამედროვე იყო. მატიანე, მართალია, მოყვანილია 1317—1318 წლამდე. მაგრამ ისტორიკოსი ახსენებს გიორგი V მიერ ოსთა ქართლიდან განდევნასაც, ჯაყელთა დამორჩილებასაც და მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლებასაც[41]. ამ უკანასკნელ საკითხზე მემატიანე ხატოვნად წერს, რომ XIII ს-დან დაწყებული, ქართველებს შემთხვევა აღარ მიეცათ მონღოლებზე გამარჯვება მოეპოვებინათ. ასე გრძელდებოდა „ვიდრე ჟამთამდე ჩუენთა"-ო[42], გვამცნობს იგი. მაგრამ ვითარება შეიცვალა მატიანის შედგენის, ე. ი. გიორგი V დროს. როგორც მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლებაზე მითითება, ისე ესმის ეს ცნობა ივ. ჯავახიშვილს. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამის შემდეგ დაებადა მემატიანეს სურვილი, თვალნათლივ წარმოეჩინა მკითხველისათვის მთელი ის მძიმე ასწლოვანი პერიოდი, რაც ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას, მონღოლთა უღლის დასასრულს, უძღვოდა წინ. ამიტომ არ იშურებს ჟამთააღმწერელი საქებარ სიტყვებს გიორგი V მიმართ. მის გამეფებას, ისტო-

---

40 Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, с. 167.

41 ჟამთააღმწერელი, გვ. 296, 255, 165.

42 იქვე, გვ. 165.

რიკოსი, დილის ვარსკვლავის — მთიების ამობრწყინებას ადარებს („და იწყო მთიებმან აღმოჭვირვებად“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, მემატიანის მოღვაწეობის ზედა ზღვრის განსაზღვრის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ქამთააღმწერელი არსად არ ახსენებს ლიხთ-იმერეთის შემოერთებას გიორგი V მიერ. ვახუშტის მიხედვით კი ეს 1330 წ. მოხდა[43]. უცნაური ის არის, რომ როდესაც მემატიანე დასავლეთ საქართველოს ვითარებას აღწერს და მოგვითხრობს დავით ნარინის შვილებს — კონსტანტინესა (გარდ. 1327 წ.) და მიქელს (გარდ. 1329 წ.) შორის ატეხილი შფოთის შესახებ, არცერთი სიტყვით არ ახსენებს გიორგი V-ის დასავლეთ საქართველოში გადასვლას და მის შემოერთებას. თუმცა ქამთააღმწერელი მათ გარდაცვალებას მოსწრებია[44]. ეს გარემოება შეიძლება ორგვარად აიხსნას: ან უნდა მივიჩნიოთ, რომ ვახუშტის შესაბამისი ცნობა გიორგი V-ის დასავლეთში გადასვლის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება, ან კიდევ იმით, რომ ქამთააღმწერელი ამ მნიშვნელოვან მოვლენას ვეღარ მოესწრო და გარდაიცვალა 1329—1330 წლებს შორის. პირველი მოსაზრება უთუოდ უარსაყოფია, რადგან ლიხთ-იმერის შემოერთებას, ვახუშტის გარდა, უტყუარად ამოწმებს „სწავლულ კაცთა კომისიის“ ცნობაც[45] და არაპირდაპირ უცხოური წყაროც — 1330 წ. პეტრე გერალდის წერილი. ამ წერილში დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალი მამია დადიანი მთელი საქართველოს ამირსპასალარად იხსენიება[46]. ამგვარად, რჩება მეორე მოსაზრება, ე. ი. ის, რომ ამ ამბავს მემატიანე ვეღარ მოსწრებია. თუ არა ეს გარემოება, გამორიცხულია, ქამთააღმწერელს არ აღენიშნა გიორგი V ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება, იმ დროს, როცა შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტს — გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსთა განდევნასაც, ხაზგასმით აღნიშნავს[47]. გამოდის, რომ ქამთააღმწერელი გიორგი V-ის უფროსი თანამედროვეა და დასავლეთ საქართველოს შემოერთებას (1330 წ.) იგი ვერ მოესწრო. ამ აზრს, თითქოს ორი გარემოება ეწინააღმდეგება. ერთი ის, რომ ვახუშტის მიხედვით, ქამთააღმწერელთან ნახსენები ჯაყელთა დამორჩილება 1334 წ. მოხდა; მეორე გარემოება კი ის არის, რომ ქამთააღმწერელი ერთგან გიორგი V-ის შესახებ აღნიშნავს; იგი „განდიდნა უმეტეს

---

43 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 801.

44 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 293.

45 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325 (ვახტანგ VI-ის კომისიის ჩანართი).

46 ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982 № 9, გვ. 157—158.

47 ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 296.

„შემდგომთა მეფეთა“-ო. ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე მიქცია ყურადღება ამ ფრაზას და გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ ტექსტის გვიანდელ დამახინჯებასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა თავდაპირველ ვითარებასთან. ეს ვარაუდი იქიდან გამომდინარეობს, რომ მემატიანეს, რომელიც გიორგი V მოღვაწეობისას ცხოვრობს, მისი შემდგომი პერიოდის შესახებ ცნობები, ცხადია, არ ექნებოდა. უკანასკნელ ხანს, მკვლევარმა რ. კიკნაძემ დაადასტურა ივ. ჯავახიშვილის ვარაუდის სისწორე[48]. მართლაც, თუ არ ვიგულისხმებთ, რომ აქ განსადიდებლად ნათქვამ ფრაზასთან, ანდა მერმინდელ გადამწერთა მიერ დამახინჯებულ ტექსტთან გვაქვს საქმე, გამოდის, რომ მემატიანე გიორგი V-ის შემდგომ, ორი მეფის — დავით IX (1346—1360) და ბაგრატ V (1360—1393) ზეობას მაინც მოსწრებია. ე. ი. ამ შემთხვევაში ის სულ სხვა ეპოქის — XV ს. მოღვაწე გამოდის, რაც სავსებით გამორიცხულია.

რაც შეეხება ჯაყელთა დაქვემდებარებას 1334 წელს, ამ თარიღს ვახუშტის გარდა არავინ ასახელებს, ხოლო ვახუშტის წყარო ამ შემთხვევაში გაურკვეველია; ამავე დროს, თუ ამ თარიღს შევუდარებთ ცნობას მამია დადიანის 1330 წ. ამირსპასალარობის შესახებ, შეუსაბამობა იქმნება, ე. ი. ვახუშტის მიხედვით ამირსპასალარობა 1334 წლამდე ჯაყელთა გვარშია, პეტრე გერალდის ცნობით კი უკვე 1330 წ. მამია დადიანი ამირსპასალარია. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ვახუშტის ეს თარიღი არასწორადა აქვს გამოთვლილი, რადგან უპირატესობა (დადიანთა ამირსპასალარობის შესახებ) უთუოდ მოვლენების თანამედროვე პეტრე გერალდის ცნობას უნდა მიენიჭოს; ყველა სხვა, გიორგი V-ის სახელთან დაკავშირებული მოვლენა კი, რომლებსაც ყამთააღმწერელი ასახელებს — ოსთა განდევნა ქართლიდან (XIV ს. 20-იანი წლები) და მონღოლთა უღლის გადაგდება, 1330 წლამდეა საგულისხმებელი. ვფიქრობთ, ყამთააღმწერელი ამ წელს უკვე ცოცხალი აღარ არის და ჯაყელთა დამორჩილებაც მანამდეა საგულისხმებელი.

შეჯამებული სახით, ანონიმი მემატიანის შესახებ ასეთ დასკვნებს მივიღებთ: ყამთააღმწერელი წარმოშობით მესხეთიდანაა, სასულიერო პირია, სამეფო კართან და ჯაყელებთან ძლიერ დაახლოებულია. მემატიანე თავს ამჟღავნებს დემეტრე II დასჯის აღწერისას, როდესაც ახსენებს მღვდელ-მონაზონ მოსეს. იგი უნდა მოღვაწეობდეს XIII ს. ბოლო ორ ათეულში, ვიდრე XIV ს. 30-იან წლებამდე.

---

48 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГРУЗИЯ В XIV ВЕКЕ

Резюме

В работе изучен чрезвычайно бедный в документальном отношении, но важный период в истории Грузии — свержения столетнего монголо-татарского ига и объединения разрозненной на части страны в единое государство. В работе рассмотрены все аспекты политического развития Грузии. а также ряд вопросов, связанных с основными этапами развития государства — сюзерена Монголо-Ильханов.

Проведено монографическое исследование событий, начиная с конца XIII века до нашествия Тимур Ленга в конце XIV века. Восполнены пробелы в истории изучаемой эпохи, по новому решены и интерпретированы спорные вопросы, установлены даты правления политических деятелей этой эпохи. (Георгия V Блистательного, Георгия VI малого, Вахтанга III, Димитрия, неизвестного царя — начала XIV в. и др.). Автор наиболее полно использует все грузинские и иностранные источники, вводит в научный оборот новые ценные документы, а также использует неопубликованные рукописные материалы (рукописное наследие акад. И. А. Джавахишвили. Грузинский свинаксарий XIII—XIV вв. из Гос. публичной библиотеки г. Ленинграда им. М. Е. Салтыкова-Щедрина и др.).

На основе анализа и сопоставления с другими иноязычными источниками (например, со сведениями Хафизи Абру, аль Кутби аль Ахри и др.), труда выдающегося грузинского историка XVIII в. Вахушти Багратиони — показана ценность его сведений о событиях XIV века, документированных ныне утерянными источниками XIII—XIV вв. Тщательный анализ сочинения анонимного грузинского летописца XIV века, (т. н. «Жамтаагмцерели») дает основание автору заключить, что историк был современником и нередко, очевидцем описываемых им событий. В монографии отдельная глава посвящена выяснению авторства этой ценнейшей столетней летописи. В. И. Кикнадзе приходит к выводу, что анонимный летописец несколько раз упоминает себя при описании казни

Димитрия II Самопожертвователя (1270—1289) в Муганской степи 12 марта 1289 года (Иеромонах Мосэ).

Автором впервые введены в научный оборот такие важные европейские (латиноязычные) источники, как: послание царя Георгия V королю Франции Филиппу VI Валуа (1332—1333), эпистола 1330 года епископа сухумских католиков — Петра Геральда кентерберийскому архиепископу, сведения о Грузии персидского автора середины XIV века Абу Бакра аль Кутби аль Ахри и др.

Фундаментально проанализирована статья английского картвелолога Девида Ланга, посвященная эпохе царствования Георгия V. Опираясь на документальный материал, показана ошибочность основных выводов Д. Ланга, причем в отличие от более ранних откликов на упомянутую статью, автором рассмотрены все аргументы приводимые Д. Лангом.

Впервые показано, что под битвой Георгия V (1318—1346) с адарбадаганскими нойонами (Южный Азербайджан) в 30-х годах XIV века, подразумевается вторжение чобанида Хасана Кучука (Малого).

Детальный анализ показаний, надписи церкви сел. Даба (Боржомский р-н), источников сочинения Вахушти Багратиони и анонима XIV века, позволяет В. Кикнадзе датировать воцарение Георгия V — 1318-м годом, вместо принятого в грузинской историографии — 1314 года.

Всестороннее рассмотрение и новая интерпретация как известных исторических сведений, так и привлечение данных европейских и частично восточных источников, дает основание тщательно аргументированному выводу автора об окончательном освобождении Грузии от татаро-монгольского владычества в 1327—1335 гг. и объединении Восточной и Западной Грузии в 1330 году.

В труде изучены также памятники материальной и духовной культуры XIV в., свидетельствующие о сохранении древних традиций и достаточно высокого уровня развития культуры.

Проанализированы объективные причины, благоприятствующие достижению Грузией независимости (ослабление государства Ильханов, успех деятельности Георгия V на внутри- и внешнеполитическом поприще), а также роль сох-

ранившегося домонгольского феодального государственного субстрата Грузии.

В труде особое место уделяется анализу сложной нумизматической ситуации XIV века.

На основании всех имеющихся источников, в ряде случаев, по новому интерпретируются исторические события середины и второй половины XIV века.

Т. О. в монографии наиболее полно восстановлено и представлено в последовательности сложное внутри- и внешнеполитическое положение Грузии с 90-х гг. XIII века до конца 80-х гг. XIV века.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებებისა და პირობითი ნიშნების განმარტებანი

ენიმკის მოამბე — ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

თსუ შრომები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია).

ჟორდანია თ., ისტორიული საბუთები...—ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა, თბ., 1895.

ჟორდანია თ. ქრონიკები... — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ (ტ. II, თბ., 1897, ტ. III, თბ., 1967. გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ).

ЗВОРАОб — Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества.

BSOAS — Bulletin of the school of Oriental and African Studies, (University of London)

Raynaldy O. Annales Ecclesiastici — Annales Ecclesiastici, at anno quo definit Caes. card. Baronius MCXVIII usque ad annum MDXXXIV continuati ab Odorico Raynaldo, Tarvisino Congreg. oratorii presbytero, T. XV, Rome, 1691

[ ] — ნაკლული ტექსტის აღდგენა.

( ) — აზრობრივი აღდგენა.

< > — ზედმეტობის ნიშანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3
ლიტერატურა და წყაროები 5

თავი I. საქართველო და საილხანო XIII—XIV სს. მიჯნაზე . 16
§ 1. საქართველო XIII საუკუნის მიწურულს 22
§ 2. საქართველო XIV საუკუნის პირველ ათწლეულში . . 39
§ 3. ცნობები ქართველების შესახებ ამ დროის საილხანოს კარზე 44

თავი II. გიორგი V-ის გამეფება და მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1318—1327) 48

თავი III. საქართველო XIV ს. 30-იან წლებში 67
§ 1. მონღოლთა ბატონობის დასასრული 67
§ 2. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა . . 99

თავი IV. საქართველო XIV ს. 40—70-იან წლებში. მონღოლთა ბატონობის შედეგები 110
მონღოლთა ბატონობის შედეგები... 131

თავი V. XIV საუკუნის ქართული კულტურის ისტორიიდან . 136
XIV ს. ქართველი ანონიმის უამთააღმწერლის ვინაობისათვის. ვინ არის უამთააღმწერელი? 156
Грузия в XIV веке (резюме) 176

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4123

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი სპ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ე. ჩიხლაძე
გამომშვები ე. მაისურაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაეცა წარმოებას 4. 8. 1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 5. 1989
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი
გარნიტურა ვენური, პირობით საბეჭდი თაბახი 11. 25;
პირ. საღ. -გატ. 11. 5; სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 9. 83;
უე 02266; ტირაჟი 4000; შეკ. № 2509;
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Кикнадзе Важа Иванович

ГРУЗИЯ В XIV ВЕКЕ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა შემდეგი წიგნები:

ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე. ურთიერთდახმარების ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფასი 1 მ. 50 კ.

პ. რ ა ტ ი ა ნ ი. თბილელი ბერები, ფასი 1 მ.

ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე. მაქსიმე ბერძნიშვილი, ფასი 30 კ.

საქართველო და ევროპის ქვეყნები, ფასი 2 მ. 10 კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა